კვირის პალიტრა

# გზა

N38 (276) 22/IX.-28/IX.2005. ფასი

სე
1168
2005



თემა — დამღუპველი სილამაზე:

გიორგი გურიელი ცოლს გაეყარა და სიძედრი შეირთო



## ბენზინი

როდის დარეგულირდება კრიზისი?!. პროგნოზები და რეალობა

## ნინი ბადურაშვილს უფროსი ასაკის მამაკაცები მოსწონს

„ძალიან შეძლებულ მამაკაცებსაც მოვწონდი, მაგრამ...

## შეუცნობელი — კლინიკური სიკვდილი და მოგზაურობა სულების სამყაროში



თეა გოგეჯიშვილმა ნიკა ლომიძე დაინდო — შემთხვევა თურქეთის საზღვარზე...



რატომ არ მიიჩნევს „იმედი" „რუსთავი-2"-ს კონკურენტად, რა სურს საზოგადოებას და პირველი ქართული ტელეპროექტი მსოფლიო ბაზარზე

# 23 სექტემბრიდან!

ყურადღება!




ნაბიჯი ჭეშმარიტებისაკენ

№38 (276)
22 - 28 სექტემბერი
2005
ფასი 60 თეთრი

**მინიატურები**
ძალა ერთობაშია (?!) ანუ რა ამბავია ამდენი სიხარული? 3

**ერთი კითხვა** 4

**არჩევნები**
„მათი ერთობა პარტიის სახლს მაგონებს...“ 6

**ეკრანი**
რატომ არ მიიჩნევს „იმედი“ „რუსთავი 2“-ს კონკურენტად, რა სურს საზოგადოებას და პირველი ქართული ტელეპროექტი მსოფლიო ბაზარზე 7

**გემოვნება**
ნინი ბადურაშვილი: „იმ კატეგორიას მივეკუთვნები, რომელსაც ასაკით უფროს მამაკაცებთან ურთიერთობა მოსწონს“ 9

**ეკონომიკა**
„ვარაუდობენ, რომ ნოემბრის ბოლომდე, კრიზისი დაძლეული იქნება“ 12

**კრიმინალი**
„ყოველ ტაბახმელელში ჩემი ძმის მკვლელს ვხედავ“ 13

**ემიგრანტები**
„იქ „პატარა საქართველო“ გვაქვს...“ — ამბობენ ბასკეთში მცხოვრები ქართველი ბიზნესმენები 16

**გზავნილები**
ცოლ-ქმრის თავსატეხი ანუ ვის ჰგავს ჩვენი შვილი? 18

**წუთისოფელი**
ამერიკული ქალეხი ანუ გზაჯვარედინზე ღვთის ანაბარად მიტოვებული მიცვალებული... 22

**შეუცნობელი**
კლინიკური სიკვდილი და მოგზაურობა სულების სამყაროში 23

**თამადა**
საქორწინო სუფრაზე თამადა არც პატარძლის ქალიშვილობაზე აგებს პასუხს და არც ღვინის ხარისხზე... 26

**თემა**
დამღუპველი სილამაზე 28

**ჯანმრთელობა**
სასწავლო წელი იწყება 31

**დღესასწაული**
მღვდელმთავარმა ჯვრის ამაღლება დაიწყო, ხალხი კი ღაღადებდა — „უფალო შეგვიწყალენ!“ 34

**ბედი კაცისა**
ლადო არველაძე — ემიგრანტი მწერალი, რომლის გაცნობის სიხარულიც წინ გვაქვს... 35

## 75 ევრო — საწვავის ფასების ზრდის საკომპენსაციოდ



მიმდინარე წლის დასაწყისიდან, ყველა სახის ნავთობპროდუქტი 40%-ით მაინც გაძვირდა... ამერიკაში განვითარებულმა ეკონომიკურმა პროცესებმა საქართველოზეც მოახდინა სერიოზული გავლენა. მხოლოდ ერთ კვირაში, საწვავის ფასმა 20 თეთრით მოიმატა.საწვავის ფასის ზრდა კი, საკვები პროდუქტების ფასების ზრდასაც იწვევს...

12

## თეა გობეჯიშვილმა ნიკა ლომიძე დაინდო...

თეა გობეჯიშვილი ერთი კვირაა, რაც ანტალიიდან დაბრუნდა, სადაც 6 თვის განმავლობაში, მეუღლესთან, ნიკა ლომიძესთან და ანსამბლის წევრებთან ერთად იმყოფებოდა. ინტერვიუს მსვლელობისას თეას ტელეფონი არ გაჩერებულა — თურქი მეგობრები ურეკავდნენ და სიყვარულს უხსნიდნენ...

50



## რატომ არ მიიჩნევს „იმედი“ „რუსთავი 2“-ს კონკურენტად, რა სურს საზოგადოებას და...



„არსებობს პრინციპი, რომ არასოდეს არ უნდა თქვა „არასოდეს“. ამიტომ არ ვამბობ, რომ ჩვენი ტელეკომპანიის ეთერში წარმოუდგენლად მიმაჩნია რეალიტი-შოუს არსებობა. მეტიც, გარკვეული პერიოდის წინ, ჩვენთან განიხილებოდა კიდეც მსგავსი შოუს შექმნის შესაძლებლობა...“

7

## „იმ კატეგორიას მივეკუთვნები, რომელსაც ასაკით უფროს მამაკაცებთან ურთიერთობა მოსწონს“

„სხვათა შორის, მყოლია ძალიან, ძალიან შეძლებული მამაკაცებიც, რომლებსაც მოვწონდი, მაგრამ მე არ მომწონებია და ურთიერთობა მათთან მალევე შემიწყვეტია. მე ფულზე არასოდეს გავიყიდები, ჩემთვის მთავარია ადამიანი და არა ფული“.

9



**ანტიდეპრესანტი**
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 36

**გვირგვინოსნები**
მონაკოს მთავართა საგვარეულო წყევლა 38

**ბომონდი** 41

**ქართული დეტექტივი**
ლუბა ელიაშვილი. მანიაკის ძღვენი (დასასრული) 42

**წარმატება**
ლაშა გუჯეჯიანი: „ამ მედალს ჩემთვის „ოქროს“ ფასი აქვს...“ 45

**ფალავანი**
ოლიმპიადის ფინალში გობეჯიშვილმა ბაუმგარტნერს ქულა აჩუქა 46

**სახე**
თეა გობეჯიშვილმა ნიკა ლომიძე დაინდო – შემთხვევა თურქეთის საზღვარზე 50

**ფესტივალი**
„ხავერდოვანი ბათუმი-2005“ 52

**ამპლუა**
„ფული იყოს და ნაგავსაც ოქროდ ვაქცევთ...“ 53

**ილუზიონისტი**
ზიქების მიერ ნაკარნახევი იდეა, თავის დაწვის ფოკუსი და უფულობით გაჩენილი დეპრესიის სამკურნალოდ საშოვნელი ფული 54

**ავტო** 57

**ფავორიტები** 58

**ჰოროსკოპი**
კვირის (22-28 სექტემბერი) ასტროლოგიური პროგნოზი 60

**სკანვორდი** 61

**იუმორი** 62

**ტესტი**
რამდენად ყურადღებიანი ადამიანი ბრძანდებით? 63

**კალეიდოსკოპი**
ჭრელ-ჭრელი ამბები 64


# კლინიკური სიკვდილი და მოგზაურობა სულების სამყაროში



„სამოთხეც ვნახე და ჯოჯოხეთისკენ მიმავალი გზაც. ხშირად, გარდაცვლილ ადამიანთა სულებსაც ვხვდებოდით. ამ ხილვებში (თუ რა დავარქვა, არ ვიცი) ცოცხალი არავინ მინახავს. ბებიაჩემიც ვნახე, რომელმაც ჩემთვის ადგილი გამოძებნა, მაგრამ ვიღაც თეთრებში ჩაცმულმა სულმა ფურცელი გადაშალა და თქვა – ამის ადგილი ჯერ აქ არ არის და უნდა გავუშვათო...“

23

# „ფული იყოს და ნაგავსაც ოქროდ ვაქცევთ...“

„არც კი ვიცი, რომ არა სარეკლამო ბიზნესი, სხვა რა საქმისთვის უნდა მომეკიდა ხელი, ქარხანაში ნამდვილად ვერ წავიდოდი სამუშაოდ...

პირველ ეტაპზე, როდესაც სარეკლამო საქმიანობა წამოვიწყეთ, ბევრ სირთულეს გადავაწყდით...“



53

# მონაკოს მთავართა საგვარეულო წყევლა



მრავალი წელია, რაც ევროპის შუაგულში მოქცეული ეს პატარა სახელმწიფო ტაბლოიდებისა და მსოფლიო ჭორიკანებისათვის ნაყოფიერ „საბადოდაა“ ქცეული – გრიმალდების ოჯახის ამბები ხომ კლასიკური „საპნის ოპერის“ სიუჟეტს წააგავს. უთანასწორო ქორწინება, ღალატი, მოულოდნელი სიკვდილი თუ საბედისწერო დარტყმები ამ სამეფო ოჯახის განუყოფელი ნაწილია...

38

# მანიაკის ძღვენი

ლუბა ელიაშვილი

ბაია ხანდახან მოდის ჩვენთან. „ლომკა“ გადააგდო, სულ ცდილობს, რომ დაგვიმეგობრდეს, მაგრამ არ გამოსდის: ვერ ვენდობით. ხანდახან მგონია, რომ ესმა მარტო კი არა, ბაიასთან ერთად მართავდა ბაკურსაც და მამამისსაც. ბოლოს კი, სასიკვდილოდ განწირულმა ქალმა, ქალიშვილის დანაშაული საკუთარ თავზე აიღო...





42

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი


საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

# ძალა ერთობაშია (?!)
## ანუ რა ამბავია ამდენი სიხარული?



ჩვენი პოლიტიკოსების ვერაფერი გავიგე, რა!.. ხანდახან თვეები გავა ისეთ მოწყენილობასა და უინტერესობაში, რომ თუ არსებობ, ვერც კი მიხვდები. ხანდახან კი ერთმანეთს მიეწყობა იმდენი სასიხარულო მოვლენა, რომ აღარ იცი, რომელი ერთი გაგიხარდეს და არც ერთი არ გიხარია. რა ამბავია, თქვე დალოცვილებო, გადაგვინაწილეთ ეს სიხარულები, ხომ შეიძლება?!. მაგრამ როგორც ჩანს, არ შეიძლება, პოლიტიკაა ასეთი...

აბა, რას მივაწერო, მთელი წელიწადია არავის გავხსენებივარ და ამ შაბათ-კვირას ორი მოსაწვევი მივიღე ერთდროულად: ერთი საპატრულო პოლიციის იუბილეზე მეპატიჟებოდა, მეორეში კი ეწერა: „გთხოვთ, გვეწვიოთ გაერთიანებული ოპოზიციის პრაიმერზე და თქვენი ნება გამოხატოთ“...

გახარებით ძალიან გამიხარდა. აქამდე სულ მიკვირდა, რატომ გვყავს ასეთი უსუსური ოპოზიცია, ძალა ხომ ერთობაშია?!. მაგრამ, როგორც ჩანს, კარგად უწყიან, რომ რაც უფრო ძლიერია ქვეყანაში ოპოზიცია, მით უფრო ძლიერია ხელისუფლება. ჰოდა, ხელისუფლების სიძლიერე რაში აწყობს მაგათ? თავის მხრივ კი ხელისუფლებაც კაი ეშმაკია: მათაც კარგად მოეხსენებათ ზემოთ აღნიშნული ჭეშმარიტება და ოპოზიციის ჯინაზე არ აქტიურდებიან. ჰოდა, კი ვართ ასე — მტკვარში გადაგდებული ცარიელი ბოთლივით და მივყვებით დინებას...

ბოლოს და ბოლოს, მაინც ოპოზიციამ გადაწყვიტა გაძლიერება: მოახლოებულ არჩევნებში ჩვენ-ჩვენი კანდიდატი რომ წარვადგინოთ, ერთმანეთს წავართმევთ ხმებს და ხელისუფლება გაიმარჯვებსო; ამიტომ მოდით, წინასწარი „არჩევნობანა“ ვითამაშოთ და ვინც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს, ის იყოს ოპოზიციის ერთიანი კანდიდატიო... მართალია, ამ პრაიმერზე „მთლად იმდენი“ ხალხი არ მისულა, რამდენიც ჩემს ჯარში გაცილებაზე, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს, თვითონ ხომ გაუხარდათ?! ე.ი. ჩვენც უნდა გაგვხარებოდა და გვიხარია კიდეც... დღის ბოლოს, ბანკეტიც გადაიხადეს, გამარჯვებული კანდიდატი დალოცეს, დიდგვაროვანიც მოუყვანეს — ერთი-ორი შემოულაწუნეო, მერე უთხრეს — მოწყობილი ხარ, შვილოო და ასე დაიშალნენ...

ახლა, „პოზიცია“ რა „პოზიციაა“, თუ ოპოზიციას არ გადაუჯოკრა?! იფიქრეს, რით ვაჯობოთო და გაახსენდათ: ეს ბაღანა (პატრული) ერთი წლის რომ გახდა ამასობაში, არ აღვნიშნოთო?! აღნიშნეს, მარა რა აღნიშნეს: ჯერ მარტო ტორტი იყო იმხელა, რომ მთლად გადაკეტა თავისუფლების მოედანი. მოკლედ, ლესელიძის ქუჩიდან პრეზიდენტი რომ არ მისდგომოდა შესაჭმელად, ახლაც საცობი იქნებოდა.

ეს ერთი წელი კარგი, ბატონო, ჭკვიანი „ბავშვი“ გამოდგა ეს პატრული, კვებითაც დედის რძით — ანუ ბიუჯეტით იკვებებოდა, მაგრამ აწი რომ „კბილები ამოჭრის და ხელოვნური კვების დამატებასაც“ მოითხოვს, მერე რაღა ვქნათ?!



ყველაზე მნიშვნელოვანი იუბილეზე კი ის იყო, რომ ცხენოსანი პატრულის შემოღება გადაწყვიტეს. მართლაც, ჭკვიანურია: თბილისში გზების უმრავლესობა ისეთ მდგომარეობაშია, რომ „ფოლკსვაგენით“ შენ დაეწევი კაი მორბენალ „პრისტუპნიკს“?! „კლდეებზე მფრინავ“ თოხარიკს კი გაასწარი, თუ ბიჭი ხარ! მიაკრავენ კუდზე „ჯეოსელის“ აბრას და იჭენავებენ თბილისის ქუჩებში. ბოლოს და ბოლოს, პატრულის მანქანებს რომ გულის შემაღონებელი სიგნალი აქვს, მას ცხენის ჭიხვინი აღარ სჯობია?!

***P.S.** სატელეფონო ზარი საპატრულო პოლიციაში:*

*— მიშველეთ, მარტო ვარ სახლში და ვიღაც კაცი კარზე მიკაკუნებს.*

*— მერე არ გაუღოთ კარი, ქალბატონო.*

*— რას ჰქვია არ გავუღო, ამოვიდა ყელში ამდენი მარტოობა...*

*პროვოკატორი*

# „ვისაც მართლა სჭირდება დახმარება, საპყრობილეში იღუპება“

**— იუსტიციის მინისტრი მონიტორინგის საბჭოს წევრებსა და ომბუდსმენის აპარატს კორუფციულ გარიგებებში გადანაშაულებთ...**

**სოზარ სუბარი,** *სახალხო დამცველი:*

— ციხის საავადმყოფოში კორუფციული გარიგებების ფაქტებზე პასუხისმგებელია სასჯელაღსრულების დეპარტამენტი და არა სახალხო დამცველის აპარატი. მინისტრს ასეთი აბსურდული ბრალდებებით ვილაცვილაცებისთვის ხელის დაფარება სურს. მე მიმდინარე წელს პენიტენციარულ სისტემაში შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით პარლამენტს დეტალური ანგარიში წარვუდგინე, მაგრამ ამ საკითხით არავინ დაინტერესებულა. ჩვენი მონაცემებით, თავდაპირველად შედგება იმ პირთა სია, რომლებიც უნდა გაწერონ ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოდან, ამ სიაში მოხვედრილთა შორის კი, საავადმყოფოში რჩება ის, ვინც ფულს გადაიხდის. არსებობს იმის დამადასტურებელი ფაქტებიც, როდესაც თანხის გადაუხდელობის გამო, ავადმყოფი საპყრობილეში გადაიყვანეს და იქ გარდაიცვალა. უდავოა ისიც, რომ დაკავებულთაგან უამრავს გადაუდებელი სამედიცინო დახმარება ესაჭიროება, მაგრამ ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მათი ადგილი არ არის, „რეზბალნიცა“ ჯანმრთელი და შეძლებული პატიმრებით არის სავსე. საავადმყოფოში დაკავებულების გადაყვანა-არგადაყვანის საკითხზე გადაწყვეტილებას სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობა და ციხის ადმინისტრაცია იღებს. მინისტრმა ეს მშვენივრად იცის, ამიტომ დანაშაულის სხვაზე გადაბრალებას არ უნდა შეეცადოს. პენიტენციარულ სისტემაში ისედაც უკიდურესად მძიმე სიტუაციაა — საკნები პატიმრებს ვერ იტევს, შენობები სარემონტოა, მაღალია ინფექციური დაავადებების გავრცელების რისკიც. საერთო ფონი იმდენად შემაშფოთებელია, რომ თუ დაუყოვნებლივ არ გადაიდგა ქმედითი ნაბიჯები, შეიძლება, სერიოზული პრობლემის წინაშე აღმოვჩნდეთ. ■

# ჩინოვნიკებს პარლამენტარების არ ეშინიათ

**— თქვენ ხშირად ლაპარაკობთ მთავრობის წევრთა მხრიდან პარლამენტისადმი უპატივცემულობაზე. როგორ ფიქრობთ — დავით კეზერაშვილის პასუხისმგებლობის საკითხის დასმა ამ პრობლემას მოაგვარებს?**

**ელენე თევდორაძე,** *პარლამენტის წევრი:*

— პარლამენტში მოწვევის მიუხედავად, „ნიკალას“ თემის განხილვაზე ფინანსური პოლიციიდან არავინ მოსულა. ეს პარლამენტის მიმართ ასეთი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების პირველი შემთხვევა არ გახლავთ. თუ დეპუტატებს არ შეგვიძლია ინფორმაციის მოპოვება და ოფიციალური პირებისგან ახსნა-განმარტების მიღება, მაშინ, რა უნდა ქნან კერძო პირებმა?.. თუ ასეთი კონკრეტული ფაქტები სერიოზული განხილვის საგნად არ იქცა და თითოეული ჩინოვნიკის პასუხისმგებლობის საკითხი არ დავაყენეთ, ალბათ, ტელეფონითაც აღარ დაგველაპარაკებიან... როგორც ჩანს, ცალკეულმა ხელმძღვანელმა პირებმა დაივიწყეს, რომ პარლამენტი მათი საქმიანობის მაკონტროლებელი ორგანოა და ანგარიშვალდებული არიან ჩვენ წინაშე. პარლამენტის თავმჯდომარე, კეზერაშვილთან დაკავშირებით ძალზე კატეგორიული იყო. არ გამოვრიცხავ, რომ დადგეს მისი პასუხისმგებლობის საკითხი. ჩინოვნიკებს ან პარლამენტის მიმართ პატივისცემას ვასწავლით, ან მათ თანამდებობების დატოვება მოუწევთ. ■

# „...ისედაც არსებობს ომის განახლების საფრთხე“

**— ცხინვალში ჩასული რუსეთის დელეგაციის წევრების დაკავების შემდეგ, კულახმეტოვი „ხვალინდელი დღით“ დაგვემუქრა. იყო თუ არა მიზანშეწონილი ოქრუაშვილის პროტესტი?**

**რამაზ საყვარელიძე,** *პოლიტოლოგი:*

— თავდაცვის მინისტრის ნაბიჯი უდავოდ სამართლიანი იყო. ყველა წრეგადასულ ქმედებასაც აქვს რაღაც საზღვარი. თუმცა, რა შეფასებას მისცემენ ამ ფაქტს საერთაშორისო ორგანიზაციები, ეს მეორე საკითხია. მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, მათ, ვინც სავიზო რეჟიმი დაარღვია და ვინც სეპარატისტებს ასე ღიად უჭერს მხარს, პასუხი რაღაც ფორმით მაინც უნდა მოეთხოვოთ. წინააღმდეგი არ ვარ, ქართულმა მხარემ ქვეყნის ინტერესები უფრო მასშტაბურადაც დაიცვას, თუმცა, ეს ქმედებები ბოლომდე უნდა იყოს გათვლილი და გააზრებული. რუსების დაკავება რომ დაძაბულობას გამოიწვევს ეს უდავოა. რას მიიღებს ამ გართულებიდან საქართველო?.. იმედია, ხელისუფლებას ამ კითხვაზე პასუხი აქვს და მალე ის საზოგადოებისთვისაც გახდება ცნობილი. თუმცა, პარლამენტის თავმჯდომარე თავის განცხადებაში მიანიშნებდა რუსეთის მცდელობაზე, ჩაითრიოს საქართველო საომარ მოქმედებებში. თუ ამის საშიშროება არსებობს, მაშინ რატომ ვაძლევთ სიტუაციის კიდევ უფრო გამწვავების საბაბს?.. ამ ეტაპზე, ისედაც არსებობს ომის განახლების საფრთხე. კიდევ ერთხელ გავიმეორებ: ოქრუაშვილის ნაბიჯი სრულიად სამართლიანია, მაგრამ არცთუ ისე დიდი ხნის წინ, ჩვენ ამ სამართლიანობის სახელით, ცხინვალის რეგიონში ათობით სამხედრო მოგვიკლეს. თანაც, ვითარება უკეთესობისკენ არ შეცვლილა. მაშინ სისხლის ღვრის შეჩერება მოხერხდა, მაგრამ დღეს მთავრობაც სხვა შემადგენლობით არის წარმოდგენილი და სავარაუდოდ, ამერიკის პრეზიდენტიც აღარ დაგვეხმარება, თუ კიდევ ერთხელ აღმოვჩნდებით საომარ მოქმედებებში ჩაბმული. მარტო საქართველოს ხელისუფლება იმ პოტენციალით, რაც ჟვანიას შემდეგ დარჩა, ძნელად თუ მოახერხებს რუსეთის დაშოშმინებას. ■

## როდის გაიაფდება სახელმძღვანელოები?

**— სახელმძღვანელოების შესაძენად, თითოეულ მოსწავლეს 80 ლარზე მეტი სჭირდება, ამიტომ გარკვეული ნაწილი წიგნების ყიდვას საერთოდ ვერ ახერხებს. ზრუნავს თუ არა სამინისტრო ფასების შემცირებაზე?**

**სიმონ ჯანაშია,** *განათლების სამინისტროს სახელმძღვანელოების შემუშავების ჯგუფის ხელმძღვანელი:*

— სახელმძღვანელოს ფასის დადგენა ბაზრის პრინციპებით ხდება: რაც უფრო მაღალია კონკურენცია, მით უფრო დაბალი უნდა იყოს წიგნის ფასი. გამომცემლობების მიზანია, მოსწავლეებს იაფი წიგნი მიაწოდონ. მაგრამ ბაზარს ახლავს რამდენიმე რისკფაქტორი — მაგალითად, ის, რომ ვილაცა მეკობრულ გამოცემას გამოიტანს ან სახელმძღვანელო არ გაიყიდება. ამას ემატება იმის შიშიც, რომ მომავალ წელს, შეიძლება, სახელმძღვანელოები შეიცვალოს. სამინისტრო ამ რისკფაქტორების შემცირებაზე ზრუნავს. ვცდილობთ, შევქმნათ იმის პირობა, რომ გამომცემლობებს აღარ უნდოდეთ ერთ წელიწადში მაქსიმალური მოგების მიღება და გრძელვადიანი მარკეტინგული გეგმა შეადგინონ, რაც სახელმძღვანელოს ფასზე აისახება. ამ ეტაპზე, ფასების ზრდის ტენდენცია არ შეინიშნება. სამინისტროს სურს, რომ არა მხოლოდ პირველი და მეორე კლასის მოსწავლეებისთვის, არამედ მაღალკლასელებსაც სახელმწიფო ამარაგებდეს წიგნებით. იმედი გვაქვს, გამოვნახავთ საჭირო ფინანსურ რესურსებს და სახელმწიფო, სახელმძღვანელოების შესაძენად ფულს სკოლებს გადაურიცხავს. თუ გამოჩნდა თანხები იმისათვის, რომ სკოლის ბიბლიოთეკებმა წიგნები შეიძინონ და შემდგომ, მოსწავლეებს ათხოვონ ან მიაქირაონ, მშობლებისთვის ესეც მნიშვნელოვანი შეღავათი იქნება. ალბათ ურიგო არ იქნება, სკოლებში გავიმეოროთ საქველმოქმედო აქცია, წინა წლის მსგავსად — ვთხოვოთ ბავშვებს, უმცროსკლასელთათვის ნახმარი სახელმძღვანელოები ჩააბარონ. შარშან ამ აქციას ბევრი მოზარდი გამოეხმაურა. ამ ნაბიჯით ბავშვები ქველმოქმედებასაც ისწავლიან და თავისზე ერთი წლით უმცროსებსაც დაეხმარებიან. ■

## „ამის შემდეგ, ლუჟკოვის მსგავსი ფიგურები ჩამოსვლის სურვილს დაკარგავენ"...

**— რუსეთის ოფიციალური პირები კოკოითის საზეიმო შეკრებას დაესწრნენ. რა სამართლებრივი რეაგირება უნდა მოჰყვეს ხელისუფლების მხრიდან რუსეთისგან სეპარატისტთა ღია მხარდაჭერას?**

**ნიკა რურუა,** *თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი:*

— პირველ ეტაპზე, რუსი სამშვიდობო ძალების მისიის მიზანშეწონილობის საკითხი უნდა დაისვას. საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობით უნდა გავარკვიოთ, ვინ და რატომ ამარაგებს სეპარატისტებს სამხედრო ტექნიკით და შეიძლება თუ არა, როგორც სამშვიდობოებმა, ასევე რუსეთის ოფიციალურმა პირებმა ტაში დაუკრან უკანონო შეიარაღების დემონსტრირებას. საბედნიეროდ, უკონტროლო ტერიტორიების არსებობა არც ამერიკას აძლევს ხელს, არც ევროპას და არც საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას. ამ პრობლემას მალე წერტილი დაესმება. ამის შემდეგ, ლუჟკოვის მსგავსი ფიგურები საქართველოში ჩამოსვლის სურვილს საბოლოოდ დაკარგავენ. ■

ლამინირებული ავეჯის დამზადება



გარანტიით!

სამზარეულოები,
საძინებლები,
საოფისე და სხვა

ტელ: 61-39-21
8(93)-24-08-03
მის: ჩარგლის ქ. №52

*რუბრიკა მოამზადა ხათუნა მაღრაძემ*

## რატომ სცოდავენ მოსამართლეები?

**— სასამართლო რეფორმა გრძელდება, თუმცა მისი უფლებამოსილება ხელისუფლების გადაწყვეტილებათა „ნოტარიუსის" ფუნქციას ვერ გასცდა. როდის დასრულდება სასამართლოს უუფლებობა?..**

**კოტე კუბლაშვილი,** *უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე:*

— უნდა ვაღიარო, რომ სასამართლო ბევრ შემთხვევაში, სერიოზულ შეცდომებს უშვებს. კორუფციულ ფაქტებსაც აქვს ადგილი. ჩვენი ძალისხმევა მიმართულია იმისკენ, რომ რეფორმის შედეგად, სასამართლოს დამოუკიდებლობას მივაღწიოთ. პირველ რიგში, მოსამართლეს უნდა ჰქონდეს დაცვის გარანტია, მაღალი ანაზღაურება, სოციალური პირობები და ა.შ. 2006 წლის პირველი იანვრიდან, მოსამართლეთა ხელფასები კიდევ გაიზრდება, რადგან ის შრომის ანაზღაურება, რომელიც ამჟამად აქვთ, მათ ქრთამის აღებისგან ვერ იცავს. 600-800-ლარიანი ხელფასის მქონე მოსამართლეს დღედაღამ მიუკერძოებლად მუშაობას ვერ მოვთხოვთ. მოსამართლეც ადამიანია, ჰყავს ოჯახი და ის არ არის დაცული. როცა შრომის ანაზღაურების საკითხი მოგვარდება, პრობლემა მოიხსნება. თუმცა, ამის შემდეგაც, მკაცრად გავაკონტროლებთ მათ ქმედებებს. დარღვევების შესახებ შემოსულ ნებისმიერ ინფორმაციაზე, იუსტიციის საბჭოსთან ერთად, უმკაცრეს რეაგირებას მოვახდენთ. მე ოპონენტთა კრიტიკული განცხადებები არ მაკვირვებს, თუმცა, მაინც ვფიქრობ, რომ ცალკეულ შემთხვევებში, მათი შეფასება გადაჭარბებულია. რეფორმა შედეგს აუცილებლად გამოიღებს. სამწუხაროდ, ეს პროცესი დროში გაიწელა. მაგრამ სასამართლოში ძირეულ ცვლილებებს ხანგრძლივი პერიოდი სჭირდება, მუშაობის პროცესში ხდება შეცდომებიც. მოსამართლეები სცოდავენ, მაგრამ მალე ჩვენ მივიღებთ სრულიად დამოუკიდებელ სასამართლოს. მოწოდებები — გავაუქმოთ სასამართლო და ა.შ. — პროვოკაციაა და მეტი არაფერი. სასამართლო სისტემა გარკვეულწილად ქვეყნის სახეს წარმოაჩენს, ამიტომ მის ჩამოყალიბებაზე უნდა ვიზრუნოთ და არა დეგრადაციაზე. ■

# „მათი ერთობა კარტის სახლს მაგონებს...“



**პრაიმერში გამარჯვებული, ისნის რაიონის მაჟორიტარი კანდიდატი, გიორგი მოსიძე ვარდების რევოლუციამდე, დაახლოებით 20 წუთის განმავლობაში იყო საკანონმდებლო ორგანოს წევრი. მაშინ დეპუტატობა არ დასცალდა. ახლა, შუალედური არჩევნების შემდეგ, მას უკვე აქვს წარმატების იმედი, უფრო მეტიც — დარწმუნებულია, რომ პრაიმერის შემდეგ, სააკაშვილიც წინასწარ შეეგუა ოპოზიციის გამარჯვებას. თუმცა, გიორგი არ გამორიცხავს, რომ დეპუტატის მანდატის აღების შემთხვევაშიც, კიდევ ერთხელ მოუწიოს ვადაზე ადრე მასთან გამოთხოვებამ, რადგან „ახლების“ ლიდერი, დავით გამყრელიძე ხელმოწერების შეგროვებას იწყებს და საზოგადოებას ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების იდეას სთავაზობს...**

*ხათუნა მაღრაძე*

— ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ კონსერვატორების ინიციატივამ პრაიმერის ჩატარებასთან დაკავშირებით, გაამართლა. 13-14 ათასი კაცი გამოცხადდა წინასწარი არჩევნების დროს ოპოზიციური პარტიის წევრებისთვის ხმის მისაცემად. ასეთ შედეგს ხელისუფლება ნამდვილად არ ელოდა. საერთოდ, შუალედური არჩევნებისადმი ხშირ შემთხვევაში, მოსახლეობა გულგრილია. 17 სექტემბერს კი, მათი აქტიურობა განპირობებული იყო იმ პროტესტით, რომელიც მათ ხელისუფლების მიმართ აქვთ.

— **სხვა ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები მშვიდად შეხვდნენ „ახლების“ გამარჯვებას? ამბობენ, საარჩევნო უბნებზე მონაწილეთა შორის კონფლიქტური სიტუაციებიც შეიქმნაო.**

— ადამიანი დილის 8 საათიდან საღამოს 5 საათამდე დაძაბულ რეჟიმში რომ მუშაობს, შეიძლება, რაღაც მომენტში ნერვებმა უმტყუნოს და ხმამაღალი ფრაზაც თქვას. მაგრამ იქ კონფლიქტური სიტუაციები ნამდვილად არ ყოფილა. ოპოზიცია გაერთიანდა ქვეყნის გადასარჩენად და ამ ერთიანობას ასე იოლად არ დავანგრევთ.

— **გაერთიანებისკენ პრეზიდენტმაც მოგიწოდათ, ის მომხრეა იმისა, რომ პარლამენტში კონსტრუქციულად მოაზროვნე ოპოზიციონერები შევიდნენ. თქვენი აზრით, მისი გამოსვლის კეთილგანწყობილი ტონი რით იყო განპირობებული?**

— სააკაშვილმა დაინახა, რომ მოსახლეობა არც ისეთი კმაყოფილია ახალი მმართველობის, როგორც მისი გარემოცვა წარმოაჩენს. ,,მოურავები“ ხელაპყრობილები რომ შეჰღაღადებენ — მბრძანებელო, მოსახლეობის 85% თქვენი მხარდამჭერიაო, ეს მითი პრეზიდენტს ცხვირწინ ენგრევა, რამაც სააკაშვილი ჩააფიქრა. მას ყველაზე კარგად პიარის გაკეთება ეხერხება, ამიტომ გადაწყვიტა — თუ შუალედურ არჩევნებში მხოლოდ ნაციონალური მოძრაობა არ გაიმარჯვებს, მაშინ ჩვენს მარცხს საქართველოში დემოკრატიის აყვავებას მივაწერთ და მთელ მსოფლიოში ვიღაღადებთ, რომ ამერიკას, თუ არ გავუსწარით, დავეწიეთ მაინც, გამჭვირვალე, სამართლიანი არჩევნების ორგანიზებით. ხელისუფალთა თქმით, წარმატებული რეფორმების მხრივ ხომ ვართ მსოფლიოში მეორე ადგილზე; ახლა დემოკრატიული ნახტომები გვჭირდება... რეალური სურათი კი ასეთია: ნაცმოძრაობის რეიტინგი რაიონებში ნულის ტოლია, მათ მიმართ თბილისის მოსახლეობამაც დაკარგა ნდობა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ქალაქის მერი, გიგი უგულავა გახდა. რაც შეეხება სააკაშვილს, მის მიმართ საზოგადოებაში გარკვეული სიმპათია ჯერ კიდევ არსებობს, ესეც — მისი ქარიზმისა და ,,პიარშიკობის“ დამსახურებაა.

— **ხელისუფლება ირწმუნება, რომ მისი რეიტინგი მხოლოდ 10-15%-ით შემცირდა, ოპოზიცია კი რეალობას არის მოწყვეტილი...**

— თუ ქვეყნის ასაშენებლად მხოლოდ ქუჩების მოასფალტება და ფასადების შეღებვა კმარა, მაშინ რატომ გაუშვეს ქართველი ,,კმარელები“ მინსკში? იქ ჩვენზე კარგი გზები აქვთ და შენობებიც უკეთესად გამოიყურება — ხელფასებსა და პენსიებზე რომ აღარაფერი ვთქვათ... საქართველოში არ არსებობს სასამართლო სისტემა, ადამიანებს ჭერი თავზე ენგრევათ, უმუშევართა რიცხვმა კატასტროფულ მაჩვენებელს მიაღწია, გაიზარდა სოციალური ფონით შეწუხებული ადამიანების თვითმკვლელობათა რიცხვი. ვისაც მცირეოდენი დანაზოგი შემორჩა, საზღვარგარეთ გაქცევას ცდილობს... ახლა გეკითხებით, ვინ არის რეალობას მოწყვეტილი — ხელისუფლება თუ ოპოზიცია?!. დღეს ქვეყანაში რეალურად იქმნება იმის ფონი, რომ ათიათასობით ადამიანი ქუჩაში გამოვიდეს და ის გაზულუქებული ჩინოვნიკები, რომლებიც კაბინეტებში ,,შეიტანეს“, უკან ,,გამოიტანოს“...

— **ამის თავიდან ასაცილებლად, დავით გამყრელიძე რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების ჩატარების ინიციატივით გამოდის. მაგრამ ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებიც კი ამ იდეას ანტიკონსტიტუციურს უწოდებენ. როგორ შეძლებენ „ახლები“ საჭირო რაოდენობის ხელმოწერების შეგროვებას?**

— ამ ინიციატივაში ანტიკონსტიტუციური არაფერია. ჩვენ გვინდა, საქართველოს მორიგი რევოლუცია ავარიდოთ. დღეს პარლამენტი თავის ფუნქციას ისედაც ვერ ასრულებს. უმრავლესობა ძალით არის შეკოწიწებული. დღევანდელი უმრავლესობის წევრები არათუ გულგრილები არიან ერთმანეთის მიმართ, არამედ სძულთ საკუთარი თანაგუნდელები. მათი ერთობა კარტის სახლს მაგონებს, რომელსაც ერთი სულის შებერვა სჭირდება, რომ დაიშალოს. როცა დრო მოვა, სააკაშვილი თავად დაითხოვს პარლამენტს და ეცდება, ხელებიც მას შეაწმინდოს. თუმცა, მაშინ გვიან იქნება. რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები სწორედ დღეს არის აქტუალური.

— **თუ ფიქრობთ, რომ ამ იდეის განხორციელება შესაძლებელია, მაშინ რატომ იბრძვიან „ახალი მემარჯვენეები“ შუალედური არჩევნების შედეგად, პარლამენტში მოსახვედრად?**

— თუ დაინიშნა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, პირადად მე, სიამოვნებით დავთმობ მანდატს. ვარდების რევოლუციის დროს, სულ რამდენიმე წუთი ვიყავი დეპუტატი. არც ახლა დავარღვევ კეთილ ჩვევას და ხელახალი არჩევნებისთვის დავიწყებ მზადებას. რაც შეეხება შუალედურ არჩევნებს — ბუნებრივია, რამდენიმე ადამიანი პარლამენტში არსებითად ვერაფერს შეცვლის, მაგრამ ოპოზიციური სპექტრი გაიზრდება და მასთან ერთად გამწვავდება შეტევა ხელისუფლებაზე მისი არასწორი ქმედებების გამო. ■

# რატომ არ მიიჩნევს "იმედი" "რუსთავი 2"-ს კონკურენტად, რა სურს საზოგადოებას და პირველი ქართული ტელეპროექტი მსოფლიო ბაზარზე



**„პირველი ტელეკომპანია, რომელმაც კანის ბაზრობაზე კონტაქტების დამყარება და პროდუქციის შეძენა დაიწყო, „იმედი“ გახლდათ. მანამდე, არც ერთ ქართულ ტელევიზიას ამ ბაზრობაზე არაფერი უყიდია“, — დაუფარავი სიამაყით ამბობს კომპანიის გენერალური დირექტორი, რომელიც ამასთანავე, არც სხვა ტელევიზიების მიღწევებსაც უარყოფს და ახალი „სამაუწყებლო“ წლის დამდეგს, პროგრამაში დაგეგმილ სიახლეებზე გვიამბობს.**

*ემა ტუხიაშვილი*

**ბიძინა ბარათაშვილი**, *ტელეკომპანია ,,იმედის“ გენერალური დირექტორი:*

— მიუხედავად იმისა, რომ თბილისში ათზე მეტი დამოუკიდებელი ტელეკომპანია არსებობს და მათი სპექტრი საკმაოდ მრავალფეროვანია, მაინც ვთვლი, რომ ქართული სატელევიზიო ბაზარი ჯერ კიდევ ჩამოყალიბების სტადიაშია. შესაძლოა, ჩემი ეს განცხადება ვინმეს არ მოეწონოს, მაგრამ მაინც უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ რამდენიმე კომპანიას შეუძლია დაიკვეხნოს, რომ ის თანამედროვე თვალსაზრისით შედგა, როგორც ტელევიზია. პირველ რიგში, ეს არის ტელეკომპანია ,,რუსთავი 2“, ,,იმედი“, განსაკუთრებული პოტენციალი აქვს საზოგადოებრივ ტელევიზიას და კიდევ ერთი, გამოკვეთილი ტელეკომპანია გახლავთ ,,მზე“. თუმცა აქვე მინდა აღვნიშნო, რომ პატარ-პატარა ტელევიზიებს, შესაძლოა, ჩვენთან შედარებით უფრო მობილიზებული და არაორდინარულად მოაზროვნე ხელმძღვანელობა ჰყავდეს. მაგალითად, იგივე მამუკა ღლონტი (,,*მაესტროს“ ხელმძღვანელი. — ავტ.*), რომელმაც ყველაზე უკეთ იცის, თუ როგორ შეიძლება არაფრისგან ძალიან რეიტინგული პროდუქტი შექმნა. იგივე შემიძლია ვთქვა ტელეკომპანია ,,202“-ზე, რომელიც მოსახლეობაში შალვა რამიშვილის ,,დებატების“ წყალობით, საკმაოდ რეიტინგული და ყურებადი არხი გახდა. ამ არხების ჩამოთვლა კიდევ შეიძლება, მათ ამ სივრცეში საკუთარი ნიშა იპოვეს და პროფესიონალურ დონეზე ემსახურებიან თავიანთ საქმეს — ანუ ყველა ტელეკომპანია საკუთარ პრიზმაში უნდა განვიხილოთ და არ შეიძლება, მაგალითად, ერთმანეთს შევადაროთ ,,იმედი“ და ,,პირველი სტერეო“, რადგან ის გახლავთ სპეციფიკური არხი, ჩვენ კი, იმის პრეტენზია გვაქვს, რომ საზოგადოებრივი დატვირთვის ტელეკომპანია ვიყოთ, რადგან იმისდა მიუხედავად, რომ გვაქვს აშკარად გამოკვეთილი კომერციული ინტერესები, ხშირ შემთხვევაში, ამაზე უარს ვამბობთ და ეთერში ვუშვებთ ისეთ პროდუქტს, რომელიც კომერციული თვალსაზრისით ძალიან




წამგებიანია, მაგრამ მიგვაჩნია, რომ მისი ჩვენება აუცილებელია საზოგადოების განვითარებისთვის. მაგალითისთვის მოგიყვანთ პროექტს ,,უცნობი საქართველო“, რომელსაც აკა მორჩილაძე უძღვება.

— **მოდი, გულახდილად მითხარით, მაშინ ვინ მიგაჩნიათ თქვენს მთავარ კონკურენტებად ქართულ ტელებაზარზე?**

— ვერ გეტყვით, რომ სხვა ტელეკომპანიებს კონკურენტის თვალით ვუყურებ, თუმცა, გარკვეული პერიოდის შემდეგ შესაძლოა, კონკურენცია საზოგადოებრივმა ტელევიზიამ გაგვიწიოს. შესაძლოა ეს, ერთგვარ პრეტენზიად ჟღერდეს იმაზე, რომ გვინდა საზოგადოებრივი ცნობიერების გარკვეულ დონემდე აყვანა. არ გამოვრიცხავ, რომ ეს ხმამაღალი განცხადებაა, მაგრამ ასეთი განცხადებებისა და ამბიციების გარეშე ძნელი წარმოსადგენია ნებისმიერი ტელევიზიის მომავალი. მე მაგალითად, ნაკლებად მივიჩნევ ჩვენს კონკურენტად ,,რუსთავი 2“-ს, მაგრამ არა იმიტომ, რომ რამეს ვერჩი; პირიქით, ეს არის მოწინავე კომპანია, რომელსაც საკუთარი გზა და გეზი აქვს.

— **წელან მამუკა ღლონტის წარმატებები ახსენეთ. საინტერესოა, რატომ არ აკეთებს ტელეკომპანია „იმედი“ რეალიტი-შოუს?**

— არსებობს პრინციპი, რომ არასოდეს არ უნდა თქვა ,,არასოდეს“. ამიტომ არ ვამბობ, რომ ჩვენი ტელეკომპანიის ეთერში წარმოუდგენლად მიმაჩნია რეალიტი-შოუს არსებობა. მეტიც, გარკვეული პერიოდის წინ, ჩვენთან განიხილებოდა კიდეც მსგავსი შოუს შექმნის შესაძლებლობა. მამუკა ღლონტს ყოველთვის უდევს ხელი სატელევიზიო პულსზე და იცის, როდის რა უნდა გააკე-

თოს. მამუკა თავის ქმედებაში უფრო თავისუფალია, მას აქვს ექსპერიმენტების ჩატარების უფლება, რის უფლებასაც მე ჩემს თავს ვერ მივცემ. „მაესტრო“ ერთგვარი ლაბორატორიაა, სადაც მამუკა პერიოდულად ცდებს ატარებს. რა თქმა უნდა, მეტწილად ეს ცდები წარმატებულია, ზოგჯერ კი — წარუმატებელი. ასეთი თავისუფლების ფუფუნება კი მე არ მაქვს. ჯერ კიდევ შარშან ივლისში, მოსკოვში გახლდით წასული და ჩემს მეგობარს, ტელეკომპანია „ტიენტის“ ხელმძღვანელს რომან პეტრენკოს შევხვდი. მას ჰქონდა იდეა, რომ რეალიტი-შოუ „შიმშილი“ რომელიც წარმატებით გადის მოსკოვში, თბილისშიც გაკეთებულიყო. უკვე ლაპარაკი იყო ჩვენი პავილიონის გამოყენებაზე და ა.შ. თბილისის გარდა, შოუს განსახორციელებლად, ნიუ-იორკი და კიდევ რამდენიმე ქალაქი განიხილებოდა. მაგრამ მოგვიანებით, პეტრენკომ თბილისი გამორიცხა, რადგან შოუს პრინციპი იყო,რომ მონაწილეები ჩვენს ქალაქში უფულოდ უნდა ჩამოსულიყვნენ და როგორღაც თავი უნდა ერჩინათ, ხოლო ლამაზი რუსი ქალი თბილისის ქუჩაში სარჩოს საძებნელად რომ გამოვიდოდა, ვინ შეუქმნიდა ექსტრემალურ სიტუაციებს?! ქართველი კაცები სულ ხელისგულზე ატარებდნენ და ვინ გაუშვებდა უკან, თავის სამშობლოში?!. შემდეგ, რომან პეტრენკომ დახმარებაც აღმითქვა იმ შემთხვევაში, თუ „იმედზე“ გადავწყვეტდით რეალიტი-შოუს შექმნას, მაგრამ მთხოვა, აუცილებლად გამეთვალისწინებინა ჩვენი არხის სპეციფიკა, ვინადან ასეთმა გადაცემამ შესაძლოა, მაყურებელთა ახალი აუდიტორია შეგძინოს, მაგრამ ის დაგაკარგვინოს, ვინც წლების განმავლობაში, უკვე შენი არხის ერთგულია. თუმცა, ნათქვამი სულაც არ ნიშნავს, რომ რეალიტი-შოუს შექმნაზე არ ვფიქრობთ და თუ ასეთ გადაწყვეტილებას მივიღებთ, ალბათ, სატელევიზიო სეზონის მეორე ნახევარში შევასხამთ ხორცს.

— **როგორ განსაზღვრავთ იმას, თუ რა უფრო აინტერესებს ქართველ მაყურებელს?**

— სოციალური გამოკითხვების შედეგად დგინდება, თუ რის ნახვა სურს საზოგადოებას და ამით განისაზღვრება პრიორიტეტები. თუმცა, მსგავსი გამოკითხვები ყოველთვის როდი იძლევა ასპროცენტიან შედეგს. ამიტომ ტელევიზიის შემოქმედებითი ძალები განსაზღვრავენ, თუ რა სჭირდება საზოგადოებას. ცუდად ნუ გამიგებთ, მაგრამ სატელევიზიო პროგრამების რეიტინგებს თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ მოსახლეობა აქცენტებს ძირითადად, იუმორისტულ გადაცემებზე აკეთებს. ჩვენც ამის ადეკვატურად მოვიქეცით და თუ შარშან, ნიკა ქავთარაძესა და მის მეგობრებს მხოლოდ ერთი გადაცემა ჰქონდათ, წელს ოთხი განსხვავებული ფორმატის გადაცემის გაკეთების შესაძლებლობა მივეცით. ამავე დროს, გამოკითხვის შედეგების მიხედვით, აკა მორჩილაძის გადაცემას თბილისის ტელეაუდიტორიის 7% უყურებს, მაგრამ მხოლოდ შაყირსა და ხუმრობაზე არ შეიძლება კეთდებოდეს აქცენტი და შემეცნებითი გადაცემებიც უნდა იყოს. მაგალითად, წელს იძულებული გავხდით, შევლეოდით გადაცემას, რომელიც ჯანრი კაშიას მიჰყავდა და ერქვა „ნადიმი ჯანრი კაშიასთან ერთად“. ნაწილობრივ, ამის მიზეზი ფინანსური შეუსაბამობაც იყო — შემოსავალი ვერაფრით ფარავდა ხარჯებს. მართალია, ჩვენ არ ვართ წმინდა კომერციულ მოგებაზე ორიენტირებულნი, მაგრამ ასეთი ქველმოქმედების საშუალებაც ყოველთვის არ გვაქვს.




— **ქართული სატელევიზიო სივრცის დიდი ნაწილი სერიალებს უკავია, გამონაკლისს არც თქვენი არხი წარმოადგენს...**

— პირადად მე, სერიალების მაყურებელი არ გახლავართ. შესაძლოა, ქართულ სერიალს ვუყურო, ოღონდ — მწარმოებლის თვალით, მაგრამ ვერსად გავექცევით იმ ფაქტს, რომ დღეს სერიალები ტელეწარმოების განუყოფელი ნაწილია, ძალიან ხშირად მიწევს საერთაშორისო ტელებაზრობებზე ყოფნა და მინდა გითხრათ, რომ ყველაზე დიდი მიმწოდებლები ამ ბაზრობებზე სწორედ სერიალების მწარმოებელი კომპანიებია. ტელესერიალების წარმატებას ერთდროულად რამდენიმე ინტერესის თანხვედრა განაპირობებს: ჯერ ერთი, ეს არის შედარებით იაფი პროდუქტი, რომელიც თავისი ლიცენზიის ფასს, ერთჯერადი ჩვენების შედეგადაც კი, ორჯერ-სამჯერ აჭარბებს. მეორეც, რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ, რომ ეს გახლავთ ადამიანების გამოსათაყვანებლად მოგონილი ინსტრუმენტი და ამაზე ნებისმიერი დაგეთანხმებათ, დარწმუნებული ვარ, რომ იგივე ადამიანი, დაამთავრებს თუ არა სამუშაო დღეს, რომელიმე სერიალის საყურებლად მიუჯდება ეკრანს... ჩვენი კომპანია ცდილობს, რომ მეტ-ნაკლებად ხარისხიანი სერიალები შესთავაზოს თავის მაყურებელს.

— **თქვენმა ტელეკომპანიამ რამდენიმე ქართული სერიალი გადაიღო, რამდენადაც ვიცი, ზოგი მათგანი გაყიდეთ კიდეც...**

— სამწუხაროდ, საქართველოში სერიალის გადაღება ძვირი სიამოვნებაა და ფინანსურად ხარჯებსაც კი ვერ ინაზღაურებს. მართალია, ჩვენ მიერ წარმოებული ყველა სერიალი გავყიდეთ, მაგრამ მოთხოვნა საერთაშორისო ბაზარზე ქართულ სერიალებზე ძალიან დაბალია. ჩვენს სერიალებს ძირითადად, რუსეთის პროვინციული არხები ყიდულობენ და არა ე.წ. „მეიჯორები“ — როგორებიც არიან „ენტევე“, „ოერტე“ ან „ერტეერი“. თუმცა, ჩვენ ვაწარმოებდით მოლაპარაკებებს რუსეთის ჩამოთვლილ ცენტრალურ ტელეარხებთან და მეტიც — უკვე გამზადებული გვქონდა კონტრაქტები ხელმოსაწერად, რის შემდეგაც, მათი ეთერით ქართული სერიალების ჩვენება უნდა დაწყებულიყო. მაგრამ რუსულ-ქართული პოლიტიკური დაძაბულობის გამო ეს მოლაპარაკებები ჩაიშალა. უფრო დავაკონკრეტებ: საუბარი იყო სერიალების — „ყავა და ლუდი“ და „ცხელი ძაღლი“ — გაყიდვაზე. ყოველივე ზემოთ თქმული არ ნიშნავს, რომ ჩვენ ვაპირებთ გაჩერებას, პირიქით — ცოტა ხანში, წარმოებაში ჩავუშვებთ 8-სერიიან მხატვრულ ფილმს სახელწოდებით „ატაგენუსი“, რომელიც ფსიქოლოგიური ტრილერის ჟანრს მიეკუთვნება. ამის შემდეგ საზოგადოება იხილავს კიდევ ერთ ქართულ სერიალს სახელწოდებით „ყვითელი ბულვარი“ და არ გამოვრიცხავ, რომ სერიალს — „ყავა და ლუდი“ — კიდევ რამდენიმე ახალი სერია დაემატება. წელს ჩვენ აღარ გავაგრძელებთ „ცხელი ძაღლის“ გადაღებას, მაგრამ მომავალი სეზონიდან, კვლავ განახლდება მუშაობა ამ სერიალზე.

— **რა როლი უკავია რეკლამას ქართულ ტელებიზნესში და მოგების მიზნით, ჩვენი არხები ხომ არ აჭარბებენ ხოლმე რეკლამისთვის ნორმით დადგენილ დროს?..**

— რა თქმა უნდა, არსებობს შესაბამისი ნორმები, რომლებსაც საქართველოს ყველა ტელეარხი როდი იცავს და ამის შესახებ არაერთხელ ვაცნობეთ სამაუწყებლო კომისიას, მაგრამ ამაზე რეაგირება არ ყოფი-

ლა. ჩემთვის აბსოლუტურად გასაგებია ის ფაქტი, რომ რეკლამა აღიზიანებს ტელემაყურებელს, მაგრამ კომერციული ტელევიზიის ხელმძღვანელისთვის ეს ხარჯების ანაზღაურების ძირითადი საშუალებაა.

— **როგორც ვიცი, ცოტა ხანში კვლავ მიბრძანდებით საერთაშორისო ტელებაზრობაზე საფრანგეთში, ქალაქ კანში, მაგრამ ამჯერად იქ ქართული გადაცემის პრეზენტაციას აპირებთ...**

— სატელევიზიო ბაზრობა კანში წელიწადში ორჯერ — გაზაფხულსა და შემოდგომაზე იმართება. იქ იკრიბებიან მსოფლიოს სატელევიზიო პროდუქციის ყველაზე დიდი მწარმოებლები და მყიდველები. იმართება ახალი სატელევიზიო პროექტების პრეზენტაციებიც. ამჯერად გვინდა, ჩვენს სავარაუდო პარტნიორებს წარვუდგინოთ გადაცემა ,,ეტალონის“ ფორმატი, რომელმაც საკმაოდ დიდი რეზონანსი გამოიწვია საქართველოში და რომელსაც გამოეხმაურა, როგორც საქართველოს საპატრიარქო, ასევე ქალაქის მუნიციპალიტეტი და საკრებულო. ვაპირებთ, რომ ,,ეტალონი“ ვუჩვენოთ სერიოზულ მწარმოებლებსა და დისტრიბუტორებს და ვფიქრობთ, რომ ეს გადაცემა მათ ინტერესსაც გამოიწვევს. გარდა ამისა, სატელევიზიო ბაზრობაზე გვინდა წარვადგინოთ სატელევიზიო პროექტი — ,,ქართული ღვინის ენციკლოპედია“, რომელიც მუშავდება რამდენიმე სერიოზულ ღვინისმწარმოებელ კომპანიასთან ერთად. მაგრამ ,,ეტალონისგან“ განსხვავებით, რომელიც უკვე გავიდა ეთერში, ეს გადაცემა ჯერჯერობით, მზადების პროცესშია. ამ შემთხვევაში, არ არის საუბარი მხოლოდ დიდ კომერციულ მოგებაზე, ჩვენ გვინდა, რომ საქართველო ამჯერად ტელებაზრობაზე არა მყიდველის, არამედ მწარმოებლის პოზიციაში წარმოჩინდეს. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ პირველი ტელეკომპანია, რომელმაც კანის ბაზრობაზე კონტაქტების დამყარება და პროდუქციის შეძენა დაიწყო, ,,იმედი“ გახლდათ. მანამდე, არც ერთ ქართულ ტელევიზიას ამ ბაზრობაზე არაფერი უყიდია და ყველა, ქურდი და მეკობრე იყო. ჩვენს დიდ წარმატებად მიგვაჩნია, რომ ვაიძულეთ ჩვენი კოლეგები დაიცვან ცივილიზებული საზოგადოებისთვის მისაღები ნორმები. ეს ეხება, როგორც საზოგადოებრივ ტელევიზიას, ასევე ტელეკომპანიებს — ,,რუსთავი 2“-სა და ,,მზეს“. ამის შედეგი გახლავთ ის, რომ დღეს ეს კომპანიები ვერ გვიწევენ კონკურენციას ფილმების შეძენის თვალსაზრისით, რადგან ჩვენს პარტნიორებს ურჩევნიათ, შედარებით ნაკლებ ფასში ფილმები ჩვენ მოგვყიდონ, ვიდრე სხვა ქართულ ტელეკომპანიებთან დაიჭირონ საქმე. ■

# ნინი ბადურაშვილი:

## იმ კატეგორიას მივეკუთვნები, რომელსაც ასაკით უფროს მამაკაცებთან ურთიერთობა მოსწონს

**ნინი ბადურაშვილი, მიუხედავად იმისა, რომ თავს გემოვნებიან ადამიანად მიიჩნევს, ურჩევნია, ამგვარი შეფასება სხვისგან მიიღოს. მას თურმე ძალიან უყვარს, ტანსაცმელსა და კოსმეტიკაში ფულის ხარჯვა. სპორტული სტილის მოყვარული, ახალგაზრდა მომღერალი ხშირად ყიდულობს ჯინსის შარვალსა და ხელჩანთას.**



*ეკა მინდაძე*

— **ნინი, შენი აზრით, გემოვნებას ადამიანს გარემო პირობები უყალიბებს?**

— ვფიქრობ, თავდაპირველად, დიდი მნიშვნელობა აქვს ოჯახს, ხოლო შემდეგ — გარემოს. შეიძლება, ისეთ გარემოში მოხვდე, რომ გემოვნებიანი ადამიანი, უგემოვნო გახდე.

— **მნიშვნელოვანია თუ არა გემოვნების ჩამოსაყალიბებლად წიგნის კითხვა?**

— უმეტეს შემთხვევაში, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია. მაგრამ ზოგჯერ, ნაკითხი ადამიანიც შეიძლება, უგემოვნო იყოს.

— **რა ჟანრის ნაწარმოებების კითხვა გიყვარს?**

— ძალიან მიყვარს დეტექტივის და რომანის კითხვა.

— **რომანტიკული თუ ხარ?**

— არა. საერთოდ არ მხიბლავს რომანტიკა.

— **ამჟამად რას კითხულობ?**

— ამჟამად ვკითხულობ წიგნს, რომლის მიხედვით, რეჟისორი ზაზა კოლელიშვილი ფილმის გადაღებას აპირებს. სასინჯ გადაღებებზე კი, მეც დამიბარეს. არ ვიცი, სურათის გადაღებას როდის დაიწყებენ, მაგრამ ალბათ, ამანაც განაპირობა ის, რომ მე ამ წიგნით დავინტერესდი.

— **შენი საყვარელი მწერალი თუ შეგიძლია დამისახელო?**

— ვგიჟდები უილიამ შექსპირზე. მისი ყველა ნაწარმოები და სონეტი მაქვს წაკითხული.

— **საყვარელი პოეტი?**

— ძალიან მიყვარს გალაკტიონ ტაბიძე.

— **დაასახელე შენი საყვარელი მომღერალი.**

— ბავშვობიდან ვგიჟდები მაიკლ ჯექსონზე.

— **შენი აზრით, რამდენად „გემოვნებიანია“ ქართული ესტრადა?**

— თუ დღეს ქართული ესტრადა ,,უგემოვნოა“, ვფიქრობ, ამაში ტელევიზია და რადიოა დამნაშავე: მე არაერთხელ გამიგონია ამა თუ იმ ტელევიზიის და რადიოს თანამშრომლისგან — მოაქვს სიმღერა და რა ვქნათ, უნდა გავუშვათო... როგორ შეიძლება, ვისაც კი გადაღება მოეხასიათება, ყველას კლიპი გაუშვა ეკრანზე?! ჩემი აზრით, უნდა არსებობდეს ცენზურა. მე იმის მომხრე ვარ, რომ ჩემი კლიპიც


**ბრიტანული ენის დარბაზი**

**ინგლისური ენის შესწავლის ცენტრი**

კომფორტული, მოსახერხებელი და მეგობრული გარემო — იდეალური მათთვის, ვისაც სურს ინგლისური ენის გაუმჯობესება

**სწავლებისას გამოიყენება ბრიტანეთის წამყვანი გამომცემლობების — მაკმილანის, ჰარპერ-კოლინზის, პიარსონის, ოქსფორდისა და კემბრიჯის გამომცემლობების უახლესი სასწავლო ლიტერატურა.**

განკუთვნილია 15 წლის და უფროსი ასაკის სტუდენტებისთვის

**ისწავლეთ ინგლისური პროფესიონალებთან!**

**მისამართი: რუსთაველის 36 (არკაში მარჯვნივ). ტელ: 99-84-35. ელ. ფოსტა: british_language@posta.ge**

გაიტანონ საბჭოზე, გაარჩიონ და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყდეს, თუ რა ბედი ელის კლიპს. ამ დროს მთავარია, საბჭო გემოვნებიანი და პროფესიონალი ადამიანებით იყოს დაკომპლექტებული. ისე, კარგი და ცუდი ყველა დარგშია. საქართველოში გემოვნებიანი მომღერალიც არსებობს და უგემოვნოც. აი, სწორედ ამის დასადგენადაა საჭირო ცენზურა, რაც დღეს სამწუხაროდ, არ არსებობს.

— **ქართველი მომღერლებიდან რომელია ყველაზე გემოვნებიანი ჩამცმელი?**

— ყველაზე მეტად მომწონს ქეთა თოფურიას და ქრისტინე იმედაძის ჩაცმულობის სტილი. მომწონს თაკო გაჩეჩილაძის და ნეკა სებისკვერაძის გემოვნებაც. საკმაოდ გემოვნებიანად იცვამს ლელა წურწუმია, ის თითქმის ყოველთვის ფორმაშია. მუდამ ფორმაშია თამუნა ამონაშვილი. დავასახელებ აგრეთვე, ანიკო მეფარიძეს.

— **რა ასაკიდან დაიწყე დამოუკიდებლად ჩაცმა?**

— დამოუკიდებლად ჩაცმა საკმაოდ გვიან დავიწყე. მაგალითად, ჩემი და, 13 წლისაა და უკვე დიდი ხანია, თავისი გემოვნებით იცვამს. მე კი, 15 წლამდე, ეკას გემოვნებით ვიცვამდი. ამ საკითხში პრეტენზიული არასოდეს ვყოფილვარ, ყოველთვის ეკას გემოვნებას ვენდობოდი, იმიტომ, რომ ვიცოდი, დედა ცუდს არ მირჩევდა.

— **გარეგნულად დედა-შვილი ერთმანეთს ძალიან ჰგავხართ. თქვენი გემოვნება თუ ემთხვევა ერთიმეორეს?**

— რა თქმა უნდა. ბევრ რამეში ჩემი და ეკას გემოვნება ერთმანეთს ემთხვევა. ყოფილა შემთხვევა, როცა მას უკითხავს ამა თუ იმ სტილზე — ეს რატომ მოგწონს, გოიმი ხარო *(იცინის)*?.. სხვათა შორის, მეც არაერთხელ მიმიცია რჩევა მისთვის ტანსაცმლის არჩევისას. მაღაზიაში კამათი ყოველთვის მოგვდის ტანსაცმლის შერჩევის დროს. მაგრამ საერთო ჯამში, ჩვენი გემოვნება მაინც ემთხვევა ერთმანეთს. მაღაზიებში დღესაც დავყვები ხოლმე და სამოსის არჩევაში ვეხმარები.

— **ბებიას და ბაბუას თუ მოსწონთ შენი ჩაცმულობის სტილი?**

— კი. ალბათ იმიტომ, რომ მე თვითონ არ ჩავიცვამ ისე, რომ ოჯახში დამიწუნონ. ჩაცმასთან დაკავშირებით არასოდეს მქონია პრობლემა არც ბებიასთან და ბაბუასთან და არც მამასთან.

— **ყველაზე ხშირად, რა სტილის სამოსის ჩაცმა გიყვარს?**

— მიყვარს სპორტული სტილი და მუდამ სპორტულად მაცვია. კლასიკურად ვიცვამ მხოლოდ კონცერტზე გამოსვლისას და ქორწილში.




— **სად ყიდულობ ტანსაცმელს?**

— თბილისის მაღაზიებში.

— **როცა რაიმეს იძენ, ფასს ანიჭებ უპირატესობას თუ ხარისხს?**

— რა თქმა უნდა, ხარისხს. ამ მხრივ, გარანტირებული ვარ, იმიტომ, რომ იმ მაღაზიებში, სადაც მე დავდივარ, უხარისხო ტანსაცმელი არ იყიდება.

— **როცა ფული გაქვს, პირველ რიგში, რას ყიდულობ?**

— საერთოდ, ძალიან მფლანგველი ვარ, როგორც კი ფული გამიჩნდება, მაშინვე ბოლომდე ვხარჯავ. ვიცი, რომ ეს საშინელი ჩვევაა, მაგრამ რა ვქნა — ასეთი ვარ... პირველ რიგში, ვყიდულობ ტანსაცმელს. განსაკუთრებით მიყვარს ჯინსის შეძენა. ამიტომაც მაქვს უამრავი ჯინსის შარვალი. თუ ფული მაქვს, მიყვარს აგრეთვე კოსმეტიკის ყიდვაც.

— **ქართველ დიზაინერებს არ აკითხავ ხოლმე ტანსაცმლის შესაკერად?**

— კი, როგორ არა! მაქვს ავთო ცქვიტინიძის რამდენიმე ნამუშევარი. ჩემს გარდერობში მაკა ასათიანის მიერ შეკერილი სამოსიც არის. სხვათა შორის, ერთ-ერთ კლიპში სწორედ ამ სამოსით ვარ გადაღებული. დღესდღეობით კი, იშვიათად მივმართავ დიზაინერებს. არ ვიცი, რატომ, მაგრამ მაღაზიაში შეძენა მირჩევნია.

— **აქსესუარებიდან რა გიყვარს ყველაზე მეტად?**

— ძალიან მიყვარს საათი. ამიტომ ბავშვობიდან, უსაათოდ არასოდეს ვყოფილვარ. მიყვარს საყურე და დიდი ბეჭდები. ოქროს, ვერცხლი მირჩევნია. სასტიკად არ მომწონს ყვითელი ოქრო. აი, თეთრ ოქროზე უარს არ ვიტყვი. გარდა ამისა, ძალიან მიყვარს ლამაზი და ორიგინალური ხელჩანთები. მიყვარს მათი ხშირი ცვლაც. სხვათა შორის, დღეს დიდხანს ვეძებე ნორმალური ჩანთა, მაგრამ ვერ ვიპოვე. ამან ისე მომიშალა ნერვები, რომ მთელი დღე ცუდი განწყობილება დამეუფლა...

— **არასოდეს გაგჩენია სურვილი, რომ მოკლედ შეკრეჭილი თმა გქონოდა?**

— არა. იმიტომ, რომ არ მიხდება. ერთხელ მქონდა მოკლედ აჭრილი თმა და იმდენად არ მომეწონა, რომ მეორედ შეჭრის სურვილი აღარ გამჩენია. სამაგიეროდ, მიყვარს თმის ფერის ხშირი ცვლა. 15 წლიდან, იმდენად ინტენსიურად ვიღებავ თმას, რომ საერთოდ აღარ მახსოვს ჩემი თმის ბუნებრივი ფერი.

— **მაკიაჟის კეთება თუ გიყვარს?**

— არა, მაგრამ იძულებული ვარ, ყოველდღე თვალის ფანქარი და ტუში ვიხმარო. კლიპებისთვის კი, მაკიაჟს ყოველთვის ვიზაჟისტი მაკა შავერდაშვილი მიკეთებს.

— **სუნამოს ხშირად იცვლი?**

— საკმაოდ. თუმცა, არსებობს ისეთი სუნამო, რომელსაც სისტემატურად ვხმარობ. ეს გახლავთ ,,სტელა მაკარტნი“. ამ ცოტა ხნის წინ ვიყიდე ჰუგო ბოსის ,,ინტენსი“, რომელიც ძალიან მომეწონა.

— **შენი აზრით, იმისათვის, რომ ქალი ლამაზად გამოიყურებოდეს, რა არის მთავარი?**

— მთავარია, ქალი გემოვნებიანი იყოს. თუ მას გემოვნება არ აქვს, რაც არ უნდა ძლიერი იყოს მატერიალურად, მაინც უგემოვნოდ იქნება ჩაცმული.

— **ამბობენ, გემოვნებაზე არ დაობენო. შენ რას ფიქრობ ამის შესახებ?**

— ვფიქრობ, დაობენ და თან — ძალიან ხშირად. მაგრამ ხშირ შემთხვევაში, გემოვნებაზე დავა უაზრობაა: ზოგს შავი მოსწონს, ზოგს კი — წითელი.

— **როგორი მამაკაცები მოგწონს?**

— მომწონს შავგვრემანი მამაკაცები, ქერები არ მიზიდავს. მამაკაცი უნდა იყოს სიმპათიური, მამაკაცური, განათლებული და გაწონასწორებული. უნდა იყოს ყურადღებიანი და ერთგული. საერთოდ, ადამიანებთან ზოგჯერ, შეიძლება, უყურადღებო იყო (ხანდახან უყურადღებო მეც ვარ), მაგრამ როცა შეყვარებული ხარ, უყურადღებობა არ გეპატიება...

— **მამაკაცში ყველაზე მეტად რა თვისებას ვერ იტან?**

— ვერ ვიტან უგემოვნო მამაკაცებს.

მათ, გარეგნობის გარდა, პირველ რიგში, ფეხსაცმელზე ვაკვირდები. ყოფილა შემთხვევები, როცა მომწონებია მამაკაცი, მაგრამ როგორც კი ფეხსაცმელზე დამიხედავს, მაშინვე შემიცვლია მასზე აზრი (იცინის)... შეიძლება, ეს ცუდი თვისებაა, მაგრამ რა ვქნა — ასეთი ვარ.

— **შენს პირად ცხოვრებაში რაიმე სიახლე ხომ არ არის?**

— არა. ჯერჯერობით საინტერესო არაფერია. ყოველთვის მაქვს პატარ-პატარა გატაცებები, მაგრამ სერიოზულად ჯერ არავინ შემყვარებია.

— **რატომ? წუნია ხარ?**

— ძალიან. დედაჩემი სულ იმას მეუბნება — არ ვიცი, შენ რა გაგათხოვებს, ნეტავ, თუ გამოჩნდება ისეთი მამაკაცი, რომელიც შენ მოგეწონებაო... მე მამაკაცებისათვის ადვილი შესაბმელი არ ვარ. თუ მე არ მინდა, ვერც ერთი მამაკაცი ვერ შემაბამს. რაც არ უნდა მოინდომოს, სულ რომ ყირაზე დადგეს, აზრს მაინც ვერ შემაცვლევინებს.

— **რამდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებ მამაკაცის მატერიალურ მდგომარეობას?**

— ამას დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ. სხვათა შორის, მყოლია ძალიან, ძალიან შეძლებული მამაკაცებიც, რომლებსაც მოვწონდი, მაგრამ მე არ მომწონებია და ურთიერთობა მათთან მალევე შემიწყვეტია. მე ფულზე არასოდეს გავიყიდები, ჩემთვის მთავარია ადამიანი და არა ფული.

— **შენი აზრით, გვერდში მყოფი მამაკაცი შენი ტოლი უნდა იყოს თუ შენზე უფროსი?**

— სხვათა შორის, მე გოგონების იმ კატეგორიას მივეკუთვნები, რომლებსაც ასაკით უფროს მამაკაცებთან ურთიერთობა მოსწონთ. ვერ ვამყარებ კონტაქტს ჩემს ტოლ და ჩემზე 3 წლით უფროს მამაკაცებთან. მიყვარს გაცილებით დიდ მამაკაცებთან ურთიერთობა — ალბათ იმიტომ, რომ ისინი უფრო სერიოზულები არიან.

— **არასოდეს გიაქტიურია მამაკაცის გულის მოსანადირებლად?**

— არასოდეს მიაქტიურია და ალბათ, არც მომავალში ვიაქტიურებ, იმიტომ, რომ ეს ჩემს ხასიათში არ ზის. ჩემს შემთხვევაში, მამაკაცები თითქმის ყოველთვის აქტიურობენ, უამრავ სასიყვარულო წერილს მწერენ...

— **თავისუფალ დროს, სად და როგორ ატარებ?**

— თავისუფალ დროს ძირითადად, მეგობრებთან ერთად ვატარებ. ხან სად დავდივართ და ხან — სად. ახლა ამოვიჩემეთ შარდენის ქუჩა და თითქმის ყოველდღე, იქ მივდივართ. სხვათა შორის, თუ თბილისში ახალჩამოსული ხარ, შეგიძლია, მიხვიდე იმ ულამაზეს ქუჩაზე და ნახო ყველა.

— **ამ ზაფხულს სად ისვენებდი?**

— ზაფხულში ვისვენებდი აჭარაში, კერძოდ — ბათუმში. მქონდა კონცერტები ბათუმში, გონიოსა და კვარიათში.




— **ბინა შენი გემოვნებით გაქვს მოწყობილი?**

— არა, ჩემი ბინა ბებიაჩემის გემოვნებით არის მოწყობილი. მე ეკას ბინა უფრო მომწონს, რადგანაც ის უფრო თანამედროვედ გამოიყურება. სახლი, სადაც ბებიასთან და ბაბუასთან ერთად ვცხოვრობ, ძველი ნივთებით და ანტიკვარიატით არის გაწყობილი. ასეთი ნივთები კი, მე დეპრესიაში მაგდებს.

— **საზღვარგარეთის ქვეყნებიდან ყველაზე მეტად რომელი მოგწონს?**

— ისრაელი. ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა იერუსალიმმა. იქ ქრისტეს საფლავი ვნახე. სხვათა შორის, ტელ-ავივიც ძალიან მომეწონა.

— **საცხოვრებლად რომელ ქვეყანას აირჩევდი?**

— მუდმივად ცხოვრებას ვერსად შევძლებ. ცოტა ხნით კი, დიდი სიამოვნებით ვიცხოვრებდი ბრაზილიასა და ამერიკაში.

— **ჰობი თუ გაქვს?**

— ძალიან მიყვარს ცურვა და თხილამურებზე სრიალი. ვერ გეტყვი, ითვლება თუ არა ეს ჰობად. გარდა ამისა, ძალიან მიყვარს ქსოვა.

— **თუ მოგიქსოვია შენთვის რაიმე?**

— კი, რა თქმა უნდა. ზამთარში, რაც კი ქუდი მახურავს, თავისი კაშნეთი, ყველა ჩემ მიერ მოქსოვილია.

— **კულინარობა თუ გეხერხება?**

— შეძლებისდაგვარად. ძალიან მიყვარს სალათები, ამიტომ ბევრნაირი სალათის მომზადება შემიძლია. ისე, სამზარეულოში ძალიან იშვიათად მიწევს ფუსფუსი, მაგრამ როცა გავთხოვდები და დამჭირდება კერძების მომზადება, დარწმუნებული ვარ, რომ ყველაფერს გავაკეთებ.

— **მუდამ ერთი წონის შენარჩუნებას როგორ ახერხებ? დიეტაზე ხომ არ ხარ?**

— ვერ ვიტყვი, რომ ვვარჯიშობ ან თავს ვიკლავ დიეტით. უბრალოდ, ვიცი, რა დროს რა უნდა ვჭამო. ვერიდები ცომეულს, პურს და ნამცხვარს. ვცდილობ, საღამოს 6 საათის შემდეგ არაფერი მივირთვა. თუმცა ხშირად, ამის დარღვევაც მიწევს. საჭმელს კი არ ვჭამ — ვერ ვჭამ ჩემი, „პრობლემური" კუჭის გამო.

— **რა სიახლეა შენს შემოქმედებაში?**

— ამჟამად ვიწყებ ახალ კლიპზე მუშაობას, რომელსაც ლაშა ცერიაშვილი იღებს. სიმღერის სახელწოდებაა „ღიმილი მინდა". მინდა აღვნიშნო, რომ ეს სიმღერა ჯერ არსად გაჟღერებულა. მგონი, კარგი უნდა გამოვიდეს. ვნახოთ, ამას მომავალი გვიჩვენებს.

— **შენს სამსახიობო კარიერაში რა ხდება?**

— პატარ-პატარა შემოთავაზებები მაქვს მიღებული, მაგრამ მე უფრო დიდ მნიშვნელობას სიმღერას ვანიჭებ. ალბათ, ასეც იქნება ბოლომდე. ■

სარეპეტიტორო სკოლა
ს ტ ს
იწყებს აბიტურიენტების მომზადებას უმაღლესში ჩასაბარებელი ტესტებისთვის.
ფასები ხელმისაწვდომია.
ტელ: 22-69-15; 91-31-62
www.sts.caucasus.net

# „ვარაუდობენ, რომ ნოემბრის ბოლომდე, კრიზისი დაძლეული იქნება“

## 75 ევრო — საწვავის ფასების ზრდის საკომპენსაციოდ



**საქართველოში საწვავის ფასები პერმანენტულად იზრდება. მსოფლიო ბაზარზე შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობის ადეკვატურად, მიმდინარე წლის დასაწყისიდან, ყველა სახის ნავთობპროდუქტი 40%-ით მაინც გაძვირდა. საწვავზე ფასების ზრდის ტენდენცია განსაკუთრებით გაამძაფრა ახლახან აშშ-ში დატრიალებულმა ქარიშხალმა „კატრინამ“, რომელმაც დატბორა დიდი რაოდენობით ჭაბურღილი და მექსიკის ყურიდან ნავთობის ამოღება შეაფერხა. ნავთობგადამამუშავებელი ქარხნების პარალიზებამ თავისთავად გაზარდა მოთხოვნა ნავთობპროდუქტებზე და კატასტროფულად ასწია ფასები „შავ ოქროზე“. ამერიკაში განვითარებულმა ეკონომიკურმა პროცესებმა საქართველოზეც მოახდინა სერიოზული გავლენა. მხოლოდ ერთ კვირაში, საწვავის ფასმა 20 თეთრით მოიმატა და ვარაუდობენ, რომ ზრდის პროცესი კვლავ გაგრძელდება. საწვავის ფასის ზრდა კი, საკვები პროდუქტების ფასების ზრდასაც იწვევს...**

*ემა ტუხიაშვილი,*
*თემურ კაციაშვილი*

**ვანო მთვრალაშვილი,** *„ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირი“:*

— აგვისტოს მეორე ნახევარში, მსოფლიოში საწვავზე ფასების ზრდა განსაკუთრებით თვალში საცემი იყო. ამის მიზეზი, მექსიკის ყურეში დატრიალებული სტიქია გახდა. მექსიკის ყურეში აშშ-ის ნავთობის 1/3 მოიპოვება. იქვეა განლაგებული უდიდესი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნები და ჭაბურღილები, რომლებიც სტიქიის შედეგად, მთლიანად პარალიზებული აღმოჩნდა. აშშ, ისევე, როგორც გლობალურ ეკონომიკაში, ნავთობის ბაზარზეც დომინანტია, ცხადია, საერთაშორისო ბაზარზე არსებულ ფასებსა და შექმნილ ვითარებას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს. აშშ-ში ნავთობპროდუქტებზე გაზრდილმა მოთხოვნამ კი, თავისთავად გაზარდა საწვავის ფასები საერთაშორისო ბაზარზე და შესაბამისად, საქართველოშიც. გარდა ამისა, წლის დასაწყისიდან, შეინიშნებოდა საწვავის ფასების პერმანენტული ზრდა, რომელსაც მრავალი მიზეზი აქვს. მათ შორის უმთავრესი ის გახლავთ, რომ მთელ მსოფლიოში დღითი დღე იზრდება ნავთობპროდუქტების მოხმარება. დღეისათვის, ძალზე მძლავრი, ყოველწლიურად მზარდი ეკონომიკით ხასიათდებიან: ჩინეთი, აშშ, ინდოეთი და ა.შ. ზოგადად, იზრდება და ძლიერდება მსოფლიო ეკონომიკა და ცხადია, ნავთობპროდუქტებზე მოთხოვნის ზრდა სწორედ ამ ფაქტორს უკავშირდება. გაზრდილი მოხმარების ფონზე, მსოფლიოს აღარ ჰყოფნის არსებული საწარმოო სიმძლავრეები. მაგალითად, აშშ-ში უკვე 30 წელზე მეტია, არ აშენებულა თანამედროვე ტიპის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა. ერთ-ერთი რეკომენდაცია, რომელსაც იძლევიან თეთრი სახლი, ევროკავშირი და საერთაშორისო ორგანიზაციები, სწორედ ის გახლავთ, რომ მსოფლიოში ნავთობგადამამუშავებელი სიმძლავრეების წახალისება და განვითარება მოხდეს. მოხმარების ზრდა საწვავის გაძვირების უმთავრესი ფაქტორია, მაგრამ ეკონომიკურ პროცესებზე არცთუ ისე იშვიათად, პოლიტიკური მოვლენები ახდენს გავლენას. მაგალითად, ერაყში შექმნილი მძიმე მდგომარეობა მნიშვნელოვნად აფერხებს ამ ქვეყანაში ნავთობმოპოვებას და უარყოფით გავლენას ახდენს ნავთობბაზარზე. მძიმე ვითარებაა ირანშიც. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ საერთაშორისო ბირჟებზე სპეკულანტური გარიგებები და ინტერესთა ლობირება ხდება, რაც ხელს უშლის თავისუფალ ფასწარმოქმნას... საქართველო არ არის ნავთობმომპოვებელი ქვეყანა. ამდენად, საერთაშორისო ბაზარზე ფასების ცვალებადობა, ბუნებრივია, ჩვენს ქვეყანაზე პირდაპირ გავლენას ახდენს. საწვავზე გაზრდილი ფასები მხოლოდ საქართველოს პრობლემა არ არის და ამით შეწუხებულია მთელი მსოფლიო. აშშ-ში რეკორდს მიაღწია ბენზინის ფასმა და 1 გალონი უკვე 4 დოლარი ღირს. ინგლისში 1 ლიტრი ბენზინი ყოველთვის გირვანქა სტერლინგზე ნაკლები ღირდა, ახლა კი გადააჭარბა. საწვავის ფასები გაზრდილია ასევე რუსეთსა და ევროპის ყველა ქვეყანაში. მაგალითად, ახლახან საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა გააკეთა სენსაციური განცხადება — ქვეყნის მთავრობა თითოეული ავტომანქანის მფლობელს, საწვავის ფასის ზრდის საკომპენსაციოდ, გადასცემს ერთჯერად ფულად დახმარებას 75 ევროს ოდენობით. რეალურად, შეიქმნა საწვავის ფასის ზრდის გლობალური პრობლემა და მის გადასაჭრელად, ყველაფერი კეთდება. მაგალითად, საერთაშორისო ენერგეტიკულმა სააგენტომ თავისი სტრატეგიული მარაგებიდან 60 მილიონი ბარელი ნავთობი გამოყო მსოფლიო ბაზრისთვის. მართლაც რომ გასაოცარია ასეთი გადაწყვეტილება აშშ-ისგან, რომელიც არასოდეს ხსნიდა საკუთარ სანავთობე მარაგებს და ძირითადად, იმპორტირებულ ნავთობპროდუქტებს მოიხმარდა. აშშ-ს უკვე მიჰბაძეს იაპონიამ, ქუვეითმა და სხვა ქვეყნებმაც. მექსიკის ყურეში მოხერხდა ერთ-ერთი დიდი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ამუშავებაც და ვარაუდობენ, რომ ნოემბრის ბოლომდე, კრიზისი დაძლეული იქნება. მე მაქვს სტატისტიკა, რომელიც მოწმობს, რომ საწვავის ფასი ბოლო დღეებში ნელ-ნელა კლებულობს. ეს საკმაოდ კარგი ტენდენციაა და ვფიქრობ, მომავალშიც გაგრძელდება. ყოველ შემთხვევაში, მდგომარეობა საგანგაშო ნამდვილად არ არის, თუმცა, რა თქმა უნდა, საწვავის ფასები რამდენიმე თვის წინანდელს ვერ დაუბრუნდება.

— **საწვავზე ფასების ზრდით კარგად იხეირა რუსეთმა...**

— მეტიც, რუსეთმა ნავთობის გაყიდვიდან იმხელა მოგება ნახა, რომ ახლა ეშინიათ, ქვეყანაში არ დაიწყოს ინფლაციური პროცესები. ამხელა ფულის შოვნას თვითონაც არ ელოდნენ. ურალის ნავთობის 1 ბარელის 40 დოლარად გაყიდვას ვარაუდობდნენ და 60 დოლარად ყიდიან!..

— **არსებობს მოსაზრება, რომ საქართველოში საწვავზე ფასების ზრდა ხელოვნურად იყო გამოწვეული და ამით იმპორტიორები ითბობენ ხელს...**

— ასეთ მცდარ განცხადებებს ის ადამიანები აკეთებენ, ვისაც არანაირი შეხება არ აქვთ ამ სფეროსთან. კიდევ ერთხელ ვიმეორებ — ჩვენ საერთაშორისო ფასებზე ვართ დამოკიდებული და ეს ჩვენი არჩევანი არ არის. დღეისათვის, საქართველოში ნავთობპროდუქტების 40-მდე იმპორტიორი კომპანია ფუნქციონირებს. იმის ვარაუდი, რომ ეს კომპანიები ერთად დასხდებიან და შეთ-

ანხმდებიან საერთო ფასზე, აბსურდია. ეს კომპანიები ერთმანეთის კონკურენტები არიან და თითოული ცდილობს, სხვაზე ერთი თეთრით იაფად მაინც გაყიდოს პროდუქცია. ვთქვათ, შეთანხმდნენ კიდეც, მაგრამ შეუძლებელია, რომელიმე მათგანმა პირი არ გატეხოს...

**— საწვავზე ფასების ზრდამ მნიშვნელოვნად გაზარდა სამომხმარებლო ფასებიც...**

— ჩვენ შევთავაზეთ მთავრობას, რომ თუ ეს კრიზისი მომავალშიც გაგრძელდებოდა, აქციზების შემცირება მომხდარიყო, მაგრამ შეთანხმება არ მოხდა. მალე დაიწყება საშემოდგომო სამუშაოები. მნიშვნელოვანია, რომ დიზელზე მაინც შემცირდეს აქციზი, რომ სოფლის მეურნეობა წახალისდეს.

**— არსებობს ინფორმაცია, რომ 1-ელი იანვრიდან, აზერბაიჯანული ნავთობპროდუქტების იმპორტის აკრძალვა იგეგმება, მიზეზად კი ის მოჰყავთ, რომ აქაური პროდუქცია ევროპულ სტანდარტებს არ შეესაბამება. ეს ფასების შემდგომ ზრდას ხომ არ გამოიწვევს?**

— მთავრობამ ასეთი ინიციატივა ჯერ კიდევ შარშან გამოიჩინა, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ აზერბაიჯანული პროდუქცია არცთუ ისე ცუდია. ვფიქრობ, ეს ნაჩქარევი გადაწყვეტილება იქნება. ევროპა შორსაა და იქიდან ტრანსპორტირების ხარჯი მეტი იქნება. ფასები შეიძლება, მნიშვნელოვნად არც გაიზარდოს, მაგრამ ის მცირედიც ძალიან ბევრი იქნება ჩვენნაირი, ეკონომიკურად გაჭირვებული ქვეყნისათვის.

**ზაალ იაკობიძე**, *იმპორტიორი:* — საწვავის გაძვირებაში ზოგჯერ, იმპორტიორებს გვადანაშაულებენ, რაც არასწორია. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ნავთობპროდუქტების ფასები, მსოფლიო ბაზარზე არსებული ფასებით რეგულირდება. ყოველდღიურ ფასებს, როგორც ბენზინზე, ასევე დიზელზე, ე.წ. პლაცი განსაზღვრავს. პლაცი ის ფასია, რა ფასადაც ჩვენ ვიძენთ საწვავს. ამის შემდგომ, მას ემატება აქციზისა და დამატებული ღირებულების გადასახადები, ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები და ბოლოს — დაახლოებით 5-6 თეთრი მოგება, რომელიც ასევე გადასახადით იბეგრება. წმინდა მოგება კი, იმპორტიორებს მიზერული გვრჩება. შემდგომ, ბენზინს ვაწვდით საცალო ქსელს, სადაც კიდევ უმატებენ 5-10 თეთრს. ამდენად, აბსურდია იმის თქმა, რომ აქ ვინმე სპეკულანტობს და ვიღაცას ურიგდება. ჩვენი მოგება ერთი და იგივე რჩება, საწვავის გაძვირებისა და შემცირების მიუხედავად. მთავარი, საერთაშორისო ფასია, რომლითაც ჩვენ ვხელმძღვანელობთ.

■

# „მინდა, 14 წლის მოზარდი, მამის მკვლელობისთვის შურისძიებისგან ვიხსნა“

## დამნაშავეთა მფარველობაში სამართალდამცველებს ორივე მხარე სდებს ბრალს


განსასჯელი, ზაზა ხიზამბარელი

**შემზარავ დანაშაულს, რომელიც დაახლოებით ერთი წლის წინ, გარდაბნის რაიონის სოფელ ტაბახმელაში მოხდა, ორი შვილის მამის, 46 წლის თამაზ თათულაშვილის სიცოცხლე შეეწირა. 2004 წლის 5 ივლისს, საღამოს 11 საათზე, თათულაშვილი სასტიკად ნაცემი, დასისხლიანებული და უგონო მდგომარეობაში მყოფი იპოვეს „ბიოკომბინატის“ მიმდებარე ტერიტორიაზე. მომაკვდავს თავის არეში უმძიმესი დაზიანებები აღენიშნებოდა. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტების თქმით, დაზიანებები მკვრივი, ბლაგვი საგნის არაერთჯერადი ზემოქმედებით იყო მიყენებული. ქირურგიული ოპერაციის მიუხედავად, თამაზ თათულაშვილი ორ დღეში გარდაიცვალა.**

### მეგი ცანავა

ყველა საზარელ მკვლელობაზე ლაპარაკობდა, თუმცა, როგორც დამნაშავის, ისევე დანაშაულის მოტივის შესახებ, წარმოდგენა არავის ჰქონდა. *„ალბათ, ვერც ვერაფერს შეიტყობდნენ და დანაშაული დღემდე გაუხსნელი დარჩებოდა, რომ არა გარდაცვლილის ერთ-ერთი თანასოფლელის — 27 წლის ზაზა ხიზამბარელის მოულოდნელი აღიარება“,* — აღნიშნავს გამომძიებელი.

როგორც გამოძიების მასალებშია აღნიშნული, ხიზამბარელმა თავდაპირველად, დანაშაულის შესახებ მხოლოდ თავის მშობლებს უთხრა და სამართალდამცველებთან მაშინვე არ გამოცხადებულა. მშობლების მიერ წინასწარი გამოძიებისთვის მიცემული ჩვენებების მიხედვით, ხიზამბარელმა მათ უთხრა, თუ როგორ და რა ვითარებაში მოუხდა თათულაშვილთან შელაპარაკება; გამოტყდა იმაშიც, რომ გაბრაზებულმა, მას ხელი ჰკრა, რის შედეგადაც, თათულაშვილი დაეცა და თავი ბეტონს ძლიერად დაარტყა — იმდენად ძლიერად, რომ ხიზამბარელმა დარტყმის ხმაც კი გაიგონა. ამ ჩვენების საფუძველზე, სამართალდამცველებმა ეჭვი, როგორც დამნაშავეზე, ხიზამბარელზე მიიტანეს. მათივე თქმით, იმ დროისთვის, მან უკვე მოასწრო მიმალვა. მასზე ძებნა გამოაცხადეს, მაგრამ პოლიციამ მისი დაკავება მომხდარი ფაქტიდან მხოლოდ 8 თვის შემდეგ შეძლო. დაზარალებული მხარე აღნიშნავს, რომ ხიზამბარელის აყვანა უშუალოდ მისი ჩარევითა და ძალისხმევით მოხდა. ბრალდებულის სახით დაკითხვისას, ხიზამბარელმა მშობლების წინაშე დანაშაულის აღიარების ფაქტი კატეგორიულად უარყო და განაცხადა, რომ თათულაშვილს ხელი მხოლოდ მსუბუქად გაარტყა სახეში და ისიც, მისგან თავდაცვის მიზნით. ბრალდებულის თქმით, აწ გარდაცვლილი ძლიერ მთვრალი იყო და მას სავარაუდოდ, დანაც ჰქონდა თან. პროკურატურამ ზაზა ხიზამბარელს ბრალი 119-ე მუხლით (სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება, რასაც შედეგად მოჰყვა სიკვდილი) წაუყენა. ამჟამად აღნიშნული სისხლის სამართლის საქმეს გარდაბნის რაიონული სასამართლო განიხილავს. სასამართლო პროცესი ძალზე დაძაბულად და ხმაურიანად მიმდინარეობს. განსასჯელი ამ ეტაპზე, დუმილის უფლებას იყენებს და თავს სრულიად უდანაშაულოდ აცხადებს, თუმცა, წინასწარი გამოძიების პერიოდში, ის ნაწილობრივ აღიარებდა ბრალს. თუ რამ გამოიწვია მის მიერ ჩვენების შეცვლა, ეს ალბათ, სხდომებზე გაირკვევა. ისიც აღსანიშნავია, რომ პროკურატურისთვის მას კიდევ ერთი განსხვავებული ჩვენება აქვს მიცემული. ეს ხიზამბარელის, მოწმის სახით დაკითხვის ოქმშია დაფიქსირებული, რომელიც 2004 წლის 5 სექტემბრითაა დათარიღებული. როგორც საქმის

მასალებიდან ირკვევა, თათულაშვილისა და მისი შელაპარაკების ამბავი მან მშობლებთან მხოლოდ ამ ჩვენების შემდეგ — 12 სექტემბერს, ე.ი. შემთხვევიდან 2 თვეში გაამხილა. ზემოთ აღნიშნული ოქმის მიხედვით, ის 2004 წლის 5 ივლისს შემთხვევის ადგილზე არც ყოფილა. ამ ჩვენებაში მოვლენებს **ხიზამბარელი** ასე აღწერს:

*„იმ დღეს, თანასოფლელებთან — ემზარ იაშაღაშვილთან, მამუკა შარაშიძესთან, შენგელი შეყულაშვილსა და ჩემს ძმასთან ერთად თბილისში, ლუდის ბარში ვიმყოფებოდი. ბარიდან ლუდი წამოვიღეთ და ტაბახმელაში, რესტორან „ტაბახმელაში“ წავედით. რესტორანში ლუდი და ერთი ბოთლი არაყი დავლიეთ. იმ დროს, სუფრასთან ემზარ იაშაღაშვილის ძმა — ნუგზარიც იმყოფებოდა. რესტორნიდან მალევე გავბრუნდი თბილისში პირად საქმეებზე. იქიდან კი ტაბახმელაში როინ შერმაზადაშვილთან ერთად, მისივე „მერსედესით“ დაახლოებით საღამოს 7 საათისთვის ჩავედი. დავინახეთ, რომ კორპუსებთან ემზარ იაშაღაშვილი, მამუკა შარაშიძე და ნუგზარ ყურაშვილი ლუდს სვამდნენ. ჩვენც მათთან შევჩერდით. იქვე იდგა თამაზ თათულაშვილიც. მან მთხოვა — თუ ფული გაქვს, არაყი იყიდეო. მეც წავედი და იქვე მდებარე მაღაზიაში ერთი ბოთლი არაყი და 1,5-ლიტრიანი ლუდი ვიყიდე. როცა კორპუსებთან მივბრუნდი, იქ არც მამუკა და აღარც ემზარი არ დამხვდნენ. იმ ერთი ბოთლი არყიდან მე მხოლოდ ერთი ჭიქა შევსვი, დანარჩენი კი, თითქმის მთელი ბოთლი, თამაზმა დალია. დაახლოებით 15 წუთში, როინმაც დამიძახა — წავიდეთო. მეც მის მანქანაში ჩავჯექი და სახლისკენ წავედით. მაშინ თამაზიც წამოდგა და ფეხით, მარტო გაემართა თბილისი-ტაბახმელის სამარშრუტო ტაქსების გაჩერებისკენ. ამის შემდეგ ის არ მინახავს. იმ ღამეს სახლიდან აღარ გავსულვარ. მეორე დილით გავიგე, რომ წინა საღამოს თათულაშვილი ნაცემი და წაქცეული უპოვიათ...“*

ბრალდებულის სახით დაკითხვისას კი, ხიზამბარელი მოვლენებს სხვაგვარად აღწერს:

*„...შინ რომ მივედი, ბავშვს ვეთამაშე. ვინაიდან ნასვამი და მოთენთილი ვიყავი, მალე ჩამეძინა და დაახლოებით 22.00 საათზე გამეღვიძა. ბავშვმა კანფეტების ყიდვა მომთხოვა, მეც გადავწყვიტე მაღაზიაში წასვლა. თან ლუდის ყიდვაც მინდოდა და ამ მიზნით სახლიდან დაახლოებით 22.30 საათზე გავედი. ჯიხურისკენ მარტო წავედი. „ბიოკომბინატის“ ავტოფარეხის საყარაულოდან დაახლოებით 150 მეტრში, ჩემგან კი 40-50 მეტრში გზაზე მდგარი წითელი „ვაზ-2106“ მარკის ავტომანქანა შევნიშნე. სერია და ნომერი ვერ დავინახე. მანქანა გაჩერებული იყო და მასთან ორი პიროვნება იდგა. ერთმანეთს ეკამათებოდნენ, მათ შორის ფიზიკურ შეხლა-შემოხლას ადგილი არ ჰქონია. ერთ-ერთის ხმა თამაზ თათულაშვილის ხმას მივამსგავსე. ის უცნობს რაღაცას უხსნიდა, თანაც ეტყობოდა, რომ ძლიერ ნასვამი იყო. მეორის ხმა ვერავისას მივამსგავსე. უცხო იყო. უცნობი მაშინვე დაჯდა საჭესთან და თამაზს დაუყვირა — ღორი ხარო. თამაზმაც მიაძახა — ვინ არის ღორი, შენი დედა, ხვალ გნახავო. თამაზს მივუახლოვდი და ვკითხე — რაშია საქმე-მეთქი? მიპასუხა — შენ ვინ ხარ, შენი დედა, რას დამდევ უკან და*



მოკლული, თამაზ თათულაშვილი

*მისმენო?! მისგან ეს გინება გამიკვირდა და მეწყინა. ვუთხარი — რა მოგივიდა, ზაზა ვარ, ხიზამბარელი-მეთქი. — წადი, შენი დედა, ხიზამბარელი კი არა, ვინც გინდა იყავიო, — მომაძახა და დედის მისამართით, უწმაწური სიტყვებით ისევ შემაგინა. შემდეგ მომიახლოვდა და ხელი ჩამავლო საყელოში. მე მის მოსაგერიებლად გაშლილი ხელი მივარტყი ტუჩებში და ისიც წაიქცა, უკან გადავარდა, მაგრამ მუხლებზე წამოდგა და ჩემი გინება განაგრძო. ყურადღება აღარ მივაქციე. ვუთხარი — ხვალ გნახავ-მეთქი და სახლისკენ წავედი. მაღაზიაში აღარ წავსულვარ“...*

როგორც დაზარალებული ამბობს, 2004 წლის სექტემბერში, ხიზამბარელის მშობლებმა მათ ნათესავს უთხრეს, რომ თამაზ თათულაშვილის სიკვდილში ბრალი მათ შვილს მიუძღოდა. დაზარალებულის თქმით, ხიზამბარელის მშობლები პატიებასა და შერიგებას ითხოვდნენ. გარდაცვლილის ძმამ დაუყოვნებლივ პოლიციას შეატყობინა.

**ნარგიზა თათულაშვილი**, თამაზ თათულაშვილის და:

*„მათ, ფაქტობრივად, გარდაცვილით ვაჭრობა შემოგვთავაზეს. ჩვენი მხრიდან ეს ყოვლად წარმოუდგენელი იყო. არც დაგვიყოვნებია, მაშინვე პოლიციას დავუკავშირდით და ინფორმაცია გადავეცით. 15 წუთიც არ გასულა, რომ პოლიციის მუშაკები ჩვენს ოჯახში გამოცხადდნენ და დაგვკითხეს. ამის შემდეგ, ხიზამბარელებს მიაკითხეს. ჩვენი ინფორმაციით, ზაზა ხიზამბარელი იმ დროს შინ უნდა ყოფილიყო და ამის შესახებაც ვუთხარით პოლიციელებს. თუმცა, იქიდან მობრუნებულმა სამართალდამცველებმა განაცხადეს, რომ ხიზამბარელი მათ შინ არ დახვდა. — მშობლები დაგვპირდნენ, რომ ხვალ, დღის 12 საათისთვის თავად წარმოადგენენ მას პოლიციის განყოფილებაშიო, — თქვეს პოლიციელებმა. ასე არ მოხდა. შემდეგ კი ისე განვითარდა მოვლენები, რომ პოლიციელთა იმდღევანდელი განცხადება აშკარად ეჭვქვეშ დადგა. დღეს კი დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ხიზამბარელს მათ ხელი დააფარეს და მას მიმალვის საშუალება მისცეს. გარდაბნის რაიონის პოლიციის განყოფილებისთვის მომხდარი ფაქტის შესახებ იმავე ღამეს — 2004 წლის 5 ივლისს გახდა ცნობილი, მაგრამ მიუხედავად ამისა, არავის გამოუჩენია ოპერატიულობა და არც უცდიათ, ცხელ კვალზე გაეხსნათ დანაშაული. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, პოლიციელთა დაინტერესებაზე მეტყველებს. ისიც ცხადია, რომ ჩემი ძმის მკვლელობაში მხოლოდ ზაზა ხიზამბარელის ხელი არ ურევია. თამაზი 182 სმ სიმაღლისა გახლდათ და 126კგ-ს იწონიდა, ხიზამბარელი კი გამხდარი და დაბალი გახლავთ და მხოლოდ ის ჩემს ძმას ვერ მოერეოდა. არადა, თამაზი რომ სასტიკად იყო ნაცემი, ეს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნითაც ნათლად ჩანს. თავის არეში მას უმძიმესი დაზიანებები ჰქონდა მიყენებული მკვრივი, ბლაგვი საგნის ზემოქმედებით და მხოლოდ ბეტონზე თავის ერთი დარტყმა ასეთი ხასიათის დაზიანებებს ნამდვილად არ გამოიწვევდა. აქედან გამომდინარე, ფაქტია, რომ ადგილი ჰქონდა ჯგუფურ დანაშაულს. საკმაოდ საფუძვლიანი ეჭვი მიჩნდება იმ პირების მიმართ, რომლებიც შემთხვევის დღეს, ხიზამბარელთან ერთად და შემდეგ, ტაბახმელის კორპუსებთან სვამდნენ. ამის საფუძველს მათი არაერთგვაროვანი ჩვენებები იძლევა. თავს ვიკავებ, პირდაპირ დავადო ხელი კონკრეტულ ადამიანებს, რადგან მე მხოლოდ ვეჭვობ და ამ ეჭვზე სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა მოახდინონ რეაგირება. არაერთხელ მივმართე გამომძიებელს ამ თხოვნით, მაგრამ ამაოდ. ჩანს, რომ დანაშაულებრივი ჯგუფის სხვა წევრებს საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა აქვთ პოლიციელებთან“.*

**გაგი მოსიაშვილი**, დაზარალებუ-

ლის ადვოკატი:

„საქმის მასალებში ბევრი დარღვევა ფიქსირდება. პირველ რიგში აღსანიშნავია ის, რომ საქმე 15 დღის დაგვიანებით აღიძრა. ეს იმას მოწმობს, რომ სამართალდამცავები შეეცადნენ, დანაშაული საერთოდ არ გახმაურებულიყო. ამას გარდა, არ მოხდა ცხელ კვალზე დანაშაულის ადგილის დათვალიერება და მოწმეთა დაკითხვა. ეჭვს ბადებს ამჟამად საქმეში არსებული, დანაშაულის ადგილის დათვალიერების ოქმი, რომლის მიხედვითაც, სისხლი არსად ფიქსირდება. არადა, აწ გარდაცვლილმა ძალიან ბევრი სისხლი დაკარგა. საავადმყოფოში მიყვანისას, მას დაუყოვნებლივ სისხლის გადასხმა დასჭირდა. ფაქტია, სისხლი სადღაც დაიღვარა. აქედან გამომდინარე, ის ადგილი, რომელიც სამართალდამცავებმა დაათვალიერეს, შესაძლებელია, არც იყო რეალურად შემთხვევის ადგილი. საქმეში ფიგურირებს ორი ავტომანქანა, რომელთა მფლობელებმაც ბოლოს ნახეს თათულაშვილი. ჩვენ შუამდგომლობით მივმართეთ პროკურატურას, დანიშნულიყო ექსპერტიზა მანქანების შალითების გამოსაკვლევად, რადგან ძიებისთვის მნიშვნელოვანი იყო, დაფიქსირდებოდა თუ არა იქ სისხლის კვალი. თუკი კვალი მართლაც დაფიქსირდებოდა, დადასტურდებოდა კიდეც ეჭვი იმის შესახებ, რომ ნაცემი და მომაკვდავი თათულაშვილი მანქანით ერთი ადგილიდან მეორეზე გადაიყვანეს, დანაშაულის კვალის დაფარვის მიზნით. შესაბამისად, იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხიც დადგებოდა. გამოძიებამ კი, სრულიად უსაფუძვლოდ, აღნიშნული შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარი განგვიცხადა. ამან კიდევ უფრო გააღრმავა ეჭვი, რომ პროკურატურა თავიდანვე დაინტერესებული იყო და ძიება არაობიექტურად წარიმართა. აღსანიშნავია ერთი გარემოებაც — ხიზამბარელი ერთადერთი ადამიანია, რომელიც კატეგორიულად აცხადებს თათულაშვილის ძლიერი სიმთვრალის შესახებ. სხვა არც ერთი მოწმე ამას არ ადასტურებს. ეს ფაქტი არც სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზით დასტურდება, იქ არაფერია ნათქვამი ალკოჰოლთან დაკავშირებით. ამასთანავე, მოწმეთა ჩვენებები არ ემთხვევა ერთმანეთს, არ მოხდა დაპირისპირება. გამოძიებამ, ფაქტობრივად, ჭეშმარიტების დასადგენად არაფერი გააკეთა“.

პირველი მათგანი, ვინც შემთხვევის დღეს, უგონო მდგომარეობაში მყოფი თამაზ თათულაშვილი იპოვა, როგორც გამოძიების მასალებშია აღნიშნული, ტაბახმელელი მამუკა შარაშიძე გახლდათ. დაზარალებული მხარე ამ მოწმის ჩვენებასაც ეჭვქვეშ აყენებს. „ის არაფერს ამბობს სისხლზე, დასისხლიანებულ პერანგსა და პულოვერზე, რომლებიც თამაზს იქვე კორპუსებთან გახადეს. ასევე იმ დაზიანებებზე, რაც ჩემს ძმას აშკარად ეტყობოდა“, — აცხადებს დაზარალებული. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, თამაზ თათულაშვილს სისხლნაჟღენთები აღენიშნებოდა თვალის, ტუჩისა და მხრის არეში. ასევე შუბლ-თხემ-საფეთქლის, ქალას ფუძის მოტეხილობა, თავის ტვინის რბილ ქსოვილებში სისხლჩაქცევა და ტვინის მწვავე შეშუპება. მამუკა შარაშიძის ჩვენების მიხედვით კი, თამაზ თათულაშვილს ცემის კვალი ან სისხლი არსად ეტყობოდა.

**ნარგიზა თათულაშვილი:**

„ვერ გამიგია, რატომ გაწირეს ასე? სოფელში ყოველთვის გამოირჩეოდა, როგორც პატიოსანი, თბილი და მეგობრული ადამიანი. ორი შვილი დარჩა — ქალიშვილი და ვაჟიშვილი. განსაკუთრებით მისი ვაჟიშვილის მდგომარეობა მაფიქრებს. ის ახლა 14 წლისაა და გამუდმებით, მამის მკვლელობისთვის შურისძიებაზე ფიქრობს. არ მინდა, ბავშვს ფსიქიკა დაუმახინჯდეს და ამიტომაც ვიბრძვი იმისთვის, რომ როგორმე სამართალმა გაიმარჯვოს და დამნაშავე დაისაჯოს. მინდა, 14 წლის მოზარდი, მამის მკვლელობისთვის შურისძიებისგან ვიხსნა. ხიზამბარელით დაინტერესებული ნამდვილად არ ვარ. სულაც არ მინდა, რომ ის დამნაშავე იყოს. მხოლოდ დაამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ჯერჯერობით, ყველა ფაქტი მის წინააღმდეგ მეტყველებს. ვიცი, რომ ამ დანაშაულში მხოლოდ მისი ხელი არ ურევია. იმის გამო, რომ სამართალდამცავებმა თავიანთი პროფესიული მოვალეობა კეთილსინდისიერად არ შეასრულეს, ეჭვები არ მასვენებს და ყოველ ტაბახმელელში ჩემი ძმის მკვლელს ვხედავ“.

განსასჯელი, რომელიც წარსულში, სხვა დანაშაულისთვისაც გახლდათ პასუხისგებაში მიცემული, ამჟამინდელ ბრალდებასთან დაკავშირებით სასამართლოს ჩვენებას, მოწმეების დაკითხვის შემდეგ მისცემს. მისი ინტერესების დამცველი ადვოკატები აცხადებენ, რომ მას თამაზ თათულაშვილის გარდაცვალებასთან კავშირი არ აქვს და უსამართლოდ ზის ციხეში.

**სერგო შეროზია**, განსასჯელის ადვოკატი:

„ხიზამბარელი მხოლოდ მსხვერპლია. დაზარალებულს მისი დასჯა მხოლოდ იმის გამო სურს, რომ მისი ეჭვით, ხიზამბარელმა ნამდვილ დამნაშავეთა ვინაობა იცის. ეს ასე არ არის. თუმცა, განსასჯელს მართლაც შეუძლია დაასახელოს ის პირები, რომელთაც ნაცნობობა აკავშირებთ იმ საეჭვო ადამიანებთან, ბოლო დროს, წითელი „ჟიგულით“ რომ აკითხავდნენ თათულაშვილს. ეს მანქანა ხიზამბარელმა, ისევე, როგორც სხვა მოწმეებმა, არაერთხელ შეამჩნიეს სოფელში. ჩვენ გამომძიებელს ვუთხარით კიდეც ამის შესახებ, მაშინ, როცა ხიზამბარელი ჯერ კიდევ ძებნილი იყო. შევატყობინეთ, რომ ის თავისი ნებით გამოცხადებას აპირებდა და ძიებას ჭეშმარიტების დადგენაში დაეხმარებოდა კიდეც. გვსურდა, ძიება სწორ გზაზე დაგვეყენებინა, პროკურატურამ კი ეს არ მოინდომა. ნამდვილი დამნაშავეების პასუხისგებაში მიცემას, მათ უდანაშაულო ხიზამბარელის ციხეში გამომწყვდევა არჩიეს. თუ რატომ, ალბათ, ყველასთვის ნათელია. ჩანს, იმ კრიმინალებს საკმაოდ მჭიდრო კავშირი აქვთ დღემდე პოლიციასა და პროკურატურასთან. დანაშაული, ფაქტია, ჯგუფურად მოხდა, მაგრამ მასში ხიზამბარელს მონაწილეობა არ მიუღია. ამის მტკიცებულება გამოძიებას არ გააჩნია“.

ადვოკატები არ უარყოფენ იმ ფაქტს, რომ შემთხვევის დღეს, ხიზამბარელს შელაპარაკება მოუხდა თათულაშვილთან.

**სერგო შეროზია**: „თუმცა, ექსპერტიზის დასკვნაში წერია, რომ არათუ ხელის მსუბუქად კვრის, არამედ ძლიერი დაცემის შედეგადაც კი, თათულაშვილი ისეთ დაზიანებებს ვერ მიიღებდა. ექსპერტებმა ისიც მიუთითეს, რომ დაზიანებები რამდენიმე მკვრივი, ბლაგვი საგნის არაერთჯერადი ზემოქმედებითაა მიყენებული. პროკურატურა ამით საერთოდ არ დაინტერესდა და ხელზე დაიხვია ხიზამბარელის გულუბრყვილო და გულწრფელი წუხილი, შემთხვევის დღეს მასა და აწ გარდაცვლილს შორის მომხდარი ინციდენტის გამო. მას შემდეგ, რაც ხიზამბარელმა, საავადმყოფოში თათულაშვილის მოთავსებისა და სიკვდილის შესახებ შეიტყო, ეჭვი არ ასვენებდა და მშობლებს უთხრა — შელაპარაკებისას ხელი მსუბუქად ვკარი, წაიქცა, მაგრამ მალევე წამოდგა და ეს შემთხვევა არ უნდა იყოს მიზეზიო. შეწუხებული მშობლებიც დაუკავშირდნენ გარდაცვლილის ერთ-ერთ ნათესავს, არა იმ მიზნით, რომ დაზარალებულისთვის შერიგება და პატიება ეთხოვათ, როგორც ამას გარდაცვლილის და აღნიშნავს, არამედ იმის გასარკვევად, თუ რა იყო თათულაშვილის სიკვდილის მიზეზი. რაც შეეხება გამოძიებისთვის ხიზამბარელის მშობლების მიერ მიცემულ ჩვენებებს, ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ ისინი ძალდატანებითაა დაწერილი. გამომძიებლებმა ისინი შეცდომაში შეიყვანეს და ხელი მოტყუებით მოაწერინეს ჩვენებებზე, სადაც განგებაა გამძაფრებული და დამძიმებული ხიზამბარელის მდგომარეობა“.

ადვოკატები ხიზამბარელის მიმალვის

ფაქტსაც უარყოფენ. აცხადებენ, რომ მაშინ ხიზამბარელი ცხინვალში ბიძაშვილთან გაემგზავრა, რაც ზუსტად იმ პერიოდს დაემთხვა, როცა ეს უკანასკნელი სახლს აშენებდა და მას მშენებლობაში დახმარება სთხოვა. სოფელში ხიზამბარელი მას შემდეგ, თვეების მანძილზე არ გამოჩენილა. მაგრამ ამ ფაქტს ადვოკატები იმით ხსნიან, რომ ცხინვალში გართულებული სიტუაცია იყო და ის იქიდან გამოსვლას ვერ ახერხებდა.

*„ხიზამბარელს ამ ხნის მანძილზე ნათესავები არც უმხელდნენ, რომ ძებნილი იყო. როცა უთხრეს, მაშინვე პროკურატურაში გამოცხადების სურვილი გამოთქვა“,* — აღნიშნავს ადვოკატი. დაცვის მხარის ვერსიით, დანაშაულის მოტივი, ნარკოტიკებს უკავშირდება. *„საქმე ის გახლავთ, რომ აწ გარდაცვლილი წლების მანძილზე ნარკოტიკული ნივთიერებების აქტიური მომხმარებელი იყო. იმ საღამოს, როცა ხიზამბარელმა წითელ მანქანასთან მდგომი თათულაშვილი და უცნობი შენიშნა, გაიგონა, რომ ისინი წამალთან დაკავშირებით კამათობდნენ“,* — აცხადებს ადვოკატი. თუმცა აღსანიშნავია, რომ ბრალდებულის სახით დაკითხვისას მიცემულ ჩვენებაში ხიზამბარელი წამლის შესახებ არაფერს წერს. იმ ფაქტს, რომ წლების წინ თათულაშვილი ნარკოტიკული ნივთიერების მომხმარებელი იყო, არც დაზარალებული უარყოფს. *„1982 წელს თამაზმა ურთულესი ოპერაცია გადაიტანა. იმის გამო, რომ მკურნალობის კურსი სრულყოფილად ვერ ჩაიტარა, აუტანელი ტკივილები აწუხებდა. ტკივილების გასაყუჩებლად იძულებული ხდებოდა, მორფი გამოეყენებინა. ამ ფაქტმა ის უსიამოვნებაც გამოიწვია, რომ მოულოდნელად, ნარკოტიკით ხელში ჩემი ძმა პოლიციამ დააკავა. სასჯელი, როგორც მომხმარებელმა, მოიხადა. მაგრამ ციხეში ყოფნისას მან მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო, აღარ გაჰკარებოდა წამალს. ჩემი ძმის ნარკომანობის დასადასტურებლად, რაღაც საბუთს აფრიალებენ, რომელშიც წერია — თამაზ თათულაშვილი 1982 წლიდან დღემდე, აღრიცხვაზე იმყოფებაო. საბუთი 2004 წლის 7 სექტემბრითაა დათარიღებული. ამ დროისათვის კი, ჩემი ძმა ორი თვის გარდაცვლილი გახლდათ და აღრიცხვაზე იმ მომენტისთვის როგორ იქნებოდა? ცხადია, რომ საბუთი ყალბია. არც ექიმებს, არც ექსპერტებს ჩემი ძმის სისხლში ნარკოტიკი არ აღმოუჩენიათ“.*

აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით სასამართლო პროცესი ჯერ კიდევ მიმდინარეობს და როგორც მხარეები ვარაუდობენ, სხდომებზე ბევრი აქამდე უცნობი დეტალი გამოაშკარავდება.

■





# „იქ „პატარა საქართველო“ გვაქვს...“

## ამბობენ ბასკეთში მცხოვრები ქართველი ბიზნესმენები

**ესპანელი სამართალდამცავების მიერ ქართველი კრიმინალების წინააღმდეგ „კრაზანას“ სახელწოდებით ჩატარებული სპეცოპერაციის შემდეგ, ამ ქვეყანაში ჩვენებური ემიგრანტების ცხოვრების თემა ძალზე პოპულარული გახდა, როგორც ესპანური, ისე ქართული მასმედიისთვის. ამბობენ, რომ ქართველებს ესპანეთში დევნიან და ავიწროებენ, რადგან მათი უმრავლესობა კრიმინალების კუთვნილ სამშენებლო კომპანიებსა და სხვა ორგანიზაციებში მუშაობენ. სამწუხაროდ, „კრაზანას“ შესახებ ესპანურ გაზეთებში დაბეჭდილმა სტატიებმა ქართველ საზოგადოებას განუმტკიცა აზრი, რომ უცხოეთში მცხოვრები ქართველები ჩვენს ქვეყანას იმიჯს უფუჭებენ. არადა, თუ ესპანეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს მოვუსმენთ, ქართველ ემიგრანტებს ყველაზე უკეთესი პირობები სწორედ ესპანეთში აქვთ და აბსურდულია ხმები იმის შესახებ, რომ მათი უმრავლესობა კრიმინალების „ფრთისქვეშ“ ცხოვრობს და არალეგალური შემოსავლით ირჩენს თავს. ზაზა კაპანაძე და გოგი ბაზანოვი ბასკეთის პროვინციაში მხოლოდ 6 წელია ცხოვრობენ და უკვე წარმატებული ბიზნესმენები არიან.**

*ეკა ლომიძე*

**გოგი:** — საქართველოში გაბატონებულმა უმუშევრობამ და მატერიალურმა პრობლემებმა ჩვენც გვაიძულა აქედან წასვლა. მიუხედავად იმისა, რომ ესპანეთში წარმატებული ბიზნესი გვაქვს და საქმიანი ვიზიტებით ხშირად ჩამოვდივართ სამშობლოში, გული სულ აქეთ მოგვიწევს. დაბრუნება გვინდა, ამიტომ გულისფანცქალით ვუსმენთ ხოლმე საქართველოს ხელისუფლების დაპირებებს ქვეყანაში ბიზნესგარემოს გაუმჯობესების შესახებ და ველოდებით, როდის იქცევა სიტყვა საქმედ. საერთო არაფერი გვაქვს „კრაზანასთან“. ჩვენ ბასკეთში ვართ, „კრაზანას“ ოპერაცია კი კატალონიაში ჩატარდა, ამიტომაც მისი დეტალების შესახებ ვერაფერს გეტყვით. ერთის თქმა შეგვიძლია კატეგორიულად — ესპანეთში ქართველებს არავინ ავიწროებს. თუმცა კი არ მოგვწონს, ბასკების ერთი ნაწილი ქართველობას და კავკასიელობას რომ იბრალებს.

— **რატომ არ მოგწონთ?**

— ქართველობას რომ იბრალებ, მენტალიტეტში რაღაც ქართული უნდა გქონდეს. ირწმუნებიან — ერთი ფესვები გვაქვს, უძველესი იბერიელები ვართო. ამის გამო დიდი „ომი“ გვქონდა. გვითხრეს, რომ ბასკეთში იმ მთებს, სადაც ჩვენც ვცხოვრობთ, იბერიის მთები ჰქვია. და მაინც — ჩვენ და ესპანელები ერთმანეთს მხოლოდ ტემპერამენტით ვგავართ. მათი ცხოვრების წესი კი ჩვენთვის მიუღებელია. ერთი ანდალუზიელი თანამშრომელი გვყავს. სხვა ქალაქში მცხოვრები დედა გაუხდა ავად. სანახავად არ წავიდა და თქვა — დედა რომ გარდაიცვალოს, ჩემი ძმა თუ ოფიციალურად არ მიმიწვევს დაკრძალვაზე, არ წავალო. გაოგნებულებმა ვკითხეთ — კი, მაგრამ შენი ძმის წინაშე იხდი მოვალეობას თუ დედაშენის წინაშე-თქო?!. ბასკები და ესპანელები იმდენად არიან ათქვეფილი ერთმანეთში, რომ დიდად არ განსხვავდებიან.

— **მათგან, ვისაც კი ოდესმე ფეხი დაუდგამს ბასკეთში, გამიგონია, რომ ქართველებისა და ბასკე-**

**ბის ყოფა-ცხოვრებაში ბევრი მსგავსებაა...**

— ბასკეთში ყურძნისა და ხორბლის მოყვანის, დამუშავების, პურის გამოცხობის, ღვინის დაყენების წესები ძალიან ჰგავს ქართულს. კარგ ღვინოს აყენებენ. ამით ლარიოხის პროვინციაა განთქმული, იქაური ღვინო საუკეთესოდ ითვლება ევროპაში. ეს იმიტომ, რომ არ იციან ქართული ღვინის გემო... ჩვენც ვაყენებთ საკუთარი ოჯახებისთვის ღვინოს. პირადად მე, ორი ხის კასრი მაქვს და მამაპაპური ტექნოლოგიით ვაყენებ ღვინოს, რომლითაც ახლობლებთან და მეგობრებთან ქეიფისას ვიწონებ თავს. ბევრ ესპანელს ქართულად დაყენებული ღვინით ვაცნობთ საქართველოს. იქ „პატარა საქართველო“ გვაქვს. წარმოიდგინეთ იტალიური კვარტალი აშშ-ში. დაახლოებით ასე გამოიყურება ჩვენი დასახლება. იმ დროს რომ მოხვდეთ იქ, როდესაც ჩვენი ქალბატონები ერთმანეთს აივნებიდან ეჭორავებიან, შეიძლება, სიზმარში გეგონოთ თავი. 6 წლის წინ, ათიოდე ქართველი ცხოვრობდა „ჩვენს“ ქალაქში. ახლა კი ძალიან ბევრნი ვართ. თითქმის ყველა ჩვენგანი ოჯახით ცხოვრობს ესპანეთში. ფრანკოს რეჟიმის გამო ესპანელებისგან დაცარიელებულ ქვეყანას დღეს, ბევრი მუშახელი სჭირდება, ამიტომაც ემიგრანტების შესვლას ქვეყანაში თითქმის არ ეწინააღმდეგებიან. ლეგალიზაციის შესახებ კანონსაც არ ამკაცრებენ. ამიტომაც ემიგრანტთა დიდი ნაწილი ესპანეთში ლეგალურად ცხოვრობს. ლეგალიზაციის შემდეგ, ემიგრანტი ბუნებრივია, ადგილობრივ მოქალაქეებთან თანაბარი უფლებებით სარგებლობს. ლეგალური ცხოვრების უფლების მოსაპოვებლად, იმ ბიზნესმენმა თუ სხვა ვინმემ, ვისთანაც იწყებ მუშაობას, უნდა გააკეთოს ოფიციალური განაცხადი, რომ გადაიხდის შენი სოციალური დაზღვევის, ხელფასის გადასახადს, და ა.შ. სოციალური დაცვის მხრივ, ესპანეთში შესანიშნავი პირობებია. თუ ავად გახდი, იქ იმის საშიშროება არ გემუქრება, რომ ქუჩაში დაგაგდოს ვინმემ. სოციალური დაცვის ბარათი არალეგალურად მცხოვრებთაც კი აქვთ. მოკლედ, ესპანეთში ემიგრანტებს ისე ექცევიან, როგორც ბევრს საკუთარ სამშობლოშიც კი არ ღირსებია!

— **როგორც ჩანს, ამ ქვეყანაში თითქმის არ არსებობს ტრეფიკინგის პრობლემა...**

— ნამდვილად არ არსებობს. იქაც მუშაობენ ემიგრანტები ღამის კლუბებში, სტრიპტიზ-ბარებშიც ცეკვავენ, მაგრამ — არა იძულებით. არავინ ართმევს მათ საბუთებს იმის შიშით, რომ არ გაიქცნენ და სასტიკი მოპყრობისათვის პოლიციაში არ იჩივლონ. ესპანეთში სამუშაოს დიდი არჩევანია სოფლის მეურნეობაში, მშენებლობასა და სხვაგან. ამასთან, თუ ლეგალურად ცხოვრობ და მუშაობ, სამუშაო დღის ხანგრძლივობითაც არავინ ეწევა შენს ექსპლუატაციას. თუ ქვეყანაში არალეგალურად იმყოფები და ოფიციალურად განსაზღვრულ დროზე მეტხანს გამუშავებენ, მაშინაც არავინ დაგტოვებს დამატებითი ანაზღაურების გარეშე. ესპანელები მართლა დემოკრატიულ და ჰუმანურ ქვეყანას აშენებენ. ძალიან მინდა, განვითარების „ესპანური“ ტემპი ჩვენს სამშობლოსაც მალე დაეტყოს...







**ზაზა**: — ესპანეთში გვაქვს პატარა სამშენებლო კომპანია. ვიღებთ შეკვეთებს და ვაშენებთ იქაურ ქალაქებს. სიამოვნებით გავაგრძელებდით ამავე საქმიანობას საქართველოში თუ ამისთვის ხელსაყრელი პირობები შეგვექმნება. იქ ნებისმიერი ჩანაფიქრის განხორციელებაა შესაძლებელი. ყველანაირად ხელს გიწყობს მთავრობა. სახლის საყიდლად, ფირმის დასაფუძნებლად და ბიზნესპროექტების განსახორციელებლად უზარმაზარი კრედიტი მომცეს. აქ კი, როცა ჩამოსული ვიყავი, მომგებიანი საქმისთვის საწრაფოდ დამჭირდა 20.000 დოლარი და ბანკებმა ისე გაასავსავეს ხელები, თითქოს საჩუქრად ვითხოვდი ამ ფულს... ესპანეთში ვისაც წინსვლა უნდა, ყველა აღწევს წარმატებას. საქმიანი ცხოვრების სრულიად განსხვავებული წესები აქვთ, რომელიც ძალიან მომწონს. თან არ მესმის, რატომ არ შეიძლება, იმავე პრინციპების ჩვენში დანერგვა, რატომ იწყებენ აქ მუშაობას შუადღისას?!. სამწუხაროდ, დროის ფასი და წესრიგი არ იციან. ძალიან დიდი განსხვავებაა ამ ორ ქვეყანას შორის... კარგი ცხოვრება ყველგან კარგია, მაგრამ სამოთხე მაინც მხოლოდ იქ არის, სადაც შენი მამა-პაპა გეგულება, სადაც ფეხი და ენა აგიდგამს...

— **თქვენი შვილები როგორ იღებენ ქართულ განათლებას, ინფორმაციას მამაპაპისეული სამშობლოს შესახებ?**

— სამწუხაროდ, ამის საშუალება მათ მხოლოდ ოჯახებში და ერთმანეთთან ურთიერთობისას აქვთ. ბავშვები ესპანურ სკოლებში სწავლობენ. ჩემი შვილი ჯერ პატარაა და ვიმედოვნებ, ესპანურ სკოლაში მისვლა არ მოუწევს. ვცდილობთ, დიდებსაც და პატარებსაც მთლიანად ქართული გარემო შევუქმნათ. ქართველ მომღერლებს ვეპატიჟებით, კონცერტების გამართვაში ვეხმარებით. ვუყურებთ ქართულ სატელევიზიო არხებს. დაიჯერებთ? ერთ-ერთ ქართულ არხს საკაბელო ტელევიზიის საშუალებით ვიღებთ.

**გოგი**: — საქართველოს მაჯისცემას ყურს ესპანეთშიც ვუგდებთ, ქართული საინფორმაციო გადაცემების საშუალებით. სამშობლოში დაბრუნების იმედი მთლიანად ამ ქვეყნის სიჯანსაღის საკითხს ეფუძნება. და კიდევ ერთი რამ: ჩვენ არასოდეს არ შეგარცხვენთ. ერთი წამითაც რომ განახვათ, თუ როგორ ვუდგავართ ერთმანეთს მხარში, მიხვდებით, რა საოცარი ურთიერთგატანის უნარი გვაქვს ქართველებს და ამით უთუოდ იამაყებთ.

■





# სიჯიუტე

ცოლ-ქმრის თავსატეხი
ანუ ვის ჰყავს ჩვენი შვილი?

**ძნელი დასადგენია, სად გადის ზღვარი სიჯიუტესა და პრინციპულობას შორის. ეს სადავო საკითხი ერთ მაგალითზე განვიხილოთ: ოსი ციხეში მოხვდა. შეიყვანეს დაკითხვაზე და ეუბნებიან: თუ „კაი ბიჭებს“ დედას შეაგინებ, გაგიშვებთო. — არა არ შევაგინებო. სცემეს, აწამეს, მაგრამ ვერ ათქმევინეს ცუდი, „კაი ბიჭების“ დედაზე... ეს რომ „კაი ბიჭებმა“ გაიგეს, ოსი თავიანთ საკანში შეაყვანინეს, პურმარილი გაუშალეს, იარები მოუშუშეს, მხარზე ხელი დაუტყაპუნეს და — „მალადეც“ შენ! რადგან „კაი ბიჭებს“ არ შეგვაგინე, დღეიდან ჩვენი ძმა ხარო, — უთხრეს... ოსმა თვალები მოწკურა, ამაყად გაიჭიმა და თქვა — პლინციპის საკითხი იყო, სენი წირიმე, თორემ, „კაი ბიჭების“ დედაცო!.. იქ როგორი ამბავი ატყდებოდა, ალბათ, ნათლად წარმოიდგენთ. ამიტომ აღარც ღირს იმის გარკვევა, სიჯიუტის ბრალი იყო ეს ყველაფერი თუ პრინციპულობის...**

მარი ხაშარიძე

*ჩემთან მოსული მესიჯებიდან გამომდინარე, თამამად შემიძლია ჩვენი ჯიუტი მკითხველები 3 კატეგორიად დავყო: მკითხველები, რომლებმაც იციან, რომ ჯიუტები არიან და ცდილობენ, გამოსწორდნენ; მკითხველები, რომლებმაც იციან, რომ ჯიუტები არიან და ამით ამაყობენ კიდეც და მესამე — იციან, რომ ცუდად იქცევიან, მაგრამ ღამის 2-3 საათზე მაინც ჯიუტად რეკავენ ჩემს მობილურზე და მაღვიძებენ... სწორედ მესამე კატეგორიის მკითხველების საყურადღებოდ მინდა ვთქვა, რომ მეც ძალზე ჯიუტი ვარ და ღამის 12 საათის შემდეგ, სატელეფონო ზარებს არ ვპასუხობ. არ ვწუწუნებ, იმ ზემოთ ხსენებული ოსის არ იყოს — პრინციპის საკითხია, თორემ...*

*ახლა კი პირველი რესპონდენტის მესიჯს გავეცნოთ. ავტორი 26 წლის ქალბატონი გახლავთ და ალბათ არ მიწყენს, თუ ვიტყვი, რომ კახელები სწორედ ასეთ ადამიანზე ამბობენ ხოლმე — ჩვენი მტრის ოჯახში შავიდა ეგეთი პატარძალიო...*

## „დამკვრელი“ რძალი და „მოცეკვავე“ დედამთილი

„ბავშვობიდან ძალზე ჯიუტი ვიყავი. ეს ალბათ, გენეტიკური თვისება თუა, თორემ, როგორ შეიძლება, რომ ერთი წლის ბავშვმა სიჯიუტე ვინმესგან ისწავლოს?!. დედაჩემი სულ იმას მეუბნება, მთელი ცხოვრება სწორედ იმის საწინააღმდეგოდ იქცევი, რასაც გეუბნებითო. სწორედ ჩემი სიჯიუტის ბრალია, რომ ცოლად მერაბს გავყევი. ნამდვილად მიყვარდა, მაგრამ დედამისისთვის არასასურველი რძალი ვიყავი და ეს ქალი ისეთ შეურაცხყოფას მაყენებდა ხოლმე, ისე მლანძღავდა და მიწასთან მასწორებდა, რომ ჩემს ადგილზე ყველა დაივიწყებდა გრძნობებსა და სურვილებს და მერაბის ცოლობაზე უარს იტყოდა. მე კი პირიქით, რაც მეტი წინააღმდეგობა მხვდებოდა, მით მეტად ვიყავი მოწადინებული. მე და მერაბი გავიპარეთ. იმავე ღამეს მისი მშობლები თავს დაგვეცნენ. დედამისი საცემრად იწევდა ჩემკენ და ძლივს აკავებდნენ. იმდენი იყვირა და გულშეღონებული იმდენჯერ გაიშხლართა მიწაზე, რომ მერაბი იძულებული გახდა, მოტაცებული პატარძალივით დარცხვენილი, მშობლებს გაჰყოლოდა. მე კი იქვე, თავისი ნათესავების ოჯახში დამტოვა, შეურაცხყოფილი. ერთი ცრემლიც არ ჩამომიგდია. მიუხედავად იმისა, რომ მივხვდი, მერაბი ქმრად არ გამომადგებოდა, მტკიცედ გადავწყვიტე, მისი ცოლი გავმხდარიყავი და დედამისისთვის სამაგიერო გადამეხადა. ასეც მოვიქეცი. ამ ამბიდან ორი კვირის შემდეგ, მერაბი „მოვიტაცე“: მოტყუებით მივიყვანე ჩემი ნათესავების ბინაში და მეორე დღეს, დედამთილს დავურეკე — მერაბი ჩემია, წუხელ ერთად ვიყავით და მისი უკან დაბრუნება სირცხვილია-მეთქი. სწორედ ასე ვუთხარი. გადაირია ქალბატონი ნათელა... ერთი სიტყვით, დავქორწინდით. მერაბს ცალკე სახლი ჰქონდა, მაგრამ ნურას უკაცრავად — იქ საცხოვრებლად არ წავედი, დედამთილ-მამამთილთან ყოფნა ვარჩიე. ყოველდღე ჩემი ყურებით გულს ვუხეთქავდი დედამთილს, ჩემი ქცევებით კი, სიცოცხლეს ვუმწარებდი. მათთან ცხოვრების პირველივე დღეებიდან გამოვუცხადე — ჩემს ოთახში შემოსვლას გიკრძალავ-მეთქი. ჩემდა გასაოცრად, ქალბატონი ნათელა წინააღმდეგობას არ მიწევდა. სამზარეულოსაც მე დავეპატრონე და ისეთ კერძებს ვაკეთებდი, რომელსაც დედამთილი არ მიირთმევდა. ბინაც ჩემი სურვილისამებრ მოვაწყვე, ძველი ნივთები დაუნანებლად გადავყარე და ახალი ავეჯი და ჭურჭელი შევიძინე. თუ მეტყოდნენ — სავარძელი ამ კუთხეში დავდგათო, — მე იმ კუთხეში ტელევიზორს ან მაგიდას ვდგამდი, — წითელი ფარდა ვიყიდოთო, — მე მწვანეს ვყიდულობდი... მამამთილს ჩუმ-ჩუმად ეცინებოდა ხოლმე ჩემს საქციელზე. ერთხელ კი, როცა შინ მარტონი ვიყავით, მითხრა — ნათელაზე ჯიუტი ქალი თუ არსებობდა, არ მეგონა; ვენაცვალე უფალს, რომ შენნაირი რძალი გამოუგზავნა, ახლა მაინც მიხვდება, რა ძნელია ჯიუტი ადამიანის გვერდით ცხოვრებაო... ახლა ოჯახში ყველაფერი ისე კეთდება, როგორც მე მინდა, ნათელაც თავზე მევლება და თვალებში შემომციცინებს. ქმარზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ფინიასავით თვინიერი და დამჯერია. ის ისედაც მიჩვეული იყო დედის ბრძანებების შესრულებას. ახლა კი მხოლოდ „შეფი“ შეეცვალა და მისთვის ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს. ჯიუტი რომ არ ვიყო, ასე კარგად ხომ ვერ ვიქნებოდი?! მაშინ მე ვივლიდი სხვის დაკრულზე. ახლა კი პირიქით, ყველა ჩემს დაკრულზე დადის, განსაკუთრებით, ჩემი დედამთილი „ცეკვავს“ კარგად.

*„ეგრე გავიბოტები, როგორც ჩვენებიანთ შვინდა მოზვერი!“ — ეუბნებოდა ლუარსაბი ხორეშანს, როცა ის ჭკუას არიგებდა — ორას თუმანზე ნაკლებ მზითვს არ დათანხმდეო... ჩვენი შემდეგი რესპონდენტიც სწორედ „ეგრე გაიბოტა“ და ახლა ძალზე ნანობს, რომ დედას არ დაუჯერა.*

## დაწუნებული სასიძო და სწავლას მოწყურებული ჯიუტი გოგო

„იმერეთის ერთ-ერთ სოფელში გავიზარდე. სკოლა დავამთავრე თუ არა, იმავე სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მაშვალი გამომიგზავნა — კარგი ვაჟი მყავს და რძლად მინდიხარო... მთელი ოჯახი ჩამჩიჩინებდა — თვალი გაახილე, მეფისტოლი კაცის შვილი გთხოვს ცოლობას, უარს ნუ ეტყვიო. დედაჩემი დილიდან

საღამომდე „ლექციას“ მიკითხავდა იმის შესახებ, თუ რა სარგებლობა მოაქვს კოლმეურნეობის თავმჯდომარის რძლობას, მაგრამ მე ქვა ავაგდე და თავი შევუშვირე — არა და არა-მეთქი. მინდოდა, სტუდენტი გავმხდარიყავი, მესწავლა და ცხოვრების გზა დამოუკიდებლად გამეკვლია. ძალს ისინი იყვნენ, ძალს — მე და მაინც ჩემი გავიტანე. სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე ჩავირიცხე. ისევ აფრინეს მაშვალი — ხომ ჩააბარა, ახლა მაინც დაგვთანხმდეს ქორწილზე; თბილისში ბინას ვუყიდით, ჩვენი ბიჭიც სტუდენტია, ერთმანეთს მიხედავენო, — მაგრამ ისევ უარი შევუთვალე. უნივერსიტეტი სწორედ იმ დროს დავამთავრე, როცა ქვეყანაში ყველაფერი აირია, აღარც სამსახური იშოვებოდა და ცხოვრებაც ძალზე ჭირდა. ჩემი მთხოვნელი უკვე 2 შვილის მამა იყო, მე კი — ერთ უქონელ-უყოლელ ბიჭზე შეყვარებული... ავდექი და გავთხოვდი. ამის შემდეგ, მთელი 15 წელი გავიდა. ისევ ნაქირავებ ბინაში ვცხოვრობთ და ჩემი ქმარი პურის ფულს ძლივს შოულობს. მე სხვის ოჯახში დამხმარედ ვმუშაობ, რომ ჩვენს ერთადერთ შვილს არაფერი მოვაკლო. ყოფილი თავმჯდომარის შვილი კი, ფართო კაბინეტში, რბილ სავარძელში მყარად ზის და ფულს კი არ თვლის — კუბომეტრობით „ზომავს“. აი, ასე დავკარგე უდარდელი ცხოვრება ჩემი სიჯიუტის წყალობით. ძალზე ვნანობ, რომ დედაჩემს არ დავუჯერე“.

*— მეც ჯიუტი ვარ და ჩემი ცოლიც, — წუწუნებს კახელი ძმაკაცთან. — ქორწილი ღამეი რო ვიჩხუბეთ, იმი მემრე ერთმანეთ ხმაი არ ვცემთ და უკვე 15 წელია, უბრადა ვართ...*

*— კაცო, მაშ ის 4 შვილი რომ გყავთ, ეგ როგორა?*

*— იგეთი ჯიუტი ვარ, რომა არც მაგაი ვეკითხები, ეს 4 შვილი საიდან-მეთქი?..*

*ასეა, როცა ორი ჯიუტი ერთმანეთს შეხვდება, თუ არც ერთი არ დათმობს, ჯიუტი თხებივით ხიდიდან გადავარდნა არ ასცდებათ. შემდეგი რესპონდენტი, მამაკაცი გახლავთ და წუწუნებს, რომ ჯიუტი ცოლის გამო უამრავი პრობლემა ექმნება. არც არის გასაკვირი, რადგან კაცს ხომ ცოლი იმისთვის სჭირდება, რომ ყველა ცხოვრებისეული პრობლემა სახელმწიფოს არ დააბრალოს... ეს ხუმრობით. ისე კი, არც თვითონ ქმარი ჩანს ცოლზე ნაკლები ჯიუტი.*

## „აქ უფროსი მე ვარ...“

„წუწუნში ნუ ჩამომართმევთ, თუ ვიტყვი, რომ ძნელია, ჯიუტი ადამიანის გვერდით ცხოვრება. უკვე 17 წელია, ცოლ-ქმარი ვართ და ჩხუბი სულ იმის გამო მოგვდის, რომ ნელიკო ძალზე ჯიუტია, ცდილობს, თავისი გაიტანოს, მე კი ამის საშუალებას არ ვაძლევ. როცა დავქორწინდით, აიჩემა — გინდა თუ არა, ქორწილს ნუ გადავიხდით, საქორწინო მოგზაურობაში წავიდეთო. დიდი ქორწილი გადავიხადეთ, სამოგზაუროდ გურიაში წავედით. მერე მეხვეწებოდა, ცალკე ვიცხოვროთო. ამის გამო ლამის გავიყარეთ. ისევ ჩემს მშობლებთან ვცხოვრობთ. აბა, თავისას ხომ არ გავაყვანინებდი?! ბავშვები რომ შეგვეძინა, სამსახურის მიტოვება არ უნდოდა და დედაჩემის იმედად უნდოდა თან მუშაობა, თან — შვილების აღზრდა. მოუწია შინ ჯდომამ, მაგრამ ესეც რის ფასად დამიჯდა, თქვენ არ იცით. პატარები რომ წამოიზარდნენ, ახლა აიჩემა — ბაღში მივიყვანოთ, მე კი სამსახურში დავბრუნდებიო. ჩემი პრინციპი კი ასეთია — ქალი შინ უნდა იჯდეს და შვილებს მიხედოს. ყველა წვრილმანზე ვკამათობთ, ვჩხუბობთ, ერთმანეთს ნერვებს ვუშლით და ბოლოს, ყველაფერი მაინც ისე კეთდება, როგორც მე მინდა. ნუთუ ამდენი წლის განმავლობაში ვერ მიხვდა, რომ აღარ უნდა გამიწიოს წინააღმდეგობა?! ხომ იცის, რომ ვერ მაჯობებს. ან თვითონ რატომ იშლის ნერვებს, ან მე რატომ მიშლის? მაგრამ ადამიანი ჯიუტი რომ დაიბადები, ამას აღარაფერი ეშველება“.

## პატიმრის აღსარება

„გზავნილებს“ ყოველთვის ვკითხულობ, მაგრამ არასოდეს გამომიგზავნია მესიჯი. დღევანდელმა თემამ კი ისე დამაფიქრა, რომ გადავწყვიტე, ჩემი ამბავიც მოგიყვეთ. ეს ყველაფერი კი ასე დაიწყო: მამა მაშინ გარდამეცვალა, როცა მე 2 წლის ვიყავი. დედა და ბებია მზრდიდნენ. ერთადერთი შვილი და შვილიშვილი ვიყავი და ძალზე მანებივრებდნენ. როცა წამოვიზარდე, აღარ მაკმაყოფილებდა ის, რასაც დედა და ბებია ჩემთვის აკეთებდნენ. მეტი მოვინდომე და არასწორი გზით წავედი. 16 წლის ვიყავი, როცა ჩემი სახსრებით საკმაოდ ძვირად ღირებული მანქანა ვიყიდე. ამ პერიოდში, შინ კვირაობით არ მივდიოდი. 17 წლის ვიყავი, როცა ბებია გარდაიცვალა. საწყალი ქალი ჩემზე დარდს შეეწირა. ამის შემდეგ, უფრო ავიშვი. დედა ვერ მიმკლავდებოდა. მეც აღარაფერს ვუჯერებდი... კარგი გარეგნობა მაქვს და შეყვარებულიც ლამაზი მყავდა. ყველა პატივს მცემდა, კარგი ავტორიტეტით ვსარგებლობდი, მაგრამ ეს არ მაკმაყოფილებდა, უფრო და უფრო მეტი მინდოდა. გადავწყვიტე, ჩემი კრიმინალური საქმიანობა გამეფართოებინა. ყველა მირჩევდა, დასჯერდი იმას, რაც გაქვს, ზედმეტს ნუ მოინდომებო, მაგრამ ვჯიუტობდი. თავიდან მართლაც, წინ წავიწიე. უფრო მეტი ფული ვიშოვე და ძმაკაცებს სულ იმას ვეუბნებოდი, თქვენთვის რომ დამეჯერებინა, დღეს ასე კარგად არ ვიქნებოდი-მეთქი. პასუხად ისევ იმას ვისმენდი — შეეშვი ყველაფერს, უკვე ბევრს მიაღწიე, აღარ გინდა, ასეთ ცხოვრებას თავი დაანებოო, მაგრამ ვინ მოუსმინა? მაინც ჩემსას ვაგრძელებდი. 18 წლისამ „გეპეიში“ ჩავაბარე. VI კორპუსში ვსწავლობდი. იქ გავიცანი გიორგი და დათო. დავუახლოვდი და მათთან ერთად გავაგრძელე ჩემი საქმიანობა. მაფრთხილებდნენ, ჩამოშორდი მაგ ბიჭებს, სანდონი არ არიანო. მე მაინც ვჯიუტობდი. სადღაც 8 თვის შემდეგ დამიჭირეს კიდეც, სწორედ მათი წყალობით. დღეს მათ მაგივრადაც მე ვიხდი სასჯელს. ყველაფერი ჩემი სიჯიუტის ბრალია. ვის დავაბრალო? გული ერთი რამის გამო მტკივა: ვიდრე დამიჭერდნენ, ჩემი ტელეფონი არ ჩერდებოდა: ვინ აღარ მკითხულობდა, მაწუხებდა, ხან რაში სჭირდებოდათ ჩემი დახმარება, ხან — რაში. ახლა კი, ჩემს მობილურზე სულ სამი ნომერი ფიქსირდება: ერთი — დედაჩემის და ორიც — ჩემი ბავშვობის მეგობრების. ასე რომ, ამ შემთხვევამ ჭკუა მასწავლა, მაგრამ სიჯიუტეს ვერ გადამაჩვია. სხვათა შორის, ერთი კვირის წინ შევიტყვე, რომ ჩემი ანგელოზი შეყვარებულიც გათხოვილა... ახლა უკვე 22 წლის ვარ და 5-6 თვეში გათავისუფლებას ველოდები. იმედია, გამოვალ“.

## მულის სიჯიუტის წყალობით ნაპოვნი ბედნიერება

„5 წლის წინ გამეცინებოდა, ვინმეს რომ ეთქვა, დაქალს შეყვარებული წავართვიო, მაგრამ დღეს ეს ჩემთვის ჩვეულებრივი ამბავია... კარგი გარეგნობის, მდიდარი ოჯახის შვილი ვარ. ყველა ბიჭი ჩემს შებმას ცდილობდა, მე კი ზედაც არავის ვუყურებდი, გარდა ერთისა. ის ჩემი ერთი დაქალის ძმა და მეორე დაქალის საქმრო იყო. როცა მას ვხედავდი, სხვას ველარავის ვამჩნევდი. ბევრჯერ ვეცადე, რომელიმე სხვა თაყვანისმცემელზე გადამეტანა ჩემი ყურადღება, რომ შეყვარებულებს შორის არ ჩავმდგარიყავი, მაგრამ არაფერი გამომდიოდა. გონებაში მხოლოდ ეს ბიჭი მიტრიალებდა. ერთხელ ერთი ბიჭი მომეწონა გარეგნობით, სულ მალე შევაბი კიდეც, მაგრამ ბევრ დროსა და ყურადღებას არ ვუთმობდი და სწორედ იმ დაქალმა ამახია, რომლის ძმაც მიყვარდა. თან გამაფრთხილა — იცოდე, უფლებას არ მოგცემ, ჩემი ძმა დატანჯო და მერიდეო... მე კი ისეთი ჯიუტი ვარ, თუ რამეს დავისახავ მიზნად, აუცილებლად მივაღწევ კიდეც. ძალიან გავბრაზდი ჩემს დაქალზე: მე ხომ იმ ბიჭს სწორედ იმიტომ ვეკონტაქტებოდი, რომ გულიდან მისი ძმა ამომეგდო!.. გადავწყვიტე, ისე მოვქცეულიყავი, როგორც მე მინდოდა, არავის ხათრის გამო უკან არ დამეხია. მართალია, ყველა მიშლიდა და ჩამჩიჩინებდა, იმ ბიჭისთვის თავი დამენებებინა, მაგრამ ჩემი გადაწყვეტილება ურყევი იყო. ვინც სიცოცხლეს მერჩია, იმას შევაყ-

ვარე თავი. ერთი დაქალიც „დავიკიდე“ და მეორეც. ერთ წელიწადში კი, ცოლადაც გავყევი. მთელი 3 წელი ამერიკაში ვიცხოვრეთ და თან ვსწავლობდით კიდეც. ტყუპი ქალ-ვაჟი შეგვეძინა. თავს ძალზე ბედნიერად ვგრძნობ, მაგრამ ერთი რამ მინდა ვთქვა: ამას არაფრის დიდებით არ ჩავიდენდი, რომ არა ჩემი ყოფილი დაქალისა და ახლანდელი მეუღლის სიჯიუტე. ანა“.

*ახლა კი მოკლე მესიჯებს გადავხედოთ.*

## „მამიკოს გამოგზავნილი დოლარებით დედიკო გვანებივრებს“...

„არ ვიცი, სიჯიუტე საამაყოა თუ სისულელე, მაგრამ თენგოს თავი იმიტომ შევაყვარე, რომ ყოველთვის მესმოდა – საშინელი მექალთანეა, გაცნობისთანავე თუ თვალი დაგადგა, მერე მორჩაო. ასეც მოხდა. მეც სიყვარულს მეფიცებოდა და პარალელურად სხვებსაც აბამდა. თავს სიტყვა მივეცი, რომ ამ დონჟუანს ჭკუას ვასწავლიდი და მერე ვინანე კიდეც, მაგრამ უკან დახევაც აღარ გამოდიოდა... მას შემდეგ, 2 ზაფხული გავიდა და თენგო ისევ ჩემზე ფიქრობს. ახლა საგურამოში ვარ და ისიც აქ არის. ერთი საათის წინ ჩემი ძმის დაბადების დღეზე თამადობდა კიდეც და ჩემს სადღეგრძელოს დიდი მოწიწებით სვამდა... ჩემს სიჯიუტეს კი საზღვარი არ აქვს და თენგოს უარს ვეუბნები, რადგან 16 წლის ვარ და მეუბნებიან, რომ ჯერ ბავშვი ვარ“.

„მარი, ჩემი ბედნიერება შენს ხელშია! მინდა, „გზავნილების“ საშუალებით ხელი ვთხოვო ჩემს უსაყვარლეს „პანკ“ გოგონას, ანის. ანი, ან ჩემი იქნები, ან არა და, შინაბერად დარჩები. მენატრები. დროზე ჩამოდი თბილისში, ჩემი ცოლი რომ გახდე. მიყვარხარ, შენი ჯორჯი“.

„ამას წინათ „გზავნილების“ საშუალებით ერთ ადამიანს რამდენიმე კითხვა დავუსვი. პასუხი კი უშუალოდ მისგან მივიღე. შეცდომა დავუშვი, მაგ ადამიანს რომ შევხვდი, რადგან მეზობლების საჭორაო ობიექტი გავხდი. „კ“.

„მე 22 წლის ვარ. გავიცანი 40 წლის ფრანგი მელვინე, რომელთანაც მთელი ერთი კვირა გავატარე ტაბახმელაში. მან ქალად მაქცია, მე კი ავდექი და მივატოვე. არადა, – გაზაფხულზე ჩამოვალ და კიდევ შევხვდებითო, – მითხრა, მე კი სასტიკი უარი ვუთხარი, მაგრამ აბა, რაღა დროს?! ჩემი ქალწულობა ხომ მას ჩავაბარე!.. აი, ასეთი ჯიუტი ვარ“.

„როგორც საქართველოში მცხოვრებ ადამიანთა უმრავლესობას, ჩემს ოჯახსაც ძალზე გაუჭირდა. მამაჩემი კი, მიუხედავად იმისა, რომ მეგობრები რუსეთში სამსახურს სთავაზობდნენ, ჯიუტობდა და არაფრით არ მიდიოდა (კახელი არ არის?!). არც მე ვთმობდი ჩემს პოზიციას და სანამ მამაჩემი არ გავამგზავრე, არ მოვისვენე. არც ვნანობ. ახლა ისიც კმაყოფილია და ჩვენც. მამიკოს გამოგზავნილი დოლარებით დედიკო გვანებივრებს. ბუკნა“.

„მე მარი ვარ. პირველად ვგზავნი მესიჯს თქვენთან და ალბათ, უკანასკნელადაც, რადგან საზღვარგარეთ მივდივარ. ვინ იცის, როდის ჩამოვალ. ჩემი სიჯიუტე იყო სწორედ, პირველი მიზეზი ჩვენ შორის უსიამოვნებისა. იმდენად ამაყი აღმოჩნდა, ძლივს მაპატია. მე კი ვერ შევძელი, თუნდაც საყვარელი ადამიანის გამო ცოტა მაინც დამეთმო და ისევ ვიჩხუბეთ. როცა მის განადგურებულ სახეს ვხედავდი, თითქოს მსიამოვნებდა კიდეც და ცეცხლზე ნავთს ვუმატებდი. ბოლოს და ბოლოს, იმას მივაღწიე, რომ აღარაფრად მაგდებს. აღარც მესიჯებს მწერს, შეხვედრაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. მალე საზღვარგარეთ წავალ. დარწმუნებული ვარ, რომ ერთ სიტყვასაც არ მეტყვის გამოსამშვიდობებლად, თუნდაც ამის სურვილი ჰქონდეს: ის ხომ ასეთი ამაყია!.. მე კი მხოლოდ მისი ერთი სიტყვა მეყოფოდა უკან დასაბრუნებლად. ალბათ დავისაჯე, ჯიუტი, სხვისი სიჯიუტით. კარგად“.

„მე და ჩემი ქმარი სიჯიუტით ერთმანეთს ვჯობნით, მაგრამ შვილი შეგვეძინა ისეთი, რომ ორივეს გვარს აჯობა თავისი სიჯიუტით. ახლა ვსხედვართ მე და ჩემი მეუღლე და გაკვირვებულები ერთმანეთს ვეკითხებით – ეს რა ჯიუტი ბავშვია, ნეტავ ვის ჰგავსო?! თქვენ როგორ ფიქრობთ?..“

„ჩემი სიჯიუტე მღუპავს, რადგან ყოველთვის ისეთი ბიჭები მიყვარდება, რომლებთან ურთიერთობაც აკრძალული მაქვს. ახლაც ცოლგანაშვები ბიჭი მიყვარს. ვიცი, მომავალი არ გვაქვს, მაგრამ მაინც ჯიუტად ვერ ვშორდები“.

„მომავალ ხუთშაბათს აქ აღარ ვიქნები. ერთი წლით მივდივარ სასწავლებლად დიდ ბრიტანეთში. „გზის“ ყველა ნომერს პრესის გამავრცელებელი შემინახავს, უკვე მოველაპარაკე. გკოცნით ყველას და ვიმედოვნებ, როცა დავბრუნდები, „გზავნილები“ ისევ იარსებებს. ნანა“.

„ძალზე ჯიუტი ადამიანი ვარ. მიყვარს თეონა ხელ-შვილი. მან მითხრა – ან ვიმეგობროთ, ან არა და, დამივიწყეო. ამის გამო გადავწყვიტე, გავჯიუტდე და მაინც ჩემსას „მივაწვე“. ისე, ამ სიჯიუტით მგონი, თანდათან თეოს ვკარგავ“.

„არ მითხრა, ნახვამდისო, არ მინდა, წახვიდე... მე ხომ სიყვარული შენგან გავიგე. ნუ მეტყვი, მომბეზრდიო, ამას ვერ ავიტან. თვალებს დაგიკოცნი და გულში ჩაგიკრავ. გოჩას თათუჩისაგან“.

„რა ვიცოდი, თუ ძმაკაცი შემიყვარდებოდა?! ის თითქოს ხვდება, მაგრამ არ იმჩნევს. გაგა გ-ძე, სიგიჟემდე მიყვარხარ. მაპატიე, რომ ჩვენს დაძმობას ვუღალატე“.

„ძალიან ჯიუტი ვარ და ჩემს სიცოცხლეს, დათოს, რომელიც ტელეფონით გავიცანი, არავის დავუთმობ. მარი, დამიბეჭდე, სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი წყდება. გვანცა“.

„მარიკუნა, „გზავნილებზე“ ვეცემი. მაგარია! ჰო, მართლა, თქვენი ჟურნალიდან შევიტყვე, რომ „ქუჩის ბიჭების“ პაატას 24 აგვისტოს ჰქონია დაბადების დღე. ამის შემდეგ უფრო შემიყვარდა, რადგან ერთ დღეს ვყოფილვართ დაბადებული. კიდევ, იცით, პაატა რატომ მიყვარს?.. იმიტომ, რომ ჩემს აკრძალულ სიყვარულს ჰგავს. ეჰ, მარი, მარი... რომ იცოდე, რა დღეში ვარ!“

„დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, მაინც ჩემი გავიტანე და მობილური ვიყიდე. ახლა პირველად გიმესიჯებთ. ჩემი სიჯიუტე 99%-ით ამართლებს. ყველა მეუბნებოდა, საგამოცდო ბარათში პირველ ნომრად არ ჩამეწერა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ჟურნალისტიკის ფაკულტეტი მაინც ვერ მოხვდებიო, – მეუბნებოდნენ. მე კი გავჯიუტდი და დღეს სწორედ ამ ფაკულტეტის სტუდენტი ვარ. თამაზი“.

„სიჯიუტე უკვე მანიად მექცა. ცოლშვილიანი, უცხოელი მამაკაცი შემიყვარდა. ის დიდი ხანია, თბილისში ცხოვრობს. ჩემი სიყვარული დღითი დღე ძლიერდება და ჩემი სიჯიუტის გამო არ შემიძლია, ცოლისთვის მისი დათმობა. არ ვარ ბოროტი, მაგრამ რაღაც მომენტში ვგრძნობ, რომ შურისძიების წყურვილი მკლავს. ცოლი მას ატყუებს და დარწმუნეუბლი ვარ, ღალატობს კიდეც. მას კი ძალიან სჯერა და ამბობს, ადამიანის შუა გზაზე მიტოვება არ შეიძლებაო... მიყვარს და ამ გრძნობის სახელით მინდა, თვალები ავუხილო. ისე, მეც არ ვიცი, რა მინდა, მაგრამ ამის გაკეთება კი ნამდვილად მინდა. ეგეც ჩემი სიჯიუტე. თამუნა“.

„ჩემი თელაველი ათუნა გამიჯიუტდა და აღარ მირიგდება. ალბათ ის ეწყინა, რომ ძალიან მიყვარს. მეც ვჯიუტობ და მის მეტი არავინ მინდა, ვნახოთ, რომელი უფრო ჯიუტია. მიყვარხარ, ჩემო თელაველო პრინცო. გკოცნი, შენი გურული ფავორიტი“.

„თხასავით ჯიუტი ვარ და ზოდიაქოთიც თხის რქა ვარ. ვამართლებ კიდეც. ძალზე ცუდი თვისებაა, მაგრამ რა ვქნა?.. ასეთი ხასიათი მაქვს. ამის გამო ბევრი უსიამოვნებაც მქონია. ძალიან მინდა, შევიცვალო, მაგრამ არ გამომდის. ნინო“.

„იცით, როგორი ჯიუტი ვარ?.. თუ სხვამ დამასწრო და სუფრასთან მიმიპატიჟა, საჭმელსაც აღარ შევჭამ. ამ თვისების გამო უცნაური ადამიანის სახელიც მოვიპოვე და ბევრიც ჩამომშორდა, მაგრამ ჩემ გვერდით ვინც დარჩა, უბატონოდ ხმასაც ვერავინ მცემს. სულ არ მენაღვლება, რას

ფიქრობენ, ჩემზე... ინო“.

„„გზავნილებს“ ყოველთვის ვკითხულობ და გადავწყვიტე, ამჯერად ჩემზე მოგიყვეთ. მე და ლაშა ბავშვობიდან უახლოესი მეგობრები ვიყავით. ჩემზე ყველაფერს დაუფარავად ვუამბობდი, მაგრამ თურმე, გოგოსა და ბიჭს შორის მეგობრობა მართლაც, არ შეიძლება. ერთ დღეს ლაშამ სასწავლებელში მომაკითხა და სიყვარული ამიხსნა. მე ცივი წყალი გადავასხი... გავიდა დრო და თანდათან, მეც ვიგრძენი მის მიმართ სიმპათია. შემდეგ კი მივხვდი, რომ მიყვარდა, მაგრამ რადგან ერთხელ უარი ვუთხარი, აღარ ვუმხელდი ჩემს გრძნობას. ახლა ყველაფერი წარსულს ჩაჰბარდა და ძალზე ვნანობ ჩემს საქციელს, რადგან ძვირფას ადამიანს ჩემი ბავშვური სიჯიუტის გამო გული ვატკინე. ლიზიკო“.

„ჩემმა სიჯიუტემ ისე დამღუპა, რომ უსაყვარლესი ადამიანი სხვასთან გამექცა. გაგა, იცოდე, შენი თვალების ხიბლს წავიღებ საიქიოში, აღსარების წინ ნუგეშის საცემად. მარიტა“.

„მარი, ერთიმეორეზე უფრო „მადის აღმძვრელ“ თემებს გვთავაზობ „გზავნილებში“ და მეც გული საგულეს აღარ მიჩერდება ხოლმე: მოგწერ და მერე მოუთმენლად ველი ხუთშაბათს. ვერ წარმოიდგენ, რა სიამოვნებას მგვრის, როცა ჩემს მესიჯს „გზავნილებში“ ვკითხულობ... სიჯიუტე ის სენია, რომელიც მეც მჭირდა, მაგრამ ახლა განვიკურნე. პირველად, ბაღში გავჯიუტდი და სადილი არ მივირთვი. ყველამ ჭამა. მე კი უხმოდ ვიჯექი და ველოდი, აღმზრდელები შეტევაზე როდის გადმოვიდოდნენ. ავდექი და განვაცხადე, მარილი დაგვიწყებიათ-მეთქი... გაბრაზდნენ... შემდეგ, ვერაფრით მაძინებდნენ და როცა მასწავლებლებიც ჩათვლემდნენ, ვიპარებოდი ხოლმე. ხან ვინ „გამბაწრავდა“ გზაში, ხან — ვინ... მეორე კლასში კალამი ვერ ამაღებინეს ხელში, რადგან მასწავლებელმა ჩემი სახელი სიაში არასწორად ჩაწერა და ელისოს ნაცვლად, ელისაბედი ამოიკითხა. სკოლაში დედა მივიყვანე და ყველას დავუმტკიცე, რომ „ოფიციალურად“ ელისო მერქვა. მამაჩემმა ერთადერთხელ გამტყიპა და ისიც იმიტომ, რომ გავჯიუტდი, შენ თუ რიცხვი „ოცდაშვიდი“ თქვი, არ გამიგონია-მეთქი: მამა „ოზდაშვიდს“ ამბობდა, მე კი, ვითომ სწორად ვმეტყველებდი და ვიდრე სწორად არ წარმოთქვამდა, ყურს ვიყრუებდი... ასე, სიჯიუტით გავიზარდე და მერეც ვჯიუტობდი. ვინც მომწონდა, იმას შევიყვარებდი ხოლმე, მისი აზრი სულაც არ მაინტერესებდა... ახლა სიჯიუტე მოვიშალე, მაგრამ გულს მაინც ვეჯიუტები და ერთის დავიწყებას ვცდილობ...“

„ძალზე ჯიუტი ბავშვობის მეგობარი მყავს. მთელი ცხოვრება ნერვებს მიშლის. იმდენი ქნა, რომ ერთი მეგობარი უკვე დაკარგა. თუ ცოტას არ დათმობს, კიდევ ორს დაკარგავს, ჩემი ჩათვლით. სულ ცოტა ხანში გამოჩნდება, რა უფრო ძვირფასია მისთვის — 14 წლის მეგობრობა თუ მისი სიჯიუტე, რომელმაც სულ ცოტა ხნის წინ, ცხოვრება დაუმახინჯა“.

„დამთავრდა არდადეგები. დავემშვიდობე ბათუმს, ზღვას, მეგობრებს და... სიყვარულს. ნეტავ, რატომ გავუჯიუტდი ჩემს თავს და არ ვუთხარი ვანოს, მიყვარხარ-მეთქი?.. ახლა მე თბილისში ვარ, ვანო — ბათუმში. მან არ იცის, რიმ ასე უზომოდ მენატრება... იმედს ვიტოვებ, რომ ჩემს მესიჯს წაიკითხავს... ნინიკო“.

„ჩემი დიდი სიჯიუტე ის იყო, რომ შარშან დასასვენებლად წავედი, საკმაო ხანს დავრჩი და კარგად მოვილხინე. ჩემმა დამ მითხრა — შინ წადი, ოჯახს მიხედეო, — მაგრამ გავჯიუტდი და ვიდრე დასვენებით გული არ ვიჯერე, არ წამოვედი. რომ დავბრუნდი, მამა დაპატიმრებული დამხვდა. დარწმუნებული ვარ — რომ არა ჩემი სიჯიუტე, ასე არ მოხდებოდა. ახლა განადგურებული ვარ. ამ ცოტა ხნის წინ კი, ერთი ბიჭი გავიცანი ტელეფონით. იმედია, გიორგი ყველაფერს დამავიწყებს და ამ მდგომარეობიდან მიხსნის. ნატო“.

„ჩემი სიჯიუტის შესახებ რა მოგახსენოთ, მაგრამ ჩემი ქმარი კი მართლაც მაგარი ჯიუტია... 3 წლის წინ გავიცანი. დასანახავად ვერ ვიტანდი. არადა, სიკეთის მეტს არაფერს მიკეთებდა. მე გაცნობის წუთიდანვე ავითვალწუნე. მან კი ჯიუტად და თავდაჯერებულად გამაფრთხილა — ნუ ამბობ „არას“, თორემ, შეგიყვარდები და შენი ფეხით გამომეკიდებიო. მაშინ ვერც წარმოვიდგენდი, თუ ასე მოხდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი მშობლები წინააღმდეგი არ იყვნენ, მაინც მეორე ოთახიდან გავიპარე... ახლა ფეხმძიმედ ვარ. ჩემი „კვაზი“ რომ არ გაჯიუტებულიყო, იმ ღამეს შესაძლოა, არც გავყოლოდი. ვივლიდი ცალად, რადგან ჩემი „სტერვა“ ხასიათი რომ ვიცი, ვერავინ გამიბედავდა სიყვარულის ახსნას და ვერ გარისკავდა მოტაცებას. მიყვარხარ, ჩემო სიხარულო. სოხუმი—წყალტუბო“.

„ჰმ, სიჯიუტე?.. 2 წლის წინ, ჩემი სკოლელი ლევანი სიგიჟემდე შემიყვარდა. მისგანაც ვგრძნობდი სიმპათიას. თითქმის 7 თვის განმავლობაში, ძალზე ბედნიერად ვგრძნობდი თავს. მის ოჯახში ჩვენს ურთიერთობას ძალზე სერიოზულად უყურებდნენ. ერთ დღეს ლევანმა შემომთავაზა — გავიპაროთო. მე მხოლოდ 15 წლის ვიყავი და რაღა თქმა უნდა, უარი ვუთხარი. ჩემმა პასუხმა გააგიჟა და საერთოდ აღარ გამეკარა 3 თვის მანძილზე. მე მისი დავიწყება არც მიცდია. ჯიუტად ვარწმუნებდი თავს, რომ ლევანი ძველებურად მიყვარდა... ის ისევ გამოჩნდა, ოღონდ, იმ დროს, როცა დასასვენებლად ვიყავი წასული. ძალზე გამიხარდა მისი დაბრუნება, მაგრამ შეცვლილი მეჩვენებოდა. ისევ ამიხსნა სიყვარული და ისევ ხელი მთხოვა. მე კი ისევ უარი ვტკიცე. ამის შემდეგ, სულ რაღაც 4 თვეში გავიგე, რომ ცოლი მოუყვანია. ძალზე ვინერვიულე, მაგრამ ჩემდა გასაკვირად, მაინც მალე გადავიტანე... ახლა შეყვარებული ისევ მყავს და თავს კარგად ვგრძნობ. ლევანის ცოლს სამწუხაროდ, 7 თვის მუცელი მოეშალა. მე მათ მთელი გულით ვუსურვებ ბედნიერებას“.

„ჩემი ცოლი კახელია და ხომ იცით, კახელები რა ჯიუტებიც არიან. ხშირად ვჩხუბობთ, მაგრამ ძალიან მიყვარს. 2 წელი შეყვარებულები ვიყავით, მერე — დავქორწინდით. ახლა ბიჭი გვყავს და მამაჩემის სახელი დავარქვით... ცოლუკა, მიყვარხარ. ჩემი სიცოცხლე ხარ. ხ-ო, ლ-ა“.

„თეო, ვიდრე კარგ ხასიათზე ვარ და ცოლობას გთხოვ, გამომყევი, თორემ, ერთ კარგ გოგოს მოვძებნი და მერე ყველაფერი შენს თავს დააბრალე. შენი „სიხარული“ ახალციხიდან“.

„უზომოდ მიყვარს „გზავნილები“. ახლა უკვე საკუთარი მობილური მაქვს და იცით, რატომ ვიყიდე?.. აღარ დამჭირდება ყველასთვის იმის ხვეწნა, რომ „გზავნილებში“ მესიჯი გამომაშვებინონ. ძალზე ბედნიერი ვარ, რადგან სწორედ ჩემი სიჯიუტის ბრალია, რომ ამქვეყნად ერთი პატარა, ლამაზი სიცოცხლე გაჩნდა — ჩემი შვილი, პაწია საბუკა. ის ახლა უკვე 2 წლისაა და ბედნიერი დედა ვარ, რადგან ის მხოლოდ ჩემია... ნინი. ქუთაისი“.

„ჩვენ სიჯიუტეში შევეჯიბრეთ ერთმანეთს და ორივე დავმარცხდით. არც ერთმა არ ვაღიარეთ ჩვენი გრძნობები და სავალალო მდგომარეობაშიც აღმოვჩნდით, დღესაც ჯიუტად ვდუმვართ. ხომ იცი, არასოდეს გადმოვდგამ შენკენ ნაბიჯს პირველი და არ გეტყვი, რომ მიყვარდი და მიყვარდა ახლაც, ხომ მხოლოდ შენ გელოდი... მაგრამ ვიცი, რომ შენც არასოდეს მეტყვი რამეს. ჩვენი სიჯიუტე ჩვენივე სასჯელია“.

„ჩემი სიჯიუტე იმაში გამოიხატება, რომ 6 წელია, შეყვარებული მყავს და ცოლად მარტო იმიტომ არ მივყვები, რომ სოფელში ცხოვრობს და ღარიბია“.

„ადრეულ ასაკში გათხოვებაზე არასოდეს მიოცნებია. იმ დღეს, მეგობარი პაემანზე წასვლას მიშლიდა — გული ცუდს მიგრძნობსო, — მაგრამ გავჯიუტდი და მაინც წავედი. სწორედ იმ დღეს მომიტაცა ჩემმა ქმარმა. დღეს ოჯახის ქალი მქვია და ეს სულაც არ მინდოდა“.

*დღეს „გზავნილებს“ ამით ვამთავრებთ. მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ — სასკოლო მოგონებები. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61. გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.*

■

**ამერიკაში ჩამოსვლის დღიდან, აქაურ ქელეხში მოხვედრა, რაღა დაგიმალოთ და, მართლაც რომ ძალზე მაინტერესებდა. 2 წლის შემდეგ, ამისრულდა სურვილი.**

# ამერიკული ქელეხი

## ანუ გზაჯვარედინზე ღვთის ანაბარად მიტოვებული მიცვალებული...

***მარიკა ბაქრაძე***

...სანამ ლონგ-აილენდში კათოლიკურ ეკლესიამდე მივაღწიეთ, საეკლესიო წესის აგება მოძღვარს უკვე დაესრულებინა. რომ იტყვიან, სწორედ რომ სულზე მივუსწარით სიტუაციას, თორემ, ორი წუთიც რომ დაგვგვიანებოდა, მიცვალებულზე რა მოგეხსენოთ და, პროცესიის კვალსაც ვეღარსად მივაგნებდით... 20-წუთიანი გადარბენების შემდეგ, სასაფლაოც გამოჩნდა. თვალებს არ დავუჯერე: ასობით ერთ რიგში ჩამწკრივებული მარმარილოს პატარა, თეთრი ქვებისაგან შემდგარ სასაფლაოს მთლიანად წაეშალა ზღვარი სიკვდილ-სიცოცხლეს შორის. ერთი ფრაზა ამომიტივტივდა მეხსიერებაში: სიკვდილი ყველას ათანასწორებს, თავისიანს, უცხოს, მტერსა და მოყვარესო. სწორედ რომ ამ სასაფლაოზეა ზედგამოჭრილი. ერთ ყალიბში ჩამოსხმული, მიჯრით მიწყობილი საფლავების შემხედვარეს, უნებურად ამეკვიატა კითხვა — რამდენად რეალურია ჩასასვენებლის განთავსება მტკაველი მიწის ქვეშ?..

— თქვენში მიცვალებულს მჯდომარე პოზაში ხომ არ მარხავენ-მეთქი? — გავკადნიერდი და ვიკითხე, მაგრამ საკუთარი შეკითხვის უაზრობას მაშინვე მივხვდი, რადგან მუსლიმანურ ძვალთშესალაგთან კი არა, ამერიკის ერთ-ერთ საკმაოდ ცნობილ „მილიტარისტულ“ სასაფლაოზე ვიმყოფებოდი, ცხონებული ირენი კი, რომელიც „ნორსინგ-ჰომიდან“ (უპატრონოთა პანსიონატიდან) პირდაპირ აქ „მოაბრძანეს“, ყოფილი სამხედრო ფუნქციონერის ქალიშვილი აღმოჩნდა და სწორედ ამიტომ ერგო პატივი ამ სასაფლაოზე მოხვედრისა, თორემ, დარწმუნებული ვარ, კრემაცია არ ასცდებოდა...

პროცესია აგურის პატარა ნაგებობასთან შეჩერდა. ჩასასვენებელი ლიმუზინიდან გადმოიღეს და იქვე მდგარ ბეტონის გრძელ სკამზე მოათავს-



ეს. ჩვენ მანქანიდან გადმოსვლაც ვერ მოვასწარით, რომ შეჯგუფული ხალხი უცებ დაიშალა. მანქანებს მიაშურეს და ჭირისუფალთა 32-კაციანმა ჯგუფმა გეზი პირდაპირ რესტორნისაკენ აიღო.

მუხლები მომეკვეთა, გზის პირას უპატრონოდ დატოვებულ კუბოს ვერაფრით მოვწყდი. თმა არ გამიშლია და სახე არ დამიხოკავს, თორემ, გაოგნებისაგან სასოწარკვეთილების ზღვარს გადაბიჯებულს, არც არაფერი მაკლდა. გულში დავიტირე ირენი, საკუთარი თავი და მთელი ადამის მოდგმა...

„ამაოება ამაოებათა და ყოველივე ამაო არს“ — ეკლესიასტეს ცნობილი ფრაზა ჩაქუჩივით მირტყამდა ტვინში. ცივილიზაციის მწვერვალზე ასული, ამერიკული და ვინ იცის, იქნებ, დანარჩენი მსოფლიოს დახვეწილი ეგზისტენციაც იმ წუთებში, ჩემს ცნობიერებაში გზაჯვარედინზე უპატრონოდ მიტოვებული მიცვალებულივით იყო. სიკვდილმაც დაკარგა აზრი ჩემთვის და სიცოცხლემაც. ნუთუ, იქამდე დავიდა ადამიანის ფსიქიკა, რომ საკუთრი მიცვალებული — დედა, მეუღლე ან მეგობარი საფლავამდე არ მიაცილა, ერთი მუჭა მიწა არ მიაყარა და შენდობა არ უთხრა?!.

როგორც ამიხსნეს, აქ თურმე, დამკრძალავი ბიურო იღებს საკუთარ თავზე პასუხისმგებლობას და გარკვეული გასამრჯელოს ფასად, ყოველგვარ მომსახურებას კისრულობს — თვით მიცვალებულის სამუდამო განსასვენებელ ადგილამდე მიტანასა და დაბინავებასაც კი. ახლობლებსა და ოჯახის წევრებს რატომღაც ამ ფორმალობის განსახორციელებლად ზედმეტი დროის დაკარგვა საჭიროდ არ მიაჩნიათ...

ჩვენი ლიმუზინის შავკანიანმა მძღოლმა დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ, როგორც იქნა, მომაშორა ირენის კუბოს და მანქანაში ჩამსვა. ჭირისუფლების კოლონა თვალს კარგა ხანია, მიჰფარებოდა და ჩარლზმა, ალბათ უტყუარი პროფესიონალის ალღოს წყალობით გაიგნო გზა ჯერ ერთფეროვანი საფლავებიდან, მერე კი სამანქანო მაგისტრალიდან და კვალში ჩამდგარი მწევარივით პირდაპირ რესტორანს მიადგა.

...მეორედ მაშინ გავოცდი, როცა რესტორანში გამზადებული ჭირის სუფრა ვერსად შევნიშნე. კარგა ხნის ლოდინის შემდეგ, როგორც იქნა, ყავა მოგვართვეს. მოგვიანებით კი, შეკვეთის მისაღებად, ოფიციანტიც გამოგვეცხადა. თავი დიდად არ შემიწუხებია მენიუს თვალიერებით, რად-

გან ბოლომდე ვენდე გვერდით მჯდომი მსუქანი ქალბატონის გემოვნებას, რომელიც დაჯდომის წუთიდან, მთელი ამ ხნის განმავლობაში, მართლაც რომ შესაშური გულმოდგინებით ჩაჰკირკიტებდა ვრცელ დავთარს და ვგონებ, მთელი მენიუ, თავისი ინგრედიენტებით, ზეპირად შეისწავლა... ხანგრძლივი ლოდინის შემდეგ, პირველი კერძებიც გამოჩნდა. ჩემმა ალღოიანმა მეზობელმა თავისი შეკვეთა ჰაერშივე აიტაცა და საგულდაგულოდ შეუდგა საქმეს. მე კი, ყოფნა-არყოფნის მარადიულ საკითხზე ღრმად ჩაფიქრებული, უაზრო ლოდინის შემდეგდა მივხვდი, რომ იქ ყოფნას საერთოდ არ ჰქონდა აზრი და მასპინძელს მოკრძალებით შევაპარე სიტყვა — უნდა დაგემშვიდობოთ-მეთქი, — მას კი არც გაუგონია, რადგან ირენის არცთუ ისე მწუხარე ქვრივს მთელი ამ ხნის განმავლობაში, რაღაც სარფიანი ბიზნესგარიგების თაობაზე ელაპარაკებოდა...

როგორც ახლა ვხვდები, ჩემი შეკვეთა ოფიციანტს ან საერთოდ გამორჩა მხედველობიდან, ან არა და, ერთ სუფრაზე გვერდიგვერდ მჯდომი ორი მანდილოსნისათვის ერთნაირი კერძის მიტანა საჭიროდ აღარ მიიჩნია — როგორმე მეზობლურად გაიყოფენ და მორიგდებიანო, — ალბათ, იფიქრა, მსუქანმა ქალბატონმა კი, იქ დამსწრეთა უმრავლესობის მსგავსად, ნასუფრალი თეფში ოფიციანტს შინ წასაღებ პაკეტად „გადააკეთებინა“... ასეა თუ ისე, ჩემ გარშემო მყოფი საზოგადოება მართლაც რომ შეწუხდა ოფიციანტის დაუდევრობით და მოულოდნელად, ყურადღების ცენტრში ამოვჩნდი. მგონი, ამ ამბავმა მენეჯერის ყურამდეც მიაღწია, რადგან სამი მიმტანი თან გადამყვა ხვეწნა-მუდარით — დარჩი, ახლავე ყველაფერს მოვაგვარებთო, — მაგრამ ფეხი ავაჩქარე: დანა პირს არ მიხსნიდა, აღარც ჭამა მინდოდა და გეფიცებით, აღარც იქ გაჩერება შემეძლო...

გზაჯვარედინზე, ღვთის ანაბარად მიტოვებული მიცვალებული გონებიდან არ მშორდებოდა. ბოლოს და ბოლოს, თავი დავაღწიე იქაურობას, გარეთ გამოვვარდი და ზეცას ავხედე. ღმერთო დიდებულო, დაილოცოს შენი სამართალი!!!

...არა, ბატონო, აქ დარჩენას ნამდვილად არ ვაპირებ, საქართველოში, ჩემი წინაპრების გვერდით, ი-იქ უნდა დავიმარხო...

**ნიუ-იორკი**

■

**ადამიანისა და თბილსისხლიანი ცხოველების სიკვდილი, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია სუნთქვისა და სისხლის მიმოქცევის შეწყვეტასთან. ამიტომ, განასხვავებენ სიკვდილის 2 ძირითად ეტაპს: ე.წ. კლინიკურ სიკვდილს, რომლის დროსაც, განსაზღვრული დროის მანძილზე, ჯერ კიდევ შესაძლებელია სასიცოცხლო ფუნქციების აღდგენა და მის მომდევნო, ბიოლოგიურ ანუ ჭეშმარიტ სიკვდილს, როდესაც ორგანიზმში ვითარდება შეუქცევი ცვლილებები და წყდება უჯრედებსა და ქსოვილებში მიმდინარე ყველა ფიზიოლოგიური პროცესი. სიცოცხლიდან ბიოლოგიურ სიკვდილში გარდამავალ და გაცოცხლების პერიოდში მომხდარი შეუქცევადი ცვლილებების კრიტერიუმის შესწავლა, რეანიმატოლოგის პრობლემაა. როცა ასეთი ცვლილებები ხდება, ჩვენს სამყაროში შემობრუნებული ადამიანები (როგორც კლინიკური სიკვდილიდან, კომიდან მობრუნებულებს უწოდებენ) ხშირ შემთხვევაში ჰყვებიან, თუ როგორია სხვა სამყარო, სადაც თავიანთი, აწ განსვენებული ნათესავები, მეგობრები და ა.შ. იხილეს...**



# კლინიკური სიკვდილი და მოგზაურობა სულების სამყაროში

*ლიკა ქაჯაია*

**ლელა გვაზავა,** *რეანიმატოლოგი:*

— კლინიკური სიკვდილის დროს, გაჩერებულია სუნთქვა და გულისცემა, სისხლის წნევა არ ისაზღვრება, მაგრამ ქსოვილთა, კერძოდ, ცენტრალური ნერვული სისტემის სიცოცხლისუნარიანობა, ჯერ კიდევ შენარჩუნებულია და 5 წუთის განმავლობაში, შესაძლებელია ადამიანის გაცოცხლება. ამ ხნის გავლის შემდეგ, ვითარდება ბიოლოგიური სიკვდილი. კლინიკური სიკვდილიდან გამოღვიძებული ადამიანები უჩვეულო ამბებს ჰყვებიან. მაგალითად, ერთმა გოგონამ, მიუხედავად იმისა, რომ მდგომარეობიდან ახალი გამოსული იყო, თვალის გახელისთანავე, გაბრწყინებული სახე შემოგვანათა: იცით, მე ჩემი საქმრო ვნახე, ის ისეთ ლამაზ ადგილასაა, უკან წამოსვლა არ მინდოდა, მაგრამ ჯერჯერობით, იქ ჩემი ადგილი არ ყოფილა და უკან გამომაბრუნა, შემპირდა — დაგელოდები, მანდ დაქორწინება არ გვეღირსა, მაგრამ აქ გავბედნიერდებითო: ეს წყვილი, ქორწილის წინადღეებს ზეიმობდა, როცა ბიჭი ავარიაში მოყვა და გარდაიცვალა... ერთმა, სიკვდილის კლანჭებისგან თავდაღწეულმა ადამიანმა მადლობა გადაგვიხადა: ისეთ საშინელ ადგილას ვიყავი, ენით ვერ აღვწერ, აქედან გავალ თუ არა, ეკლესიაში მივალ, ცოდვებს მოვინანიებო.


ეკა სულაბერიძე-სილაგაძე მეუღლესთან ერთად

**ლამარა გასვიანი,** *ფსიქოლოგი:*

— კლინიკური სიკვდილის დროს როგორც ვიცი, სუნთქვა ჩერდება, გრძნობის ორგანოები ქვეითდება, მაგრამ გონება მუშაობს. ბევრჯერ მოსულან პაციენტები ჩემთან და უთქვამთ: კლინიკური სიკვდილის მერე, რაღაცებს წინასწარ ვგრძნობ და ეს ნორმალურია თუ არაო? ან ისეთი სამყარო ვიხილე, იქ მოხვედრა მინდაო. როცა ადამიანი, კლინიკური სიკვდილის შემდეგ უბრუნდება რეალურ სამყაროს, მას ხშირ შემთხვევაში, მართლაც უვითარდება წინასწარმეტყველების უნარი, ასეთ ადამიანს უჩნდება „მესამე თვალი“, რომლის მეშვეობითაც ის მოვლენებს წინასწარ ჭვრეტს.

**ეკა სულაბერიძე-სილაგაძე**, *44 წლის:*

— მძიმე ოპერაცია გადავიტანე. ექიმები ჩემს გადარჩენას არ ელოდნენ. 4-დღიანი კლინიკური ძილის დროს მქონდა ხილვები. უფალი ულამაზეს ადგილას დამატარებდა, დავფრინავდით, მაგრამ ჩემი ადგილი ვერ ვიპოვეთ.

— **გინდათ თქვათ, რომ ღმერთი გამოგეცხადათ?**

— გამომეცხადა კი არა, ხელიხელჩაკიდებული მატარებდა. სამოთხეც ვნახე და ჯოჯოხეთისკენ მიმავალი გზაც. ხშირად, გარდაცვლილ ადამიანთა სულებსაც ვხვდებოდით. ამ ხილვებში (თუ რა დავარქვა, არ ვიცი) ცოცხალი არავინ მინახავს. ბებიაჩემიც ვნახე, რომელმაც ჩემი ადგილი გამოძებნა, მაგრამ ვიღაც თეთრებში ჩაცმულმა სულმა ფურცელი გადაშალა და თქვა — ამის ადგილი ჯერ აქ არ არის და უნდა გავუშვათო... როგორც აქ არიან კარგები და ცუდები, ისე არიან იქაც: რჩეულები, გამცემები, ძუნწები, ხელგაშლილები და ა.შ. იქ ყოფნისას, ვიხილე ასეთი რამ: ერთ ქალს ასამართლებდნენ. სასამართლო, წვერებიან წინამძღვარს მიჰყავდა, რომელმაც უხეშად მიმართა მას: ქალო, სოფელში ცხოვრობდი და მწვანილიც არავისთვის მიგიციაო?!. ეს ქალი, ჯოჯოხეთში გაუშვეს... მართლაც, „რასაცა გასცემ, შენია, რაც არა — დაკარგულია“, — მაგრამ თუ რაიმეს გასცემ, არ უნდა თქვა: უფალი ყველაფერს ხედავს, შენი ლაპარაკი არ სჭირდება.

— **როგორია თქვენი თვალით დანახული სამოთხე?**

— სამოთხეში ყოფნის დროს, არც სახლები მინახავს, არც საწოლები. ეს ადგილი ულამაზესია, გაშლილი, ტრიალი მინდორი. ირგვლივ, ყველაფერი მწვანეა (სახლებს ალბათ, სიკვდილის შემდეგ ვნახავ). ერთი პატარა მონაკვეთი გამახსენდა: გაშლილი სუფრა ვნახე, რომელსაც ჩემი მიცვალებულები უსხდნენ. მხოლოდ, მამამთილი იდგა შორს და სუფრას არ ეკარებოდა: თურმე, საკურთხის გაკეთების დროს, მისთვის სიგარეტი არ დამიდვია... იქ გავიგე, რომ აუცილებელია, საკურთხის დროს ყველა მიცვალებულის სახელის მოხსენიება, თუ რომელიმე გამოგრჩა, ის სუფრას ვერ მიეკარება.

— **თქვენ ჯოჯოხეთსაც ნახავდით. კიდევ რა ხდება სულთა სამფლობელოში?**

— ჯოჯოხეთი არ მინახავს, მხოლოდ მისკენ მიმავალი გზა ვნახე. შეიძლება, უფრო მეტი ვიცი იქაურობაზე, ვიდრე ვამბობ, მაგრამ ამ ყველაფრის თქმის უფლება არ მაქვს.

— **ამ ყველაფრის შემდეგ, წინასწარმეტყველება დაიწყეთ?**

— კლინიკური სიკვდილიდან 6 თვის შემდეგ, ხილვები დამეწყო. მოვაწყვე ჩემი კუთხე, სადაც უმეტესი ადგილი, ხატებს აქვს დათმობილი.

— **ხილვებში რას გულისხმობთ? ამ ყველაფერს უფალი გკარნახობთ?**

— არა. „მესამე თვალით“ ვხედავ ყველაფერს. შეიძლება, უფალი სხვებს მართლაც კარნახობს, მე — არა.

— **„მესამე თვალით“?..**

— თვალებს შორის „მესამე თვალი“ ყველას აქვს, მაგრამ ის მხოლოდ ადამიანთა მცირე ნაწილს აქვს განვითარებული.

— **თქვენ ამბობთ, რომ ყველაფერს წინასწარ გრძნობთ. რით დაგვიმტკიცებთ ამას?**

— მე ვიცი, რა მელოდება ხვალ. არ ვიცი, რითი ან როგორ დაგიმტკიცოთ, მაგრამ ბევრი ადამიანი დამიყენებია სწორ გზაზე. მაგალითად, ერთხელ, ჩემთან ობოლი, სოფლიდან ჩამოსული ბიჭი მოვიდა და მთხოვა — აბა, მითხარი, რა მელოდებაო. გასროლის ხმა მომესმა და ვუთხარი — ვიცი, ცუდ საქმეზე მიდიხართ, დღეს ნურსად წახვალთ და ხვალ მადლობას მეტყვით-მეთქი. დაიჯერა. მეორე დღეს მოვარდა: სიკვდილს გადამარჩინე, მადლობა რით გადაგიხადოო?.. რამდენიმე წლის წინ, ვაკეში მანქანაში ბიჭები რომ ჩაცხრილეს, მათთან ერთად აპირებდა წასვლას... ერთი პერიოდი, მარტო ქალებს ვიღებდი, მაგრამ ხილვები დამეწყო: ყველა, შენი და-ძმა, შვილი, მამა და დედააო, — და უკვე 4-5 წელია, რაც მამაკაცებსაც ვიღებ. შემიძლია ვიწინასწარმეტყველო: რას ფიქრობს ერთი პიროვნება მეორეზე, შემიძლია „ეხოზე“ უკეთესად დავსვა დიაგნოზი, ჩემი ლოცვა-კურთხევით აღდგება ოჯახური კავშირი... ლოცვა, ბევრ რამეში მეხმარება.

**ჯემალ კახნიაშვილი** *57 წლის:*

— ბრმა ნაწლავის ოპერაციის შემდეგ, კლინიკური ძილით დამეძინა. 2 დღე, ადამიანები ვერ მეკონტაქტებოდნენ. მე თითქოს სხვა სამყაროში მოვხვდი — მივდიოდი მწვანედ აბიბინებულ, ყვავილებით მორთულ მდელოზე, სადაც ადამიანები საერთოდ არ იყვნენ. დიდი ხნის ხეტიალის შემდეგ, გარდაცვლილი დედ-მამა გამომეცხადა. მათ მოწყენილი სახეები ჰქონდათ. გვერდი ამიარეს, ერთმანეთს ხელი ჩასჭიდეს და წავიდნენ. მათ დიდხანს მივდევდი: დამელოდეთ, თქვენ რა მშობლები ხართ, ჩემი ნახვა რომ არ გაგიხარდათ-მეთქი. თითქოს მოლბნენ, მერე კი უკან მაბრუნებდნენ: აქედან წადი, შენი ჩვენთან ყოფნა ჯერ ადრეა, ცოლ-შვილს სჭირდებიო და ხელი მკრეს. ამის შემდეგ, თითქოს რაღაც მუქი ფერის ფარდა ჩამოეფარა ყველაფერს და დიდხანს ვცდილობდი, რაიმე მაინც დამენახა... მას შემდეგ, 6 წელი გავიდა, მაგრამ სხვებისგან განსხვავებული ჩემს თავს არაფერი ხდება. ერთადერთი ის ვიცი, რომ სული არ კვდება და როცა ჩემი დრო მოვა, მშობლები თავისთან წამიყვანენ, უფრო მხიარულად შემხვდებიან.

**ელა ოგანეზოვა** *34 წლის:*

– მძიმე ფსიქოლოგიური ტრავმა მივიღე. 26 წლისას, მეუღლე გარდამეცვალა. ცოტა ხანში, გულმაც მიმტყუნა... სასწრაფოდ საავადმყოფოში წამიყვანეს, სადაც გავითიშე. არ ვიცი, რა მოხდა, მაგრამ მეუბნებიან, რომ 45 საათის განმავლობაში მკვდარივით ვიყავი – არც არაფერი მესმოდა, არც თვალებს ვახელდი... მე კი ამ დროს, მეუღლეს ვესაუბრებოდი... ცუდად რომ გავხდი, მესმოდა: შვილები როგორ ყვიროდნენ, მინდოდა, თვალები გამეხილა, მათთვის მეთქვა, რომ კარგად ვარ-მეთქი, მაგრამ ვერ ვახერხებდი. უეცრად კარი დავინახე. დიდხანს ვფიქრობდი, გამომეღო ის თუ არა. მერე, ჩემდა უნებურად ხელი ვკარი და შევაღე. ირგვლივ, საოცარი სიჩუმე იყო. თანაც, მანამდე, ასეთი ლამაზი ადგილი ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს. ვფიქრობდი: ჩემს თავს რა ხდება, ნეტავ სად ვარ-მეთქი?.. ჩაფიქრებული ნელ-ნელა წინ მივდიოდი. უეცრად, თითქოს ცხადში, ჩემი მეუღლე დავინახე: ხელს მიქნევდა და მიცინოდა. გავიქეცი და ჩავეხუტე ხელი ჩამჭიდა: აქაურობა მოგწონსო? – ძალიან-მეთქი. – ჩემთან რომ დარჩე მინდა, მაგრამ ჯერ შენთვის აქ ყოფნა ძალიან ადრეა, უკან უნდა დაბრუნდეო. ვეხვეწებოდი, ვტიროდი: შენთან დავრჩები, ნუ მიმატოვებ-მეთქი, მაგრამ უარს მეუბნებოდა. ეს თითქოს წამებში მოხდა, დრო უცებ გავიდა. იმ კართან მიმიყვანა, საიდანაც შევედი და – წადიო, – მითხრა. არ მივდიოდი. ამიტომაც, გამიბრაზდა, კარს ხელი ჰკრა და თვითონ სადღაც გაქრა... ამის შემდეგ, თვალები გავახილე... დღესაც ვფიქრობ, რომ ეს ყველაფერი სიზმარში ვნახე.




**მურმანი,** *53 წლის:*

– საავადმყოფოში რომ მიმიყვანეს, მაშინაც ვყვიროდი: გული შვილებმა დამიავადეს-მეთქი! მერე კომაში ჩავვარდი და თითქოს ცხადში, საშინელი ადგილი ვნახე. უფრო სწორად, ჯერ რაღაც კარს წავაწყდი, რომელიც სასწრაფოდ გამოვაღე. შევედი თუ არა, თვალწინ საოცარი სილამაზე გადამეშალა. შორიდან ხალხი მიყურებდა: ხელებს ჩემკენ იშვერდნენ და თავს აქეთ-იქით აქნევდნენ. ვიღაც წვერებიანი კაცი მომიახლოვდა: აქ არ დარჩები, მაგრამ გამოსწორების მიზნით გაჩვენებთ, თუ ცხოვრების ნირს არ შეიცვლი, გარდაცვალების მერე სადაც მოხვდებიო. ვნახე ხრიოკი ადგილი, სადაც ადამიანთა სულებს შეშლილი სახეები აქვთ, სადაც ეწამებიან და ერთმანეთს გულს უხეთქავენ. ჩემმა თანამგზავრმა ამიხსნა: თუ რატომ ცხოვრობენ ეს სულები ასე. მათი უმეტესი ნაწილი, ჩადენილი ცოდვებისთვის ეწამებოდა: მოპარვა, კაცის არ შეცოდება, მკვლელობა, ფლიდობა, ბოროტება და ათასი სხვა რამ... აქ ყველა იმისთვის იბრძვის, რომ სხვას ბოროტება გაუკეთოს და ამით ის ბედნიერია. ყველა საკადრისად ისჯება – იმისდა მიხედვით, თუ რა ცოდვა აქვს ჩადენილი... მე უფრო მეტი რამ ვნახე, ვიდრე ვყვები, მაგრამ წამოსვლის წინ გამაფრთხილეს, რისი თქმის უფლება მაქვს და რისი – არა. მთელი ცხოვრება ცოდვას ჩავდიოდი და არ მინდა, მათ რიგს კიდევ ერთი, უმძიმესი ცოდვა მივუმატო.

— **რატომ მოხვდით მაინცდამაინც ჯოჯოხეთში?**

– ეს ჩემი განვლილი გზის შედეგი იყო.

— **კონკრეტულად რას გულისხმობთ?**

– ხშირად ვიპარავდი. ფულის გულისთვის ადამიანი გამიყიდია. ოჯახში ხშირად ჩხუბობდი, შვილები ქმრითაც მიცემია და ა.შ.

— **ამას ვერც წარმოვიდგენდი...**

– ეს სხვებსაც ვერ წარმოუდგენიათ, მაგრამ ადრე ვერავინ მიტანდა. ჩემი ძველი ნაცნობები, ჩემი შეცვლით აღტაცებულნი არიან. შვილებს ჰგონიათ, რომ სხვა მამა ჰყავთ ან მათი მამის სხეული ადრე ეშმაკებს ჰყავდათ დატყვევებული... ამ ხილვამდე, ეკლესიაშიც კი არ ვყოფილვარ, დღეს კი, თითქმის ყოველდღე შევდივარ ღვთის სახლში, ვლოცულობ და სანთელს ვანთებ.

— **ამბობენ, ასეთი ხილვის შემდეგ, ადამიანში წინათგრძნობა ილვიძებსო...**

– სხვა რას გრძნობს, არ ვიცი, მაგრამ მე წინასწარ ვერაფერს ვჭვრეტ და ასეთი რაღაცები არც მაინტერესებს. წინასწარ რაც ვიცი, ეს ჩემი სიკვდილის წელი, თვე და რიცხვია, რომელსაც არავის ვეუბნები.

— **ამ დღის მოახლოების არ გეშინიათ?**

– უკვე აღარ, რადგან ცოდვებისგან განვიწმინდე და სხვა ცოდვის ჩადენას არ ვაპირებ...

**შურა ავალიანი,** *თერაპიისა და კარდიოლოგიის კათედრის დოცენტი:*

– არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც პაციენტი ვარდება ე.წ. კომაში ანუ არის უგონო მდგომარეობაში, გარე გამღიზიანებლებზე ორგანიზმის რეაქცია მკვეთრად სუსტდება ან სულ იკარგება. ახასიათებს რეფლექსების თანდათანობით მოშლა სრულ გაქრობამდე და ა.შ. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ღრმა კომაშია ჩავარდნილი ადამიანი... არსებობს კლასიკური კლინიკური სიკვდილი, რომლის დროსაც გული ფაქტობრივად ჩერდება. ამ დროს საჭიროა გულზე მასაჟების გაკეთება. კლასიკური კლინიკური სიკვდილის დროს ვგულისხმობთ, რომ ადამიანს ცალი ფეხი სხვა სამყაროში აქვს გადადგმული (თუ რა თქმა უნდა, ეს სხვა სამყარო არსებობს) და პაციენტები, რომლებიც ასეთი მდგომარეობიდან გამოდიან, ჰყვებიან მშვენიერ ამბებს, რომელთა ახსნა ჩემს შესაძლებლობებს აღემატება... მინდა დავამატო ისიც, რომ კლინიკური სიკვდილის დროს, პაციენტი 1 წუთში თუ ვერ მოვაბრუნეთ, ის მოკვდება. როცა ჰყვებიან, რომ მოკვდნენ კლინიკური სიკვდილით და 4 დღის ან 5 საათის შემდეგ, გონს მოვიდნენ, ეს არის კომაში მყოფი ადამიანი. კომაში კი, შეიძლება, ადამიანი წლების განმავლობაში იყოს.

■



# საქორწინო სუფრაზე თამადა არც პატარძლის ქალიშვილობაზე აგებს პასუხს და არც ღვინის ხარისხზე...

**ჯანსუღ ჩარკვიანის აზრით, არ არსებობს ცუდი ღვინო და ცუდი ქალი; შეიძლება, ერთი ღვინო მეორეს სჯობდეს, ისევე, როგორც ერთი ქალი — მეორეს... ბატონ ჯანსუღს ადრეც ხშირად უწევდა და ახლაც უწევს ხოლმე სუფრის გაძღოლა, რასაც დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება. უყვარს სადღეგრძელოების ორიგინალურად წარმოთქმა და განსხვავებული სასმისები. თამადად კი, საქორწინო სუფრაზე მხოლოდ იმ პირობით დგება, თუ ღვინო ნაღდია და პატარძალი — ქალიშვილი...**

**რატომ უქრელებენ გვერდებს ამის გამო სხვას — ამას ინტერვიუდან შეიტყობთ.**

ნინო ჯავახიშვილი

— მამაჩემი კარგი თამადა იყო და მეც ხშირად დავყავდი ნადიმზე. ახლაც მახსოვს მისი სიტყვები — როგორ არ მიყვარს ის ხალხი, ვინც ერთ სუფრასთან უზომოდ გამოთვრება; იქნებ, სხვაგანაც მოგიწიოს დალევამ და ხომ უნდა შეგეძლოსო!.. მაშინ მოდაში იყო ღვინის დაძალება, თუმცა, ეს თამადაზეა დამოკიდებული. მე არ მიყვარს დაძალება, გინდა თუ არა, დალიე-მეთქი! — არავისთვის მითქვამს. როდესაც თამადა ვარ, თავიდანვე ვამბობ — ვისაც 3 ბოთლის დალევა შეუძლია და 2 დალიოს, იმის დედა ვატირე; ვისაც 2 ბოთლის დალევა შეუძლია და 3 დალიოს, იმისიც-მეთქი!.. ზომა უნდა იცოდეს კაცმა... ახლა ვხვდები, რომ მამა მასწავლიდა, სუფრასთან როგორ მოვქცეულიყავი — აი, შვილო, როგორი უნდა იყო, რა პატივი უნდა სცე შენს მშობლებს, წინაპრებს, როგორ უნდა იცოდე შენი გუშინდელი დღე, აწმყო, მომავალიო... მას ძალიან კარგი სამეგობრო ჰყავდა. ქეიფი აღსავსე იყო სიცილით, იუმორით, ცეკვა-თამაშით. მამა მეტყოდა ხოლმე — ის რა თამადაა, რომელმაც ფეხზე წამოდგომამდე იცის, რა უნდა თქვასო?!. რა თქმა უნდა, აუცილებლად სათქმელ სადღეგრძელოებს გვერდს ვერ აუვლი, მაგრამ რაღაც ჩარჩოში არ უნდა მოექცე. ვთქვათ, წასულების ხსოვნას ასე ამბობენ: ვინც ჩვენგან წავიდა, იმათი ხსოვნა იყოსო, არა?.. ასე არასდროს მითქვამს. მე ჩემებურად ვამბობ — მოდი, იმ კაცს გაუმარჯოს, ვინც ჩვენთან იყო და სიცოცხლეს გვიადვილებდა, წავიდა ჩვენგან და სიკვდილს გვიადვილებს!.. აი, ეს უკვე სხვანაირად ჟღერს. აიტაცეს ეს სადღეგრძელო და ახლა ბევრი ასე ამბობს.

**— რომელი სადღეგრძელოს თქმა გიყვართ?**

— ყოველთვის განსაკუთრებულად ვადღეგრძელებ დიასახლისებს. დიასახლისი ხომ დედაც არის!.. როდესაც სამეგობროში — ნოდარ დუმბაძესთან, გივი გეგეჭკორთან, ძმებ ჭილაძეებთან, ზაურ ბოლქვაძესთან ერთად ვქეიფობდი, ხშირად, დედის სადღეგრძელოს ცალკე ვამბობდი და მშობლებისას — ცალკე. ერთმა მითხრა — კარგი, რა, ჯანსუღ, ყოველთვის ცალ-ცალკე რატომ ამბობ ამ სადღეგრძელოებსო? — ბიჭო, გაიგეთ, დედა მამას შვილის სიყვარულში 9 თვით სჯობნის-მეთქი!.. ასე დავიძვრინე თავი, თუმცა ამაში არის სიმართლე. მამა-პაპის სადღეგრძელოებს ასე ვამბობ — საიდანაც მოდიხართ, იქიდან გაგიმარჯოთ-მეთქი. ყველაფერს სჭირდება შელამაზება. ზოგჯერ რომელიმე პოეტის სტრიქონებსაც მოვიშველიებ. სადღეგრძელოს ლექსი ამშვენებს. ამიტომ თამადამ ქართული პოეზია კარგად უნდა იცოდეს. თამადაზე ბევრი რამეა დამოკიდებული; ზოგისთვის ეს მხოლოდ პატივი და თავმოყვარეობის დაკმაყოფილებაა. სინამდვილეში კი, ეს დიდი პასუხისმგებლობაა. ერთ სუფრაზე უარი ვთქვი თამადობაზე და მივუთითე სხვაზე, ვინც გიჟდებოდა ამაზე. რა თქმა უნდა, დათანხმდა, ოღონდ — ყოველ წუთში მოირბენდა ჩემთან და მეკითხებოდა — ბატონო ჯანსუღ, ხომ არ იცით, აი, იმ კაცს რა ჰქვიაო? რამდენჯერმე რომ მოვიდა, ვუთხარი — ბიჭო, მაგათი სახელები რომ მცოდნოდა, შენ ვინ აგირჩევდა თამადად-მეთქი?! შეიძლება, სუფრაზე არავის იცნობდე და თამადობდე?.. ვერ ვიტან, ქელეხებში ჩამოწერილი რომ აქვთ ხოლმე იმათი გვარსახელები, ვინც უნდა ადღეგრძელონ. სამწუხაროდ, დღეს ყველაფერი გადაგვარდა. ახლანდელი ქელეხი, თავისი სიცილ-კისკისითა და ღრიანცელით, სამარცხვინოა. ქელეხი ქეიფად გადაიქცევა ხოლმე.






— **ბატონო ჯანსულ, თქვენ რომელი სადღეგრძელოთი იწყებთ და ამთავრებთ სუფრას?**

— მამაჩემის სამეგობროში პირველად, ქალბატონების, დიასახლისების სადღეგრძელოს ამბობდნენ და ეს ჩემთვისაც წესად იქცა. ბოლოს კი, წამსვლელ-დამრჩენებს ვადღეგრძელებ ხოლმე. არ მომწონს, როცა ამბობენ — აი, ამის შემდეგ, ესა და ეს სადღეგრძელო უნდა ითქვასო. ვითომ რატომ? როცა რომელი სადღეგრძელოს თქმა მინდა, იმას ვიტყვი. ქართული სუფრა რეჟისორის მიერ დადგმულ სპექტაკლს ჰგავს, მაგრამ თუ შემოქმედებითად მიუდგები ამ ყველაფერს, უკვე საინტერესოა.

— **გულახდილად მითხარით — როგორი ხასიათი გაქვთ სიმთვრალეში?**

— აუჰ, გენიალური!..

— **ამას თქვენი მეუღლეც დაადასტურებს?**




— აბა, რა! სიმთვრალეში ახირება და ჩხუბი არ მჩვევია. ჩხუბის დროს, ყოველთვის შუამავალი ვიყავი, მეორე დღეს კი ვეუბნებოდი ჩხუბისთავს — დამნაშავე იყავი და ბოდიში მოუხადე-მეთქი... შენიშვნებს ვერ ვიტანდი სიმთვრალეში. არ მიყვარდა, როცა მეჩხუბებოდნენ — ისევ დათვერიო?! — ახლა ნუ მეუბნები, მაინც ვერაფერს გავიგებ და ხვალ მითხარი-მეთქი, — ვეტყოდი ხოლმე მეუღლეს... ცუდი სიმთვრალე ღვინომ კი არა, არაყმა უფრო იცის. იმ კუთხის ხალხს, სადაც ღვინო არ ჰქონდათ, ძალიან ცუდი ხასიათი აქვს სიმთვრალეში — მთის ხალხს ვგულისხმობ. არაყი ნარკოტიკივითაა — 100 გრამზე მეტი არ უნდა დალიო. ღვინოსაც ვერიდები, მე უფრო ლუდის კაცი ვარ — შეიძლება, თითო ბოკალი ლუდი დავლიო ყოველდღე. საერთოდ, კაცი სიმთვრალეში გამოაჩენს თავის ნამდვილ სახეს, ალკოჰოლი ამოატივტივებს იმას, რაც შენს სხეულშია დალექილი: თუ კარგი ხასიათი გაქვს, უფრო და უფრო გალაღებული ხარ, ყველას ეფერები; თუ ცუდი ხასიათის ხარ, მაშინ გახსენდება ყველაფერი ცუდი და სუფრასაც რევ. ეს ნამდვილად კარგი თვისება აქვს ალკოჰოლს.

— **რადგან, ლუდი გყვარებიათ, ისიც მითხარით, ვის ადღეგრძელებთ ხოლმე ლუდით?**

— ლუდით ცუდი ადამიანების დღეგრძელობა კახელების მოგონილია. კახელმა რომ ნახა, ერთი ლიტრი ღვინო მანეთიც არ ღირდა, ლუდი კი — ორი მანეთი, გაგიჟდა: ვაზის ქვეყანაში ასე რატომ ხდებაო და!.. ერთ ახალ ანეკდოტს გეტყვით, უფრო სწორად — ესეც სადღეგრძელოა, ლუდით სათქმელი: ეს იმ ცოლ-ქმარს გაუმარჯოს, ღამე ერთად რომ წვანან და ორივენი კაცებზე ფიქრობენო!.. ერთ ამბავს მოგიყვებით. მამაშვილი ყანაში სადილობდა. მამამ უთხრა — შვილო, მაინც არავინ გვიყურებს და მოდი, რაკი ღვინო არა გვაქვს, სადღეგრძელოები ვთქვათ და რა მოხდა, ლუდი შევსვათ; განა, მთაში უწინ, მეფისა და საქართველოს სადღეგრძელოებს ლუდით არ ამბობდნენო?!. ადღეგრძელეს ოჯახი, სანათესავო, საყვარელი ხალხი. გამოიარა შვილის მეგობარმა და სუფრასთან მიიპატიჟეს. მოჰკიდა ჭიქას ხელი და თქვა — მოდით, ვინც ამ ლუდით ადღეგრძელეთ, მათი დედაცო!.. მოკლედ, მთელი გარჯა წყალში ჩაუყარა...

— **ბატონო ჯანსულ, სიმთვრალეში ლექსი თუ დაგიწერიათ?**

— ძალიან იშვიათად. არა მგონია, სიმთვრალეში რაიმე კარგი და ღირებული იწერებოდეს და იქმნებოდეს. ვერავინ დამაჯერებს, რომ გალაკტიონ ტაბიძე სიმთვრალეში წერდა კარგ ლექსებს... ვერის დაღმართზე პატარა დახლები იყო მოწყობილი და ერთხელ, ბიჭები იქ ვსვამდით. შემოვიდა გალაკტიონი. ჩემი ულუფა დამისხიო, — უთხრა ოფიციანტს. დაუსხეს 150 გრამი. გამიკვირდა, ვიფიქრე — რას შვრება, 150 გრამი როგორ უნდა დალიოს-მეთქი? თითები ჩაყო ჭიქაში და წვერებში შეიზილა, მერე არაყი პირში ჩაიგუბა და ცოტა ხანში, უკან გადმოასხა... ბატონო გალაკტიონ, ეს რატომ გააკეთეთ-მეთქი? — ვკითხე. — ახლა გარეთ რომ გავალ, ალბათ რამდენს ვეგონები მთვრალიო, — მითხრა... წარმოიდგინეთ, რამდენჯერ ითამაშა ასე. თურმე რამდენჯერ ყოფილა ფხიზელი, ჩვენ კი მთვრალი გვეგონა. სწორედ მის სიფხიზლეს უნდა ვუმადლოდეთ არაჩვეულებრივ ლექსებს და არა მის სიმთვრალეს... რაკი ჩვენი საუბრის თემა თამადობა და სუფრაა, ამასთან დაკავშირებით ერთ სახალისო ამბავსაც გავიხსენებ. ჩემი მეგობარი და ჩემი მეუღლის მეგობარი დაქორწინდნენ. ქორწილი მცხეთაში გადაიხადეს. თამადად მე დამნიშნეს. ავდექი და ასეთი რამ ვთქვი: ორ რამეზე არ ვაგებ პასუხს — იმაზე, ღვინო ნაღდია თუ არა და დედოფალი — ქალიშვილი-მეთქი... ატყდა სიცილ-ხარხარი... დილით დამირეკა ჩემმა მეგობარმა; როგორ ხარ, თავი ხომ არ გტკივაო? — მკითხა. — არა-მეთქი, — ვუპასუხე. — ჰოდა, ღვინო ნაღდი ყოფილა და ეს კიდევ — ქალიშვილიო!.. ამ ამბის შემდეგ, მე და ნოდარ დუმბაძე ქუთაისში ცხონებულ ჯოკია ონიანთან გახლდით სტუმრად წასული. მთაში წაგვიყვანა საქეიფოდ. „ვოლგაში“ ერთი 12 კაცი ვისხედით. გზაზე ვიღაცა ტიპი დავინახეთ, თავპირხელებიანად ყველაფერი დაბინტული ჰქონდა. ჯოკიამ მანქანა გააჩერა და ამბავი ჰკითხა — რა იყო, ბიჭო, ეგ რა მოგსვლიაო? — რა ვიცი, ჯოკია ბიძია, ჯანსულ ჩარკვიანს ედოს ჩემი ცოდვაო!.. ბიჭოს, გამიკვირდა — რა გინდა, ჯანსული მე ვარ-მეთქი. არ დამიჯერა. რა მინდა და ქორწილში რაღაც უთქვამს, მეც იგივე გავიმეორე, გამომიყვანეს, ჯორკოზე თავი დამადებინეს და ნაჯახი მირტყეს — დედოფლის ქალიშვილობას შენ ვინ გეკითხებოდა?! აბა, რაზე ხარ „ატვეჩაი“, შენი დედაო!.. იმ სულელს თურმე, ჩემი სიტყვები არ გაუმეორებია ქორწილში?! ამ ამბავზე კარგად ვიხალისეთ...

■

**„ვეფხისტყაოსნის“ ყველა პერსონაჟის გარეგნობა ავტორს ისე აქვს აღწერილი, რომ ადამიანს მგავსი სილამაზის წარმოდგენა გაგიჭირდება. ძალზე იშვიათად, მაგრამ მაინც შემხვედრია ახალგაზრდა გოგონა ან ვაჟი, რომლის გარეგნობით აღფრთოვანებულს გამიფიქრებია — ალბათ, სწორედ ასეთი ლამაზი იყო თინათინი ან ტარიელი-მეთქი.**

**უნაკლო გარეგნობით ბუნება არცთუ ისე უხვად აჯილდოებს ადამიანებს. ლამაზი ქალის ბედი კი ხშირად ტრაგიკულად ვითარდება და ყოველთვის საზოგადოების მითქმა-მოთქმის საგანი ხდება. ზოგჯერ ასეთ ფრაზასაც გაიგონებთ — საკუთარმა სილამაზემ დაღუპაო. დღევანდელი ჩვენი განსჯის საგანიც სწორედ დამღუპველი სილამაზე გახლავთ.**




*მარი ხაზარიძე*

*პირველი რესპონდენტი არაჩვეულებრივი გარეგნობის ახალგაზრდა ქალბატონი გახლავთ, რომელიც ერთ-ერთი ცნობილი ქართველი ბიზნესმენის ოფისში მუშაობს. ჩვენი პირველი შეხვედრა სწორედ იქ მოხდა. შემდეგ კი, ეს საინტერესო ამბავი მოვისმინე:*

**ნატო:**

— ბავშვობაში ერთი ჩვეულებრივი, გაკნაჭული, სათვალიანი გოგო ვიყავი. დაქვეითებული მხედველობის გამო, კომპლექსი მაწუხებდა: სათვალის გამო ხან ბუს, ხან — „აჩკარიკას“, ხანაც — ოთხთვალას მეძახდნენ... როდესაც სკოლა დავამთავრე, რაიონიდან თბილისში გადმოვედი საცხოვრებლად. უმაღლეს სასწავლებელში პირველ წელს განგებ არ ჩავაბარე, რადგან მინდოდა, ჯერ გარეგნობისთვის მიმეხედა, სათვალე მომეშორებინა და ქალაქელ გოგოს დავმსგავსებოდი. შესაძლოა, ეს სასაცილოდ მოგეჩვენოთ, მაგრამ მთელი 16 წელი ისე ვიყავი გატანჯული ჩემი იერის გამო, რომ არ მინდოდა, ახალშეძენილ მეგობრებს სცოდნოდათ, როგორი ვიყავი წინათ. ერთი წელი მისაღებ გამოცდებზე ჩასაბარებელ საგნებში მომზადებასა და საკუთარი გარეგნობის გაუმჯობესებას დავუთმე. აღვიდგინე მხედველობა და სათვალე მოვიშორე, ცხენის კუდივით განასკვული თმა შევიჭერი და მაგარი „პრიჩო“ დავიყენე; ფართხუნა კაბები, მოტკეცილი ჯინსითა და მინიქვედაბოლოთი შევცვალე, გულამოჭრილი ბლუზები შევიძინე და მაღალქუსლიან ფეხსაცმელსაც მივეჩვიე. ჩემი ძმის ძმაკაცებმა ვეღარც კი მიცნეს, როცა ერთ-ერთი მათგანის დაბადების დღეზე ძმასთან, აკაკისთან ერთად ასეთი, იმიჯშეცვლილი გამოვცხადდი. ყველას აკაკის ნაშა ვეგონე... მერე გადარეულები მივლიდნენ გარშემო და მეუბნებოდნენ — გოგო, ამსიმაღლე ფეხებს სად მალავდი? ბიჭოს, რა მაგარ ქალს ვერ ვამჩნევდითო!.. ერთად-ერთი, რაც ჩემს გარეგნობაში არ მაკმაყოფილებდა, მკერდი იყო, მაგრამ ვინაიდან საკმარისი თანხა არ მქონდა, მისი გაზრდა სამომავლოდ გადავდე. ერთი წლის შემდეგ, სტუდენტი გავხდი და სულ მალე, „გეპეიში“ ულამაზეს გოგოდაც მაღიარეს. მე თვითონ კი, კომპლექსებსა და სიმორცხვეს დავემშვიდობე და თავკერძა გოგოდ გადავიქეცი... ბიჭები მაწუხებდნენ, სიყვარულს მეფიცებოდნენ, ჩემი ფანჯრების წინ ათენ-აღამებდნენ, მაგრამ მე არავის ვთვლიდი ჩემს ღირსად. მესამე კურსზე რომ გადავედი, მკერდის პლასტიკური ოპერაციაც გავიკეთე და უკვე მართლაც კმაყოფილი ვიყავი ჩემი გარეგნობით... სულ მალე, ერთმა ბიჭმა მომიტაცა, რომელსაც წესიერად არც კი ვიცნობდი. ისეთი შეუხედავი და უშნო იყო, რომ ვუყურებდი, თავის მოკვლა მინდოდა. მშობლებს ვემუდარებოდი, წამიყვანეთ, აქ თუ დამტოვებთ, თავს არ ვიცოცხლებ-მეთქი. დედა თითქოს დავითანხმე, მაგრამ მამაჩემი გაჯიუტდა: — ნატო ძალზე ლამაზია, განათხოვარსაც არავინ მოასვენებს, ხელიდან წავა და თავი მოგვეჭრება, ჯობს, ქმარი ჰყავდეს, ლამაზია თუ უშნო, მისი იღბალი ეგ ყოფილაო... ერთი სიტყვით, დათოს ცოლი გავხდი. ინსტიტუტში ქმარი თან დამყვებოდა, აჩრდილივით სულ ჩემ გვერდით იყო. იცოდა, რომ ძალზე ბევრ ბიჭს ვუყვარდი და ეშინოდა, რომელიმე თაყვანისმცემელთან არ მეღალატა (ამას ჩხუბის დროს ხშირად ვეუბნებოდი ხოლმე). მაგრამ 5 თვის ორსული ვიყავი, როცა ერთ-ერთმა თაყვანისმცემელმა მომიტაცა. ქმართან ერთად ინსტიტუტიდან შინ ვბრუნდებოდი, როცა დათოს ოთხმა ბიჭმა ჩხუბი აუტეხა, ხოლო მე სამმა მანქანაში „ჩამტენა“. ამ ამბავს დიდი შეხლა-შემოხლა მოჰყვა. ჩემმა „ძველმა“ და „ახალმა“ ქმრებმა იჩხუბეს. ყველა გაოგნებული იყო ამ ამბით... ჩემი შვილი მამინაცვლის ხელში დაიბადა. გიორგი გაცილებით უკეთესი იყო გარეგნობითაც და ხასიათითაც, ვიდრე დათო, მაგრამ არც ის მიყვარდა. ამიტომ სულ ვჩხუბობდით და ვეუბნებოდი ხოლმე — ჩემი მოტაცებისთვის სამაგიეროს ღმერთი გადაგიხდის-მეთქი!.. ბავშვი 2 წლის იყო, როცა ჩემი მეორე ქმრის მეზობელმა, 28 წლის მამაკაცმა მომიტაცა. მანამდე ცდილობდა, დამკონტაქტებოდა, ხელსაყრელ მომენტს ელოდა, რომ გამსაუბრებოდა, თითქოს მეზობლურ-მეგობრულად, მაგრამ ვგრძნობდი, რაც ამოძრავებდა და თავს ვარიდებდი... ძალზე ძნელია, როცა არავინ გეკითხება, თუ რა გინდა, ვისი ცოლობა გეხატება გულზე და საერთოდ, გინდა თუ არა ქმარი... ჩემი მესამედ მოტაცების ამბავმა ქვეყანა შეძრა. ნათესავები აღარც კი ცდილობდნენ, ჩემი მომდევნო ქმრის გაცნობას... ის მართლაც ქორივით დამტრიალებდა თავზე, ყველა სურვილს მისრულებდა და თვალებში შემომციცინებდა. მაგრამ ნამდვილად არ მქონდა მასთან გაჩერების სურვილი. მივატოვე და შვილთან ერთად მშობლებთან დავბრუნდი. ვიშოვე სამსახური და გადა-

ვწყვიტე, რომ ჩემს ცხოვრებაში მამაკაცი აღარ გამეჭაჭანებინა... სამსახურის წყალობით ხშირად მიწევდა სხვადასხვა ორგანიზაციაში სიარული ხელშეკრულების გასაფორმებლად. ერთ-ერთ სამინისტროში მისული, დერეფანში ახალგაზრდა მამაკაცს გადავეყარე. თვალი ვერ მომაცილა. გვერდით ჩამიარა, შემდეგ უკან მობრუნდა, დამეწია, გამაჩერა და მკითხა, ვისთან მივდიოდი. ვუპასუხე... შემდეგ თავის კაბინეტში შემიპატიჟა და მდივანს დაავალა, დაეხმარე საბუთების მოწესრიგებაშიო. ეს კაცი მინისტრის მოადგილე გახლდათ... სულ მალე, ის ჩემი საყვარელი გახდა. ცოლშვილიანი იყო და ჩვენს ურთიერთობას საგულდაგულოდ მალავდა. მაგრამ რამდენიმე ხანში მისმა ცოლმა მაინც იყნოსა რაღაც და ჯერ შინ მომივარდა, თმით მითრია, მლანძღა და მაგინა, შემდეგ კი, სადარბაზოში დამიდარაჯდა და სახეზე მჟავა შემომასხა. თავის გაწევა მოვასწარი, მაგრამ სახის მარჯვენა მხარეს რამდენიმე წვეთი მაინც მიმეშხეფა. დამწვარი ადგილები ნაიარევად დამრჩა, მაგრამ ჩემს სილამაზეს ვერაფერი დააკლო... შემდეგ მოხდა ვარდების რევოლუცია, ჩემი საყვარელი სამსახურიდან დაითხოვეს და ოჯახთან ერთად უცხოეთში გაემგზავრა... ჩემი დღევანდელი ცხოვრების შესახებ საუბარი არ მინდა. ეს ჯერჯერობით ჩემი საიდუმლოა.

*შემდეგ ამბავს ტრაგიკული დასასრული აქვს და სულ ახლახან, ორიოდე თვის წინ მოხდა. ულამაზესი მარიამის შესახებ დედა, ქალბატონი მზია გვიამბობს. ჩემ წინ, მაგიდაზე მარიამის სურათებია გაშლილი. ქალბატონი მზია სათითაოდ მაწვდის ფოტოებს — აი, აქ უფრო ლამაზია ჩემი შვილი... არა, აი, აქო... მაგრამ ნებისმიერ ფოტოს რომ დასწვდეთ, იქიდან ლურჯი თვალებით მომზირალი, ენით აუწერელი სილამაზე შემოგცქერით...*

*ქ-ნი* **მზია:**

— მარიამი ჩემი და ოთარის ერთადერთი, ნანატრი შვილი იყო, რომელიც ქორწინებიდან მხოლოდ მეშვიდე წელს შეგვეძინა. ისიც მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ექიმებსა თუ ექიმბაშებთან სიარულით დაღლილი, ბოდბეში, წმინდა ნინოს საფლავსა და სასწაულმოქმედ, ღვთისმშობლის ხატს ვეახლე და შვილი შევთხოვე. პატარაობიდანვე, საოცარი სილამაზის ბავშვი იყო. ქერა კულულები მუდამ შუბლზე ჰქონდა ჩამოშლილი და ლურჯი, მბრწყინავი თვალებით ყველას გულს ინადირებდა. რაც უფრო ემატებოდა ასაკი, მით უფრო მშვენდებოდა ჩემი გოგონა... 14 წლის იყო, როდესაც მასზე 10 წლით უფროსმა ბიჭმა მოიტაცა. ლევანი სამეგრელოს ერთ-ერთ სოფელში ცხოვრობდა. მარიამიც იქ წაიყვანა. მთელი 7 წლის განმავლობაში, ჩემი გოგონა მიყრუებულ სოფელი ცხოვრობდა, ძროხებს წველიდა, სახლ-კარს უვლიდა და დილიდან საღამომდე შრომობდა. თან ქმრის უხასიათობასა და ცემა-ტყეპას იტანდა... ლევანთან ერთი შვილი შეეძინა, ეკატერინე, რომელიც ახლა უკვე 13 წლისაა. ერთ დღეს, მარიამთან სტუმრად წავედი. ადგილზე მისულს, ლამის გული გამისკდა: ორივე თვალი ჩალურჯებული ჰქონდა, მაჯა კი, ბინტით შეხვეული. თურმე, ქმარს უმოწყალოდ უცემია, მას კი ვენები გადაუჭრია და ძლივს გადაურჩენიათ. მარიამს არასოდეს დაუჩივლია ჩემთან, რომ ქმარი ასე სასტიკად ექცეოდა. ამიტომ ძალზე მოულოდნელი იყო ჩემთვის ამის დანახვა. მეორე დღესვე ჩავკიდე ხელი შვილსა და შვილიშვილს და თბილისში წამოვიყვანე. მთელი წელი დასჭირდა შრომისგან დახეთქილი ხელებისა და ფეხისგულების მოშუშებას. სახეზეც ძველებური იერი დაედო, უშნოდ შეკრეჭილი თმაც გაეზარდა და მარიამმა თავისი ძველი სილამაზე დაიბრუნა — თითქოს მბრწყინავ, დამტვერილ ნივთს ჭუჭყი მოაცილესო... იმისათვის, რომ მარიამისთვის იოლი ყოფილიყო ძველი ცხოვრების დავიწყება, სამსახური გამოვუძებნეთ. მუშაობა ერთ-ერთ სახელმწიფო ორგანიზაციაში დაიწყო. ბუნებრივია, უამრავი თაყვანისმცემელი გამოუჩნდა. მას კი გული არავისკენ მიუწევდა... რამდენიმე თვის შემდეგ გაიცნო ახალგაზრდა მამაკაცი, რომელიც ერთ-ერთი მაღალჩინოსნის დაცვის უფროსად მუშაობდა. იმ ბიჭმა მოიტაცა. თავდაპირველად, ყველაფერი კარგად იყო. შემდეგ დაიწყო ეჭვიანობა, მარიამს ეჩხუბებოდა და ხშირად მუშტი-კრივზეც გადადიოდა. მარიამმა ვეღარ გაუძლო და მისგანაც წამოვიდა... ამ ამბიდან ერთი წელი იყო გასული, როცა მარიამს ერთი მამაკაცი გადაეკიდა და მოსვენებას აღარ აძლევდა. ის ცნობილი ყაჩაღი გახლდათ. ჩემი გოგონა უარს ამბობდა მასთან ურთიერთობაზე, მაგრამ გელა ემუქრებოდა, აშინებდა, გასაქანს არ აძლევდა და მარიამი იძულებული გახდა, მას ცოლად გაჰყოლოდა. 4 თვის შემდეგ, გელა დაიჭირეს და 12 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. ბუნებრივია, მარიამი ქმრის სანახავად ციხეში დადიოდა. ერთ-ერთი ასეთი ვიზიტის დროს, მისთვის თვალი მოუკრავს ძალზე გავლენიან კრიმინალურ ავტორიტეტს. ცოტა ხნის შემდეგ, მას გელასთან კარტი უთამაშია და როცა ჩემი სიძისთვის ყველაფერი მოუგია, ბოლო „კონში“ საკუთარი ცოლის „ჩადება“ შეუთავაზებია... მოკლედ, გელამ მარიამი კარტში წააგო და პაემანზე დაიბარა. რა თქმა უნდა, ჩემმა შვილმა ამის შესახებ არაფერი იცოდა. პაემნის ოთახში გელას ელოდა, როცა უცხო კაცი წამოადგა თავზე. მარიამმა წინააღმდეგობა გაუწია, იმან კი გელას დაუძახა. ცოლის პირისპირ თავდახრილად მდგარმა ნაძირალამ უთხრა — დღეიდან ამ კაცს ეკუთვნი და თუ იმას არ გააკეთებ, რასაც გეტყვის, შენც მოგკლავს და შვილსაც მოგიკლავსო... იმ დღიდან, ჩემი შვილი შეიცვალა. სმა დაიწყო... შინ, მარტოსაც დაულევია, შემდეგ კი მოთქმით უტირია... მერე ნარკოტიკსაც მიეჩვია, უცხო მამაკაცებიც აკითხავდნენ და ვხვდებოდი, რომ შვილი ხელიდან მეცლებოდა... საყვარელს საყვარელზე იცვლიდა, შინ გამუდმებით მთვრალი ან „განგრეულ კაიფში“ მყოფი მოდიოდა ხოლმე... ამ ერთი წლის წინ, კვლავ კრიმინალური ავტორიტეტის ხელში აღმოჩნდა. გოჩა ძალზე მკაცრად ექცეოდა, უშლიდა სმას, არ აძლევდა საშუალებას, რომ წამალი გაეკეთებინა, გვერდიდან არ იშორებდა და მუდმივი კონტროლის ქვეშ ჰყავდა. ფულსა და ძვირად ღირებულ ნივთებს არ აკლებდა, მანქანაც კი უყიდა და ეკატერინესთვისაც არაფერს იშურებდა. ამის სანაცვლოდ, მარიამისგან მხოლოდ სიყვარულსა და ერთგულებას ითხოვდა. ჩემი შვილი გამოსწორდა, დამშვიდდა, მაგრამ ხანდახან, მაინც სვამდა — ისიც მაშინ, როცა დარწმუნებული იყო, რომ გოჩას იმ დღეს არ შეხვდებოდა. ერთხელ გოჩამ სწორედ იმ დროს დარეკა, როცა მარიამი მთვრალი იყო, თავი ჩემს კალთაში ედო და ტიროდა. ამბობდა — წარსულის დავიწყება მინდაო... ტელეფონის ყურმილიდან გარკვევით მესმოდა, როგორ ეჩხუბებოდა გოჩა. მარიამი კი თავის მართლებასაც არ ცდილობდა, მხოლოდ დაჟინებით ეკითხებოდა — სად ხარო? ბოლოს ყურმილში ჩასძახა — ახლავე შენთან მოვალო! — მანქანის გასაღებს დაავლო ხელი და კიბეზე სირბილით დაეშვა. გავეკიდე, მაგრამ ოთახში დატოვებულმა მისმა მობილურმა დარეკა და მივბრუნდი. გოჩა იყო. არ გამოუშვათო, — მეხვეწებოდა, მაგრამ უკვე დავიგვიანე... გოჩა კერძო სახლში ცხოვრობს, სახლს გარშემო დიდი ქვის გალავანი აქვს შემოვლებული. ჩემი შვილი სწორედ ამ გალავანს შესკდომია მანქანით. თვითმხილველებმა თქვეს — როდესაც მარიამმა ქუჩაზე შემოუხვია, საშუალო სიჩქარით მოდიოდა, სახლს მიუახლოვდა თუ არა, გაჩერდა, მანქანა უკან დახია, გალავანს 100-150 მეტრით დაშორდა, მერე უცებ მოსწყვიტა ადგილს მანქანა და მთელი სისწრაფით შეასკდა

კედელსო... ჩემმა გოგონამ იქვე დალია სული. ძალზე მძიმედ გადავიტანეთ მარიამის დაღუპვა. გოჩაც უზომოდ განიცდიდა. ახლა პატარა ეკატერინეს ვზრდით. დედის მეგობარი ყურადღებას არ აკლებს. ვიმედოვნებთ, რომ ეკას, დედის მსგავსად არ დაღუპავს ის სილამაზე, რომელიც მარიამისგან მემკვიდრეობად ერგო...

ქართველი ქალის სილამაზით ბევრი მოხიბლულა და ბევრს ხოტბაც შეუსხამს, მაგრამ ისტორიას ისეთი ამბებიც შემოუნახავს, როცა ქალის სილამაზეს არა მარტო მისი ბედი წარუმართავს უკუღმა, არამედ მთელი ერისთვისაც საბედისწერო გამხდარა...

XVII საუკუნის საქართველოში ვახტანგ მეხუთის ძმისშვილის თამარის მშვენიერება ყველას პირზე ეკერა. თამარი ათეული წლების მანძილზე, დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავართა საცილობელ საგნად იყო ქცეული და მის გამო ბევრი სისხლი დაიღვარა... ვახტანგმა ულამაზესი თამარი ოდიშის მთავარ ლევან დადიანს შერთო ცოლად. მალე იმერეთის ტახტი ბაგრატ მეოთხემ დაიკავა. იმ პერიოდში, საქართველოში ძალზე არასტაბილური მდგომარეობა იყო. შინაომები რომ შეწყვეტილიყო, იმერეთის თავკაცებმა, კათალიკოს სვიმონ ჩხეტიძის მეთაურობით, უცნაურ საშუალებას მიმართეს: მათ ლევან დადიანი ცოლს გაჰყარეს და თამარი ბაგრატს შერთეს. მალე ბაგრატს ახალი მეტოქე გამოუჩნდა გიორგი გურიელის სახით, რომელიც „ეტრფიალა ცოლსა ბაგრატ მეფისასა თამარს, მცდელობდა წაგურასა და თვით შერთვასა და ვერ ეწია. ამისთვის ევედრა ახალციხის ფაშასა, რათა წარგუაროს ბაგრატ მეფესა და მისცეს მას და აღუთქუა ქრთამი დიდი“ („ქართლის ცხოვრება“). ბაგრატმა 7 წელი იმეფა, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში არ შეწყვეტილა შინაომები, რომელთა ერთ-ერთი მიზეზი თამარი იყო. „მეფე-მთავრებს შორის ატეხილ ომში იგი ხელიდან ხელში — დამარცხებულიდან გამარჯვებულზე გადადიოდა. მისი დაკარგვით გახელებული ლევან დადიანი თუ მისი სილამაზით მოხიბლული გიორგი გურიელი გაafთრებით ებრძვიან უკვე უსინათლო ბაგრატს და პირველ რიგში, თამარის დაუფლებას ცდილობენ. ასე რომ, სვიმონ კათალიკოსისა და სხვა მთავრების მიერ განხორციელებულმა ზემოთ აღნიშნულმა „ორიგინალურმა“ საქორწინო მანიპულაციამ იმერეთში შინაომი კი არ ჩააქრო, არამედ კიდევ უფრო მეტი ძალით აღაგზნო“ (ნოდარ ასათიანი, „ნარკვევები“). 1671 წელს, ლევან დადიანმა კიდევ ერთხელ გაილაშქრა ბაგრატ მეფის წინააღმდეგ, მაგრამ დამარცხდა. ამ ბრძოლაში უამრავი ადამიანი დაიღუპა. ბაგრატის მებრძოლებმა „მოსრნეს სპანი მისნი და ლტოლვილი დადიანი შეიპყრეს და მისთანა მრავალნი სხვანი“ („საქართველოს ისტორიის ნარკვევები“). 1672 წელს კი, გიორგი გურიელი თურთქა ჯარით იმერეთში შეიჭრა თამარის ხელში ჩასაგდებად. ბაგრატ მეფემ დედოფალი თამარი კვარიათის ციხეში გახიზნა, რომლის აღებაც თურქებმა ვერ შეძლეს. გურიელმა საწადელი ვერ აისრულა. ამჯერადაც უამრავი ადამიანი ემსხვერპლა თამარის მიმართ გურიელის გრძნობას. ბაგრატმა გადაწყვიტა, გიორგი შემოერიგებინა და აბეზარი მოძალადე ჩამოეშორებინა. ადგა და მას ცოლად შერთო თავისი ასული დარეჯანი, „ნაშობი თამარისაგან“. ასე და ამგვარად, ვისაც გურიელი ეტრფოდა, ის მისი სიდედრი გახდა... 1678 წელს, ახალციხის ფაშის, ოდიშის მთავარ ლევან დადიანისა და იმერეთის დიდებულების მხარდაჭერით ტახტი არჩილ მეფემ დაიკავა. ბაგრატმა აწ უკვე სიძეს — გიორგი გურიელს მიაშურა თავშესაფრისთვის, ხოლო თამარი კვარიათის ციხეში დატოვა. არჩილმა გამოიყვანა ციხიდან თამარ დედოფალი და პირველ ქმარს, ლევან დადიანს დაუბრუნა. იმავე წელს, ბაგრატ მეფემ არჩილის წინააღმდეგ გაილაშქრა, დაამარცხა, ოდიშიდან განდევნა და თამარ დედოფალს კვლავ დაეუფლა. ორი წლის შემდეგ (1681 წელს) ბაგრატი გარდაიცვალა, მისი ტახტი გიორგი გურიელმა დაიკავა და თავის მეფობის დასაწყისი იმით აღნიშნა, რომ გაეყარა თავის კანონიერ ცოლს, ბაგრატ მეფისა და თამარის ასულს და თავის სიდედრზე, დედოფალ თამარზე დაქორწინდა. 1683 წელს, ბაგრატის ძე, ალექსანდრე IV გამეფდა. გურიელმა ისევ გურიას მიაშურა, ხოლო მისი ცოლი თამარი ოდიშში წავიდა, რათა ოდიშარნი დაეყოლიებინა იმაზე, რომ ალექსანდრე მეფისთვის მხარი არ დაეჭირათ და მიმხრობოდნენ გურიელს, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. იმავე წელს, თამარი ოდიშში გარდაიცვალა...

თურმე მხოლოდ ბუნებრივ სილამაზეს როდი შეუძლია ადამიანის დაღუპვა. გავიხსენოთ გალათეა, რომელიც პიგმალიონმა საკუთარი ხელით სპილოს ძვლისგან გამოკვეთა. ავტორმა თავისი ხელთქმნილი ულამაზესი ქალის ქანდაკება ისე შეიყვარა, რომ სასოწარკვეთილებაში ჩავარდა... არსებობს კიდევ ერთი, ხისგან გამოთლილი, ოქროსთმიანი ქალის ქანდაკება, რომელსაც ატალანტე ჰქვია და ამჟამად, იტალიაში, ქალაქ ლა-სპეზიის მუზეუმში ინახება. გალათეასგან განსხვავებით, ლეგენდა ატალანტეს შესახებ ნაკლებადაა გავრცელებული. მის შესახებ ცნობილი გახდა 1866 წელს, როცა ხმელთაშუა ზღვაში, იტალიის სამხედრო გემის, „ველოსის“ მეზღვაურებმა ზღვაში მოტივტივე ქალის ფიგურა შენიშნეს და მის გადასარჩენად ყოველი ღონე იხმარეს. აღმოჩნდა, რომ „გადარჩენილი ქალი“ ოქროსთმიანი, ხისგან გამოკვეთილი შიშველი ქალის ქანდაკება ყოფილა, რომელიც მომცრო ზომის ხის კვარცხლბეკზე იდგა. მასზე მკვეთრად იკითხებოდა წარწერა — „ატალანტე“. ლა-სპეზიის მუზეუმს სწორედ ამ გემის მეზღვაუზებმა ჩააბარეს ქანდაკება. 1926 წელს ატალანტე შეიყვარა მუზეუმის თანამშრომელმა. ერთხელ, ქანდაკებას მტვერს რომ აცლიდა, თავი ვერ შეიკავა, მოეხვია და ალერსი დაუწყო... უცნაური მიჯნური სასოწარკვეთილებაში ჩავარდა, ერთ საღამოს, ზღვისკენ წავიდა და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაამთავრა...

1943 წელს, როცა ქალაქ ლა-სპეზიის სამხედრო-საზღვაო ბაზაზე ჰიტლერელთა ჯარი დაბანაკდა, ერთ-ერთმა ოფიცერმა მუზეუმში შეიარა, ატალანტე ნახა და მისი შინ წაღება მოინდომა. წინააღმდეგობის გაწევა ვერავინ გაბედა და ქანდაკება მალე გერმანელი ოფიცრის საკუთრებად იქცა. მთელი წლის განმავლობაში, ის გულმოდგინედ მალავდა ქანდაკებას და უახლოეს მეგობრებსაც არ უჩვენებდა. 1944 წლის 13 ოქტომბერს, გაცხარებული ომის დღეებში, ის სამსახურში არ გამოცხადდა... მისი ბინის კარი შეამტვრიეს და საოცარი სურათი იხილეს: ატალანტეს ფეხებთან გართხმულ ოფიცერს შუბლი ტყვიით ჰქონდა გახვრეტილი. მარჯვენა ხელში იარაღი ეჭირა, მარცხენაში კი დაჭმუჭნილი ქაღალდი, რომელზეც ეწერა: „არც ერთ ქალს არ შეეძლო ჩემთვის ის სილამაზე ეჩვენებინა, შენ რომ მაჩუქე, ატალანტე!“ სანაცვლოდ ჩემს სიცოცხლეს გთავაზობ“... ეს ოფიცერი ერიკ კურცი გახლდათ, რომელმაც ხისგან გამოკვეთილი, საოცარი სილამაზის დასაკუთრება მოინდომა... ატალანტე კვლავ მუზეუმში დააბრუნეს და ახლა ის — ხისგან გამოკვეთილი „დამღუპველი სილამაზე“ — ამაყად დგას და მნახველებს თავის მშვენიერებით ატკბობს. მუზეუმის თანამშრომლები კი, დიდი გულმოდგინებით იცავენ ამ იშვიათ ნაკეთობას, რადგან მუზეუმში თურმე, ხშირად იგზავნება მუქარით სავსე წერილები: თქვენ თვითონ მოსპეთ ქანდაკება, თორემ გავიტაცებთ და დავასახიჩრებთო... რამდენიმე წლის წინ იტალიის პარლამენტს ასეთი წინადადებითაც კი მიმართეს — საჯაროდ დაეწვათ ქანდაკება ისე, როგორც წინათ, ავსულებსა და კუდიანებს წვავდნენ.

■

# სასწავლო წელი იწყება

***რუბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამაცაშვილი***

**სულ მალე, ახალი სასწავლო წელი იწყება. ჯერ კიდევ არის დრო, დავეხმაროთ ბავშვს, ფსიქოლოგიურად მოემზადოს თანაკლასელებთან და მასწავლებლებთან შესახვედრად. ექვსწლიანთა მშობლებს კი, ჯერ კიდევ შეუძლიათ, დაფიქრდნენ, ღირს მათი პატარის შეყვანა სკოლაში, თუ უმჯობესია, ერთი წელი კიდევ მოიცადონ.**

## პესიმიზმშერეული დღესასწაული

ტრადიციულად, სასწავლო წლის დაწყება დღესასწაულად ითვლება. ახალი სასწავლო წელი, ცხოვრების ახალი ეტაპი, ახალი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალებაა. ერთი შეხედვით ამისაკენ ყველა უნდა ისწრაფოდეს, მაგრამ სამწუხაროდ, დღევანდელი სტატისტიკა ასეთი არ არის — მოსწავლეებს სწავლა არ უნდათ. უკეთეს შემთხვევაში, ისინი მშობლების ხათრით სწავლობენ. ამის მიზეზი უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში განვითარებული ინფორმაციული ბუმია. თუ ოთხმოციანი წლების მოსწავლე ზაფხულის არდადეგების დასრულებას სიახლეთა მოლოდინით ხვდებოდა, დღევანდელი ბავშვის გაკვირვება რაიმეთი ძნელია. დღეისათვის ბავშვების განკარგულებაშია კომპიუტერები, სათამაშო მოწყობილობები, ვიდეოტექნიკა და ტელევიზია უამრავი გასართობი გადაცემით. ბავშვები ინდივიდუალურები გახდნენ, დაჭკვიანდნენ, დაკარგეს უშუალობა, თანატოლებთან ურთიერთობასაც აღარ აქვს წამყვანი როლი, რაც განსაზღვრავდა სკოლაში წასვლის სურვილს. ასეა თუ ისე, რაკიღა სასწავლო წლის დაწყება დღესასწაულია, ჩვენც უნდა ვიზეიმოთ. თუმცა არ დაგვავიწყდეს ის რეალური სიძნელეები, რომლებიც ამ დროს უნდა გადავლახოთ.

## ექვსი წლისანი _ მშობელთა მსხვერპლნი?

ასაკობრივ ფსიქოლოგიაში არსებობს ტერმინი „სასკოლო სიმწიფე“. იგი იმას ნიშნავს, რომ ბავშვმა სკოლაში მისვლის მომენტისთვის უკვე გადალახა განვითარების სერიოზული კრიზისი და სათამაშო მოღვაწეობიდან სასწავლო მოღვაწეობაზე გადავიდა. თუ კრიზისის დროში გაიწელა და „სიმწიფე“ არ არის მიღწეული, ბავშვი სკოლისთვის მზად არ არის. მისი ყურადღება და მეხსიერება სერიოზული სწავლების პროცესისთვის არ მომწიფებულა, აზროვნება ჯერ ისევ კონკრეტულია და არ შეუძლია სასკოლო მასალის განზოგადება და ანალიზი. გარდა ამისა, პატარას ჯერ არ დაუმთავრებია თავისი „წილი თამაში“.



„სასკოლო უმწიფრობის“ მსხვერპლნი ყველაზე ხშირად ის ექვსი წლის ბავშვები ხდებიან, რომელთა მეტისმეტად მონდომებული მშობლები, ნაადრევად „აზუთხვინებენ“ კითხვასა და ანგარიშს და არც კი ფიქრობენ, რომ მათი პატარა ჯერ არ არის მზად სერიოზული გამოცდებისთვის. შედეგი კი ის არის, რომ ბავშვს არ უნდა სკოლაში წასვლა, კარგავს სწავლის ინტერესს და მისი მოსწრებაც საკმაოდ დაბალია. როგორ განვსაზღვროთ, მივიყვანოთ თუ არა ექვსი წლის ბავშვი სკოლაში? ეს ძალიან მარტივია: თუ ბავშვს არ უნდა სკოლაში, მაშასადამე, იგი ამისთვის ჯერ მზად არ არის.

## მითები „სახლის“ ბავშვებზე

არსებობს მოსაზრება, რომ „სახლის“ ბავშვებს ყველაზე მეტად უჭირთ სკოლასთან ადაპტაცია. ეს მითი სულაც არ არის მართალი. სკოლამდელი, რომელსაც არ აძულებდნენ, დამორჩილებოდა უმრავლესობის ნებას და ისე ეპყრობოდნენ, როგორც პიროვნებას, საბავშვო ბაღში აღზრდილზე უფრო იოლად შედის სკოლის კოლექტივში, დამოუკიდებელია და განწყობილია სწავლისათვის და არა ურთიერთობებისათვის.

## სადარდებელი ბედნიერებისაგან

პატარას სირთულეები შეიძლება შეუქმნას ოჯახში არსებულმა არასასურველმა ფონმა. ასეთ ფონად შეიძლება ჩაითვალოს ისეთი ბედნიერი მოვლენა, როგორიცაა: მისი პატარა ძმის ან დის დაბადება, თუკი ეს მოვლენა პირველი შვილის სკოლაში წასვლის პერიოდს ემთხვევა. ცვლილებას ბავშვი ძალიან მტკივნეულად აღიქვამს. მისთვის სკოლაში სიარული იძულებითი მოვალეობა ხდება და დარწმუნებულია, რომ მის შინ არყოფნისას დედა უმცროს შვილს ეფერება. ამიტომ თუ ანალოგიური მდგომარეობა გაქვთ ოჯახში, ეცადეთ, უფროს შვილს მეტი ყურადღება დაუთმოთ, ნუ გადააქცევთ მას ძიძად. ოჯახის ემოციური ფონი გადამწყვეტ როლს თამაშობს პირველკლასელის ცხოვრებაში.

## ვიმუშაოთ მშობლის შეცდომებზე

თუ ბავშვს სწავლის სურვილი არ აქვს, ამაში შესაძლოა არასწორი განწყობილებაც იყოს დამნაშავე. არიან მშობლები, რომლებსაც გამუდმებით არ მოსწონთ თავიანთი შვილები და ყოველთვის სხვებს ადარებენ მათ. სკოლაში განცხადების შეტანისთანავე ასეთი დედა შინ დაბრუნებისას მეუღლეს უყვება: „იქ სულ კარგი ბავშვები არიან, ყველა კარგად კითხულობს, ჩვენს შვილს ასე სად შეუძლია“. სწავლის დაწყებისას კი ირკვევა, რომ თქვენი შვილი მათზე ცუდად არ კითხულობს, მაგრამ სკოლაში წასვლა კი აღარ სურს.

აი, კიდევ ერთი ვარიანტი. ხშირად მშობლები კონფლიქტურ სიტუაციაში პატარებს ეუბნებიან: „ერთი ვნახოთ, სკოლაში ვინ შეგიკრავს ზონრებს!“ ანდა „სკოლაში გასწავლიან, როგორ უნდა წესიერად მოქცევა!“ ბავშვი კი წარმოიდგენს მოსალოდნელი „ტერორის“ სურათებს. ამიტომ მშობლებო, დაუკვირდით, რას ლაპარაკობთ!

სწავლის დაწყება როგორ უქციოთ ჩვენს პატარას მართლაც დღესასწაულად?

1. წინასწარვე მიაჩვიეთ ბავშვი ადრე ადგომას, რათა სწავლის დაწყება არ ასოცირდებოდეს მისთვის დილით ადრიანად გაღვიძების სიძნელეებთან.



ბები, ეცადეთ, გამუდმებით იყოთ ჩართული სასკოლო ცხოვრების საქმის კურსში.

## „არ მინდა სკოლაში წასვლა"

მეშვიდე-მეათეკლასელ ბავშვებში ხშირია „საზიზღარი ბატის ჭუკის" სინდრომი. სწავლის დაწყების წინადღეს შეამჩნევთ, რომ თქვენმა შვილმა მოიწყინა და არ სურს სკოლაში წასვლა, თანატოლებთან შეხვედრა. ეს იმას ნიშნავს, რომ ბავშვი ზედმეტად განიცდის მოზარდობის კომპლექსებს. ზაფხულის განმავლობაში მას შესაძლოა ძლიერი ჰორმონული ცვლილებები დაეწყო. გოგონებს ეცვლებათ ფიგურა. მათ არ სურთ ასეთი ცვლილებებით თანატოლთა ყურადღების ცენტრში მოხვდნენ. ასეთი კომპლექსი განსაკუთრებით მორცხვ გოგონებს უყალიბდებათ. სარკის წინ ტრიალისას მოზარდი გოგონა საკუთარ თავს გამოუტანს განაჩენს: „მახინჯი ვარ".

იგივე ემართებათ ბიჭებსაც. ძნელი დასაჯერებელია, რომ ჩირქოვანი გამონაყარი სახეზე სწავლაზე უარის თქმის მიზეზი შეიძლება გახდეს, მაგრამ უმეტესწილად ასეა. კომპლექსი უყალიბდებათ ბიჭებსაც, რომლებიც ნელა იზრდებიან და სიმაღლეში ჩამორჩებიან თანატოლებს.

სწავლისწინა დეპრესიის ფსიქოთერაპია მარტივია. ამ ასაკში მოზარდები დიდ ყურადღებას უთმობენ ჩაცმულობას. ეცადეთ, უყიდოთ შვილს ის ტანსაცმელი, რომელზეც დიდი ხანია ოცნებობს და რომელიც დაფარავს მისი გარეგნობის „ნაკლოვანებებს". ბავშვს თავად უნდა მოეწონოს საკუთარი თავი. ამავე დროს გახსოვდეთ, რომ მეტისმეტი თვითგანსჯა მავნებელია მოზარდისთვის. სერიოზიული საქმით დაკავებულ ადამიანს თვითშეფასება გაცილებით მაღალი აქვს სხვებთან შედარებით, ამიტომ შეეცადეთ, ბავშვი ჩააბათ სერიოზულ საქმეში — სპორტში, სხვადასხვაგვარ წრეებში.

## თუ ბავშვმა სკოლა გამოიცვალა

სკოლის გამოცვლისას ბავშვს სერიოზული ფსიქოლოგიური პრობლემების გადალახვა უხდება. ახალ გოგონას კლასის გოგონები ეჭვის თვალით უყურებენ: რაიმე ცვლილებებს ხომ არ გამოიწვევს მისი გამოჩენა? ბიჭები კი მას ინტერესით ხვდებიან — ნეტავ როგორი ტიპია? გადმოსულ ბიჭს მამაკაცთა კომპანია ადვილად იღებს, თუ იგი ფიზიკურად ძლიერი და მწარე ენის პატრონია. დიდი სირთულეები ექმნება სათვალიან სწავლის მოყვარულ დედიკოს ბიჭუნას. ბიჭები მას იოლად არ იღებენ, გოგონები კი ვერ იტანენ მორცხვობის გამო. ბავშვს არ შეუძლია გააანალიზოს შექმნილი სიტუაცია და ამიტომ ძალიან უჭირს.

ასწავლეთ მას მარტივი წესები — იქნებ გამოადგეს ბავშვებთან ურთიერთობისას:

1. ძალიან მნიშვნელოვანია, საუბრისას თვალებში უყუროს თანაკლასელებს



2. ეთამაშეთ შვილს „სკოლობანა". მიაჩვიეთ იმას, რომ სკოლაში მას სახელით კი არა, გვარით შეიძლება მიმართონ და ამაში ცუდი არაფერია.

3. მეტი ყურადღება დაუთმეთ სასკოლო ატრიბუტებს, მასთან ერთად შეარჩიეთ ლამაზი ჩანთა, ფანქრები, სახატავი რვეულები.

4. ნუ დააშინებთ პატარას სკოლით. ჩაუნერგეთ, რომ მას ყველაფერი გამოუვა.

5. კარგი იქნება თუ ბავშვს წინასწარ გააცნობთ მასწავლებელს და საკლასო ოთახსაც დაათვალიერებინებთ.

6. მოთოკეთ საკუთარი ემოციებიც. ნუ მოუწყობთ მას ისეთ გაცილებას სკოლაში, თითქოს ომში მიდიოდეს. თქვენი განცდები გადამდებია ბავშვისათვის.

7. კარგი იქნება, თუ მოაწყობთ ოჯახურ დღესასწაულს, პირველ კლასში შესვლასთან დაკავშირებით.

8. ნუ დატოვებთ პატარას მარტო ახალი პასუხისმგებლობის წინაშე. მასთან ერთად შეასრულეთ საშინაო დავალე-

| ბიბლიური პერსონაჟები: სამსონი და ... | მოდუღებული ყურძნის წვენი | უბედურების მაუწყებელი სიგნალი | ჭრილობა | მდინარე ჩრდ. ამერიკაში | გლადიატორის სიცოცხლის განმსაზღვრელი თითი | გოგირდის-წყლიანი დაწესებულება თბილისში |
|---|---|---|---|---|---|---|

| მხატვარი სალვადორ ... | იგივეა, რაც საწვიმარი | ბადისებრ დახლართული ლითონის ღერები ფანჯარაზე | დ'არტანიანის მეგობარი მუშკეტერი | გამის ნოტი | კაფე, სადაც ყიდიან პიცას | ან, ..., გან, დონ | ან |
|---|---|---|---|---|---|---|---|

და გაუღიმოს.

2. მასწავლებელი ყოველთვის ცდილობს დაეხმაროს ახალგადმოსულს და გააცნოს თანაკლასელები. უმჯობესია, თავად მოახერხოს ახალი მეგობრების გაცნობა და დაახლოება.

3. გოგონამ ჯერ უნდა გაარკვიოს, როგორია კლასში ძალების გადანაწილება და მოაგვაროს ურთიერთობები გოგონებთან. ბიჭი კი, ვიდრე არ გაარკვევს, ვის ვინ მოსწონს, უმჯობესი იქნება, გოგონებს ნუ დაუახლოვდება.

4. რაც არ უნდა მოხდეს, უნდა ისწავლოს რეაგირება იუმორითა და ირონიით. თუ დასაწყისში კლასი ბავშვს არ იღებს, არ ღირს გულის დაწყვეტა — ეს დროებითი რეაქციაა და მალევე გაივლის.

5. და, რაღა თქმა უნდა, დიდი ყურადღება დაუთმეთ სწავლას. სკოლის გამოცვლისას, მისი აკადემიური მოსწრებაც იცვლება (ხშირად უარესობისაკენ) დეზადაპტაციის გამო. ბავშვი თავს დამაჯერებლად და კომფორტულად უნდა გრძნობდეს, ამიტომ თუკი ხედავთ, რომ იგი კლასთან შედარებით სუსტია, გირჩევთ, დამატებით ამეცადინოთ მასწავლებლებთან.

## ყველაზე რთული დამამთავრებელი კლასი

თქვენი შვილი ფინიშის სწორზე დგას. კიდევ ერთი გარბენი და სკოლაც დამთავრდება. ახლა უნდა გამოინახოს



ძალები ბოლო, ყველაზე რთული წლისათვის. ნუ აიძულებთ შვილს, ყველა საგანი ერთნაირი სიძლიერით აითვისოს. უმჯობესი იქნება, დროულად ჩამოყალიბდეს, ტექნიკური პროფესია სურს თუ ჰუმანიტარული და შესაბამის საგნებს მეტი ყურადღება დაუთმოს. გაითვალისწინეთ:

● დიდი მნიშვნელობა აქვს მასწავლებლებთან ბავშვის კარგ ურთიერთობას. ამიტომ ნუ დაიშურებთ თბილ სიტყვებსა და ყვავილების თაიგულს დამამთავრებელი კლასის მასწავლებლისთვის.

● დაეხმარეთ შვილს, მყარად გადაწყვიტოს, რა პროფესიას ირჩევს და რომელ სასწავლებელში აპირებს სწავლის გაგრძელებას.

● ყურადღება მიაქციეთ, რომ ბავშვს არ ჰქონდეს ჯიბეში ზედმეტი ფული. თავად კი ნუ დაზოგავთ ფულს ბავშვის დამატებითი მეცადინეობებისათვის აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად.

და ორიოდ სიტყვით, სიყვარულზე. გულს, რა თქმა უნდა, ვერ უბრძანებ. მაგრამ სიყვარული სწავლას ხელს ნამდვილად არ უწყობს. ამიტომ მას ყველანაირად თავი უნდა ავარიდოთ. როგორ? ძალიან მარტივად: დაკავებულ და საქმიან მოზარდს, რომელიც ქუჩა-ქუჩა არ დაყიალობს და სადარბაზოებში ლუდის სმით არ არის დაკავებული, სტატისტიკის თანახმად, 6-ჯერ უფრო ნაკლებად ეძლევა სასიყვარულო ურთიერთობების ნაადრევად დაწყების შესაძლებლობა. დასკვნები თავად გააკეთეთ.

■

## მოკლედ



● ჰოლანდიელი მეცნიერების აზრით, გენიოსი რომ გახდეთ, საუზმეზე აუცილებლად უნდა მიირთვათ პარკოსნები, ომლეტი სალათით და იოგურტი, სადილად თევზი უნდა მოიმზადოთ, უნდა მოერიდოთ მაღალკალორიულ ფუნთუშებსა და ნამცხვრებს, ვახშმად კი ერთი ულუფა მარწყვი ან მაყვალი მიირთვით.

● აუზებში ქლორირებული წყალი ჯანმრთელობისთვის საზიანოა, იტყობინებიან ამერიკელი მეცნიერები. აუზში რამდენიმე წუთით ყოფნის შემდეგ, მოცურავეთა 60%-ს ბრონქების სანათურის უმნიშვნელო შევიწროება უვითარდება. ამიტომ ასთმიანებს აუზში ცურვისას ეზრდებათ შეტევის განვითარების რისკი.

● ჰარვარდში ჩატარებული გამოკვლევების მონაცემებით, ჩინური ბალახი კუკდზუ, რომლის ექსტრაქტიც ღვინოს წაავავს, ალკოჰოლისადმი ლტოლვის დაძლევას უწყობს ხელს. ადამიანებმა, რომლებიც ამ მცენარეულ სასმელს იყენებენ, ალკოჰოლის მიღება თითქმის 2-ჯერ შეამცირეს.

● ბრიტანელებმა გამოიყვანეს გენურად მოდიფიცირებული ქათმები, რომლებიც დებენ სიმსივნის საწინააღმდეგო ანტისხეულების დიდი რაოდენობით შემცველ კვერცხებს. ამ ანტისხეულების შეყვანა ანელებს მელანომის განვითარებას. მელანომა ერთ-ერთი ყველაზე საშიში ფორმის სიმსივნეა, რომელიც ტანზე ვითარდება.

● შტოშის წვენი ეფექტურია კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ვირუსული ინფექციების დროს — დაადგინეს კანადელმა მეცნიერებმა. მისი ზემოქმედებისას ვირუსი კარგავს ლორწოვანი გარსის უჯრედებში შეღწევის უნარს და მალევე იღუპება.

■

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხმის გამაძლიერებელი დიდი რუპორი | წყლის ორმო | ბათუ კრავეიშვილის გმირი ფილმში „დაკარგული სამოთხე“ | პირის ნაცვალსახელი | არქიტექტურული სტილი XVIII საუკუნის ევროპაში | მანეთის მეასედი ნაწილი | ბოჭკოვანი მცენარე, ქსოვენ ტილოს |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რძნული ნის ბოლო ასო | უბანი თბილისის შემოგარენში | რა რეკავს სამრეკლოზე | ერთუჯრედიანი ორგანიზმი ცრუფეხით | დუეინ ... ჯონსონი | ქირაფის ნაირსახეობა | სახამებლით მოდუღებული ხილის წვენი |

# მღვდელმთავარმა ჯვრის ამაღლება დაიწყო, ხალხი კი ღაღადებდა — „უფალო შეგვიწყალენ!“

**27 სექტემბერს, მართლმადიდებლური სამყარო ჯვართამაღლების დღესასწაულს ზეიმობს, რომელიც უმნიშვნელოვანესი მოვლენის — უფლის ცხოველმყოფელი ჯვრის (ე.ი. ჯვრის, რომელზეც მაცხოვარი ევნო) მოძიების მოსახსენიებლადაა დაწესებული...**

შორენა მერკვილაძე

უფლის ცხოველმყოფელი ჯვრის მოძიება, პოვნა მოხდა უფლის ჯვარცმიდან 300 წლის შემდეგ, მოციქულთა სწორი იმპერატორის, კონსტანტინე დიდის (306-337) დროს. როგორც ცნობილია, რომის წარმართი იმპერატორები სასტიკად დევნიდნენ ქრისტიანებს, ცდილობდნენ, ადამიანთა ცნობიერებიდან აღმოეფხვრათ იმ წმინდა ადგილების ხსოვნა, სადაც მაცხოვარი ევნო და დიდებით აღდგა. იმპერატორმა ადრიანემ (117-138) მიწით დააფარვინა გოლგოთა და ქრისტეს საფლავი, შემდეგ კი, ხელოვნურად შექმნილ ბორცვზე წარმართული ქალღმერთის, ვენერას ტაძარი და იუპიტერის კერპი აღამართვინა. ქრისტიანთა დევნას სხვა იმპერატორებიც განაგრძობდნენ... რომის იმპერატორთაგან პირველი იყო მოციქულთა სწორი კონსტანტინე, რომელმაც შეწყვიტა ქრისტიანთა შევიწროება და ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა. ამის მიზეზი იყო სასწაული, რომელიც მის ცხოვრებაში მოხდა: 312 წელს, ერთ-ერთი ბრძოლის წინ, როდესაც კონსტანტინე დიდი ავგუსტუს მაქსცენსიუსის (რომის ტახტზე თვითნებურად ასული მეფე, რომელსაც სასტიკად სძულდა კონსტანტინე დიდი და გააფთრებით დევნიდა ქრისტიანებს) წინააღმდეგ გასალაშქრებლად ემზადებოდა, რაც დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული, რადგან კონსტანტინეს ცოტა მებრძოლი ჰყავდა, იმპერატორმა და მისმა მეომრებმა დაინახეს ცაზე ვარსკვლავებით გამოსახული ჯვარი წარწერით: „ამით სძლევ!“. ამ სანახაობამ იმპერატორი და მისი თანმხლები მეომრები შეაშფოთა, რადგან ჯვარი, როგორც სამარცხვინო სასჯელის იარაღი, წარმართებს უბედურების მომასწავებლად მიაჩნდათ. ღამით კონსტანტინეს თავად უფალი იესო ქრისტე გამოეცხადა და აუწყა, რომ მტერს ჯვრის ძალით სძლევდა, თან უბრძანა, ჯვარი საბრძოლო დროშებზეც გამოესახა და ბრძოლის დროს წინ წაემძღვარებინა მეომრებისთვის. კონსტანტინე დიდმა ყოველივე აღასრულა, რაც უფლისგან ებრძანა და მტერს არნახული დამარცხება აგემა. ეს მოხდა 312 წლის 28 ოქტომბერს. რომში გამარჯვებით შესულ კონსტანტინეს ხალხი უდიდესი სიხარულით მიეგება. მათ ქალაქის შუაგულში კონსტანტინე დიდის ქანდაკება აღმართეს, რომლის ხელშიც, თავად იმპერატორის მითითებით, დაამაგრეს ჯვრის ნიში წარწერით: „ამ მაცხოვნებელი ნიშით გავათავისუფლე ქალაქი ტირანის უღლისაგან და რომაელ ხალხს და სენატს დავუბრუნე ძველი ბრწყინვალება“.

მაქსცენსიუსთან გამარჯვების შემდეგ, კონსტანტინემ ჯვრის ძალით კიდევ ორგზის დაამარცხა მტერი, რამაც ის საბოლოოდ დაარწმუნა ჯვარცმული მაცხოვრის ყოვლისშემძლეობაში და თავის დედასთან, ღირსსაქებ ელენესთან ერთად, ქრისტიანული წესით მოინათლა. ამის შემდეგ, კონსტანტინე დიდმა გადაწყვიტა, ეპოვა ცხოველმყოფელი ჯვარი, რომელზეც მაცხოვარი ევნო. ამ მიზნით, მან აურაცხელი სიმდიდრით ხელდამშვენებული, მხცოვანი დედოფალი ელენე იერუსალიმში წარგზავნა და პატრიარქ მაკართან გაატანა წერილი თხოვნით, ხელი შეეწყო წმინდა საქმისთვის. დედოფალი დიდხანს ამაოდ ეძებდა ცხოველმყოფელი ჯვრის ადგილსამყოფელს. ბოლოს, იუდეველებმა, მას შემდეგ, რაც ელენე სიკვდილით დაემუქრა მათ, გაამხილეს მოხუცი იუდეველის — იუდას სახელი, რომელმაც ჯვრის ადგილსამყოფელი იცოდა. იუდა დიდხანს არ ამხელდა ჯვრის ადგილსამყოფელს, მაგრამ როდესაც ელენე დედოფლის ბრძანებით, ღრმა თხრილში ჩააგდეს და სიკვდილით დაემუქრნენ, დედოფალი ქვისა და მიწის დიდ ბორცვთან მიიყვანა, სადაც რომის მეფის, ადრიანეს მიერ აგებული ტაძარი და კერპის გამოსახულება იდგა. ელენე დედოფლის ბრძანებით, ტაძარი დაანგრიეს. პატრიარქმა მაკარმა იმ ადგილას ლოცვა აღავლინა და ჰაერში საოცარი სურნელი დატრიალდა... მაშინვე იპოვეს, აღმოსავლეთის მხარეს, ქრისტეს საფლავი და თხემის ადგილი, შორიახლოს კი, მიწაში ჩაფლული 3 ჯვარი ნახეს. იქვე იყო ის ფიცარიც, რომელზეც პილატემ სამენოვანი (ებრაული, ლათინური და ბერძნული) წარწერა გააკეთებინა და 4 სამსჭვალი, რომლებითაც მაცხოვარი ჯვარზე მიალურსმეს. რომ გაეგოთ, რომელი იყო ცხოველმყოფელი ძელი უფლისა, სამივე ჯვარი რიგრიგობით შეახეს მიცვალებულს. უფლის ჯვრის შეხებაზე, მიცვალებული გაცოცხლდა. უამრავი ქრისტიანი შეიკრიბა ამ უდიდესი ქრისტიანული სიწმიდის თაყვანსაცემად. ხალხი პატრიარქ მაკარს სთხოვდა, რომ ჯვარი შემაღლებულ ადგილზე აღემართა, რათა მისი დანახვა ყველას შესძლებოდა. მღვდელმთავარმა ჯვრის ამაღლება დაიწყო, ხალხი კი ღაღადებდა — „უფალო შეგვიწყალენ!“ ეს საზეიმო მოვლენა 326 წელს მოხდა. პატიოსანი ჯვრის ამაღლების დღესასწაულმა, თავისი არსით, სწორედ აქედან აიღო სათავე...

ელენე დედოფალმა პატიოსანი ჯვრის ნაწილი და სამსჭვალები კონსტანტინეპოლში გამომგზავრებისას თან წაიღო, ნეტარმა მეფე კონსტანტინემ ჯვრის ნაწილი ოქროს კიდობანში მოათავსა. რაც შეეხება სამსჭვალებს — ერთი კონსტანტინეპოლისკენ მიმავალმა დედოფალმა ადრიატიკის ზღვაში ჩააგდო, რათა მოულოდნელად ატეხილი ქარიშხალი დაეცხრო; მეორე, მეფე კონსტანტინემ მუზარადში ჩაჭედა, მესამე, თავისი ცხენის ლაგამს მიამაგრა, მეოთხე, მეფის უახლოეს მრჩევლებს მიაბარეს შესანახად (ერთ-ერთი სამსჭვალი დღესდღეობით, საქართველოშია დაცული). იერუსალიმიდან ბიზანტიაში დედოფლის ჩამოსვლისთანავე, მეფე კონსტანტინეს ბრძანებით, 3 დიდი ჯვარი აღმართეს. სამივე ძვირად ღირებული მასალისგან იყო დამზადებული და ზედ ჰქონდა წარწერა: „იესო ქრისტემ გაიმარჯვა“. ამ ჯვრებთან მრავალი გამოცხადება და სასწაული მოხდა (გადმოცემა გვაუწყებს, რომ ჯვართან, რომელიც კონსტანტინე დიდის ბრძანებით, პურის ბაზრის მარმარილოს უმშვენიერეს ქვაფენილზე აღმართეს, ციდან ეშვებოდა უფლის ანგელოზი, გალობით გარს უვლიდა და ეთაყვანებოდა ჯვარს, შემდეგ კვლავ ზეცად მაღლდებოდა. ეს სასწაული წელიწადში სამჯერ ხდებოდა: 7 მაისს (ძვ. სტილით) — ჯვრის გამოცხადების ხსენების დღის წინადამეს, სექტემბერში, ჯვართთაყვანების დღესასწაულზე და დიდმარხვისას — ჯვრის თაყვანისცემის კვირაში).

იმ ადგილას, სადაც მაცხოვრის ცხ-

ოველმყოფელი ჯვარი იპოვეს, კონსტანტინე დიდის ბრძანებით, აღდგომის სახელობის ტაძრის მშენებლობა დაიწყო, რომელიც 10 წლის მანძილზე გრძელდებოდა. აღდგომის ტაძარი, რომელიც გოლგოთასაც მოიცავდა და უფლის საფლავსაც, ქრისტიანულად იკურთხა 335 წლის 13 სექტემბერს. მეორე დღეს, პირველად აღნიშნეს მსოფლიო ამაღლება პატიოსანი და ცხოველმყოფელი ჯვრისა – ჯვართამაღლება, რომელსაც მართლმადიდებელი ეკლესია დღემდე, ძველი სტილით 14, ხოლო ახალი სტილით – 27 სექტემბერს ზეიმობს.

ამ დღეს, წმინდა ეკლესია იხსენიებს ცხოველმყოფელ ჯვართან დაკავშირებულ კიდევ ერთ მოვლენას – თოთხმეტწლიანი ტყვეობის შემდეგ, ცხოველმყოფელი ჯვრის დაბრუნებას სპარსეთიდან იერუსალიმში: იმპერატორ ფოკას (602-610) ზეობისას სპარსთა მეფემ, ხოსრო მეორემ აიღო იერუსალიმი და ამ ქალაქის ეკლესიებიდან უამრავი განძი გაიტანა (მათ შორის, ძელი ცხოველმყოფელი ჯვრისა) და სპარსეთში წაიღო. სიწმინდე 14 წელი იმყოფებოდა სპარსეთში და მხოლოდ ამის შემდეგ დაუბრუნდათ ქრისტიანებს – მას შემდეგ, რაც იმპერატორმა ჰერაკლემ (610-641), ღვთის შეწევნით, დაამარცხა ხოსრო. ჰერაკლემ თან წამოიღო იერუსალიმიდან გატაცებული ცხოველმყოფელი ჯვარი. როდესაც იერუსალიმს მიუახლოვდა, პატიოსანი ძელი თავისსავე კიდობანში დააბრძანა, რათა დაებრუნებინა ძველ ადგილზე. იმპერატორი ჰერაკლე სამეფო გვირგვინითა და პორფირით შემკობილი მიაბრძანებდა სიწმინდეს. მას გვერდით მიჰყვებოდა პატრიარქი ზაქარია. როდესაც გოლგოთას მიუახლოვდნენ, მეფე უეცრად შიშმა შეიპყრო, შედგა და გზის გაგრძელება ველარ მოახერხა. ამ დროს, პატრიარქს უფლის ანგელოზი გამოეცხადა და უთხრა: „ასე არ მიჰქონდა ჯვარი შემოქმედს ჩვენსას“. პატრიარქმა მეფეს ამ უწყების შესახებ ამცნო: „იცოდე მეფეო, შეუძლებელია ატარო ეს წმინდა ხე ძვირფას სამოსში ჩაცმულმა, რადგან იგი თვით უფალმა ჩვენმა, ჩვენთვის დამდაბლებულმა და დამცირებულმა, გლახაკის სამოსით შემოსილმა ზიდა და თუ გინდა ტაძარში მისი შეტანა, უპოვარობაში მიემსგავსე მაცხოვარს“. მეფე ჰერაკლემ მაშინვე განიძარცვა სამეფო შესამოსელი და უბრალო ტანსაცმლით, ფეხშიშველმა, დაუბრკოლებლად განაგრძო გზა და ცხოველმყოფელი ჯვარი თავის ადგილზე მიაბრძანა. ეს მოხდა 629 წელს. ■

**რომის სასაფლაო „კამპო ვერანოზე“ უამრავი იტალიელის გვერდით ერთადერთი ქართველი განისვენებს. ეს გახლავთ მწერალი ლადო არველაძე. იგი ხშირად იბეჭდებოდა უცხოეთის, განსაკუთრებით, ემიგრანტულ პრესაში. ვინ იცის, მეორე მსოფლიო ომი რომ არა, შეიძლება ქართულ ლიტერატურას მისი სახით კიდევ ერთი ნიჭიერი პუბლიცისტი ჰყოლოდა. სამწუხაროდ, საქართველოში სულ რამდენიმე ადამიანმა თუ იცის რას წერდა, როგორ წერდა...**



მეუღლესა და ვაჟა ნიკოლეიშვილთან – (მარცხნივ) სამტრედიის გაზეთ „წინსვლის“ რედაქტორთან ერთად

# ლადო არველაძე

## ემიგრანტი მწერალი, რომლის გაცნობის სიხარულიც წინ გვაქვს...

*ლელა ჭანკოტაძე*

*არველაძეები სამტრედიის რაიონის სოფელ ჭაგანიდან არიან. სწორედ ამ პატარა სოფელში 1905 წელს დაიბადა ძალიან დიდი გულის კაცი ბატონი ლადო. ბედმა ობლობა არგუნა, რადგან დედამისი მესამე შვილის გაჩენის დროს დაიღუპა. გავიდა წლები. ობლობასა და სიღარიბეში გაზრდილმა ყმაწვილმა უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი დაამთავრა და იქვე დაიწყო მუშაობა. შემდეგ ბათუმის ინსტიტუტში გადაიყვანეს. ცოლიც ითხოვა. პირმშვენიერ თამარ ხურცილავასთან ერთად მთელი სიცოცხლის ბედნიერად გატარებას გეგმავდა. მაგრამ სულ რაღაც ერთ წელიწადში მეორე მსოფლიო ომი დაიწყო. მრავალი ქართველის მსგავსად მან ჯარისკაცური ფარაჯა ჩაიცვა.*

**მაგული ცხვარაძე:**

– ბიძაჩემი 388-ე დივიზიის მებრძოლი გახლდათ. ბოლო წერილი სევასტოპოლიდან მოვიდა. მერე ოჯახს შეატყობინეს, რომ გმირულად დაიღუპა. თურმე ტყვედ ჩავარდნილა. 1955 წელს სუხიშვილების ანსამბლს აშშ-ში ჰქონდა გასტროლები. ამასთან დაკავშირებით ფილმიც გაკეთდა. სადაც ერთ-ერთ კადრში ჩანდა თუ როგორ აწვდიდა ყვავილებს ბიძაჩემი ნინო რამიშვილს. დიქტორი აცხადებდა, რომ ეს კაცი ემიგრანტი ლადო არველაძე იყო. მაგრამ მისგან არც ერთი წერილი ან რაიმე შეტყობინება არ მიგვიღია. ჩემს თაობას კარგად ემახსოვრება პერიოდი, როცა ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის კულტურული ურთიერთობა გაჩაღდა. ჩინეთში ცხოვრობდა ლადოს და დედაჩემის და მაგდანია არველაძე. მისი ქმარი მარტიანე შენგელია მაო ძედუნთან მუშაობდა. ბიძაჩემმა წერილი ჩინეთში თავის დას გაუგზავნა. ჩინეთიდან მარტიანემ წერილი ჩვენ გადმოგვიგზავნა. კონვერტზე ეწერა: „ყველა ქართველს გთხოვთ, ეს წერილი გადასცეთ ილია ჩაჩუას“. კონვერტში იდო ფურცელი წარწერით: „მე ცოცხალი ვარ. ჩემი ოჯახი რომ აღმოიფხვრა ქე ვიცი, თქვენ როგორ ხართ. ლადო არველაძე.“ ეს იყო პირველი კონტაქტი.

**— ცოტა რამ დეიდის შესახებაც გვიამბეთ. როგორ მოხვდა ჭაგანელი ქალი ჩინეთში?**

– მარტიანე ჩინეთიდან ცოლის სათხოვნელად თავის სამშობლოში ჩამოსულა. ის ელჩი იყო. მოსწონებია დეიდაჩემი მაგდანია, ყველაზე ღატაკი, მაგრამ ულამაზესი ასული. დეიდა მაშინ მხოლოდ 13 წლის ყოფილა. მათ ორი შვილი შეეძინათ – გოგია და ვალოდია. ვალოდია 1937 წელს ჩამოვიდა საქართველოში. თბილისში, რკინიგზის სადგურზე დააპატიმრეს. 18 წლის ბიჭი უკვალოდ გააქრეს. მის შესახებ ვერაფერი გავიგეთ, დეიდა 1951 წელს გარდაიცვალა მანჯურიის დედაქალაქ ხარბინში. იქვე განისვენებს. მაგდანიას მეორე შვილი და ქმარი 1955 წელს დაბრუნდნენ საქართველოში. სულ რაღაც ხუთ წელიწადში ორივე გარდაიცვალა. შვილი კუკიის სასაფლაოზე განისვენებს, ქმარი კი – ღანირის ეკლესიაში. აი, ასეთი ტრაგიკული ბედისა აღმოჩნდა ჩემი დეიდა. არანაკლებ მწარე ბედი ერგო ბიძა-

## ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეორჩა ღვალიშ უშის წიგნაკიდან:

1. პაპა – უნგრეთის ქალაქია.



2. ფელუკა – იალქნიანი მომცრო გემია.

3. ტაივანს მეორენაირად ფორმოზა ჰქვია.

4. მსოფლიოს მოსახლეობის 45% ქალაქებში ცხოვრობს.

5. ისლამიც და ქრისტიანობაც კრძალავს აზარტულ თამაშებს.

6. წელს აფხაზეთში ტურისტების რაოდენობამ 2 მილიონს მიაღწია.

7. შვეიცარიაში სახელმწიფო ენები გერმანული, ფრანგული და იტალიურია.

8. დედამიწის მოსახლეობა ყოველწლიურად, 90 მილიონი ადამიანით იზრდება.

9. „ვ როსიი იესტ დვა ბოლშიხ პრაზნიკა – ნოვი გოდ ი კაჟდი დენ“, – ამბობენ რუსები.

10. მსოფლიოში ყველაზე მეტად სამხრეთით ჩილეს ქალაქი პუნტა-არენასი მდებარეობს.

11. პრინცი გაუტამა ცისკრის ვარსკვლავს უმზერდა, როცა გასხივოსნდა და ბუდად იქცა.

12. ლიტვა დღეს ალმავლობის გზაზე დგას. იმდენად მყარად დგას ამ გზაზე, რომ მას „ევროპის ვეფხვი“ უწოდეს.

13. ომალო, თუშეთის ადმინისტრაციული ცენტრია. ეს ერთადერთი ადგილია თუშეთში, სადაც ზამთარში მოსახლეობა რჩება.

14. საქართველოში თამბაქო პირველად, აფხაზეთში გააშენეს, შემდგომ – აჭარაში და ბოლოს – აღმოსავლეთ საქართველოში.

15. ჟაპურა, ჟოვარი, ჟარუა, ირირი, ისა, კაკეტა, კუარი, მადეირა, მარანიონი, პარა, პურუსი და შინტუ – მდინარე ამაზონის შენაკადებია.

16. როტერდამის, სინგაპურის, კობეს, ნიუიორკისა და ნიუ-ორლეანის პორტები უდიდესია მსოფლიოში.

17. ანგოლა, მოზამბიკი, კაბო-ვერდე, გვინეა-ბისაუ, სან-ტომე და პრინსიპი – ეს აფრიკული ქვეყნები წარსულში, ნიდერლანდების კოლონიები იყვნენ.

18. ათასი წლის წინ აცტეკები არაქისის კარაქის მსგავს პასტას ამზადებდნენ, თუმცა მას არა საკვებად, არამედ კბილების სახეხად იყენებდნენ.

19. სან-ფრანცისკოს ხიდი „ოქროს კარიბჭე“ 887 ათას ტონას იწონის. ყოველ წელიწადს მასზე 40 მილიონი ავტომობილი გადადის. ხიდის მშენებლობაზე



ჩემსაც. მისი წერილები ისეთი სევდითაა სავსე, რომ ქვასაც აატირებს.

— **რომელი წლიდან გახდა შესაძლებელი მასთან მიმოწერა?**

– მიმოწერა 1958 წლიდან გვქონდა. სწორედ ამ დროიდან გავიგე, როგორ წარიმართა მისი ცხოვრება უცხო ცის ქვეშ. ტყვეობაში უმძიმესი წლები გადაუტანია. საკონცენტრაციო ბანაკიდან ის მიცვალებულებთან ერთად ღამით ღია ცის ქვეშ დაუგდიათ. ალბათ, დილით დამარხავდნენ ან დაწვავდნენ. ბიძაჩემს მთელი ღამე უგლია, მერე იტალიის გემზე აპარვაც მოუხერხებია. სიკვდილისგან სწორედ იტალიელებმა იხსნეს. მასწავლებელმა ქალმა და მისმა ძმებმა შეიფარეს. ომის დამთავრებას



**აქედან გულმოკლული წავიდა. მისთვის დანგრეული ღობის, ჩამქრალი კერის და გაველანებული ეზოს ნახვა ძნელი იყო (მეუღლესა და „საქწიგნის“ დირექტორთან ედუარდ სიხარულიძესთან ერთად)**

იტალიაში შეხვდა. უცხო ცის ქვეშ უგზოუკვლოდ დაეხეტებოდა. უდიდესი გაჭირვება ნახა, სანამ სამუშაოს იშოვიდა. მშიერმწყურვალ ქართველს უცხო ცის ქვეშ კარს ვინ გაგიღებსო? – მწერდა. შემდეგ შვეიცარად დაიწყო მუშაობა, „მდიდრებს კარს ვუღებდი და ვუღიმოდი, მთელი ღამე კი ჩემი მშობლიური ქოხი მესიზმრებოდა, კარი ჩარაზული იყო და ამაოდ ვცდილობდი მიხურულ კარს იქით შემეღწია. ჩემი ბაბაიას კარი დაიკეტა, როცა მე იტალიაში დავსახლდი“, – წერია მის წერილში. ბაბაიას მამას ეძახდა. სიკვდილის წინ, აგონიაში მყოფს ერთადერთი რამ უთქვამს: ვაი, ბაბაიაო...

— **როგორ აეწყო მის ცხოვრება იტალიაში?**

– ვერონაში გაიცნო თავისი მეორე მეუღლე, იტალია ტრონინი. მედდა, სიკეთითა და სათნოებით აღსავსე ქალი – იტალია, რომელსაც სამუდამოდ დაუკავშირა თავისი ბედი. ომისგან გაპარტახებულ იტალიაში ცხოვრება სულ უფრო ძნელი, აუტანელი ხდებოდა და ცოლ-ქმარმა ამერიკას მიაშურა. ბიძაჩემმა იქ კარისკაცად დაიწყო მუშაობა, ცოლი კი სანიტრად მუშაობდა საავადმყოფოში. სამუშაო მომქანცველი არ იყო და დრო ლიტერატურული საქმიანობისთვისაც რჩებოდა. მერე მათი ცხოვრება აღმავლობის გზას დაადგა. ამიტომ ამერიკაში საპენსიო ასაკამდე დარჩნენ, შემდეგ იტალიაში დაბრუნდნენ და რომში დასახლდნენ. შვილი არ ჰყავდათ. მე და ჩემს დას გვთვლიდნენ თავიანთ შვილებად, კომუნისტურმა მთავრობამ მის სანახავად არ გამიშვა. მითხრეს, თვითონ ჩამოვიდესო. 1971 წელს ბიძა და ბიცოლა საქართველოში გამოემგზავრნენ. აეროპორტში დავხვდი. მეგონა, თვითმფრინავით იმგზავრებდნენ, თურმე მატარებლით წამოსულან. რაღას ვიზამდი, წავედი უკან სამტრედიაში. აგვისტო იყო. პაპანაქება სიცხეში უამრავი ადამიანი რკინიგზის სადგურში მთელი დღე ვიდექით, ღამის 3 საათზე მატარებელი ჩამოდგა. ბოლო ვაგონიდან კოსტიუმში გამოწყობილი კაცი ჩამოვიდა. თქვენ ხომ არ ხართ ბიძაჩემი-მეთქი? – ვკითხე. ხმის ამოღება ვერ შეძლო, მხოლოდ ჩამეხუტა.

— **საქართველოში რამდენ ხანს დარჩნენ?**

– სრული ხუთი თვე გაატარეს სამტრედიაში. აქაური ატმისა და ტყემლის ხეები მთელ სიცოცხლეს მირჩევნიაო – ამბობდა. საოცრად ღელავდა, როცა ჭაგანში მივდიოდით. სოფელმა ხალიჩა დაუფინა, მას კი ფეხშიშველი გავლა ენატრებოდა. თქვა კიდეც, გადაწყვეტილი მქონდა შიშველი ფეხით მომევლო მთელი სოფელიო. გაპარტახებული კარ-მიდამოს დანახვაზე, გული საშინლად ეტკინა. მის სანახავად მთელი სოფელი შეიკრიბა. უზარმაზარი სუფრა გაიშალა. მივხვდი, რომ ძალიან ღელავდა, მაგრამ ვერ წარმოვიდგენდი თუ გული ვერ გაუძლებდა ბავშვობასთან შეხვედრას. თვე-ნახევარი საავადმყოფოში გაატარა. მისი პირველი ცოლი მთელი ამ ხნის განმავლობაში ელოდა თურმე, საავადმყოფოში მოინახულა. ღმერთს მადლობა შესწირა კიდევ ერთხელ რომ აღირსა მისი ნახვა და განქორწინება მოსთხოვა. საავადმყოფოში ერთი ქირურგი მუშაობდა, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა, თურმე ისიც ტყვედ ყოფილა



ბიძაჩემი მეუბნებოდა, რომ მოვკვდები ჩემით იამაყებთო (ლადო არველაძე მეუღლესთან – იტალია ტროინ-თან და მწერალ ვახტანგ ესვანჯიასთან ერთად)

ჩავარდნილი, მაგრამ ამის შესახებ არავინ იცოდა. ერთმანეთს არც კი გადაეხვივნენ, რათა არავის გაეგო ამის შესახებ. კომუნის-ტური მთავრობა ხომ ყოფილ ტყვეებს სამშობლოს მოღალა-ტეებად აცხადებდა.

— **საქართველოში ბი-ძათქვენი მეორედ აღარ ჩამოსულა?**

— აქედან გულმოკლული წავ-იდა. მისთვის დანგრეული ღო-ბის, ჩამქრალი კერის და გავერ-ანებული ეზოს ნახვა ძნელი იყო. სოფელში საკუთარი სახ-ლის ადგილას სკოლის და საა-ვადმყოფოს აშენება უნდოდა. ამის ნება არ მისცეს. რომ მიდ-იოდა, მითხრა — აქაური ცივი მჭადი მირჩევნია იქაურ მეფურ სადილ-სო. მამამისის საფლავიდან აღებული მიწა გულის ჯიბეში ჩაიდო, თავის ცოლსა და ერთგულ მეგობარს ხელი მოხვია და აცრემლებული წავიდა. იტალიაში ცხ-ოვრება მისთვის კიდევ უფრო გაუსა-ძლისი გახდა. სამუდამოდ ჩამოსვლა და აქ ცხოვრება გადაწყვიტა. დაე, დავიმა-რხო ჩემს მეუღლესთან ერთად მშობლი-ურ მიწაზეო — მწერდა. მაგრამ არც მის ბოლო ოცნებას ეწერა ახდენა. 68 წლის ასაკში ინფარქტით გარდაიცვალა. მოსკ-ოვიდან მივიღე მისი ნეშტის გადმოს-ვენების ნება, მაგრამ ბიცოლა იტალიამ უარი განმიცხადა: ყველაფერი თქვენ დაგრჩეთ, მისი საფლავი კი — მეო. გავი-და ცხრა წელი. ბიცოლა იტალიამ სიკვდი-ლის წინ, თხუთმეტი ახლობელი დაიბარა და თქვა: თუ გინდათ იმ ქვეყნად ვცხონდე, გადაეცით მთელი ქონება მის დისწულებსო. მემკვიდრეობა იმ წელსვე მივიღეთ. მოგვც-ეს მხოლოდ 500.000 დოლარი — ცხა-დია, მათი ქონება გაცილებით მეტი იყო. ბინები იტალიასა და ამერიკაში ვერ მივიღეთ. მხოლოდ 2002 წელს შევძელი იტალიაში ჩასვლა და მისი საფლავის მონახულება. რომის სასაფლაოზეა დაკრძა-ლული. სიცოცხლეშივე შეიძინა ადგ-ილი ლევილში ქართველთა სასაფლაოზე, მაგრამ ბიცოლას მოთხოვნით მისი ნეშ-ტი იტალიის მიწას მიაბარეს.

— **რა არის თქვენთვის ცნო-ბილი მისი ლიტერატურული მოღ-ვაწეობის შესახებ?**

— ბიცოლა იტალიამ ქმრის ხელნაწ-ერები და ნაშრომები გიორგი წერეთელს გაუგზავნა. გიორგი წერეთელი სათავეში ედგა უცხოეთში მოღვაწე ქართველ მწ-ერალთა და ჟურნალისტთა კავშირს. 1991 წლის 30 ივლისს გიორგი წერეთელმა ბიძაჩემის ლიტერატურული არქივი გურამ შარაძეს საქართველოში გამოატანა. მათ შორის გაფორმდა ხელშეკრულებაც, რომ-ლის თანახმად, ეს ნაშრომები ბატონ გურამ შარაძეს წიგნად უნდა გამოეცა, გამოუ-ქვეყნებელი მასალები კი შესანახად საქართველოს სახელმწიფო არქივისთვის გადაეცა. ჯერჯერობით, არც ერთი სიტყ-ვა არ არის გამოქვეყნებული. ბიძაჩემი მეუბნებოდა, რომ მოვკვდები ჩემით იამაყებთო, მაგრამ სამწუხაროდ, საქართველოში მას სულ რამდენიმე ადამიანი თუ იცნობს.

*P.S. კონსტანტინე გამსახურდიას გარ-დაცვალებას მწერალი ლადო არველაძე იტალიიდან გამოეხმაურა. გაზეთ „სამ-შობლოში" გამოქვეყნდა მისი სამძიმრის წერილი სიტყვე-ბით: „რა არის სიკვდილი ფიზ-იკური? ერთი უბრალო, მეტად უმნიშვნელო მოვ-ლენა, უკვდავია მხოლოდ ადამი-ანთა დიდი საქ-მეები, რომლებიც ჟამს დაამარცხებენ".*

■



მაგული ცხვარაძე: მხოლოდ 2002 წელს შევძელი იტალიაში ჩასვლა და მისი საფლავის მონახულება...



# ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

## ჟორა დვალიშ ჯიბის წიგნაკიდან:

მილიონზე მეტი გიგანტური ჭანჭიკი დაიხ-არჯა. მშენებლობისას მუშები თოკებით იყვნენ გამობმულნი კონსტრუქციაზე, რათა ქარს არ წაეღო ისინი. ეს პირველი მშენებლობა იყო, სადაც მუშებს ჩაფხუტე-ბი ეხურათ.

20. ჩინგის-ყაენმა თავად არ იცოდა უცხო ენები, მაგრამ შვილებს ასწავლიდა, რათა ისინი დაპყრობილი ქვეყნების მარ-თვისას თარჯიმნებს არ მოეტყუებინათ.

21. მორგუნოვს ჰკითხეს: კაკოი ვაშ ადრეს? — მოი ად-რეს სოვეტსკი სო-იუზ, — უპასუხა მორგუნოვმა. — მოი ტოჟე! — თქვა ნიკუ-ლინმა. — ა ია უნიხ ნა კვარტირე, — გა-ნაცხადა ვიცინმა.



22. საბჭოთა პერიოდში კინოცენზურა ხანდახან სრულ აბსურდამდე მიდიოდა. ლეონიდ გაიდაის ფილმში — „ნაპარნიკ", როდესაც შურიკა ფიოდორის გასაწკეპ-ლად ემზადება, ასეთ რეპლიკას ამბობს: „ნადო, ფედია, ნადო!" ცენზორის მტკიცე-ბით, რეჟისორს ამ სიტყვებით ფიდელ კას-ტროს შეურაცხყოფა უნდოდა.

23. 7 სექტემბერს პორტუგალიის საფეხ-ბურთო ნაკრები რუსეთის ნაკრებს შეხვდა. პორტუგალიელ ფეხბურთელს, რიკარდო კარვალიუს თამაშის წინაღამეს მამა გარ-დაეცვალა. მიუხედავად ამისა, მან სამშობ-ლოში გამგზავრებაზე უარი თქვა და რუსე-თის ნაკრების წინააღმდეგ მაინც ითამაშა. P.S. რუსეთის ნაკრების კარს იცავდა იგორ აკინსეევი, რომელსაც წინა ღამით გოგო შეეძინა. მატჩი ფრედ — 0:0 დამთავრდა.

24. წმინდა ქეთევანს პორტუგალიაში წმინდა გატევანდას ეძახიან. ავგუსტინეს ორდენის ბერებმა იხილეს მისი წამება 1624 წელს ირანში და ლისაბონის ეკლე-სიაში ამ წამების ამსახველი მოზაიკაც შექმნეს.

25. იაპონიის კაპიტულაციის შემდეგ გათავისუფლებულმა ამერიკელმა ტყვეებმა, რომლებიც შინისკენ მიემგზავრებოდნენ, ქალა-ქი ნაგასაკი მატარებლით გაიარეს. მათ იცოდნენ, რომ ახლო წარსულში ქალაქი დაიბომბა. მათ ფანჯრებიდან შენიშნეს გასა-ცოდავებული იაპონელები, რომლებიც ბრინ-ჯის მისაღებად უსაშველოდ გრძელ რიგში იდგნენ. ერთმა ამერიკელმა, ყოფილმა ტყვემ, მათ ხორცის კონსერვი გადაუგდო, მას სხვებმაც მიჰბაძეს, მაგრამ არც ერთი იაპონე-ლი მათ ასაღებად არ დახრილა.



პრინცი რენიე და მისი მეუღლე გრეისი შვილებთან კაროლინთან, ალბერტთან და სტეფანისთან ერთად (1973)

**მრავალი წელია, რაც ევროპის შუაგულში მოქცეული ეს პატარა სახელმწიფო ტაბლოიდებისა და მსოფლიო ჭორიკანებისათვის ნაყოფიერ „საბადოდაა“ ქცეული — გრიმალდების ოჯახის ამბები ხომ კლასიკური „საპნის ოპერის“ სიუჟეტს წააგავს. უთანასწორო ქორწინება, ღალატი, მოულოდნელი სიკვდილი თუ საბედისწერო დარტყმები ამ სამეფო ოჯახის განუყოფელი ნაწილია. გასულ გაზაფხულზე, თავადი რენიეს გარდაცვალებამ მონაკო კვლავ მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მოაქცია.**

# მონაკოს მთავართა საგვარეულო წყევლა

## ჯადოქრის წყევლა

ტურისტის თვალში მონაკო ჯადოსნურ, ზღაპრულ ქვეყანას წააგავს, სადაც გადასახადებისგან თავისუფალი ქვეყნის თხუთმეტათასიანი მოსახლეობა უზრუნველად ცხოვრობს და თავისუფლებით ტკბება. სინამდვილეში კი ყველაფერი არცთუ ისე კარგადაა, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს. ლეგენდის თანხმად, ასეულობით წლის წინათ, მონაკოს ერთ-ერთი პირველი მთავარი ისეთი თავდადებით ებრძოდა ჯადოქრებსა და ავსულებს, რომ ბოლოს, ერთმა მშვენიერმა ჯადოქარმა გრიმალდების საგვარეულო საშვილიშვილოდ დაწყევლა.

მეორე ლეგენდის თანახმად, გრიმალდების საგვარეულო წყევლა მონაკოს პრინცის მიერ შეცდენილ ნორჩ ასულს უკავშირდება. ასეა თუ ისე, ხალხი ფიქრობს, რომ გრიმალდი დაწყევლილი გვარია. ამ შეხედულების განმტკიცებას ოჯახის წევრების ცხოვრების ამბებიც უწყობს ხელს. თავად განსაჯეთ: პრინცმა რენიემ ტრადიციას უღალატა და ცოლად მსახიობი გრეის კელი შეირთო. ერთნი ფიქრობდნენ, რომ მათი ქორწინება კარგად დაგეგმილი პიარაქცია იყო და სხვა არაფერი. მონაკოს პრინცესა შესაძლოა, გრეისის ნაცვლად, მერილინ მონრო გამხდარიყო, რომლის გაცნობას რენიე თავისი მეგობრის, არისტოტელე ონასისის მეშვეობით ცდილობდა, მაგრამ ბედისწერამ სხვაგვარად განსაზღვრა: უმშვენიერესი გრეის კელის ხილვამ პრინცს თავი დააკარგვინა. სულ მალე, მან თავის რჩეულს ხელი და გული სთხოვა.

კინოვარსკვლავი პრინცესად იქცა, კინოკარიერაზე უარი თქვა და სამეფოს პირველი ქალბატონის მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულებას შეუდგა. ოჯახური უსიამოვნებებისა და სკანდალების მიუხედავად, სამეფო წყვილი საკუთარ კავშირს ბედნიერ ქორწინებად მიიჩნევდა. მათ 3 შვილი შეეძინათ. ქორწინება ოც წელზე მეტხანს გაგრძელდა. ბოლო წლებში, როდესაც გრეისის სილამაზემ ჭკნობა დაიწყო, პრინცესა სასოწარკვეთილებამ მოიცვა. შვებას მხოლოდ ახალგაზრდა თაყვანისმცემელთა გარემოცვაში პოულობდა, დროის უმეტეს ნაწილს პარიზის კინემატოგრაფიულ ბოჰემასთან ატარებდა და ისე იქცეოდა, თითქოს დაკარგული დროის ანაზღაურებას ლამობდა.

1982 წელს, გრეის კელი ავტოკატასტროფაში დაიღუპა. ამბობენ, რომ ეს თვითმკვლელობა იყო, მაგრამ იმ საბედისწერო დღეს, პრინცესასთან ერთად ავტომობილში მისი უსაყვარლესი ქალიშვილი სტეფანიც იყო, რომლის სიცოცხლეს დედა საფრთხეში არ ჩააგდებდა.



კაროლინის პირველი ქმარი, ფილიპ ჟენიუ მასზე 17 წლით უფროსი იყო

ცოლის დაღუპვის შემდგომ, თავადი რენიე განმარტოებით ცხოვრებას არჩევდა, ფოტოსურათებს მხოლოდ საყვარელი მეუღლის პორტრეტის ფონზე იღებდა და აღარ დაქორწინებულა. მიუხედავად ამისა, ჟურნალისტები მისი მრავალრიცხოვანი რომანების შესახებ ბევრს წერდნენ, რასაც სასახლიდან მუდამ თავშეკავებული ღიმილით პასუხობდნენ. ღიმილი მხოლოდ ერთხელ დაირღვა. ეს მაშინ მოხდა, როდესაც პრესა პრინცისა და საკმაოდ ფაშფაშა ევროპელი გრაფინიას რომანზე ალაპარაკდა. პრინცმა რენიემ ღიმილი დაარღვია და თავს მწარე ხუმრობის უფლება მისცა: ეს პატივცემული ქალბატონი ჩვენი პატარა სამეფოსთვის მეტისმეტად დიდიაო, — განაცხადა მან.



პრინცესა კაროლინი ქმართან, ერნსტ-ავგუსტთან და პრინც ალბერტთან ერთად დანიის კრონპრინცის, ფრედერიკისა და მერი დონალდსონის ქორწილზე (2004)

## ურიგო, ჯიუტი უფროსი ქალიშვილი

გრიმალდების ოჯახის უფროსმა ქალიშვილმა დედისგან მემკვიდრეობით ირლანდიური სიჯიუტე მიიღო, მამისგან კი — სამხრეთული ხასიათი. როდესაც კაროლინი წამოიზარდა და საზოგადოებაში გამოჩნდა, პაპარაცები გამოცოცხლდნენ. ახალგაზრდა პრინცესა ღამის კლუბებში ცეცხლოვანი ცეკვებით ერთობოდა, ხანდაზმულ მსახიობებთან რომანებს აბამდა და გრიმალდების ოჯახის იმიჯზე ნაკლებად ზრუნავდა. გრეისის მორალურ სენტენციებს კაროლინი არაფრად აგდებდა, ზოგჯერ კი თავხედურადაც პასუხობდა. „მთელი ცხოვრება განუხორციელებელი ამბიციების ტვირთის ზიდვას არ ვაპირებ“,


პრინცი რენიე შვილიშვილებთან — პრინცესა შარლოტასა და პრინც ანდრეასთან ერთად (1991)

— ამბობდა პრინცესა და ამ სიტყვებში დედის ბედს გულისხმობდა. ფინანსურ კონსულტანტთან, ფილიპ ჟენიუსთან კავშირი სწორედ მისი თავგადასავლების ძიების შედეგი გახლდათ. ქორწინებამ მხოლოდ 2 წელს გასტანა, შემდეგ კი წყვილი ერთმანეთს გაეყარა, რადგან მეუღლეზე 17 წლით უფროსი ჟენიუ ერთგულებით ნამდვილად არ გამოირჩეოდა.

დედის გარდაცვალებამ კაროლინს ახალი როლის თამაში დააკისრა — ის სამთავროს პირველი ლედი გახდა. ამ როლს პრინცესამ თავი წარმატებით გაართვა. კაროლინი პრინცესა გრეისის სახელობის ფონდს ჩაუდგა სათავეში და მონტე-კარლოს საბალეტო დასი ჩამოაყალიბა (ახალგაზრდობაში ის ბალერინობაზე ოცნებობდა).

ერთ-ერთ წვეულებაზე კაროლინმა იტალიელი მეწარმე სტეფანო კაზირაგი გაიცნო. მალე ქორწილიც შედგა. პრინცესას ცხოვრება ზღაპრულ ფეიერვერკს დაემსგავსა. ცოლ-ქმარი მხიარულად და უზრუნველად ცხოვრობდა, 3 არაჩვეულებრივი ბავშვიც შეეძინა და ეს ქორწინება მართლაც ბედნიერი იქნებოდა, რომ არა კაზირაგის ერთი გატაცება...

სტეფანო სკუტერებითა და იახტებით რბოლაზე კარგავდა ჭკუას. კატერით


პრინცი ერნსტ-ავგუსტი მეუღლესთან, პრინცესა კაროლინსა და ქალიშვილთან, ალექსანდრასთან ერთად

სეირნობისას, შტორმს ვერ გაუმკლავდა და ტრაგიკულად დაიღუპა. საყვარელი მეუღლის დაკარგვამ კაროლინი სასოწარკვეთილებაში ჩააგდო. მწუხარებისაგან თმის ცვენა და ღრმა დეპრესია დაეწყო. პრინცესა შვილებთან ერთად სოფელში გადასახლდა და თითქმის 10 წლის მანძილზე, განდეგილივით ცხოვრობდა.

კაროლინს ბედმა კიდევ ერთხელ გაუღიმა. ის პრინც ერნსტ-ავგუსტ ჰანოვერელს გაჰყვა ცოლად, რომელსაც მრავალი წელი იცნობდა და მალე ქალიშვილიც შეეძინა. ერნსტ-ავგუსტს ზედმეტად ექსცენტრიკული ხასიათი მრავალი სკანდალის მიზეზი გახდა. ნასვამი ჰანოვერელი ხშირად ტეხს დებოშს და ხელჩართულ ჩხუბსაც არ ერიდება...


პრინცესა კაროლინი და მისი ვაჟიშვილი ანდრეა

## პირადი მცველებისა და ცირკის მსახიობთა მოყვარული პრინცესა

გრიმალდების ოჯახის უმცროსი ქალიშვილი, სტეფანი მაღალი საზოგადოების ქრონიკის ყველაზე ცნობილი გმირია. მშობლების ნებიერი გოგონა პატარაობიდან მიეჩვია იმას, რომ მისი ნებისმიერი სურვილი დაუყოვნებლივ სრულდებოდა. პატარა გოგონა გაიზარდა და უმშვენიერეს პრინცესად იქცა. მის თაყვანისმცემელთა სიას მრავალი ცნობილი სახელი ამშვენებდა, რომელთა შორის ენტონი დელონი და პოლ ბელმონდოც იყვნენ. სტეფანის ჯერ ავტომრბოლელი ბელმონდო შეუყვარდა თავდავიწყებით, შემდეგ რბოლებმა ისე გაიტაცა, რომ შეჯიბრებაში მონაწილეობასაც კი აპირებდა. მაგრამ დედის დაღუპვამ სტეფანის ცხოვრება ძირფესვიანად შეცვალა. სულ მალე, პოლი მანქანით ფეხით მოსიარულეს დაეჯახა და ციხეში აღმოჩნდა.

ექსპრესიულმა, მამაკაცების მოყვარულმა პრინცესამ მალე, მსახიობ რობ ლოუსთან გააჩაღა რომანი. ჰოლივუდელი ლოველასი სტეფანის თავის ჭკუაზე ატარებდა, ხშირად ღალატობდა და როდესაც საბოლოოდ მიატოვა, მათი ურთიერთობის პიკანტური დეტალები სარფიანად მიჰყიდა ჟურნალისტებს.

სტეფანის დიდხანს არ უნაღვლია. მისი ყურადღება ღამის კლუბის მეპატრონემ, მასზე 15 წლით უფროსმა მარიო ჟიუტარმა მიიპყრო. მარიომ პრინცესას შოუბიზნესის სამყარო გააცნო და ახირებული, ყოველგვარი შეზღუდვისა და პირობითობის მოძულე, თვითდამკვიდრების სურვილით შეპყრობილი გოგონა ამ სამყაროში თავდავიწყებით გადაეშვა. თავდაპირველად, პოდიუმზე გამოვიდა, შემდეგ კი მისი ფოტოები მოდური ჟურნალების გარეკანზეც გამოჩნდა. სტეფანიმ საცურაო კოსტიუმების საკუთარი ხაზი და საკუთარი ალბომი გამოუშვა — მშვენიერ პრინცესას ყველაფერი ერთად უნდოდა.

ამ პერიოდში სტეფანის პირადი მცველის, დენიელ დიუკრუეს სახით „ჭეშმარიტი“ სიყვარული ეწვია. როდესაც რენიემ შეიტყო, რომ ქალიშვილი ორსულად იყო, „ოჯახის შემარცხვენელი“ სასახლიდან გააძევა. სტეფანი სხვა, მომცრო სასახლეში გადაბარგდა, სადაც მისი პირველი შვილი, ლუი დაიბადა. 2 წლის შემდეგ, ოჯახს ქალიშვილი, პოლინი შეემატა. ყველაფერი კარგად იქნებოდა, რომ არა ერთი „უმნიშვნელო დეტალი“ — დენიელი ხშირად, უგზო-უკვლოდ ქრებოდა და ერთხელაც, პაპარაცებმა მას ბელგიელი სტრიპტიზიორი ქალის მკლავებში მიაგნეს. სტეფანიმ


გრიმალდების ოჯახის ნებიერ სტეფანისთან ერთად შვეიცარიაში (80-იანი წლები)

დენიელთან ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა. მოღალატე ქმარმა კი ჟურნალისტებს მათი ოჯახური ცხოვრების წვრილმანები გაანდო.

სტეფანის მესამე შვილის — კამილის მამა, მორიგი პირადი მცველი, ჟან-რეიმონ გოტლიბი გახდა. გოტლიბმა მამობაზე სასტიკი უარი განაცხადა და საბრალო პრინცესამ ორსულობის 9 თვე მარტოობაში გაატარა. ასეთი დარტყმა მძიმე გადა-



პრინცესა სტეფანისა და მისი პირადი მცველის, დენიელ დიუკრუეს ქორწილი ძალზე მოკრძალებული იყო

სატანი უნდა ყოფილიყო, მაგრამ დაუცხრომელმა სტეფანიმ ჭრილობა მალე მოიშუშა. მომდევნო სატრფო, ცირკის მსახიობი, სპილოების მომთვინიერებელი, ფრანკო ნი აღმოჩნდა. სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ ახალი ბოიფრენდი წარმოშობით ძალზე ცნობილი ოჯახის შვილი, სამწუხაროდ, ცოლიანი იყო. ამ ფაქტს ხელი არ შეუშლია სტეფანისათვის, ავტოფურგონი შეეძინა და 3 შვილთან ერთად ოცნების მამაკაცს ქვეყნის დასალიერში (შვეიცარიაში) გაჰყოლოდა, კერძები მოემზადებინა, სარეცხის და ჭურჭლის გროვები დაერეცხა... ფრანკოს მეუღლემ განქორწინებაზე თანხმობა განაცხადა, მაგრამ პრინცესას ვნება მალე გაუნელდა და შეყვარებულები ერთმანეთს დაშორდნენ.

ცოტა ხანში, სტეფანის პორტუგალიელი ექსცენტრიკოსი აკრობატი, ადან ლოპეს-პერესი შეუყვარდა, რომელიც ძმებთან ერთად ცირკის გუმბათქვეშ „სასიკვდილო“ ნომერს“ ასრულებდა. „სხვას რას უნდა ელოდეთ?.. როდესაც დედა პაპარაცებისაგან თავის დასაღწევად ავტომობილის საბარგულში გმალავთ, თქვენგან ნორმალური ადამიანი არასოდეს დადგება!“ — განაცხადა ერთხელ სტეფანიმ.



პრინცესა სტეფანის სისწრაფე მას შემდეგ შეუყვარდა, რაც ავტომრბოლელ პოლ ბელმონდოსთან რომანი გააჩაღა

## სპორტსმენი, მომხიბლავი სასიძო

პრინცი ალბერტის დაბადება მონაკოში მძლავრი საარტილერიო სალუტით აღინიშნა. ეს დღე დასვენების დღედ გამოცხადდა და ადგილობრივი ციხის ყველა ტუსაღი (სულ 6!) შეიწყალეს. მშობლების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მემკვიდრე პრინცი მშვენიერი ყმაწვილი დადგა. კარგად სწავლობდა და შესანიშნავი განათლებაც მიიღო. რამდენიმე ენა შეისწავლა და საფრანგეთის ფლოტის ხომალდზე — „ჟანა დ'არკი“ სამხედრო სამსახური გაიარა. ალბერტი კარგი სპორტსმენი დადგა. ბავშვობიდან შესანიშნავი მორბენალი და სკოლის საუკეთესო სპრინტერი, შემდგომ, ფეხბურთმა, სერფინგმა, ცურვამ, ფარიკაობამ, ხელბურთმა, გოლფმა, ცხენოსნობამ და კარატემ გაიტაცა, მაგრამ მის ჭეშმარიტ სიყვარულად მაინც ბობსლეი იქცა. პრინცმა მონაკოს ოლიმპიური ნაკრები ჩამოაყალიბა, მრავალი წლის განმავლობაში, მისი უცვლელი კაპიტანი იყო და ზამთრის ოლიმპიურ თამაშებშიც კი მიიღო მონაწილეობა.

„არაჩვეულებრივი შეგრძნებაა, როდესაც უცნობ სივრცეში მიფრინავ, გეჩვენება, რომ ცოტაც და დაიმტვრევი, მაგრამ მაინც საღ-სალამათი რჩები“, — ასე ხსნის პრინცი ალბერტი ბობსლეისადმი უსაზღვრო სიყვარულს.

სახელმწიფო საქმეებისათვის ალბერტი დროს ყოველთვის პოულობდა. სამთავროს ფინანსურ მართვაში მონაწილეობდა და გაეროში ქვეყნის წარმომადგენელი იყო, „წითელი ჯვრის“ ადგილობრივ განყოფილებასაც ხელმძღვანელობდა. პრინცი მონაკოს ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე, მონტე-კარლოს ყოველწლიური ტელეფესტივალის პრეზიდენტი, მონტეკარლოს გრან-პრისა და „ფორმულა-1“-ის მფარველი, ღარიბი ქვეყნების დახმარების ჰუმანიტარული ასოციაციის დამფუძნებელი და კიდევ მრავალი კეთილი საქმის მოთავეა.

ალბერტი არ ეწევა თამბაქოს, არ სვამს,



პრინცი ალბერტი — მონაკოს „ფორმულა-1“-ის გრან-პრის მეპატრონე

და საკუთარი დებისგან განსხვავებით, ექსცენტრიკული გამოხდომები არ სჩვევია. მართალია, ერთხელ, ნაძლევის გამო, თავი გადაიპარსა,მაგრამ ახალგაზრდობაში მსგავსი საქციელი ვის არ ჩაუდენია?!

„მეფე მოკვდა! გაუმარჯოს მეფეს!“ — მონაკოს სამთავროს წინ დიდი ცვლილებები ელის. საერთაშორისო არენაზე ალბერტი ღირსეული ადგილის დაკავებას აპირებს. მისი პრიორიტეტი, ეკოლოგიის პრობლემების გადაჭრა და სიღარიბესთან ბრძოლა იქნება და როგორც მისი ახ-



პრინცი ალბერტი მსოფლიოს ულამაზეს გოგონებთან მეგობრობს, მაგრამ საკურთხეველთან ჯერ არავინ მიუყვანია

ლობლები ამბობენ, ალბერტი საკუთარ შესაძლებლობებს კიდევ მრავალჯერ გამოამჟღავნებს.

მონაკოს ახალი მმართველის უნაკლო ბიოგრაფიას ჩრდილს მხოლოდ ერთი ფაქტი აყენებს: ის დღემდე უცოლოა და მემკვიდრე არ ჰყავს, რაც სრულიად გაუგებარი და აუხსნელი ფაქტია, რადგან ცნობილია, რომ პრინცი პლანეტის ულამაზეს გოგონებთან მეგობრობდა, მაგრამ ქორწინებამდე საქმე არასოდეს მისულა. ბოლო ხანებში, ბოროტი ხმები მის არატრადიციულ სექსუალურ ორიენტაციაზეც კი ალაპარაკდნენ. ჭორების პასუხად ალბერტს მხოლოდ ეღიმება და ამბობს, რომ ოჯახის შექმნის საწინააღმდეგო არაფერი აქვს, მაგრამ შეცდომის დაშვება არ სურს! ვინ იცის — იქნებ, მას უბრალოდ გრიმალდების საგვარეულო წყევლის ეშინია?.. ■

## კენი უესტი – რეპერი სამოდელო ბიზნესში



„გრემის“ პრემიის მფლობელი რეპერი კენი უესტი თავისი ნიჭის გამოსაყენებლად ახალ ასპარეზს ეძებს. მუსიკოსი ტანსაცმლის საკუთარი ხაზის გამოშვებას გეგმავს და თუ გავიხსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ უესტი „სტილის ხატად“ აღიარეს, მისი გადაწყვეტილება ლოგიკური უნდა იყოს. „ბავშვობაში მინდოდა, რომ მაგარი რეპერი ვყოფილიყავი, — ამბობს კენი უესტი, — „ოქროს ალბომის“ ჩაწერასა და „გრემის“ პრემიაზე ვოცნებობდი. ორივე ოცნება ავისრულე და ახლა რა მიშლის ხელს, რომ ახალ საქმეში, მაგალითად, ფეშენბიზნესში ჩავება?! იმედი მაქვს, ჩემი კოლექცია მაღაზიებში მომავალ წლის გაზაფხულზე გამოვა“. თუ ასე გაგრძელდა, „მაგარი რეპერები“ ბიზნესიდან დიპლომიან მოდელიერებს მალე განდევნიან. ტანსაცმლის საკუთარი კოლექციები პუბლიკის სამსჯავროზე უკვე წარადგინეს ჯენიფერ ლოპესმა, პი დიდიმ, Jay-Z-მა და სხვა ცნობილმა მუსიკოსებმა. ■

## ჯეკი ჩანი პენსიაზე გასასვლელად ემზადება



ცნობილი ჰონკონგელი მსახიობი, კასკადიორი და რეჟისორი ჯეკი ჩანი ხუთი წლის შემდეგ ბოევიკებში აღარ ითამაშებს. ამის შესახებ მსახიობმა მალაიზიაში განაცხადა, სადაც ახალი ფილმის — „მითი“ მხარდასაჭერად ჩავიდა. ჩანი კინემატოგრაფს არ დატოვებს, ის ბოევიკების პროდიუსერი National Geographic-ის სტილში შექმნილი დოკუმენტური ფილმების რეჟისორი და ახალგაზრდა კასკადიორების აღმზრდელი იქნება.

2005 წლის აპრილში ჯეკი ჩანს 51 წელი შეუსრულდა და როგორც თავად ამბობს, მისი სხეული უამრავი ტრიუკის შესრულებისას მიღებულმა ტრავმებმა დაასახიჩრა. ჩანის კარიერა ჰონკონგის კინემატოგრაფიის ხანმოკლე აღზევების პერიოდში, 70-იან წლებში დაიწყო. ნამდვილ წარმატებას კი 80-იან წლებში მიაღწია, როდესაც მსახიობის კომედიურმა ნიჭმა და გიჟურმა ტრიუკებმა აზიელი მაყურებლის გული დაიპყრო. 90-იან წლებში ჯეკი ჩანმა ამერიკულ კინობაზარზეც დაიმკვიდრა ადგილი. ■

## როდ სტიუარტი 2 მლნ დოლარით დაჯარიმდა

ლას-ვეგასის სასამართლომ კაზინო Rio Hotel Casino-ს ადმინისტრაციის სარჩელი განიხილა და ოთხი წლის წინ გადადებული კონცერტის გამო მიყენებული ზარალის საკომპენსაციოდ ბრიტანელ მუსიკოსს როდ სტიუარტს 2 მილიონი დოლარის გადახდა დააკისრა. სარჩელის მიზეზი 2000 წლის საახალწლო კონცერტი გახდა. მუსიკოსმა ჰონორარი აიღო, მაგრამ დაგეგმილი კონცერტის ჩატარება ვერ შეძლო, რადგან ცოტა ხნის წინ ყელზე გაკეთებული ოპერაციის გამო თავს შეუძლოდ გრძნობდა. როდ სტიუარტმა კაზინოს ადმინისტრაციას კონცერტის სხვა დროისთვის გადატანა შესთავაზა, მაგრამ არგუმენტირებული უარი მიიღო: ახალი წლის ღამე გასაკუთრებული თარიღია და ესოდენ უხვი ჰონორარი მუსიკოსმა სწორედ „განსაკუთრებულობის“ გამო მიიღო. კაზინომ ფულის დაბრუნება მოითხოვა და სასამართლომ ეს მოთხოვნა სამართლიანად ჩათვალა. როდ სტიუარტი სასამართლოს განაჩენს არ ეთანხმება. მისი ადვოკატები სასამართლოში აპელაციის შესატანად ემზადებიან. ■



## ლეონარდო დი კაპრიო რუზველტის როლში

მარტინ სკორსეზეს ახალ ფილმში თეოდორ რუზველტს დი კაპრიო განასახიერებს. სურათი 26 წლის მომავალი პრეზიდენტის პოლიტიკურ ასპარეზზე გადადგმულ პირველ ნაბიჯებს ეძღვნება. სურათს საფუძვლად ედმუნდ მორისის პოლიტიკური ბიოგრაფია „თეოდორ რუზველტის აღმასვლა“ დაედო, ამ წიგნმა ავტორს პულიტცერის პრემია მოუტანა. ეკრანიზაციის უფლება კომპანია Paramount Pictures-მა შეისყიდა. სკორსეზე ყურადღებას რუზ-



ველტის ახალგაზრდობის მნიშვნელოვან მომენტებზე ამახვილებს და მაყურებელს იმ გზას უჩვენებს, რომელიც რუზველტმა ჰარვარდის უნივერსიტეტიდან ნიუ-იორკის პოლიციის უფროსობამდე და შემდეგ საზღვაო მინისტრის თანაშემწის პოსტამდე განვლო.

თეოდორ რუზველტს ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორის არჩევნებში გამარჯვებაში ამერიკა-ესპანეთის ომში მონაწილეობა დაეხმარა, სადაც ის მოხალისე ცხენოსანთა პოლკს Rough Riders-ს მეთაურობდა. გუბერნატორის პოსტიდან პრეზიდენტობამდე კი ერთი ნაბიჯი იყო დარჩენილი. 1901 წელს რუზველტი ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს. რამდენიმე თვეში, პრეზიდენტ მაკქინლის მკვლელობის შემდეგ კი სახელმწიფოს მეთაური გახდა. ამჟამად მარტინ სკორსეზე და დი კაპრიო ახალ სურათზე The Departed მუშაობენ. ფილმის სიუჟეტი მოგვითხრობს მაფიოზურ კლანში შეგზავნილ პოლიციელზე და ბოსტონის პოლიციის საიდუმლო აგენტ მაფიის წევრზე. ამ ფილმამდე რეჟისორმა და მსახიობმა ორ დიდ პროექტში — „ნიუ-იორკის ბანდები“ (2002) და „ავიატორი“ (2004) ითანამშრომლეს. ■



ლუბა ელიაშვილი

# მანიაკის ძღვენი

*(დასაწყისი „გზა“ №28-37)*

**ჟურნალისტი მარიანა ნიორაძე, მეტსახელად ნიორა ცდილობს, იდუმალებით მოცული მკვლელობის ამბავში გაერკვეს: ღამით, მთაწმინდაზე ვილაცამ, განდეგილად მცხოვრები მხატვარი, თომა მოკლა. მანამდე, მკვლელობის მსხვერპლნი, ახალგაზრდობისას თომას შეყვარებული, თამილა არდაშელია და თამილას ქალიშვილი სალომე გახდნენ... ეს ამბავი დიდი ხნის წინ მომხდარ მოვლენებთანაა დაკავშირებული. სამ მეგობარს — ანტონ დარჩიას, თომა გოგოლაშვილსა და ლევან მანჯავიძეს ერთი გოგო — თამარ სანაძე (იგივე თამილა არდაშელია) ჰყვარებია. მან თომას გრძნობას უპასუხა, მაგრამ ქალვაჟის ურთიერთობას გოგოს ბებია, ნუცა დადიანი აღუდგა წინ, რომელმაც ანტონსა და მის ნაშვილებ ბიჭს — ბაკურს რაღაც ძვირფასეულობა დაუტოვა... ნიორა დროებით, სწორედ ანტონის სახლში ცხოვრობს, რომელიც ახლა მის მეგობარს, ამერიკაში მყოფ მაგდას ეკუთვნის. მეზობელი, ლევან მანჯავიძე ჟურნალისტს სთხოვს, დაეხმაროს, ორიოდე დღის წინ დაკარგული მისი 22 წლის ქალიშვილის, ბაიას მოძებნაში. როგორც შემდგომ ირკვევა, ის ნარკოტიკებს ეძალება და ახალგაზრდა მხატვარ ბაკურ სანაძეზეა შეყვარებული. ნიორა ყოფილ ბებიაქალს, მეტსახელად „შავ მაროს“ ესტუმრება და შეიტყობს, რომ ბაია, თამილას შვილია და არა — ლევანისა და ესმასი. მოულოდნელად, თვითმკვლელობით ასრულებს სიცოცხლეს ლევან მანჯავიძე, რის შემდეგაც, ნიორასთვის ერთადერთი ეჭვმიტანილი — ბაკური რჩება. მიუხედავად ამისა, მხატვრის დაჟინებული თხოვნით, ჟურნალისტი მას სახელოსნოში მიჰყვება. საუბრისას, ბაკური მოულოდნელად თავს დაესხმება მას. ნიორა იმარჯვებს — იატაკზე დადებულ შანდალს დასწვდება და თავში ჩაარტყამს. მოულოდნელად, ქალს დამხმარედ „მეორე ბაკური“ მოევლინება — ბაკურს თურმე, ტყუპისცალი — ბექა ჰყოლია. ბაკურისავე ბინაში, დაკარგულ ბაიას იპოვიან...**

**ამერიკიდან მაგდა და მარინა დარჩია ჩამოდიან. მარინას თქმით, მისი შვილი, ნინო, რომელმაც ადრე, თავი მოიკლა, სინამდვილეში ასევე თამილას ბიოლოგიური შვილი ყოფილა... ნიორა და მისი უფროსი, ირაკლი მაღრაძე, თამილას ცხოვრების დეტალებსა და სხვა გარემოებებში გასარკვევად, ყოფილ ბებიაქალთან, „შავ მაროსთან“ მიდიან. ქალი მათ სასიკვდილოდ დაჭრილი დახვდება და იმის თქმას მოასწრებს, რომ სასიკვდილოდ ბაკურმა გაწირა...**

**ესმა და ბაკური წყნეთში, მაგდას აგარაკზე მიდიან და ძველებური მაგიდის ფეხებში, დადიანის ქალის დანატოვარი ძვირფასეულობას — „ფაბერჟეს“ კვერცხებს პოულობენ. ბაკური ესმას თავში მუშტს ჩაარტყამს და გაიქცევა. მას აეროპორტში, გაქცევის მცდელობისას დააკავებენ. მაგრამ ბაკური გამომძიებას დაარწმუნებს, რომ ის ბოროტმოქმედი, მისი ძმა ბექა იყო, რომელიც მასაც მოკვლას უპირებდა და ჩხუბისას შემოაკვდა... ბაკურს ბოლოს, ნიორა ამხელს, რომელიც სეირნობისას შემთხვევით გადაეყრება და კინაღამ ემსხვერპლება...**

სახეზე ხელი ავიფარე და სასიკვდილოდ მოვემზადე. ბაკურის საშინელმა ღრიალმა გამომიყვანა „სტუპორიდან“. თვალი გავახილე და დავინახე, ირაკლი მაღრაძეს მოძალადისათვის მაგრად შემოუჭდია მკლავები და განძრევის საშუალებას არ აძლევს, ბაკური გამწარებული ეწინააღმდეგება, იქვე მისი ხელიდან გავარდნილი დიდი ქვა აგდია, რომლითაც მე მიპირებდა მოკვლას... ქვას დავწვდი და ავაცალე. ინდური იოგას მიმდევარი ჩემს მეგობარს აშკარად ჯაბნის. გვერდზე გადაიზნიქა, კატის მოქნილობით დაუსხლტა ირაკლის და ახლა თვითონ მოიქცია მარწუხებივით მკლავებში, მიწას მოსწყვიტა და დიდ ლოდზე დანარცხებას უპირებს... გავმწარდი. ჩემი სისულელის გამო ირაკლი რომ დაიღუპოს, საკუთარ თავს არასდროს ვაპატიებ. მოძიძგილავე კაცებთან მივირბინე და გამეტებით ვთხლიშე ქერა თავში ქვა ბაკურ სანაძეს... ამ ორ კვირაში მეორედ ვუტეხავ თავს — გავიფიქრე მექანიკურად.

კაცს ქვით გახეთქილი თავი უკან გადაუვარდა; ვიდრე მიწაზე დაეცემოდა, მაინც მოახერხა ირაკლისთვის ხელის კვრა... ისიც დაბარბაცდა, თითქოს ბაკურის წაქცევამ საყრდენი გამოაცალაო და კლდეზე გადავარდა. მიწაზე გართხმული სანაძე იქვე დავტოვე და ლიწინ-ლიწინით ჩავხტი ხევში, ირაკლის დასახმარებლად. ბუჩქებში ვიპოვე — უგონოდ, თვალებდახუჭული და გაფითრებული.

— არ მოკვდე, გეხვეწები, ჩემო კარგო, ჩემო საყვარელო... — მოვთქვამდი ხმამაღლა მოტირალი დედაკაცივით და გონდაკარგულ ირაკლის სახეს ვუკოცნიდი. — თვალი გაახილე, არ დამღუპო!..

— კარგი, კარგი, ნიორ, ნუ დამახრჩვე, რაც მანიაკმა დამაკლო, შენ ნუ მომითავებ... — გავიგონე შეფის მიკნავლებული ხმა.

სიხარულისაგან სულ გადავირიე, კისერზე მოვეხვიე და ერთი ისეთი ვაკოცე ტუჩებში, რომ კინაღამ მართლა დავაზიანე.

— ვაი! — დაიკვნესა საცოდავად.

— რა არის, რამე გაწუხებს?

— მგონი, ფეხი მაქვს ნაღრძობი...

— მხარზე დამეყრდენი, გზამდე აგიყვან.

— ერთი განახვა, რა „ვიდზე“ ხარ: სული ძლივს გიდგას, როგორ ამიყვან?

— მოვახერხებ რამეს.

— მაგრებიც ვიქნებით, ზემოთ აცოცებულები, პირდაპირ იმ დაკუნთულ



მონსტრს რომ ჩავუცვივდებით ხელში...

— შენი აზრით, ისევ ცოცხალია? — ჩემდა გასაკვირად მივხვდი, რომ თანახმა ვიყავი, ჩემს დარტყმას კაცი მოეკლა, ოღონდაც იმ საზიზღარი ბაკურის ცივი თვალები აღარ დამენახა. ამის გაფიქრება და ზემოდან ხმაურის გაგონება ერთი იყო: ვიღაც ფართხაფურთხით მორბოდა ბუჩქებში.

— ეგ რა, არასოდეს კვდება?!. — ამოიოხრა მაღრაძემ და იდაყვებზე წამოიწია.

— ნამდვილი ამერიკული საშინელებათა ფილმია, უკვდავი, ტეხასელი მანიაკით... არ გამიკვირდება, მაგ ბაკურამ საიდანღაც ბენზოხერხი რომ გააძროს და ისე დაგვერიოს, — ხუმრობა ვცადე, თან მუშტები შევკარი...

უეცრად, ჩვენი შეშფოთების მიზეზმა, ტალახში ამოსვრილმა, დაკოჭლებულმა ბონიმ ბუჩქები გამოარღვია და კუდის მხიარული ქიცინით მოგვახტა.

— აქა ვარ, ნუ გეშინიათ! — გავიგონე ალეკო ბაღაშვილის ომახიანი ხმა.

მივხვდი, რომ გადავრჩით, ირაკლის ფართო მკერდზე მივადე თავი და ხმამაღლა ავბღავლდი...

ჩვენი მხსნელი — ყოჩაღი ბონი ხევიდან ამოცოცებულა და კოჭლობით მიუღწევია სახლამდე. მაგდა უკვე დილიდან მეძებდა, დაცვის პოლიციამ უთხრა, როგორ გავიპარე სახლიდან დილაუთენია, ძაღლთან ერთად. ფრთხილმა მაგდამ ჯერ მაღრაძე გამოუშვა ჩემს კვალზე, მერე კი ბაღაშვილი გამოიძახა. ამასობაში ბონიმაც მიირბინა შინ და გამომძიებელს ჩვენი გზა მოასწავლა.

— ბაკურ სანაძე დაიჭირეთ? — იკითხა მაღრაძემ.

— ბორკილებიც დავადეთ და მირიან ბოკუჩავა საპატიმროსკენ მიაქანებს...

იმ საღამოს, ჩემს დაბადების დღეზე, ერთად შევიყარეთ. ყველანი ვერანდაზე ვისხედით. სხვათა შორის, ეს ერთადერთი სიმართლე იყო, რაც იმ დილას ბაკურს ვუთხარი...

განსაკუთრებულად ვერავინ მხიარულობდა. ირაკლი კოჭლობდა, მე ლოყა მქონდა ჩალურჯებული და მაღრაძეს თვალს ვარიდებდი: მრცხვენოდა ჩემი გულწრფელობის — სიყვარულში რომ გამოვუტყდი. ბაღაშვილი ჩუმად იყო, ულვაშს იწიწკნიდა და დროდადრო, სასმელს სთავაზობდა მირიან ბოკუჩავას. დედაჩემი მაგდას და მარინას ეჩურჩულებოდა რაღაცას. მხოლოდ ნაზიკო იყო ენერგიული, წინ და უკან დაქროდა დესერტიანი ლანგრით.

ალეკო ჩემ გვერდით გადმობარგდა. თეფშზე ნაზიკოს გაკეთებული ხილის ტორტის ნაჭერი უდევს და გემრიელად შეექცევა.

— როგორ მიხვდი, რომ ბაკური იყო მანიაკი-მკვლელი და არა დაღუპული ბექა? — მკითხა უცებ ალეკომ.

— ძაღლების გამო, — ვუთხარი მე. — ბაკურს ბონი სულ უღრენდა, ბექას კი — არა, ისიც ხომ ძაღლის პატრონი იყო. ჩვენი პირველი შეხვედრისას ბაკურის ცივი მზერა არ მომეწონა... ბექა რომ გავიცანი, ბონის გადარჩენის ღამეს, ისე წარმომიდგინა თავი, თითქოს მანამდე არასდროს შევხვედრივართ ერთმანეთს... იმ საღამოს, ვეტერინართან ბონი რომ ეჭირა ხელში, მხარზე ხალი დავუნახე. დღეს დილას, წელს ზემოთ შიშველი, უხალო ბაკური და ბონი ერთად რომ დავაფიქსირე, ყველაფერს მივხვდი. ისიც გამახსენდა, რექსი ბექას ძაღლი რომ იყო. მის ძმას კი გაურბოდა ხოლმე. ძაღლიც იმის გამო მოკლა, რომ არ გაყიდულიყო. იმ დღეს, ბექამ მითხრა, ხატვა არ მეხერხებაო. ბაკური კი მხატვარი იყო, თავის თავში შეყვარებული და დედამისივით პატივმოყვარე. ნახატი რომ ვუხსენე, სულ გადაავიწყდა სიფრთხილე, აღარ გაახსენდა, რა სიტუაციაში მაჩვენა და თავი გათქვა.

— ოიდიპოსი რაღა შუაში იყო? — ახლა მირიან ბოკუჩავამ ამოიღო ხმა. ის პირველადაა ჩვენთან სტუმრად და უცხოობს.

— ეს ინცესტზე მინიშნება იყო, — პროფესიონალური განმარტება მოგვაშველა დედაჩემმა. — როგორც ჩანს, საკუთარ დასთან დამყარებულმა ინტიმურმა კავშირმა და ამ აქტის საშინელმა შედეგმა მძიმე კვალი დაამჩნია ბაკურ სანაძის ფსიქიკას. ალბათ, მან დედამისის სურათზე ნუცას ხელით მიწერილი ლექსიც ნახა და არასწორად გაიგო. ამ ამბავში თავისი წვლილი, ალბათ, ესმასაც მიუძღვის: ქალმა ვერაფრით მოინელა, მისთვის ძვირფას ორ მამაკაცს თამარი რომ უყვარდა. ამიტომაც შეაძულა ბაკურს დედამისი.

— ბაიასგან გავიგე, დედამისს დაუვალებია ბაკურისთვის ბონის მოპარვა და ფულუროში ჩასმა... — წამოიძახა ალეკომ. ნაზიკოს თეფში ხელიდან გაუვარდა. დაბნეულმა ამომხედა.

— მაგიტომაც არ უღრენდა ლევანს, ბაკურს კი სულ ერჩოდა, — მივაფუჩეჩე თემა.

— ბაიას რა საქმე ჰქონდა ბაკურთან? — წამომეშველა მაღრაძე და ნაზიკოს გაუღიმა.

— თავიდან უყვარდა, ნინიკოს სიკვდილამდე, მერე შეიძულა. ბაია ამბობს, რომ ამის შემდეგ, ბაკური სადისტ-იმპოტენტად გადაიქცა და მიატოვა. მაგრამ ბაკური დედამისთან დადიოდა სტუმრად და მთელი უბანი ბაიაზე ჭორაობდა.

— ნუთუ, მართლა ესმას საყვარელი იყო?!.

— ალბათ, უფრო მონა იყო, ვიდრე საყვარელი. ესმა მონატრებულ დედას უცვლიდა... — განმარტა დედაჩემმა. — სანაძის ოიდიპოსის კომპლექსი იმაში გამოიხატებოდა, რომ დედამისს მიმსგავსებული გარეგნობის ქალებთან ამ-

ყარებდა კავშირს, რაც, მისი იმპოტენციის გამო, ამ ქალების სიკვდილით მთავრდებოდა. თან, როგორც ჩანს, თამილას შთამომავლობის განადგურებაც იყო მისი აკვიატებული იდეა.

— ეს რას ნიშნავს — ბაკურს გიჟად ჩათვლიან და სასჯელს გადაურჩება? — გააპროტესტა ამგვარი პერსპექტივა მაგდამ.

— შერაცხადობის დადგენა ექსპერტიზის საქმეა, — მისთვის უჩვეულოდ მოკლედ უპასუხა დედაჩემმა და დადუმდა.



...ივნისი ისე გავიდა, ბაკური აღარავის გახსენებია. დროდადრო, პრესაში გამოჩნდებოდა ცნობები მის შესახებ. კომპეტენტური ხელოვნებათმცოდნეებისგან შედგენილმა კომისიამ დაადგინა, რომ ნუცას განძი ფაბერჟეს შექმნილი არ იყო. მართლაც შესანიშნავი ასლები გახლდათ კელშის ცნობილი, ლურჯი „ფიჭვის გირჩის“, მაგრამ ვიღაც უცნობი ოსტატის ნახელავი და ამდენად, ნაკლებად ძვირფასი. ეს ამბავი მანამდე გაირკვა, სანამ მძიმედ დაავადებული ესმა საავადმყოფოში გარდაიცვალა. თუმცა, მას არაფერი შეუტყვია, რადგან ბოლო ერთი თვე გონს არ მოსულა. სიკვდილამდე სულ ბაიასა და ლევანის სახელებს აბოდებდა და ბოდიშებს უხდიდა.

ბაკურმა სასამართლომდე ვერ მიაღწია: ერთი დღით ადრე, საკანში ჩამოხრჩობილი იპოვეს. მისი ჩვენებები მთლიანად ადასტურებდა ჩვენს ვარაუდებს. „შავი მაროც“ მისი მოკლული აღმოჩნდა, თითის ანაბეჭდებით დაადგინეს. სწორედ მისი ბინიდან მობრუნებული გადაგვეყარა სახელოსნოში მე და ბექას.

საქმეში ნივთმტკიცებად ჩადებული ჩემი პორტრეტი ალეკო ბაღაშვილმა მომიტანა. უცნაურია, მაგრამ ვერ გადავაგდე. ასე შემრჩა სახლის კედელზე მანიაკის ძღვენი. ეს სურათი რატომღაც, ბაკურზე მეტად, ბექას მახსენებს. ასე მგონია, იმან სთხოვა ძმას ჩემი პორტრეტის დახატვა და თავის იდეას შეეწირა კიდეც...

— თომას რაღას ერჩოდა? — შევეკითხე გამომძიებელს, სურათი რომ გამოვართვი.

— თქვენს ლაპარაკს შეესწრო და არ უნდოდა, თომას შენთვის ტყუპისცალის ამბავი გაემხილა და დედამისის ფოტო ეჩვენებინა. ბექა რაღაცას გრძნობდა: ხეზე მიბმული რექსი რომ იპოვა, ძმასაც გადააწყდა... შენ სწორედ მაშინ ნახე ლურჯ სპორტულ ფორმაში გამოწყობილი ბექა, მანამდე კი — შავფორმიანი ბაკური. თომას მკვლელობის საღამოს, ბექამ თავისი იაპონური ხმალი ვეღარ დაინახა კედელზე და ბაკურის მოსაძებნად გამოიქცა, გზად კი, შენ და ბონის გადაგაწყდათ, — ამომწურავი განმარტება მომცა ალეკო ბაღაშვილმა.

მაგრამ ამ ამბავში მაინც ბევრი რამ დარჩა ჩემთვის გაუგებარი და ბუნდოვანი. დღესაც არ ვიცი, იცოდა თუ არა თამილამ, რომ მაროს და მის შვილს ზრდიდა; იქნებ, სწორედ ამიტომაც დაატოვებინა მაროს ორი ტყუპისცალიდან ერთ-ერთი, რომელიც თომას ხალითაც კი ჰგავდა... ან რატომ შეუთანხმდა შეხვედრაზე ოიდიპოსის მეტსახელით ცნობილ პერსონას. იმიტომ ხომ არა, რომ ის მისი პორტრეტის დახატვას დაჰპირდა?.. იქნებ, ამის გამო გამოეწყო თავის საყვარელ წითელ კაბაში?.. ან რამ აიძულა ბაკური, ჩემს გადაცემაში დაერეკა? მან ხომ არც იცოდა, ვინ იყო ჩიპოლინო... მაგრამ ყველა პასუხგაუცემელი კითხვიდან განსაკუთრებით საინტერესო, მოჩვენების ამბავია...

ბაია ხანდახან მოდის ჩვენთან. „ლომკა“ გადააგდო, სულ ცდილობს, რომ დაგვიმეგობრდეს, მაგრამ არ გამოსდის: ვერ ვენდობით. ხანდახან მგონია, რომ ესმა მარტო კი არა, ბაიასთან ერთად მართავდა ბაკურსაც და მამამისსაც. ბოლოს კი, სასიკვდილოდ განწირულმა ქალმა, ქალიშვილის დანაშაული საკუთარ თავზე აიღო... ბაიამ მიამბო, თუ როგორ გააპარა დედამისმა სახლიდან იმ ღამეს, როცა ლევანი მაგდას სახლში იყო შემოპარული. აივანიც მაჩვენა, საიდანაც გადაძვრა ეზოში და ყველაზე საოცარი ისაა, რომ წარმოუდგენელია, ჩემი ფანჯრიდან იმ აივანზე გადასული ქალი დამენახა და მოჩვენებად ჩამეთვალა. სახურავზე კი ბაია ვერასგზით ვერ ავიდოდა... დღესაც არ ვიცი, ვინ დავინახე მაშინ — აბსტინენციაში მყოფ გონებაარეულ ბაიას დაავიწყდა რამე თუ მართლაც, ნინიკო დარჩიას აჩრდილი გამომეცხადა, თავისი თვითმკვლელობის გამო რომ ეძია შური... ძალიან გთხოვთ, არ გამამხილოთ, ასეთი ეჭვები რომ მაწუხებს, თორემ, დედაჩემს რა გადაურჩება? მაშინვე ფსიქიატრებს დამასევს!..

***დასასრული***

# ლაშა გუჯეჯიანი: ამ მედალს ჩემთვის «ოქროს» ფასი აქვს...



**ცოტა ხნის წინ კაიროში დასრულებულმა მსოფლიო ჩემპიონატმა ძიუდოში ქართველი ქომაგები იმედგაცრუებული დატოვა. მიუხედავად იმისა, რომ ნაკრებს მზადებისთვის შესანიშნავი პირობები ჰქონდა და თითქოს მოჭიდავეებიც ჩინებულ ფორმაში იყვნენ, ეგვიპტის დედაქალაქიდან მხოლოდ ერთი — ბრინჯაოს მედალი წამოვიღეთ. მესამე ადგილი ნაკრების ყველაზე ახალგაზრდა და სხვებთან შედარებით გამოუცდელმა მოჭიდავემ მოიპოვა. 20 წლის ლაშა გუჯეჯიანი ახალგაზრდებში ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონია და ათენის ოლიმპიადაზე ჭიდაობაც მოასწრო, თუმცა, მსოფლიო ჩემპიონატზე პირველად გამოვიდა. ამ ბრინჯაოს ჩემთვის ოქროს ფასი აქვსო — ლაშას სიტყვებია და მხოლოდ მისთვის არა — სამწუხაროდ, მისი მედალი ერთადერთი აღმოჩნდა ქართველთა ყულაბაში და მეორე ორთაბრძოლაში მარცხი რომ არა, გუჯეჯიანი იქნებ, ოქროსაც შესწვდომოდა...**

*რატი შელეგია*

**— ლაშა, კაიროში ჩატარებული მსოფლიო ჩემპიონატი პირველი იყო შენთვის...**

— როგორც იცით, უფრო მაღალი რანგის ტურნირზე — ოლიმპიადაზეც მიჭიდავია, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონატს სხვა სახელი და დატვირთვა აქვს. კაიროში გამარჯვების მისაღწევად ჩავედი და მოვახერხე კიდეც. მართალია, ბრინჯაო ყველაზე დაბალი სინჯის მედალია, თუმცა, შეჯიბრების რანგსაც ხომ გააჩნია! თანაც, მსოფლიოზე პირველად ვიჭიდავე.



ბრინჯაო ყველაზე დაბალი სინჯის მედალია, თუმცა, შეჯიბრების რანგსაც ხომ გააჩნია!

**— მსოფლიო პირველობას სხვა ტურნირებისგან რა განასხვავებს?**

— ვფიქრობ, ოლიმპიადას სხვაგვარი ფსიქოლოგიური დატვირთვაც სდევს თან. მას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ, თორემ, მოჭიდავეთა შემადგენლობა იგივეა, რაც მსოფლიო ჩემპიონატზე. ოლიმპიურ თამაშებს ხშირად, პოლიტიკური დატვირთვაც ახლავს და იქ გამარჯვება ბევრი ქვეყნისათვის ძალზე მნიშვნელოვანია. შესაძლოა, ეს იმიტომაც ხდება, რომ ოლიმპიადა ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება, მსოფლიო ჩემპიონატი კი — ყოველ მეორე წელს.

**— ფსიქოლოგიური დატვირთვა ახსენე. ამ მხრივ როგორ იყავი მომზადებული?**

— საკმაოდ კარგად. საერთოდ, მიმაჩნია, რომ მშიშარა ადამიანი ბევრს ვერაფერს მიაღწევს და თუ მუხლების კანკალით გავა საჭიდაოდ, მსოფლიოზე კი არა, საქართველოს პირველობაზეც წააგებს. კაიროში შედეგის მისაღწევად ჩავედი და გარკვეულწილად, შევასრულე კიდეც.

**— ალალად თქვი — ეგვიპტეში იმედიანად წახვედი?**

— იმედი თუ არ გაქვს, მსოფლიო ჩემპიონატზე კი არა, საერთოდ, სპორტში რა გინდა?! მომზადებული ვიყავი და იმისიც მჯეროდა, რომ კაიროში ჩემი შესაძლებლობების გამოვლენას შევძლებდი. მეტსაც გეტყვით — იმდენი ვიშრომე, მთელი სპორტული კარიერის მანძილზე რომ არ მიშრომია...

**— იმას კი ნამდვილად ვერ იფიქრებდი, რომ ნაკრებიდან ერთადერთ მედალს სწორედ შენ მოიპოვებდი...**

— ბუნებრივია. სხვა რომ არაფერი, ჩვენს გუნდში ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონები იყვნენ, ჩემზე ბევრად გამოცდილი მოჭიდავეები და შეიძლება ითქვას, სწორედ ის მოხდა, რაც ყველაზე ნაკლებად იყო მოსალოდნელი.

**— მაინც რა მოხდა კაიროში, მზადების შესანიშნავი პირობების მიუხედავად, ყველა უმედლოდ რომ დარჩა?**

— მედლის აღების შანსი თითქმის ყველა წონით კატეგორიაში გვქონდა. გუნდი შესანიშნავად იყო მომზადებული, თუმცა, ეს შედეგებზე არ აისახა და ამის უმთავრეს მიზეზად უიღბლობა მიმაჩნია. იგივე ქევხიშვილმა ისეთ მეტოქესთან წააგო, ათი შეხვედრიდან ათივეში რომ მოუგებს. ფორტუნამ ზურგი გვაქცია...

**— ზურაბ ზვიადაურის ამბავიც გასაკვირია. სახელოვან მეტოქესთან რომ დამარცხებულიყო, კიდევ ჰო, ყველასათვის უცნობ ძიუდოისტთან პირველივე ბრძოლა სუფთად წააგო და მერეც დამარცხდა...**

— სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ,

დღეს ჭიდაობა ყველამ ისწავლა, ასე რომ, სუსტი მეტოქეები აღარ არსებობენ, მით უმეტეს — მსოფლიო ჩემპიონატზე. შესაძლოა, აქ მეტოქის შეუფასებლობასთანაც გვქონდეს საქმე — ზურა ოლიმპიური ჩემპიონია და იქნებ, მოწინააღმდეგე სათანადოდ არ შეაფასა. თანაც, ფეხის ტრავმაც აწუხებდა და ალბათ ამან მზადებისას პრობლემები შეუქმნა. არა უშავს, ზვიადაური კიდევ ბევრჯერ გაიმარჯვებს...

— **რა თქმა უნდა. თუმცა, როგორც ვიცი, ეს წარუმატებლობა ძალზე განიცადა...**

— კაიროში დამარცხება უზომოდ განიცადა. თუმცა, მთავარია, რომ ხელი არ ჩაუქნევია და დაიქადნა — ჩემსას კიდევ მივაღწევო... უდიდესი სპორტული ჟინის პატრონია და თქვენც ხომ იცით, რომ დიდ გამარჯვებებს კიდევ მიაღწევს.

— **კაიროში გამართული ბრძოლებიდან განსაკუთრებულად რომელი გახსენდება?**

— მეორე შეხვედრა. იაპონელ მეტოქესთან რომ წავაგე, იმ დამარცხებამ გული დამწყვიტა, რადგან თანაბრად ვიჭიდავეთ და უკეთესი ფიზიკური მომზადების ხარჯზე მომიგო. ამ წაგებამ დამანახვა, რომ კიდევ ბევრი შრომა მჭირდება — ძალით, ტექნიკით, ჩემზე უკეთ იყო მზად და დამსახურებულად




გაიმარჯვა.

— **მუნეტასთან რომ მოგეგო, ოქროს მედლისათვისაც შეიძლებოდა ბრძოლა...**

— რა თქმა უნდა. მაგრამ იაპონელთან ძალზე რთული ბრძოლა გავმართე და ამ ეტაპზე ალბათ, მოგების მცირე შანსი მქონდა. მუნეტა რომ დამეჯაბნა, ოქროზე ფიქრიც რეალური იქნებოდა.

— **ამ ეტაპისათვის, ბრინჯაოც ჩინებული შედეგია... მესამე ადგილი სიხარულის ცრემლით აღნიშნე. საერთოდ, ემოციური ადამიანი ხარ?**

— საკმაოდ ემოციური ვარ. პირველივე მსოფლიო ჩემპიონატზე მოპოვებულმა „ბრინჯაომ" ძალიან გამახარა. ამ მედალს ჩემთვის „ოქროს" ფასი აქვს, ბევრ რამეში მჭირდებოდა და საკუთარ თავსაც და სხვებსაც დავუმტკიცე, რომ ბრძოლა შემიძლია. კაიროში გამართულმა ჩემპიონატმა რწმენა დამიბრუნა და „ბრინჯაოზე" გაჩერებას ნამდვილად არ ვაპირებ...

— **გამარჯვებებს რის ხარჯზე აღწევ?**

— როგორ გითხრათ... სპორტული ჟინის, გამარჯვების სურვილის, ბრძოლისუნარიანობის ხარჯზე. მოჭიდავისათვის აზროვნებაც ძალზე მნიშვნელოვანია — ტატამზე რომ გადიხარ, შიში არ უნდა გქონდეს და ყველაფერი კარგად იქნება. პირადად მე, ბრძოლის წინ შიშს არასდროს განვიცდი. როდესაც კარგად ხარ მომზადებული, თავდაჯერებულიც ხდები.

— **უახლოესი ტურნირი როდის გელის?**

— ერთ თვეში, კიევში ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი გაიმართება და იქ ვიასპარეზებ. კაიროდან ჩამოსვლის შემდეგ არ მივარჯიშია. მზადებას მალე დავიწყებ და ვეცდები, მედალი უკრაინიდანაც ჩამოვიტანო...

■



# ოლიმპიადის ფინალში გობეჯიშვილმა ბაუმგარტნერს ქულა აჩუქა

## როგორ დაიყოლია მიშიკო ქიაურელმა ახალგაზრდა მოჭიდავე მსახიობობაზე

**თავისუფალი სტილის მძიმეწონოსან ქართველ მოჭიდავეთა შორის, დავით გობეჯიშვილი რომ ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ყველაზე წარმატებული ათლეტია, ამას სპორტსმენის მიერ კარიერის მანძილზე მოპოვებული ჯილდოებიც მოწმობს. ბატონი დავითი ოლიმპიური და ორგზის მსოფლიო ჩემპიონობის გარდა, სამჯერ გახლდათ მსოფლიო თასის მფლობელი, სამჯერ მოიგო საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი. გაიმარჯვა „კეთილი ნების თამაშებში", როგორც პირად, ასევე გუნდურ ჩათვლაში. გარდა ამისა, იგი არაერთხელ იყო ევროპის ჩემპიონი და მოგებული აქვს, როგორც მსოფლიო პირველობის ვერცხლის, ასევე ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალი. აქტიური სპორტისთვის თავის დანებების შემდეგ, 1994-დან 2001 წლამდე, გობეჯიშვილი ჭიდაობის ფედერაციას ედგა სათავეში, ხოლო სანამ სპორტის დეპარტამენტში ხელმძღვანელობა შეიცვლებოდა, ის თავმჯდომარის მოადგილე გახლდათ და ჭიდაობას კურირებდა. ამჟამად, ბატონი დავითი ბიზნესითაა დაკავებული და ჩვენი საუბარიც მის ოფისში შედგა.**

*გიორგი ლანჩავა*

### ოლიმპიური ჩემპიონის დამარცხებით ნაყრებში მოპოვებული ადგილი

— გობეჯიშვილების გვარში მამაკაცებს ყოველთვის ჰქონდათ მიდრეკილება ჭიდაობისკენ. ამის დასტურია ის, რომ




საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და რამდენიმეგზის პრიზიორი იყო გურამ გობეჯიშვილი. ასევე, ახალგაზრდებში ქვეყნის პირველობა ჰქონდათ მოგებული ჯეირან და ზურა გობეჯიშვილებს. აღსანიშნავია, რომ სამივე მათგანი თავისუფალი სტილით მოჭიდავე გახლდათ. ამ ფაქტმა და კიდევ იმან, რომ ონში სპორტის სექციებს შორის ყველაზე უკეთ ჭიდაობის სექცია ფუნქციონირებდა, ამ სახეობით ჩემი დაინტერესება გამოიწვია. თავიდან, ონში დავიწყე ვარჯიში მწვრთნელ შურა მაისურაძესთან, შემდეგ კი, ცოტა ხანი ქუთაისში გავდიოდი წვრთნას. თუმცა იმ პერიოდში ამას სისტემატური ხასიათი არ ჰქონდა და საჭიდაო დარბაზს კვირაში სამჯერ ვაკითხავდი. 1980 წელს, მძიმე წონაში საქართველოს ჩემპიონატი მოვიგე თავისუფალ ჭიდაობაში 1963 წელს დაბადებულ ათლეტებს შორის. მომდევნო წელს, იგივე შედეგი გავიმეორე და საქართველოს ნაკრებში მოვხვდი, რომელსაც გურამ საღარაძე წვრთნიდა. ამასობაში, სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოხდის დროც მომივიდა და ვარჯიში არმიის სპორტულ კლუბში კვლავ ბატონ გურამთან გავაგრძელე, რომელიც კარიერის ბოლომდე ჩემი პირადი მწვრთნელი იყო. მძიმე წონაში ასპარეზობა იმის გამო მხვდა წილად, რომ 2 მეტრი სიმაღლის გახლდით და 100 კილოგრამზე მეტს ვიწონიდი, თან წონის დაკლება არ მიყვარდა. 1984 წელს, თავიდან, ვახტანგ ბალავაძის სახელობის, შემდეგ კი, უბრალოდ, თბილისის საერთაშორისო ტურნირად წოდებულ „შეჯიბრებაში მივიღე მონაწილეობა, რომელსაც „მცირე მსოფლიო ჩემპიონატსაც“ კი ეძახდნენ. ამ ტურნირმა ეს სახელწოდება იმით დაიმსახურა, რომ მასში პლანეტის უძლიერესი ათლეტები გამოდიოდნენ და თქვენ წარმოიდგინეთ, მძიმე წონაში საბჭოთა კავშირის 10 უძლიერესი მოჭიდავე ეცილებოდა ერთმანეთს ოქროს მედალს. იმ წელს, ტურნირზე მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატის პრიზიორები დავამარცხე და მე-3 ადგილი დავიკავე. ნაჩვენები შედეგის გამო, საბჭოთა კავშირის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა, ივან იარიგინმა ქვეყნის პირველ გუნდში მიმიწვია. 1985 წელს, იანვარში, ვიდრე თბილისის საერთაშორისო ტურნირი აიღებდა სტარტს, ერევანში საბჭოთა კავშირისა და ამერიკის თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებების ამხანაგური შეხვედრა შედგა. 1984 წლის ლოს-ანჯელესის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ბრიუს ბაუმგარტნერი დავამარცხე და ნაკრებში ადგილი მყარად დავიმკვიდრე. ამ ორთაბრძოლამ სათავე დაუდო ჩემი და ბაუმგარტნერის თითქმის შვიდწლიან დაპირისპირებას: ოლიმპიური თამაშებისა თუ მსოფლიო ჩემპიონატის ოქროს მედლის ბედი ჩვენი უშუალო შეხვედრისას წყდებოდა. 1985 წელს, თბილისის ტურნირთან ერთად, კიდევ რამდენიმე საერთაშორისო ასპარეზობა მოვიგე, ასევე — საკონტროლო შეხვედრა ბელორუსიის სახელით მოასპარეზე, წარმოშობით ქართველ მალხაზ მერმანიშვილთან ორთაბრძოლისას, რომელიც ნაკრებში მძიმე წონაში ჩემი კონკურენტი იყო და ლაიფციგში ევროპის პირველობაზე გავემგზავრე. ყოფილი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჩემპიონი საკმაოდ ადვილად გავხდი და ერთ თვეში, იაკუტსკში მომიწია ჩასვლამ, სადაც საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი იმართებოდა. იქ აუტანელ პირობებში მოგვიწია ჭიდაობამ, რადგან შეხვედრები ღია სტადიონზე იმართებოდა და ტემპერატურა ისე დაეცა, რომ აეროპორტიდან სპეციალური ავტომანქანები მოიყვანეს, რომლებიც თბილ ჰაერს აფრქვევდა. საერთოდ, მათ თვითმფრინავების ძრავების გასათბობად იყენებდნენ. სტადიონის გარშემო კი იურტები იდგა, სადაც შეჯიბრებაზე გასვლამდე ვემზადებოდით. იაკუტსკში ქვეყნის ჩემპიონი პირველად გავხდი და ფინალში კვლავ მერმანიშვილი დავამარცხე, რომელიც სხვათა შორის, ბავშვობაში მჯობნიდა. ასე რომ, როდესაც საბჭოთა კავშირის პირველობა მოვიგე, უკვე ქვეყნის ნაკრების წევრი ვიყავი და ევროპის ჩემპიონობაც მქონდა მოპოვებული.

## ფულით აუწონავი ტიტული და მსაჯების სიმუხთლე

— 1985 წელს პირველად გავემგზავრე მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც ბუდაპეშტში ტარდებოდა. მართალია, დებიუტი მქონდა, მაგრამ ნაკრებში ამას ყურადღებას არავინ აქცევდა, ვინაიდან თუ მოჭიდავე საბჭოთა კავშირის მასშტაბით პირველი ნომერი იყო, მას აუცილებლად ნებისმიერ საერთაშორისო შეჯიბრებაში გამარჯვებას სთხოვდნენ. უნგრეთში პირველი ორთაბრძოლა სირიელს მოვუგე ანგარიშით 15:0. მეორე წრეში ბაუმგარტნერი 9:3 დავამარცხე და აღსანიშნავია, რომ შერკინების დაწყებიდან ერთ წუთში ანგარიში 8:0 იყო ჩემს სასარგებლოდ. ამერიკელის გზიდან ჩამოცილების შემდეგ, დარჩენილი შეხვედრები სუფთად მოვიგე და ფინალში ადგილობრივ მოჭიდავეს, იოზეფ ბალას შევხვდი, რომელიც ოლიმპიადის პრიზიორი იყო და როგორც ვერცხლის, ასევე ბრინჯაოს მედალი მსოფლიო ჩემპიონატებზეც ჰქონდა მოპოვებული. ფინალამდე მან თავისი წარმომადგენლები მომიგზავნა, რომელთაც ორთაბრძოლის დათმობა მთხოვეს და სანაცვლოდ, ბალასთვის განკუთვნილი გასამრჯელოს მოცემას დამპირდნენ. მართალია, უნგრელებმა სოლიდური თანხა შემომთავაზეს, მაგრამ მაშინ ჩემთვის



არ არსებობდა ისეთი თანხა, რომელზეც ჩემპიონობას გავცვლიდი... ფინალი ზუსტად ერთ წუთსა და 24 წამში სუფთა გამარჯვებით დავასრულე. აქვე გეტყვით, რომ ქართველებს თავისუფალ ჭიდაობაში უკვე 10 წლის განმავლობაში არ გვყავდა მსოფლიო ჩემპიონი და ბუდაპეშტში ეს უსიამოვნო ტრადიცია ჩემთან ერთად, ლერი ხაბელოვმაც დაარღვია. მანამდე – 1975 წელს, ლევან თედიაშვილი გახდა მსოფლიო პირველობის გამარჯვებული. 1986 წელი თბილისის საერთაშორისო ტურნირში ოქროს მედლის მოპოვებით დავიწყე. სამწუხაროდ, იმავე წელს, ტოლედოში მსოფლიო თასზე ბაუმგარტნერთან შემთხვევით წავაგე. საქმე ისაა, რომ შეხვედრაში ანგარიში 4:0 მიმყავდა და ჩემ მიერვე წამოწყებული ილეთის შესრულებისას, უეცრად ბეჭებზე აღმოვჩნდი. იმ წელს ქვეყნის ჩემპიონატი გაიმართა ვლაზიკავკაზში, სადაც ფინალში ადგილობრივი ვიქტორ ზანგიევი დავამარცხე. ამის გარდა, მაშინ მინსკში ხალხთა სპარტაკიადაზეც გავიმარჯვე და გადამწყვეტი ბრძოლა ნეკნდამტვრეულმა ჩვენებურ ზაზა თურმანიძეს მოვუგე. სხვათა შორის, ნეკნი ვარჯიშზე გამიტყდა და არ მახსოვს, კარიერაში ამაზე სერიოზული ტრავმა რომ მქონოდა. 1986-ში მსოფლიო ჩემპიონატი კვლავ ბუდაპეშტში შედგა და ფინალში ბაუმგარტნერს შევხვდი. მძიმეწონოსანთა გადამწყვეტი შეხვედრა ყოველთვის ბოლოს იმართებოდა და ვინაიდან ჩემამდე ოთხი თუ ხუთი საბჭოთა სპორტსმენი გახდა ჩემპიონი, ალბათ, მსაჯებმა ჩათვალეს, რომ ჩვენი ნაკრების მიერ კიდევ ერთი „ოქროს“ მოგება მეტისმეტი იქნებოდა, ამიტომ ფინალში ძალიან შემავიწროეს და როდესაც ანგარიში მიმყავდა, გაფრთხილებას მაძლევდნენ. ამან წონასწორობიდან გამომიყვანა და ბოლოს, წავაგე კიდეც. ის ფინალი ახლაც კარგად მახსოვს, რადგან მისი დასრულებისას ფსიქოლოგიურად ძალიან ცუდად ვიყავი. 1987 წელი ჩემთვის საკმაოდ წარუმატებელი აღმოჩნდა, რადგან საბჭოთა კავშირის პირველობაზე ასლან ხადარცევთან წავაგე, რომელიც მანამდე, 100 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში გამოდიოდა და მძიმე წონაში მოგვიანებით გადმოვიდა. მსოფლიო პირველობაზეც ის გაემგზავრა და ოქროს მედალსაც დაეუფლა. მე მხოლოდ მსოფლიო თასი მოვიგე წლის ბოლოს. მინდა აღვნიშნო, რომ როდესაც პლანეტის უძლიერესი მოჭიდავე პირველად გავხდი, პრემიის სახით 1.500 მანეთი მივიღე და „გაზ-24“ („ვოლგა“) გამოვიყვანე ურიგოდ.

## 4 გრძელი წამი და ოლიმპიური ოქრო სეულში

– ერთწლიანი ხანმოკლე ჩავარდნის შემდეგ, 1988 წლის დასაწყისში, თბილისის ტურნირი მოვიგე, რომელშიც არც ხადარცევს უჭიდავია და არც ბაუმგარტნერს. ამის შემდეგ მსოფლიო თასს დავეუფლე და ფინალში ბაუმგარტნერს ძალიან დიდი ანგარიშით ვძლიე. მალევე, კრასნოიარსკში მესამედ გავხდი ქვეყნის ჩემპიონი, მაგრამ ხადარცევს არც იქ უასპარეზია – ეტყობა, ჩემთან შეხვედრას თავს არიდებდა. მიუხედავად ამისა, ნაკრების მწვრთნელებმა ვერ გადაწყვიტეს, სეულის ოლიმპიადაზე მე წავეყვანე თუ ოსი სპორტსმენი. ამის გასარკვევად ჩვენ შორის საკონტროლო შერკინება დანიშნეს. მართალია, ქვეყნის პირველ გუნდში რამდენიმე მწვრთნელი მუშაობდა, მაგრამ გადამწყვეტი სიტყვა ივან იარიგინს ეკუთვნოდა. მაშინ კისლოვოდსკში, სადაც ეს შეხვედრა იმართებოდა, ჩემს მხარდასაჭერად საკმაოდ ბევრი ქართველი ჩამოვიდა, დარბაზში ამ ქალაქში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეებიც შეიკრიბნენ. თუმცა, მხარდამჭერები არც ასლან ხადარცევს აკლდა. კისლოვოდსკის ორთაბრძოლის დასაწყისშივე მწვრთნელები ტენდენციურნი იყვნენ, რაც იმაში გამოიხატა, რომ ხადარცევს 31 წუთი ვეჭიდავე და ამ ხნის განმავლობაში, 4 ქულა ავართვი, მაგრამ მათ არც ერთი არ ჩამითვალეს. ბოლოს, ისეთი ფიქსირებული ქულა მოვიპოვე, რომელზეც თვალს ვერავინ დახუჭავდა და შეხვედრა ჩემს სასარგებლოდ დამთავრდა 1:0. ამან ოლიმპიადის საგზური მომიტანა. სამხრეთ კორეაში მანამდე ნამყოფი არ ვიყავი და მინდა გითხრათ, რომ ოლიმპიური თამაშები მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული. თან სეულში 12-წლიანი შესვენების შემდეგ, ერთმანეთს კვლავ დაუპირისპირდნენ ამერიკელი და საბჭოთა სპორტსმენები, რომლებიც იმხანად მსოფლიო სპორტში დომინირებდნენ. ფინალში ბრიუს ბაუმგარტნერს შევხვდი, რომელსაც ორთაბრძოლის დასრულებამდე 17 წამით ადრე, 2:0-ს ვუგებდი და მესამე ქულაც ავართვი, რაც საბოლოო შედეგისთვის გადამწყვეტი აღმოჩნდა. ჭიდაობის დასრულებას 4 წამი აკლდა, როცა დროის გაყვანის მიზნით, ბაუმგარტნერს ქულა შეგნებულად დავუთმე. თითქოს 4 წამი არაფერია, მაგრამ ოლიმპიური ჩემპიონი როდესაც ვხდებოდი, ჩემთვის ეს დრო ისე გაიწელა, რომ მისი უფრო სწრაფად გაყვანის მიზნით, მეტოქისთვის ქულის მიცემა გადავწყვიტე. ოქროს მედლის მოპოვებით გამოწვეულ სიხარულს სპორტსმენები სხვადასხვანაირად გამოხატავენ და ზოგიერთი წარმოუდგენელ ტრიუკებსაც კი ასრულებს. მე კი ფინალის დასრულების შემდეგ, როდესაც მსაჯმა გამარჯვების ნიშნად ერთი ხელი ამიწია, მეორე ხელიც აღვმართე. სხვათა შორის, ასეთი რამ არც მანამდე და არც მას შემდეგ მომსვლია. ოლიმპიური ჩემპიონობით გამოწვეული ჩემი აღტაცებაც ამით გამოვხატე. შესაძლოა, ოლიმპიური ოქროსთვის ისეთი დაფასება არ მიგრძნია, როგორც 2004 წელს ათენის ოლიმპიადაზე გამარჯვებულ სპორტსმენებს, მაგრამ იმ დროისთვის საკმაოდ სოლიდური პრემია მომცეს – კერძოდ, ადგილზე 10.000 მანეთი და 2.400 დოლარი გადამიხადეს, ხოლო თბილისში ჩამოსულს, კვლავ „ვოლგა“ მერგო ურიგოდ. გარდა ამისა, ოლიმპიური ჩემპიონები კრემლში მიხაილ გორბაჩოვმა მიგვიღო, ხოლო საქართველოში დაბრუნებულ სპორტსმენებს ცენტრალური კომიტეტის მაშინდელი პირველი მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი შეგვხვდა.

## მეორედ მსოფლიო ჩემპიონის კვარცხლბეკზე

– სეულის ოლიმპიადის შემდგომ წელს მხოლოდ საბჭოთა კავშირის პირველობაზე ვიჭიდავე, სადაც ხადარცევს ფინალში დავუპირისპირდი და ჩვენი ორთაბრძოლა ფრედ 0:0 დასრულდა, ამიტომ ორივეს მეორე ადგილი გვერგო. მართალია, როგორც წინა წლის ოლიმპიადის გამარჯვებულს, მსოფლიო ჩემპიონატზე წასვლა მე მეკუთვნოდა, მაგრამ ხადარცევს ნაკრების მწვრთნელთა საბჭოში სერიოზული მხარდამჭერები ჰყავდა და პლანეტის პირველობაზე მისი წასვლა ამან განაპირობა. ხადარცევმა ჩემპიონის ოქროს მედლის მოპოვება ვერ შეძლო. იმავე წელს, ეს სპორტსმენი ავტოკატასტროფაში დაიღუპა. 1990 წელს, თბილისის საერთაშორისო ტურნირი მოვიგე და ნაკრებში კვლავ პირველ ნომრად დამაბრუნეს. ამას მსოფლიო თასზე გამარჯვება მივუმატე, სადაც ფინალში ბაუმგარტნერი დავამარცხე. იმ წელს, ქვეყნის ჩემპიონატი ულან-უდეში გაიმართა, სადაც გამოჩენილი მოჭიდავის, ალექსანდრ მედვედის შვილთან საშა მედვედთან დავმარცხდი და მე-3 ადგილი მერგო. მაშინ ჩემპიონი, ზაზა თურმანიძე გახდა, რომელმაც სწორედ მედვედს სძლია. 1990-ში სიეტლში „კეთილი ნების თამაშები“ ჩატარდა და ეს ასპარეზობა რანგით მსოფლიო ჩემპიონატს აღემატებოდა. სიეტლში პირად პირველობაში ოქროს მედალი მერგო, ხოლო გუნდურ ჩათვლაში, საბჭოთა კავშირის მოჭიდავეთა ნაკრები მხოლოდ ამერიკელებს ჩამორჩა. ამ შემთხვევაშიც, გადამწყვეტი ბრძოლა ბაუმგარტნერს მოვუგე. მიუხედავად ამისა, ნაკრების მწვრთნელებს ტოკიოში მსოფლიო ჩემპიონატზე ჩემი წაყვანა არ უნდოდათ, ისინი უპირატესობას მედვედს ანიჭებდნენ. თან არგუმენტად ის მოჰყავდათ, რომ ერთი და იმავე მოჭიდავეს „კეთილი ნების თამაშებზეც“ და მსოფლიო პირველ-

ობაზეც არ უნდა ესასპარეზა. კისლოვოდსკში ჩემსა და მედვედს შორის რამდენიმე საკონტროლო შეხვედრა შედგა, რომლებშიც აშკარა უპირატესობა მქონდა. საბოლოოდ, ტოკიოში მე წავედი და პირველი ადგილი ძალიან ადვილად დავიკავე. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ გერმანელ ანდრეას შრიოდერს, რომელიც მომდევნო წელს გახდა ჩემპიონი, ტურნირის მსვლელობისას სამ თუ ოთხ წუთში 16:0 მოვუგე. ფინალში მეტოქედ ისევ ბაუმგარტნერი მყავდა და მას 2:0 ვძლიე. ამგვარად, 5-წლიანი შესვენების შემდეგ, მსოფლიო ჩემპიონობა დავიბრუნე.

## ჩაის ფაბრიკიდან – ოლიმპიურ ბრინჯაომდე

– 1991 წლის 9 აპრილს, საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და საბჭოთა კავშირის ნაკრებში მყოფი მოჭიდავეები, რომლებიც ევროპის პირველობისთვის ვემზადებოდით, ჩვენი ქვეყნის მაშინდელმა ხელისუფლებამ უკან გამოგვიწვია. იმ პერიოდში საქართველო საერთაშორისო საჭიდაო ფედერაციის წევრი არ გახლდათ და ფაქტობრივად, სპორტისთვის თავის დანებება მომიხდა. არადა, მხოლოდ 27 წლის ვიყავი, მოჭიდავეები კი, 33-35 წლამდე აგრძელებენ ხალიჩაზე გამოსვლას. ჩემი დონის სპორტსმენს პოსტსაბჭოური სივრცის ნებისმიერი ქვეყანა მიიღებდა, მაგრამ მე არსად წასვლაზე არ მიფიქრია. მწვრთნელი ივან იარიგინი, რომელიც ჩემი უფროსი მეგობარიც იყო, ძალიან ხშირად მირეკავდა და მთხოვდა, რომ ჭიდაობისთვის თავი არ დამენებებინა. სპორტს მაინც ჩამოვშორდი და თბილისის ჩაის ფაბრიკაში, დირექტორის მოადგილედ დავიწყე მუშაობა. იმდენი საქმე მქონდა, რომ სავარჯიშოდ ნამდვილად არ მეცალა. 1992 წელს, საქართველოში ედუარდ შევარდნაძე ჩამოვიდა, რომელმაც გადაწყვიტა, რომ ჩვენი ქვეყნის სპორტსმენებს დსთ-ის გუნდის შემადგენლობაში ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებზე მიეღოთ მონაწილეობა. ოლიმპიადა ივლისში იწყებოდა, ხოლო შევარდნაძემ ამის შესახებ მარტში განაცხადა. ბუნებრივია, ოლიმპიურ გუნდში უცბად არავინ ამიყვანდა და ბარსელონაში მოსახვედრად, დსთ-ის ჩემპიონატის მოგება იყო საჭირო, რომელიც მაისში იმართებოდა მოსკოვში. რუსეთის დედაქალაქში გამგზავრებამდე, მხოლოდ ერთი შეკრების გავლა მოვასწარი ბორჯომში, სადაც ერთწლიანი შესვენების შემდეგ ხალიჩაზე პირველად გამოვედი. მოსკოვში დსთ-ის პირველობა საკმაოდ მძიმედ დავიწყე. არადა, მეგონა, რომ არ გამიჭირდებოდა, მაგრამ იმ ფაქტმა, რომ თითქმის 2 წელი შეჯიბრებაზე არ გამოვსულვარ, თავისი ქნა. მიუხედავად იმისა, ბევრისთვის მოულოდნელად დსთ-ის ჩემპიონი გავხდი და ბარსელონაში გავემგზავრე, სამი ბრძოლა მოვიგე და მეოთხე წრეში ბაუმგარტნერთან შეხვედრისას ფრეც მაძლევდა ხელს, მაგრამ ისე მოხდა, რომ გვერდით ხალიჩაზე გაიმარჯვა მოჭიდავემ, რომელსაც წესით, ასეთი შედეგისთვის არ უნდა მიეღწია. მოვლენათა ამგვარი განვითარების გამო,



...1992 წელს, საქართველოში ედუარდ შევარდნაძე ჩამოვიდა, რომელმაც გადაწყვიტა, რომ ჩვენი ქვეყნის სპორტსმენებს დსთ-ის გუნდის შემადგენლობაში ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებზე მიეღოთ მონაწილეობა.

ამერიკელთან უკვე გამარჯვება მჭირდებოდა. მაგრამ ამის შესახებ ორთაბრძოლის დასრულებამდე 7 წამით ადრე გავიგე და შეტევაზე გადასულმა, უკანასკნელ 4 წამში ქულა დავკარგე, რამაც ბაუმგარტნერს ფინალისკენ გაუხსნა გზა. ოლიმპიური ჩემპიონი სწორედ ის გახდა. მე კი ჯერ მოქმედ მსოფლიო ჩემპიონს მოვუგე, შემდეგ – 1996 წლის ატლანტის ოლიმპიადის მომავალ გამარჯვებულს და ბარსელონაში ბრინჯაო მხვდა წილად. ამის შემდეგ აღარ მიჭიდავია და 1994-დან 2001 წლამდე, საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი ვიყავი, სადაც გოჩა ძასოხოვმა შემცვალა.

## კალინიკე ლეჩხუმელი

– 1985 წელს, მიშიკო ჭიაურელმა გადაიღო ფილმი – „ჭიდაობას რა უნდა?“ მან გადაწყვიტა, ერთ-ერთი როლის შემსრულებლად მე მივეწვიე. სცენარის მიხედვით, რაჭველი მოჭიდავის კალინიკე ლეჩხუმელის როლი უნდა შემესრულებინა. მე ამის სასტიკი წინააღმდეგი ვიყავი, რადგან ერთად ორ საქმეს – თან ვარჯიშსა და თან კინოგადაღებაზე სიარულს ვერ ვასწრებდი. მით უმეტეს, გადასაღებ მოედანზე დილის 10 საათზე დამიბარებდნენ ხოლმე და გადაღება საღამოს 5 საათზე იწყებოდა, ამიტომ ვარჯიში მიცდებოდა. ფილმში მონაწილეობისთვის თავი რომ ამერიდებინა, რა აღარ მოვიმიზეზე. ერთხელ ისიც კი ვთქვი, რომ საბჭოთა ნაკრებიდან არ მიშვებდნენ და თბილისში ვერ ჩამოვდიოდი. მაგრამ ჭიაურელმა საქმე ყველა დონეზე მოაგვარა, საკავშირო სპორტკომიტეტით დაწყებული, ნაკრების უფროსი მწვრთნელით დამთავრებული. პრინციპში, ფილმში რისი გაკეთებაც მევალებოდა, ამაში ჩემთვის ახალი არაფერი იყო და ამიტომ როლის შესასრულებლად სპეციალური მომზადება არ მჭირდებოდა. რაც შეეხება ოთარ მეღვინეთუხუცესს, რომელიც სცენარის მიხედვით, ჩემი მწვრთნელი გახლდათ – რამდენჯერმე შევესწარი, თუ როგორ ემზადებოდა იგი გადაღებისთვის. ბატონი ოთარი ცალკე ოთახში შედიოდა და როლისთვის განკუთვნილ ტექსტს ხმამაღლა რამდენჯერმე იმეორებდა, თან საჭირო ჟესტებს აყოლებდა. ფილმში ასევე მონაწილეობდა დღევანდელი სახელმწიფო მინისტრი, გოგა ხაინდრავა. სცენარში იყო ეპიზოდი, სადაც ჩემს მწვრთნელს თავს ესხმოდნენ და მე მას უნდა გამოვქომაგებოდი. თავდამსხმელთაგან ერთ-ერთი, ხაინდრავა გახლდათ და მისგან მეღვინეთუხუცესის დასაცავად ფიზიკური ძალის გამოყენება იყო საჭირო. პირველი დუბლის გადაღების შემდეგ, ბატონმა გოგამ მთხოვა, რომ მას აღარ მივკარებოდი... ერთ სცენაში მე გივი სიხარულიძეს ვეჭიდავებოდი და ის უნდა წამექცია. ბატონმა გივიმ ჭიდაობა საერთოდ არ იცოდა და ავუხსენი, თუ ჩემ მიერ გაკეთებული ილეთისას როგორ უნდა ემოქმედა. საერთოდ, როდესაც ბავშვი ჭიდაობაში ვარჯიშს იწყებს, მას პირველ რიგში, წაქცევას ასწავლიან, რადგან თუ ეს არ იცის, შეიძლება, მძიმე ტრავმა მიიღოს... სიხარულიძემ ლამაზად წაქცევა მოინდომა და პროფესიონალი რომ არ ვყოფილიყავი, შესაძლოა, ბატონ გივის კისერი მოეტეხა... ბოლოს და ბოლოს, ფილმი როდესაც ვნახე, კმაყოფილი დავრჩი, მაგრამ გადასაღებ მოედანს აღარ გავკარებივარ. არადა, გიორგი შენგელაიამ „ხარება და გოგიას“ გადაღებისას ერთ-ერთი როლის შესრულება შემომთავაზა, რაზეც უარი ვუთხარი. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ პროფესიონალ მსახიობებთან შედარებით, მე სრულიად განსხვავებულ პოლუსზე ვდგავარ. ■



ანსამბლ „ვერნისაჟის“ ხელმძღვანელი და მოცეკვავე თეა გობეჯიშვილი ერთი კვირაა, რაც ანტალიიდან დაბრუნდა, სადაც 6 თვის განმავლობაში, მეუღლესთან, ნიკა ლომიძესთან და ანსამბლის წევრებთან ერთად იმყოფებოდა. როგორც ჩვენი საუბრიდან გაირკვა, მათ იქ ბევრი მეგობარი შეუძენიათ. ამის დასტურია ისიც, რომ მთელი ინტერვიუს მსვლელობისას თეას ტელეფონი არ გაჩერებულა — თურქი მეგობრები ურეკავდნენ და სიყვარულს უხსნიდნენ. მერე ნიკა გამოართმევდა მეუღლეს ტელეფონს და ახლა ის ესაუბრობდა „თურქულ-ინგლისურად“... ცოლ-ქმარი აღფრთოვანებულია თურქების სითბოთი და სიხარულით მაცნობეს — ერთი თურქი სტუმარი ახლა დაბრუნდა თბილისიდან სამშობლოში და ორ კვირაში ისევ ჩამოვა, დანარჩენებიც ერთ კვირაში აქ იქნებიან და 3 კვირით დარჩებიანო.

რას აკეთებდნენ თეა და ნიკა ამდენ ხანს მეზობელ ქვეყანაში, რა შეემთხვა ნიკას საზღვარზე და იცეკვებს თუ არა მათი პატარა შვილი — ამ ყველაფერზე თეა გვიყვებოდა, თუმცა, მოკლე ჩართვებს ნიკაც აკეთებდა...

# თეა გობეჯიშვილმა ნიკა ლომიძე დაინდო

## შემთხვევა თურქეთის საზღვარზე...

ნათია ქივიძე

**— თეა, ვისი მიწვევით გაემგზავრე იქ და რას საქმიანობდი?**

— ანტალიაში არის სასტუმრო — ,,ვენეცია‘‘, რომლის ხელმძღვანელებმაც მიმიწვიეს და შემომთავაზეს, რომ ერთდროულად 4 მიუზიკლი დამედგა. ეს ძალიან დიდი სასტუმრო კომპლექსია, რომელსაც ათასკაციანი ამფითეატრი აქვს. იქ 2 თვით ადრე წავედით, რომ მიუზიკლებზე გვემუშავა. ყველაფერი ადგილზე გაკეთდა — კოსტიუმებიც, დეკორაციებიც, რეჟისურაც...

**— აქამდე მიუზიკლი არასოდეს დაგიდგამს?**

— ამ სახის მიუზიკლი — არა, თუმცა, ჩვენ ვმონაწილეობდით ანსამბლ ,,ივერიის‘‘ მიერ დადგმულ მიუზიკლში ,,ფიროსმანი‘‘. აქ გაცილებით რთულია მიუზიკლის გაკეთება. თუ ანტალიაში 4 მიუზიკლი ერთ თვეში გავაკეთე, აქ ერთ მიუზიკლს მთელი წელი მაინც დასჭირდებოდა. იქ იმდენად დიდი იყო დაინტერესება, რომ ეს ყველაფერი ძალიან კარგი გამოსულიყო, რომ მათთვის მთავარი იყო, ფურცელზე ჩამომეწერა, თუ რა მჭირდებოდა და მაშინვე ყველაფერს გააჩენდნენ. ძალიან დიდი გუნდი მუშაობდა ჩემთან — მხატვრების, დეკორატორების, მკერავების...

**— აქამდე თუ გითანამშრომლიათ მათთან?**

— არასოდეს და არც მქონია ასეთი ხანგრძლივი გასტროლი, ერთადერთხელ, 6 თვე ვიყავი მაროკოში. საერთოდ, არ მიყვარს ჩემი ქვეყნის დიდი ხნით დატოვება. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ,,საშინელი‘‘ პატრიოტი ვარ, რთულად ვეგუები სხვა ქვეყანაში ცხოვრებას. მაგრამ ეს მიუზიკლები ჩემთვის იმდენად საინტერესო იყო და იმდენ ხანს ვოცნებობდი ამის გაკეთებაზე, რომ გავძელი.

**— რატომ შეარჩიეს მაინცდამაინც „ვერნისაჟი“?**

— მათ ადმინისტრაციაში არის ქართველი თანამშრომელი, რომელმაც იცოდა ჩვენი ანსამბლის არსებობა და ძალიან მოსწონდა ჩვენი შემოქმედება. მერე აქ იყვნენ ჩამოსულები, აქაც გვნახეს და უკვე ძალიან დიდი იყო ჩვენზე მოთხოვნა. მთელი დღის განმავლობაში გვირეკავდნენ და გვთხოვდნენ, მალე ჩამოდითო. ძალზე კარგი პირობები შემომთავაზეს, ამიტომ დიდხანს არც მიფიქრია — ავდექი და წავედი. ანსამბლის წევრებისთვის ეს ძალზე დიდი პრაქტიკა იყო: გარდა იმისა, რომ ცეკვავდნენ, ისინი მსახიობებადაც მოგვევლინნენ. კვირაში ორ მიუზიკლს ვუჩვენებდით, მომდევნო კვირაშიც — ორს. თურქები ძალიან კარგი მაყურებლები არიან და ეს ყველაზე მთავარია მსახიობისა თუ მოცეკვავისთვის. არ ვიცი, ჩვენი ცეკვა მოსწონდათ და ამიტომ იყვნენ ასეთი თბილები და ყურადღებიანები, თუ საერთოდ ასეთები არიან. უამრავი კომპლიმენტი, სითბო და სიყვარული მივიღეთ...

**— რა მიუზიკლები დადგით?**

— დავდგით ,,ჩიკაგო‘‘, ,,ალადინი‘‘, ,,ვესტსაიდური ისტორია‘‘ და ,,პოკა-ჰონტასი‘‘.

**— რა ენოვანი იყო ეს მიუზიკლები?**

— ოთხივე ინგლისურენოვანი იყო.

**— რატომ გადაწყვიტე, რომ მაინცდამაინც ეს მიუზიკლები დაგედგა?**

— თვითონ გადავწყვიტე ასე, რადგან არც ერთი მათგანი ერთმანეთს არ ჰგავდა. ,,ჩიკაგო‘‘ და ,,მულენ-რუჟი‘‘ რომ გამეკეთებინა, არ იქნებოდა მომგებიანი: ორივეს მოქმედება დაახლოებით ერთსა და იმავე ეპოქაში ხდება, ერთმანეთის მსგავსი კოსტიუმები და მუსიკა უნდა გამოგვეყენებინა. მინდოდა, 4 აბსოლუტურად განსხვავებული მიუზიკლი გამეკეთებინა.

**— მასპინძლები თუ ერეოდნენ დადგმის პროცესში?**

— არა. ისინი აბსოლუტურად არ ჩარეულან შემოქმედებით პროცესში. ყველა ჩვენს გამოსვლას ესწრებოდნენ და ამ ყველაფრით ძალზე კმაყოფილები იყვნენ. ძალიან დიდი სამუშაოს ჩატარება მომიხდა. უფრო გამიადვილდებოდა, მხატვარი მაინც რომ მყოლოდა, რომელიც თვითონ გააკეთებდა დეკორაციას, ან მკერავი, რომელიც თავად შეკერავდა კოსტიუმებს და მე მხოლოდ მიუზიკლის დადგმაზე ვიმუშავებდი. მაგრამ ყველას მე ვაძლევდი ყველანაირ მითითებას. ისინი ამას ისე არიან მიჩვეულები, რომ არც კი მთავაზობდნენ რაიმეს — რასაც ვეუბნებოდი, ეს მათთვის კანონი იყო და ყველაფერს ჩემი მითითებით აკეთებდნენ.

**— ნიკა თუ მონაწილეობდა ამ ყველაფერში?**

— ნიკას ძალიან უნდოდა, რომ მიუზ-



მინდოდა, 4 აბსოლუტურად განსხვავებული მიუზიკლი გამეკეთებინა...



დავდგით „ჩიკაგო“, „ალადინი“, „ვესტსაიდური ისტორია“ და „პოკა-ჰონტასი“

იკლებში მიელო მონაწილეობა და მთავარ როლზეც იქაჩებოდა, ბოლოს მითხრა — ჯან-დაბას, „მასოვკაში“ მაინც ჩამაყენეო, — მაგრამ არაფერში არ მივაღებინე მონაწილეობა, ვას-ვენებდი... რა ვიცი, ნიკა, რატომ არ გაცეკვე?

**ნიკა:**

— რა ვიცი, ალბათ დამინდე, იფიქრე — გეყოფა, რაც იმუშავეო.

— **მახსოვს, როცა შევუღლდით, ამბობდი — ნიკას ცეკვა უნდა ვასწავლოო. რატომ არ უსრულებ დანაპირებს?**

— ყველასა და ყველაფრისთვის მაქვს დრო და ნიკასთვის აღარ მრჩება. წარმოიდგინე, შინ რომ დავბრუნდები, მთელი დღე რეპეტიციე-ბზე ნამყოფი და აქ კიდევ ნიკა ვამეცადინო!.. საერთოდ, ძალიან ძნელია შენი შვილი ან ოჯახის წევრი რამეში ამეცადინო. მაგალი-თად, მე მირჩევნია, რომ სხვასთან მივიყვანო ჩემი შვილი და იმან ამეცადინოს. ჩემს შვილს ნიკუშას ძალიან უყვარს ცეკვის ყურება, ყვე-ლა ჩემს კონცერტს ესწრება. ერთადერთხელ წავიყვანე რეპეტიციაზე. ბავშვებს რომ „ვწელავდით“ ყველამ წივილ-კივილი დაიწ-ყო, მაგრამ ეს ჩემთვის არაფერს ნიშნავდა — განა იმიტომ, რომ ისინი არ მიყვარს, უბრალ-ოდ, თავიდან, ეს ყველას უჭირს. ნიკუშას ხელი მოვკიდე თუ არა, მაშინვე „დაიშალა“ და ავაყენე — ახლავე წადი, შენთან მეცადი-ნეობა არ შემიძლია-მეთქი.

— **პატარა ნიტას თუ აქვს ცეკვის ნიჭი?**

— აქვს და საკმაოდ კარგიც. სწორი ფეხები აქვს. მუსიკასაც სწორად არჩევს. კარგად აღიქვამს. იცის, რომელ მუსიკაზე უნდა იცეკვოს, სმენაც აქვს და თავისებური იმპროვიზაციაც შეუძლია. მე მგონი, ნიტას-გან მოცეკვავე გამოვა.

— **საერთოდ, მშობლებს არ სურთ ხოლმე, რომ შვილები მათ პროფე-სიას გაჰყვნენ და შენ ამის წინააღმ-დეგი არ ხარ?**

— არ ვიცი, ნიტას თუ შევატყობ, რომ მონაცემები არ აქვს, მაშინ არც მას დავაძალებ, როგორც ნიკუშასთვის არ დამიძალებია. ნი-ტას აუცილებლად შევიყვან ცეკვაზე და მერე თვითონ გადაწყვიტოს, რადგან რაც არ უნდა კარგი პლასტიკა და მონაცემები გქონდეს, თუ შენი საქმე არ გიყვარს, ვერაფერს მიაღწევ.

— **ისევ ანტალიას დავუბრუნ-დეთ. ორ თვეში 4 მიუზიკლის დადგმა არ გაგიჭირდა?**

— კი, ძალზე შრომატევადი სამუშაო იყო. დავხოცე ბავშვები, დილით დარბაზში რომ შედიოდნენ, ღამით, მხოლოდ დასაძინებლად ვუშვებდი. პირველი ორი კვირა, ოთხით გამ-ოვდიოდით დარბაზიდან. მთელი ორი თვის მანძილზე არც ზღვა გვინახავს, არც მზე და არც არაფერი. მერე გვეკითხებოდნენ — ამდე-ნი ხანია, აქ ხართ და ფერი რატომ არ გაქვთ შეცვლილიო? სხვანაირად ვერ მოვასწრებდი.

— **როგორც შევიტყვე, იქ მყოფმა რუსებმაც მიგიწვიეს. იქნებ, უფრო კონკრეტულად გვიამბო ამის შესახებ?**

— ანტალიაში ჩემი სტუდიის პატარა წევრები ჩამოვიდნენ, რადგან იქ ფესტივალში უნდა მიეღოთ მონაწილეობა. ძალიან გამიხ-არდა, რადგან ერთი კვირით, მთელი „ვერნისა-ჟი“ სრული შემადგენლობით შეიკრიბა. გია ჩხაიძეც ჩვენთან ერთად იყო. ეს არის პედ-აგოგი, რომელიც, თუ მე გასტროლებზე ვარ, ბავშვებს ამეცადინებს. იქ მყოფ რუსებს იმდე-ნად მოეწონათ მათი ცეკვა, რომ მაშინ შემომ-თავაზეს — იქნებ, ჩვენთან ჩამოხვიდე და ჩვენი შვილებიც ამეცადინო, სტუდიასაც მოგცემთ და ყველა პირობასაც შეგიქმნითო. იქ სტუმ-რად ჩასულ ბავშვებსაც ვასწავლე ცეკვა. ერთი დღე ვამეცადინებდი და საღამოს, კონ-ცერტს ვატარებდით. იმდენად კარგი 40-წუთიანი კონცერტი ტარდებოდა, რომ მშობლე-ბი გიჟდებოდნენ. მეუბნებოდნენ — უკვე ორი წელია, ცეკვაზე დამყავს და შენ ერთ დღეში გააკეთე, რაც მათ ორ წელში ვერ ასწავლე-სო. ამიტომ მთხოვდნენ, ჩვენთან წამოდიო.

— **ნიკა სულ შენ გვერდით იყო, შვილებიც იქ გყავდა?**

— ნიკა იმ პერიოდში, „ჯეოსტარის“ წამყ-ვანი იყო, ამიტომ სულ თვითმფრინავში იჯდა: კვირას იქიდან მოფრინავდა, რომ ორშაბათს აქ ყოფილიყო, სამშაბათს კი, ისევ ჩემთან ბრუნდებოდა. ერთხელ, ნიტასთან ერთად ჩამ-ოვიდა. უკან რომ უნდა დაბრუნებულიყო, გადავწყვიტე, ბავშვი ჩემთან დამეტოვებინა, რადგან ძალიან მონატრებული მყავდა. ნიკას ვუთხ-არი — შენ წადი და შემდეგ წასვლაზე წაიყვანე-მეთქი. კი წამოვიდა ნიკა, მაგრამ საზღვარზე არ გამოუშვეს, შეედავნენ — ბავშ-ვი სად წაიყვანეო?! — და სამ საათში, ნიკა უკან დაბრუნდა... იმდენად მინდოდა ბავშვის დატოვება, რომ ამაზე არც კი მიფიქრია. მეგონა — თუ კაცი ბავშვს დედასთან ტოვებს, რა მოხდა-მეთქი?!. თურმე, ასე არ ყოფილა... „ჯეოსტარის“ ის გადაცემა ნიკამ გააცდინა და მის მაგივრად, დუტამ წაიყვანა.

— **თურქულ ენას კარგად ფლობ?**

— არა, რას ამბობ?! რაღაც-რაღაცები კი ვისწავლე, მაგრამ იქ თურქულად ლაპარაკი თითქმის არ მჭირდებოდა, რადგან ყველამ ძალიან კარგად იცის რუსულიც და ინგლი-სურიც. მეც ორივე ენას საკმაოდ კარგად ვფლობ და ამ ენებზე ვლაპარაკობდი. თურქუ-ლად მხოლოდ ის სიტყვები ვიცი, რომ-ლებიც მკერავთან მჭირდებოდა.

— **როგორი ურთიერთობა გქონ-დათ იქაურ თურქებთან?**

— ძალიან კარგი. მართლა არ მეგონა, თუ ასეთი თბილები იქნებოდნენ. გიცნობენ თუ არა, მაშინვე კომპლიმენტს გეტყვიან, გეფერე-ბიან... ძალიან ბევრს დავუმეგობრდით. ერთ-ერთი მათგანი უკვე ჩამოსული იყო ჩვენთან, ახლა მეორე ჯგუფი ჩამოდის და ძალიან



სმენაც აქვს და თავისებური იმპროვიზაციაც შეუძლია. მე მგონი, ნიტასგან მოცეკვავე გამოვა...

გვიხარია. მთელი ზამთარი დიდი სტუმრი-ანობა გვექნება.

— **საქართველო თუ მოსწონთ?**

— ახლა რომელი სტუმარიც გავაცილეთ, მას ძალიან მოეწონა. ძალიან გამიხარდა აქ ჩამოსულს, თბილისი ასეთი შეცვლილი და გალამაზებული რომ დამხვდა. მთელი გზა იმაზე ვნერვიულობდი, რა უნდა ვანახვო სტუ-მარს-მეთქი... რა თქმა უნდა, აქ ბევრი საინ-ტერესო ადგილია, მაგრამ ერთი შეხედვით თვალს რომ გადაავლებდა აქაურობას, მეშინ-ოდა, რომ არ მოსწონებოდა... ჭაჭაზე გადაირ-ია. ისე მოეწონა, რომ ალბათ ერთ ბოთლ ჭაჭაში სახლს გაგიცვლის...

— **გაისად ალბათ, ისევ წახვალთ ანტალიაში...**

— ალბათ, მაგრამ ამდენივე ხნით — აღარ, რადგან შეიძლება, ერთი ან ორი მიუზიკლი დაემატოს ამ ყველაფერს და ამდენი დრო აღარ დაგვჭირდება. თუმცა, ამ ყველაფერზე წინასწარ საუბარი მიჭირს...

**— თბილისში თუ აპირებ რაიმე ახლის გაკეთებას?**

— ჯერ კიდევ ანტალიაში ვიყავი, როცა მამულიჩამ დამირეკა და მითხრა, რომ ლელას ისრაელში სოლო კონცერტი აქვს დაგეგმილი იქ, სადაც ჩვენც უნდა ვიცეკვოთ. აქაც, როცა ჩამოვედი, აქტიური სეზონი დამხვდა: კონცერტებია ბათუმში და თბილისშიც. რამდენიმე მიწვევა გვაქვს. ასე რომ, აქტიურად ვიწყებთ ამ წელს და ეს კარგია, რადგან შარშან არ იყო ასე, ცოტა მოვიწყინეთ კიდეც. შარშანწინაც, ძალზე აქტიური წელი გვქონდა.

**ნიკა:**

— არა უშავს, ახლაც „დაიქოქა“ ყველაფერი...

**— გამოდის, რომ ზაფხულის განმავლობაში ვერ დაისვენე...**

**თეა:**

— მართალი ხარ, ვერ დავისვენე. მაგრამ ეს სასიამოვნო დაღლილობაც იყო, რომელმაც ემოციებით აავსო. მთელი დღე ხომ ვმუშაობდი! ღამის 2 საათზე, ანსამბლის წევრებს დასაძინებლად რომ ვუშვებდი, მე თვითონ მაშინ ვიწყებდი კოსტიუმებზე, დეკორაციებსა და სიუჟეტებზე მუშაობას... ამ ყველაფერმა ძალიან დამღალა, მაგრამ — სასიამოვნოდ. ჩემი საქმე რომ არ მიყვარდეს, ალბათ, ამდენს ვერც ვიმუშავებდი. ახლა მგონი, მენატრება კიდეც ის ღამეები, როცა ამ მიუზიკლებზე ვმუშაობდი. მეც და ანსამბლის წევრებიც ძალზე კმაყოფილები ვართ ამ ზაფხულით. ეს ყველაფერი ძალზე საინტერესო პერიოდი იყო ჩვენს შემოქმედებაში. ■






# «ხავერდოვანი ბათუმი-2005»

**როგორც „გზის“ წინა ნომრებში ვიუწყებოდით, 14-დან 18 სექტემბრამდე ბათუმში, ბულვარის ყველაზე დიდ და პრესტიჟულ ბუნგალოში ქართული მუსიკის ფესტივალი — „ხავერდოვანი ბათუმი-2005“ მიმდინარეობდა.**



პირველ დღეს, 13-დან 23 წლამდე ასაკის მომღერლები გამოდიოდნენ მსმენელის წინაშე. მათ შორის, ლიდერად იმთავითვე, 20 წლის სოფო ბედია მოგვევლინა: მას ჟიურის ყველა წევრმა 10 ქულა დაუწერა! არანაკლებ კარგად მღეროდა მისი 21 წლის ძმა, ბორისი, მაგრამ ჟიურიმ მისი ნიჭი რატომღაც ნაკლებად შეაფასა, რამაც ახალბედა მომღერლის უკმაყოფილება გამოიწვია...

ფესტივალის მეორე დღე, ნორჩ მომღერლებს დაეთმო. მომდევნო ორი დღე, მეორე ტური მიმდინარეობდა. ფესტივალზე წამყვანებად მონაცვლეობით, ჯერ მსახიობი კახა მიქიაშვილი და მოდელი ნინო ორდენიძე, ხოლო შემდგომ, წყვილი — ლადო ჯანელიძე (ნუცა ჯანელიძის ძმისშვილი) და ანანო ჯიბლაძე მოგვევლინნენ.

თავდაპირველად, ჟიურის შემადგენლობის შესახებ ერთი ინფორმაცია გვქონდა, მაგრამ იქ ჩასულებს გვაცნობეს, რომ გარკვეული მიზეზების გამო, მათი შეცვლა მოუხდათ. ჟიურის თავმჯდომარე, მოსკოვიდან ახალდაბრუნებული მომღერალი, ირმა სოხაძე გახლდათ, წევრები კი — კომპოზიტორი ზურაბ მანაგაძე, მუსიკათმცოდნე და პიანისტი ნოდარ ფაღავა, მსახიობი თამარ დათუაშვილი, ბათუმის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის თავმჯდომარე ეკა ხერხეულიძე, აჭარის მთავრობის აპარატის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, თეა ცეცხლაძე, ქუთაისის მერიის კულტურის სამსახურის უფროსი, ზვიად ხუჯაძე და გორის სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგი, მანანა კარიჭაშვილი იყვნენ. მათი თქმით, ფესტივალი აბსოლუტურად ობიექტურად ჩატარდა.

მეხუთე დღეს, გალა-კონცერტი გაიმართა, მანამდე კი გამარჯვებულები დასახელდნენ. გრან-პრის — ფესტივალის მოოქრული სიმბოლოს მფლობელი, სოფო ბედია გახდა. მას საჩუქრად ფულადი პრემია — 1.000 ლარიც გადასცეს. პირველ ადგილას თამუნა მიქელაძე გავიდა, რომელსაც სამახსოვრო დიპლომთან ერთად, 500 ლარი ერგო, ხოლო მესამე ადგილი ბორის ბედიამ დაიკავა, რომელმაც პროტესტის ნიშნად, დიპლომი საჯაროდ დახია...

როგორც ფესტივალის ორგანიზატორმა, თამუნა ქამუშაძემ ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, იმის გამო, რომ ეს მისი ხელმძღვანელობით ჩატარებული პირველი ფესტივალი იყო, რაღაც ხარვეზები ჰქონდა და დაგვპირდა, რომ მომავალში ამას აუცილებლად გამოასწორებს. ფესტივალი კი, ყოველ შემოდგომაზე, ისევ ქალაქ ბათუმში გაიმართება.

***ნათია ჟივიძე***

# „ფული იყოს და ნაგავსაც ოქროდ ვაქცევთ...“



**ქართული შოუბიზნესის ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა, უწინ კახუჩელა, ახლა კი კახაბერი, სარეკლამო ბიზნესით დაინტერესდა. გოგონების სარეკლამო კვარტეტის შემდეგ, კომპანია „არტფორუმმა“ „ბალის“ ცნობილი რეკლამა შექმნა. ამან კიდევ უფრო გაამძაფრა საზოგადოების ეჭვი, რომ ქართველი მომღერლები პროფესიას იცვლიან, ხოლო სამამულო შოუბიზნესი კვდომას განიცდის. რამდენად საფუძვლიანია ეს ეჭვები და როგორია მომღერლისა და მენეჯერის უახლოესი გეგმები, — ამაზე ბათუმიდან ცოტა ხნის წინ ჩამოსულ კახა ცისკარიძეს ვესაუბრე.**

*ემა ტუხიაშვილი*

— **კახა, როგორ დაისვენე?**

— ალბათ იცით, რომ ზაფხულში მე და სტეფანე ,,ბალის“ პროექტზე ვმუშაობდით და მთელი ამ სარეკლამო კამპანიის პროდიუსერები ვიყავით. სარეკლამო კლიპის გადაღების გარდა, დაგეგმილი იყო რამდენიმე პიარკონცერტი გონიოში, ქობულეთში, ბათუმსა და ურეკში. ამიტომ დასასვენებლად ნაკლებად მოვიცალე, რადგან ძირითადად, საქმეზე ვიყავი გადართული. როდესაც მთელი ეს სარეკლამო კამპანია დასრულდა, ჩემს ოჯახთან ერთად ბათუმში გადავწყვიტე რამდენიმე დღის გატარება. როგორც იცით, იქ დედაჩემი და ჩემი ძმები ცხოვრობენ. მაგრამ ისეთი წვიმიანი დღეები დაგვიდგა, რომ პლაჟზეც კი ვერ გავედი. თუმცა ამ ზაფხულს იმდენი მაინც მოვახერხე, რომ ჩემი შვილი ჩამეყვანა ზღვაში და უნდა გითხრათ, რომ ძალიან მოეწონა. დარწმუნებული ვარ, მასაც ძალიან შეუყვარდება ბათუმი და მინდა იცოდეს, რას ნიშნავს ბათუმელობა. ახლა ვაპირებდი, რომ სექტემბერში მაინც დამესვენა, მაგრამ რამდენიმე საინტერესო პროექტის განხორციელებას ვგეგმავთ, ამიტომ დრო არ იცდის. ასე რომ, წელს მაინცდამაინც კარგი არდადეგები არ გამომივიდა.

— **ვერ ვიტყვი, რომ „ბალით“ თქვენი დებიუტი შედგა სარეკლამო ბიზნესში, მაგრამ ჯერჯერობით, ვერც პროდუქციის სიმრავლით დაიკვეხნით, ასე არ არის?**

— ჯერ მხოლოდ ორი რეკლამა გვაქვს გადაღებული, რადგან ახლები ვართ ამ ბიზნესში. მაგრამ მგონია, რომ უკვე შევქმენით იმდენი, რომ საზოგადოებას საკუთარი აზრი ჩამოუყალიბდეს ჩვენი პროდუქციის შესახებ. ხშირად გვეკითხებიან, რატომ არ ვმონაწილეობთ ტენდერში ამა თუ იმ სარეკლამო დაკვეთის მოსაპოვებლად. ვფიქრობ, რომ დამკვეთის უკვე თავად შეუძლია შეაფასოს ჩვენი კომპანიის მუშაობის სტილი, მიმართულება და მისთვის მისაღები გადაწყვეტილება მიიღოს. ჩვენ მიერ შექმნილი რეკლამის მთავარი პრინციპია, რომ იგი ყველასთვის გასაგები იყოს და მის შესახებ ყველამ შეიტყოს. საქმისადმი ასეთი მიდგომით კი გვინდა, ჩვენ მიერ წარმოებულ პროდუქციაში ყველაფერი დავხვეწოთ: ხარისხი, ვიზუალური მხარე, ხმა, მუსიკალური მიმართულება და ა.შ. ჩვენ თავად ვართ მუსიკოსები და ვიცით, რა პრობლემებია დღევანდელ შოუბიზნესში, ამიტომ გვინდა, პარალელურ რეჟიმში, სარეკლამო საქმიანობასთან ერთად, მუსიკალური ხარისხიც დავხვეწოთ.

— **თუმცა სარეკლამო საქმე სპეციფიკურ ცოდნას მოითხოვს. ალბათ სახელმძღვანელოების დახმარება დაგჭირდათ, ხომ?**

— რა თქმა უნდა. პირველ ეტაპზე, როდესაც სარეკლამო საქმიანობა წამოვიწყეთ, ბევრ სირთულეს გადავაწყდით, მაგრამ ასე თუ ისე წარმოდგენა გვქონდა იმაზე, თუ რა უნდა გაგვეკეთებინა. ჩემი მეუღლე პიარის სპეციალისტი გახლავთ და მისი კონსულტაციები ძალიან წაგვადგა. ამასთან ერთად, ის ,,არტფორუმის“ მარკეტინგის განყოფილებას ხელმძღვანელობს. არც კი ვიცი, რომ არა სარეკლამო ბიზნესი, სხვა რა საქმისთვის უნდა მომეკიდა ხელი, ქარხანაში ნამდვილად ვერ წავიდოდი სამუშაოდ...

— **ახლა სიმღერა თქვენთვისაც მეორეხარისხოვანი გახდება...**

— რა თქმა უნდა. სარეკლამო საქმიანობა ბევრ დროს მართმევს და ამის დასტურია ისიც, რომ უკანასკნელი თვეების განმავლობაში, ჩემთვის კომპოზიცია არ შემიქმნია. მაგრამ მე პირველ რიგში, მუსიკოსი ვარ და მეორეხარისხოვანი ჩემთვის სწორედ რომ სარეკლამო ბიზნესია. ახლა უკვე ვეძებთ უფრო მოზრდილ შენობას, სადაც დიდი სტუდია გვექნება, რომელიც სრული დატვირთვით იმუშავებს და მსმენელს ბევრ სიახლეს შევთავაზებთ. შედარებით ახალია ჩემი და ლელა წურწუმიას დუეტი და ბოლო დროს, ხშირად მომიხდა სცენაზე ამ სიმღერის შესრულება, ამიტომ ვერ ვიტყვი, რომ სიმღერის გარეშე დავრჩი.

— **მაგრამ კომერციული თვალსაზრისით რეკლამა უფრო მომგებიანია, ხომ?**

— არ შემიძლია იმის თქმა, რომ რეკლამა ბევრად უფრო მაღალანაზღაურებადი საქმეა, ვიდრე საქმიანობა შოუბიზნესში. თუმცა, დღეს საქართველოში რეკლამაზე გაცილებით დიდია მოთხოვნა. იყო პერიოდი, როდესაც ქართველ მომღერალს კლუბში გამოსვლით დღეში 500-დან 3.000 დოლარამდე შეეძლო ეშოვა, მაგრამ ბოლო დროს, საკლუბო ცხოვრება თბილისში მთლიანად შეწყდა. ხოლო როდესაც მომღერალს ფული არ აქვს, ვერც კლიპს იღებს... მე მაინც მგონია, რომ თუ შოუბიზნესი არ არსებობს, ეს ქვეყნის განვითარების დაბალ დონეზე მეტყველებს. ამ ბოლო დროს ხომ შეინიშნება სასიკეთო ძვრები ქვეყნის ეკონომიკაში! ამიტომ გამოცოცხლება შოუბიზნესსაც უნდა დაეტყოს. შოუბიზნესი ხომ ერთგვარი პიარიცაა ქვეყნისთვის. ჩვენ ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა გვყავს, ვისაც შეუძლია, ჩვენი სიმღერები უცხოეთში წარმოაჩინოს, ფულიც იშოვოს და პოპულარობაც მოიპოვოს.

— **თავად რატომ არ სინჯეთ ქვეყნიდან წასვლა? საქართველოდან თქვენი თაობის ბევრი მომღერალი წავიდა...**

— დაახლოებით 3 თვის წინ, მოსკოვში ვიყავი და მართლაც ვფიქრობდი, რომ საქართველოში დაბრუნება აღარ ღირდა.

მაგრამ საკმაოდ ბევრი ფაქტორია, რომლის გამოც, ჩემს ქვეყანაში ცხოვრებაზე ვერ ვიტყვი უარს. მათ შორის ის, რომ ძალიან მინდა, ჩვენში სწორი მიმართულებით განვითარდეს შოუბიზნესი, ამაში ყველამ უნდა მიიღოს მონაწილეობა. ბევრ მომღერალს ვიცნობ, ვინც მხოლოდ სიმღერით მიღებული შემოსავლით ცხოვრობს. ერთ-ერთი მათგანი მეც ვიყავი...

— **ამჟამად რაზე მუშაობს „არტ-ფორუმი“?**

— სარეკლამო საქმიანობის პარალელურად, ჩვენი სტუდია უშუალოდ თავისი პროფილითაც მუშაობდა. მაგალითად, ცოტა ხნის წინ, აქ ლელა წურწუმიამ ჩაწერა ახალი სიმღერა. ასევე მოსკოვიდან გვესტუმრა მომღერალი გოგონა, რომელიც მოგვიანებით ალბათ თავად გაამხელს თავის ვინაობას და სურს, რომ „არტფორუმში“ ჩაწეროს სიმღერები. პირადად მე კი, ერთი საინტერესო სიმღერის იდეა მაქვს, რომელზეც კლიპსაც გადავიღებ.

— **თქვენი შვილის მუსიკალურ აღზრდაზე თუ ზრუნავთ?**

— ლუკა ჯერ მხოლოდ ორი წლისაა, თუმცა ცეკვა და სიმღერა ძალიან უყვარს. ასეთი პატარაა და უკვე იცის, როგორ უნდა მიუდგეს ყველა მუსიკალურ ინსტრუმენტს — ვთქვათ, როგორ უნდა დაიკავოს ხელში გიტარა და როგორ დაუკრას „ბარაბანზე“. ერთად მივუსხდებით ხოლმე ფორტეპიანოს და ესეც ძალიან მოსწონს. უყვარს ჩვენთან სტუდიაში მოსვლა, ყველაფერს დიდი ინტერესით აკვირდება ხოლმე.

— **რამდენიმე დღეში ახალი სასწავლო წელი იწყება... როგორი მოსწავლე იყავით?**

— აკადემიური მოსწრების თვალსაზრისით მეშვიდე კლასამდე საშუალო დონის მოსწავლედ ვითვლებოდი, ყოფაქცევაში კი ყოველთვის ფრიადი მყავდა.

— **დავიჯერო, არც შატალოზე დადიოდით და არც თანაკლასელ გოგონებს წიწკნიდით კიკინებს?**

— მეტიც, სკოლაში შატალოების ერთ-ერთი ინიციატორიც კი ვიყავი. მაგრამ გოგონებისთვის თმა ნამდვილად არ მომიქაჩავს. თმის მოწიწკვნა რა უბედურებაა, გოგოს შეიძლება სხვა რამე მოწიწკნო...

— **ბოლოს ისევ სარეკლამო ბიზნესზე მინდა გკითხოთ. როგორ ფიქრობთ, დაკვეთის შემთხვევაში, შეძლებთ რომ აბსოლუტურად ყველა სახის პროდუქტს გაუკეთოთ რეკლამა?**

— ნამდვილად ყველაფრის რეკლამირება შესაძლებელი. ფული იყოს და უკაცრავად გამოთქმაზე, მაგრამ ნაგავსაც ოქროდ ვაქცევთ.

■






# გიჟების მიერ ნაკარნახევი იდეა, თავის დაწვის ფოკუსი და უფულობით გაჩენილი დეპრესიის სამკურნალოდ საშოვნელი ფული

**მილორავას სახელობის თბილისის სახელმწიფო საესტრადო-საცირკო ხელოვნების ინსტიტუტის ლექტორი, თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრის მსახიობი ზურაბ ვადაჭკორია საკმაოდ ცნობილი სახეა არა მარტო ქართულ ესტრადაზე. მრავალი კონკურსისა თუ ფესტივალის გამარჯვებული, ილუზიონისტთა საერთაშორისო საძმოს, ჩეხეთისა და მოსკოვის ილუზიონისტთა საერთაშორისო კლუბების წევრი, ამჟამად სხვადასხვა ავტორიტეტულ კონკურსში უცვლელი ჟიურის წევრად გვევლინება. ჰყავს მეუღლე, სტუდენტი ქალიშვილი და აბიტურიენტი ვაჟი, რომელიც მამასავით „ჯადოქრობს“ და მსახიობობაზე ოცნებობს. ვადაჭკორია-უფროსის ასაკით თუ დაინტერესდით, პასუხს ვერ მიიღებთ. საქმე ის არის, რომ ზურას აზრით, ილუზიონისტისთვის ასაკს მნიშვნელობა არა აქვს, რადგან რაც უფრო ხანში შედის იგი, მით უფრო იხვეწება მისი პროფესიული ოსტატობა და დამაჯერებელი ხდება მის მიერ წარმოდგენილი სანახაობა...**

*ეკა ბურაბანიძე*

— **ზურა, ვინ იყო შენი პირველი პედაგოგი — რა თქმა უნდა, თუ გყავდა?**

— როგორ გითხრა... ჩემი „პედაგოგი“, პრინციპში, იყო... ქუჩა. რა თქმა უნდა, ბევრი რამ ავითვისე მათგან, ვისაც ეს საქმე ხელეწიფებოდა. ეს იყო უფროსი თაობის ილუზიონისტი ვაჟა აბოვიანი, რომელსაც არაყი უყვარდა. მივუტანდი არაყს და ისიც რამდენიმე ფოკუსს მასწავლიდა. ჩემი მეზობელიც, იმხანად სახელმწიფო ფილარმონიის ადმინისტრატორი, ერთი-ორი ფოკუსის საიდუმლოს ფლობდა და ხალისიანად გამხნდობდა ხოლმე თავის ცოდნას. მაგრამ, ძირითადად, ეს ხელობა ქუჩაში ავითვისე. ქუჩა იცი, როგორი რამაა?.. თუ ადამიანი ოდნავ ჭკვიანი და გონიერია, სადაც მოხვდება, იქიდან თავის სასარგებლოდ კარგი რაღაცები უნდა გამოიტანოს. ქუჩაში კი, დამეთანხმები, კარგიც უხვად არის და ცუდიც... გარდა ამისა, პატარაობიდანვე დავდიოდი ბიბლიოთეკაში, დავიწყე ცირკში სიარული, სადაც ილუზიონისტებს ყურადღებით ვაკვირდებოდი. როცა შევიტყობდი ამ მხრივ ჩემთვის საინტერესო ახალი ფილმის გამოსვლის შესახებ, წავიდოდი და სულ ცოტა, 10-12-ჯერ მაინც ვნახავდი... ისე, ავიამოდელიზმითაც ვიყავი გატაცებული, მინდოდა, კონსტრუქტორი გავმხდარიყავი (ახლაც მაქვს სახლში მაშინ გაკეთებული თვითმფრინავები). „გეპეიშიც“ ჩავაბარე, მაგრამ ფოკუსებმა ისე გამიტაცა, მივხვდი, რომ სწორედ ეს იყო ჩემი საქმე.

— **როგორი მომავლისთვის გამზადებდნენ მშობლები და რა დამოკიდებულება ჰქონდათ შენი ამ გატაცებისადმი?**

— არც დედაჩემმა, არც მამაჩემმა არ იცოდნენ, რომელ უმაღლეს სასწავლებელში ვაბარებდი. სხვათა შორის, მათ ისიც კი არ იცოდნენ, რომ ფილარმონიის მსახიობი გავხდი. უბრალოდ, მშობლებმა კარგად აღმზარდეს და სჯეროდათ, სადაც არ უნდა წავსულიყავი, ცუდს არ გავაკეთებდი... ფილარმონიიდან საბჭოთა ჯარში გამიწვიეს. უკან დაბრუნებისთანავე, ინდოეთსა და ნეპალში წავედი გასტროლებზე. როცა იქიდან ჩამოვედი, ცნობილმა ზურა იაშვილმა (*მომღერალი, ანსამბლ „ორერას“ ერთ-ერთი წევრი. — ავტ.*) დამიბარა და მითხრა — დიპლომი გჭირდება,შეიძლება მომავალში,ვინმემ უდიპლო-

მობა წამოგაყვედროს და დაგჩაგროსო. მაშინ ზურა ფილარმონიაში ესტრადის განყოფილების უფროსი იყო. ჩავაბარე „საესტრადოზე“, დამსვეს მესამე კურსზე და სწავლის პარალელურად, ლექციების წაკითხვაც შემომთავაზეს. იმხანად ვმონაწილეობდი ბევრ წარმოდგენაში. რობიკო სტურუასთან, მიშა თუმანიშვილთან, გოგა მარგველაშვილთან და ჭოლა წულაძესთანაც დამიდგამს სპექტაკლებში რაღაც ეპიზოდები.

— **ართულებს თუ აიოლებს შენი პროფესია უბნის ბიჭებთან ურთიერთობას?**

— გოგოლზეც და მთლიანად ჩვენს უბანშიც იტალიური ეზოებია. აქ ყველა ერთმანეთს იცნობს. პროფესიას ჩემთვის, ურთიერთობების თვალსაზრისით, სირთულეები არ მოუტანია. ვცხოვრობ ისეთივე ცხოვრებით, როგორითაც ყველა. სხვის ბაღჩაში კენჭები არ ჩამიყრია და არც სხვისთვის მიმიცია ჩემ მიმართ ასეთი ქმედების უფლება. მამაჩემი ბავშვობიდან მარიგებდა, რომ ქუჩაში არის კარგიც და ცუდიც, მთავარია, ზრდილობის საზღვრებს არ გასცდე, არავინ დაჩაგრო და თავიც არავის დააჩაგვრინო, მთავარია, მართალი იყო — მართალი კაცი ქვაზე მაგარიაო...

— **გამოგიყენებია თუ არა შენი ხელოვნება მანდილოსანთან გაცნობისას?**

— რუსეთში უფრო. იქ გართობა უყვართ და კარგადაც ეხერხებათ. რუსეთში ბევრჯერ ჩავსულვარ და სხვადასხვა სიტუაციაში ვყოფილვარ. მაგრამ პირველად, ილუზიონისტობა ჯარში გამომადგა. ორი წელი ვიმსახურე და ამის წყალობით, 6-ჯერ ვიყავი „ოტპუსკში“. მამაკაცების უფროს თაობას ახსოვს, რომ ჯარიდან შვებულებაში ერთხელ წასვლასაც კი დიდი შნო და მარიფათი სჭირდებოდა. სხვათა შორის, თავიდან არც ვაპირებდი ჩემი ფოკუსების დემონსტრირებას, ყველაფერი თავისთავად მოხდა. ვინმესთან რამე რომ დამჭირდებოდა, თავად ოფიცრები მირჩევდნენ: „პაკაჟი ტამ პარუ ფოკუსოვ ი ვსიო ბუდიტ ნარმალნო“. ხშირად მეპატიჟებოდნენ სუფრაზე, პიკნიკზე, უბრალო ჯარისკაცს, კარგად მაჭმევდნენ და მასმევდნენ. ვიღაც გიტარაზე უკრავდა, ვიღაც ლექსს კითხულობდა. რუსებს ეს უყვართ. ერთი სიტყვით, ყოველთვის ჰყავდათ სუფრასთან ისეთი, ვისაც რამე შეეძლო. მუშაობდა პრინციპი — „ნადოა სებია პაკაზაწ“. ჯარში მივხვდი, რომ ამ ხალხს არ უყვარს ბრეჟა და ამბიციური პერსონები, ამბობენ: „მუჟიკ დოლჟენ ბიწ პრასტოი“ და თუ ასეთი ხარ, შინაურად მიგიღებენ. მამაჩემი მეუბნებოდა — რუსს არასდროს დაანახვო, რომ მასზე ღონიერი და მაგარი ხარ, პირიქით, დაუმეგობრდი და იყავი ჩვეულებრივი ადამიანი, მათ უბრალო ხალხი უყვართო. სხვათა შორის, რუსეთში სცენაზე გამოსვლის დაწყებამდე, როცა მოდიოდნენ და მეკითხებოდნენ, როგორ გამოგაცხადოთო? — ვეუბნებოდი — უბრალოდ ზურაბ ვადაჭკორია-მეთქი. მოსწონდათ, რომ რეგალიების აფიშირებას ვერიდებოდი...

— **რა ადგილი უჭირავს ტყუილს ილუზიონისტის ცხოვრებაში?**

— ჩვენი პროფესია უძველესია და იგი არასდროს ეფუძნებოდა ტყუილს. ჩვენ არ ვატყუებთ მაყურებელს. ტყუილი ის არის, როცა რამეს შეჰპირდები და არ შეუსრულებ, იმედს გაუცრუებ. ილუზიონისტები მაყურებელს არაფერს ჰპირდებიან. შეიძლება, ჰპირდება ექსტრასენსი — აი, მოდი, გადამიხადე ფული, გიმკურნალებ და მოგარჩენო... სხვათა შორის, ექსტრასენსები ვერ გვიტანენ იმიტომ, რომ ჩვენ მათ ვშიფრავთ, ვააშკარავებთ იმას, რომ მათი „მკურნალობა“ ხშირ შემთხვევაში, ბლეფია... ვფიქრობ, ჩვენი პროფესია ისეთია, რომ ნამდვილი ილუზიონისტის მოტყუება ან „დაბოლება“ ძნელია. მან იმდენად კარგად იცის ადამიანის ფსიქოლოგია, რომ არ არსებობს, შეცდეს ან მოტყუვდეს... როცა აქ არეულობა იყო, გვარდია დარბოდა და ყველანი ცუდად ვიყავით, ნევროზი „ავიკიდე“. ეს ნევროზი კიდევ უფრო გაალრმავა უმუშევრობამ და უფულობამ. მოკლედ, გამოსავალს ვერ ვხედავ, თან არ მინდა, გავლოთდე და ბოლოს და ბოლოს, ერთ ფსიქოთერაპევტთან მივედი. ჩემს მდგომარეობას ვუხსნი... ეგ არ არის პრობლემა, ერთ ან ორ თვეში მოგარჩენენ, აირჩიე კვირაში ორი დღეო, — მითხრა. მეც ავირჩიე. ამის შემდეგ მეუბნება — კვირაში 30 დოლარი უნდა გადამიხადოო, წარმოგიდგენიათ?!. შენ ჩემს ნევროზს უფრო „აჯითარებ“-მეთქი, — ვუთხარი, — იმიტომ მოვედი, რომ ფულს ვერ ვშოულობ და შენ კიდევ ფულს მთხოვ-მეთქი?!. მერე მოტვინა და მითხრა: არა, არა, როცა მორჩები, მერე გადამიხადეო. წამოვედი და... მოკლედ, ჩემი თავის ხელში აყვანა შევძელი. ყველა ადამიანმა უნდა აიყვანოს საკუთარი თავი ხელში. შრომით, საკუთარი თავისა და გარშემო მყოფთა სიყვარულით ადამიანი შექმნის თავისთვისაც და სხვისთვისაც კარგ გარემოს. მიყვარს ფილმი „განკიცხულნი“, ჟან გაბენის მონაწილეობით. კაცი გამოდის ციხიდან და ისეა გაბოროტებული ცხოვრებაზე, რომ არავისი სჯერა, ამავე დროს, ყველა სულელი ჰგონია. მღვდელი მიიღებს, დააპურებს, ის კი მას შანდლებს მოპარავს. გასვლისთანავე, ჟანდარმერია დააკავებს და უკან მიაბრუნებს. მღვდელი ქურდს არ ამხელს, იტყვის — შანდლები არ მოუპარავს, ვაჩუქე, — თან დასძენს — კოვზებიც ვაჩუქე და დაავიწყდაო... მარტონი რომ დარჩებიან, ეტყვის — თუ ეს ვერცხლის შანდლები და კოვზები კარგ პიროვნებად გაქცევს, არ მენანება, წაიღეო... იმის შემდეგ ხვდება ჟან გაბენის პერსონაჟი, რომ ქვეყნად, ერთი კაცი მაინც არსებობს კარგი, ვისი გულისთვისაც შენც უნდა აკეთო სიკეთე... იცი, რაზე მწყდება გული? ხანდახან არ ვაღიარებთ, რომ მტყუანები ვართ. მეტიც — მიგვაჩნია, რომ ყოველთვის მართლები ვართ. თუ არა და, ვჩალიჩობთ, რომ თავი გავიმართლოთ და ეს გვღუპავს ხოლმე... კაზინოში ვიყავი შესული. გოგო-ბიჭს ფიშკები უჭირავთ ხელში, ფსონებს ჩამოდიან... ვიფიქრე, გავერთობი, ვითამაშებ. ბიჭს ვეუბნები: მოდი, რა, ვისკი დავლიოთ. — არა, არა, მარხვაზე ვარო, — მიპასუხა. ბიჭო, თუ მარხვაზე ხარ, კაზინოში რა გინდა?! როგორ შეიძლება, მარხვას ინახავდე და კაზინოში შეხვიდე, სახლში ვიღაცასთან „პრეფერანსს“ თამაშობდე, სიგარეტს ეწეოდე, სვამდე?!. ჩვენ-ჩვენი საქმე პატიოსნად უნდა ვაკეთოთ. ფოკუსები ჩემი საქმეა და მე ეს საქმე უნდა გავაკეთო პატიოსნად. ვიცი, რომ იმავე, ჩემი ფოკუსების კანონს როგორც კი დავარღვევ, მაშინვე ირღვევა ბალანსი და ირევა ყველაფერი. ჟურნალისტმაც თავისი კანონი უნდა დაიცვას. შეიძლება მე გამაკრიტიკო, მაგრამ ნუ დამცინებ, რაც ნაკლი მაქვს, იმას ხაზს ნუ გაუსვამ. როდესაც სხვისგან ვითხოვთ პროფესიონალიზმს, საკუთარ თავს ვკითხოთ, ვართ კი, პროფესიონალები? კოტე მარჯანიშვილმა თქვა



— ხელოვნება ხალხს ეკუთვნის და მართლაც ასეა. როდესაც მსახიობი ლექსს კითხულობს, ვინც დარბაზიდან შენიშნავს, რომ მან კარგად წაიკითხა, ჩემი აზრით, ის უფრო ნიჭიერია — იმიტომ, რომ წაკითხული კარგად აღიქვა.

— **რადგანაც პროფესიონალიზმი ახსენე, გკითხავ — „ქართვლის დედა“ არ თუ ვერ გააქრე?**

— პირდაპირ ვიტყვი, „ქართვლის დედაზე“ ფოკუსი არ გამაკეთებინეს. ფიქრობ, იმიტომ, რომ არ უნდოდათ, დიდი მასშტაბით გამეთქვა სახელი. მტკვარზე რომ ვაკეთებდი ფოკუსს, მაშინაც მომიგზავნეს ვიღაც პროვოკატორები... ცუდი ჩვევა გვაქვს ქართველებს: თანამემამულის ავტორიტეტის ზრდა ბევრისთვის მიუღებელია. დეტალურად ამ თემაზე საუბარი შემიძლია, მაგრამ თავს შევიკავებ...

— **რამდენადაც ვიცი, „ფარული კამერის“ მახეში გაები? გამოტყდი, თავად რამდენჯერ „უჩალიჩე“ სხვებს ანალოგიური სიტუაცია?**

— ხუმრობა მიყვარს, მაგრამ სხვას ჯიბეში არასდროს არაფერს ჩავუდებ. რაც შეეხება „ფარულ კამერას“ — ამ გადაცემაში ჩემი მეგობრები მუშაობენ. ყველა კარგი ბიჭია და ყველა ნიჭიერი. ალეკო მალხაზიშვილი გამოვიდა და თქვა: ჩვენ არავის არ ვატყუებთ, ეს არის გასართობი შოუ, უნდა უყურო, დაისვენო, გაერთოო. ილუზიონისტიც ასეა. რომ შემჭამეს — მეტეხის ხიდზე მოგვატყუა, რატომ არ დაიხრჩოო?! — რა იყო ეს?.. ფოკუსებს ვაკეთებ. როგორ შეიძლება, ილუზიონისტი ქალს მართლა ჭრიდეს ან რეალურად დაფრინავდეს კაცი?! ასე შუა საუკუნეებში აზროვნებდნენ... ერთსაც ვიტყვი: არ მეგონა, „ღამის შოუს“ წამყვანი, დათო გოგიჩაიშვილი ასეთი ნიჭიერი თუ იყო — თავის დაწვის ფოკუსი ვაჩვენე და უცებ აითვისა. მაყურებლებს ემახსოვრება, დათო ილურიძეს წარმატებით რომ „დაუწვა თავი“. არც უნახავს, ეს ნომერი როგორ კეთდებოდა. ვუთხარი — ილურიძეს თავი უნდა დაუწვათ, — და მოვუყევი — ასე კეთდება ფოკუსი და ასეთი ეფექტი აქვს-მეთქი. — კარგი, ახლა მივყვები, გავაკეთებ და თუ რაღაც შემეშალა, მითხარიო... ჩემს გულს ბაგაბუგი გააქვს, პირდაპირი ჩართვაა, ბენზინთან და ცეცხლთან გვაქვს საქმე და მეშინია, რაღაც ისე არ გამოუვიდეს, რეპეტიციებიც არ გაუვლია... ისე შეასრულა ყველაფერი, გამოვშტერდი. „გამიტყდა“, რომ ასეთი ნიჭიერი კაცი ილუზიონისტობას არ მისდევს...

— **ახალი ნომრის მოფიქრებას ბევრი დრო მიაქვს?**

— მაგარ რამეს გეტყვი. პირველი მსოფლიო ომი რომ დამთავრდა, გერმანელებმა ტივტივა ნაღმები დატოვეს ზღვაში და გემებიც ფეთქდებოდა. მეზღვაურებმა ვერაფრით მოიფიქრეს, როგორ მოეცილებინათ ეს ნაღმები და გადაწყვიტეს, ფსიქიატრიულში მისვლა. დასვეს გიჟები და უყვებიან: წარმოიდგინეთ, რომ ყველანი გემით ზღვაში მოგზაურობთ და უცებ საიდანღაც დიდი ნაღმი გეჯახებათ, რას იზამთო? ერთი წამოხტა: მილს ჩავიდებ პირში, სხვებსაც ჩავადებინებ და ერთად შევუბერავთო. აქედან დაიბადა იდეა: გემებზე კომპრესორები დააყენეს და წნევით გამოტუმბული ჰაერი ნაღმს ხომალდის კორპუსთან შეხების საშუალებას აღარ აძლევდა... ყველა კარგი იდეა მეტწილად ასე უცბად იბადება... არა, ნუ გეღიმება, ფსიქიკურ ჯანმრთელობას ნამდვილად არ ვუჩივი. უბრალოდ, არ ვიცი, რამდენ ხანს ვანდომებ ამა თუ იმ ფოკუსის მოფიქრებას, ხანდახან ეს უცბად, რაღაც მომენტში ხდება.

— **რამდენადაც ვიცი, შენი ნიჭისა და პროფესიის გამო, ქალაქის სამორინეებში არ გიშვებენ, მართალია?**

— კაზინოებში მართლაც არ მიშვებენ, მაგრამ კაზინოს მესვეურებს არ ვამტყუნებ. ერთხელ, როცა მომბეზრდა ამგვარი მოპყრობა, ერთ-ერთი კაზინოს მეპატრონეს ვუთხარი: ბიჭო, რატომ არ მიშვებთ, რისი გეშინიათ? ვიდეოკამერები ტყუილად გაქვთ დამონტაჟებული-მეთქი? იცით, რა მიპასუხა?.. — კარგი, რა, ხუთი ათასი თვალი გიყურებს და ვერ გაუგიათ, ფოკუსს როგორ აკეთებ და აქ გინდა, ერთი-ორმა კამერამ რაღაც დააფიქსიროსო?!. როგორც მე არ შემოვუშვებ კრუპიეს ჩემს პროფესიაში, ისე კაზინოს აქვს სრული უფლება, თავის ტერიტორიაზე არ შემიშვას და ეს არ მწყინს. ამავე დროს, მინდა გითხრათ, იქ ძალიან ბევრი მეგობარი მყავს.

— **ამბობენ, რომ მანიპულატორის ოსტატობის დონე განისაზღვრება იმით, თუ რამდენი ბანქოს დასტის დამალვა შეუძლია მას ხელში...**

— ცდებიან, ასე არ არის. ერთ დასტაზე მეტს ვერც ერთი ილუზიონისტი ვერ დამალავს ხელში. როგორც წესი, იმალება 15, მაქსიმუმ 20 ცალი ბანქო, ისიც — კარგად დამუშავებული, ე. წ. „ნატასავები“. როდესაც ფესტივალების, კონკურსების ჟიურიში სამუშაოდ მიწვევენ, იმთავითვე ვიცი, რომ მანიპულატორი, სხვა კატეგორიაში მონაწილესთან შედარებით, უპირატესი ქულით უნდა შევაფასო. ასეა წესი და მეც მას სავსებით ვიზიარებ. ვინც ხელით მუშაობს, მას უფრო პატივს ვცემ, ვინაიდან მანიპულაციური 5-8-წუთიანი ნომრის მოსამზადებლად, ილუზიონისტი ხშირად, მთელი ცხოვრება ვარჯიშობს. ამასთან, წარმოიდგინე, დაახლოებით ერთი საათი მხოლოდ სხვადასხვა აქსესუარის ჩაწყობა-მიმაგრებას მიაქვს. გასათვალისწინებელია აგრეთვე სხვა მომენტებიც — ვთქვათ, კლიმატური პირობები, ტემპერატურული რეჟიმი: თუ ცხელა და ხელი გაგიოფლიანდა, შეიძლება, მოულოდნელად ბანქო გაგიცურდეს, სიცივეში კი, ხელის დამორჩილება უფრო ძნელი ხდება და ა.შ. რაც შეეხება ილუზიას (დიდი საგნის, ცხოველის გაქრობა-გადაადგილებას, ადამიანის გახერხვას და ა.შ.), ასეთი,




დადგმული ნომრების შესრულება გაცილებით ადვილია. შედარებისთვის გეტყვი — როდესაც მხატვარი ხელით ხატავს, მისი ნამუშევარი ხომ უფრო მეტად ფასობს, ვიდრე კომპიუტერის მეშვეობით შესრულებული, თუნდაც ვიზუალურად ბევრად მაღალი ხარისხის ნახატი?! ისიც მინდა აღვნიშნო, რომ მანიპულაციასთან შედარებით,ილუზია ძალზე ძვირია: სარეპეტიციო ფართის იჯარა, ინვენტარის ხარჯები, ასისტენტების ანაზღაურება და სხვა. კომუნისტების დროს, ცირკი ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა, მაგრამ ილუზიონისტები მაინც ვერ ახერხებდნენ დიდი პროგრამების დადგმას. გარკვეულწილად, იმიტომაც ვარ მოზარდ მაყურებელთა თეატრში, რომ ეს ერთგვარი ბაზაა — აქ სცენაა, დასის მსახიობები მეხმარებიან, როგორც ასისტენტები... მე რომ მარტო ვიყო სადღაც სცენაზე, ამ მსახიობებს შენახვა ხომ უნდა! ან ბაზა ხომ უნდა გქონდეს რეკვიზიტისათვის! ის, რასაც ბაზა ჰქვია, ლარს ბარტონს აქვს ლას-ვეგასში. ბევრი ილუზიონისტი იქ მუდმივად ცხოვრობს — სადაც სცენა აქვთ, მათი სახლიც იქ არის. დაფინანსების ან სხვა მატერიალური პრობლემები მათ სიზმარშიაც არ აწუხებთ. ჩვენში რომ ისეთივე სიტუაცია იყოს, როგორიც ლას-ვეგასშია, მაშინ დაჯდები ერთ ადგილას, იმუშავებ და იქნები არხეინად. მაგრამ ამისთვის ტურისტია საჭირო, ტურისტი კი ჯერჯერობით, საქართველოში არ არის; როდესაც ის მოვა, მაშინ ბევრი რამ სასიკეთოდ შეიცვლება.

— **თუ საიდუმლო არ არის, სამომავლოდ რა გეგმები გაქვს?**

— არავითარი საიდუმლო. ამერიკელი ლარს ბარტონი ვახსენე. ორიოდე დღის წინ, მისგან ვრცელი წერილი მივიღე, რომელშიც განუსაზღვრელი ვადით მასთან სტუმრობასა და მუშაობას მთავაზობს. როგორ უთხრა, რომ სადღეისოდ, საკუთარი გზის ხარჯების დაფარვაც კი აღემატება ჩემს შესაძლებლობებს?!. ამიტომ ამ ეტაპზე, თეატრალური სეზონის გახსნას ველოდები და ბევრ სიურპრიზს ვუმზადებ ჩემს ერთგულ მაყურებელს...

■

# Magnum-ის სისტემის Porsche



სატიუნინგო ფირმამ – Techart – ფრანკფურტში ყველგანმავალი – Magnum წარმოადგინა, რომელიც Porsche Cayenne-ის ბაზაზეა შექმნილი. მთავარი სიახლე, 4,5 ლ მოცულობის, 8-ცილინდრიანი ტურბოდიზელის ძრავაა, რომელიც 292 კმ/სთ მაქსიმალურ სიჩქარეს ავითარებს, ხოლო 100 კმ/სთ-მდე 4,5 წმ-ში აღწევს. ელექტრონული მოდული, ტრასის ხარისხის მიხედვით, საგზაო ნაპრალს არეგულირებს: თანდართული პნევმატიკის წყალობით, ავტოსტრადაზე მანქანა 60 მმ-მდე შეიძლება დაიწიოს, ხოლო უგზოობის პირობებში – 70 მმ-მდე აიწიოს.

გარეგნულად ტიუნინგის შედეგად შექმნილი ჯიპი ცხაურიანი ჰაერშემწოვებით გამოირჩევა, რომელთა მიღმა, ბურუსის საწინააღმდეგო და შორი მანძილის მაშუქებია დაფარული. ფრთების სიგანის გადიდების შედეგად, მანქანა სტადარტულ Porsche Cayenne-ზე 8 სმ-ით განიერია, რაც 22-დუიმიანი საბორბლე დისკების გამოყენების საშუალებას იძლევა. ■



# Bentley Azure-ს რეინკარნაცია



ახლახან გახსნილი, ფრანკფურტის საერთაშორისო ავტოსალონის ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ ავტომანქანად მიჩნეულია ახალი კაბრიოლეტი – Bentley Azure, რომლის პირველი ჩვენება გერმანიამდე, კალიფორნიის სალონზე შედგა. ელეგანტური ოთხადგილიანი მანაქანა, Bentley Arnage-ის ბაზაზეა აგებული, რაც შეეხება Azure-ს წინა თაობას – ის 2003 წელს მოიხსნა წარმოებიდან.

ახალი მანქანის სიგრძე 5,41 მ-ს შეადგენს. მას რბილი მასალისგან დამზადებული სახურავი აქვს, რომელიც 30 წმ-ში იკეცება. სალონში ტყავის სავარძლებია. Azure 6,75 ლ სამუშაო მოცულობის 8-ცილინდრიანი ძრავათია აღჭურვილი, რომელიც 456 ცხ.ძ. სიმძლავრეს ავითარებს (იგივე აგრეგატი, რომელიც Bentley Arnage-ს აქვს). მანქანის მაქსიმალური სიჩქარე 275 კმ/სთ-ია, ხოლო 100 კმ/სთ-ს 6 წმ-ში ავითარებს. Azure აღჭურვილია აგრეთვე ე.წ. ადაპტირებადი საკიდრით, რომელიც გზის ხარისხის მიხედვით განსაზღვრავს მოძრაობის რეჟიმს. მისი ფასი ფრანკფურტის ავტოსალონის შემდეგ გამოცხადდება. ბაზარზე კი, ახალი „ბენტლი“ 2006 წლის გაზაფხულზე – ე.ი. კაბრიოლეტისთვის შესაფერისი სეზონის დადგომისთანავე გამოჩნდება. ■

# Lotus ფრთებს შლის

ინგლისურმა ფირმამ – Lotus – მომხმარებლებს მორიგი სიახლე მოუმზადა. ეს, სპეციალიზებულ ტრასებზე საასპარეზოდ განკუთვნილი სპორტული მანქანა გახლავთ. მოდელის სახელწოდებაა Lotus Circuit Car, რომლის წარმოება მომავალი წლის შუა პერიოდისთვისაა დაგეგმილი.

მანქანა აღჭურვილია Toyota-ს კონსტრუქციის 4-ცილინდრიანი ძრავათი, რომლის მოცულობა 1,8 ლ-ს, სიმძლავრე კი – 243 ცხ.ძ-ს შეადგენს. გათვალისწინებულია აგრეთვე, ნაკლები – 190 ცხ.ძ. სიმძლავრის მქონე ვარიანტი. ახალი მანქანის შასი საგანგებოდ ჩამოსხმული, ალუმინის შენადნობისგანაა დამზადებული და მისი მასა სულ 650 კგ-ს შეადგენს. მანქანას ერთ და ორადგილიანი ვარიანტები ექნება. მას საკმაოდ შთამბეჭდავი დინამიკა აქვს: 100 კმ/სთ სიჩქარეს 4 წმ-ში ავითარებს, 160 კმ/სთ-ს – 9 წმ-ში. Circuit Car მუხრუჭების ანტიბლოკირების სისტემითა და 6-საფეხურიანი მექანიკურ გადაცემათა კოლოფითაა აღჭურვილი.

ამ მანქანის ტირაჟი 100 ეგზემპლარითაა განსაზღვრული. ბრიტანულ ბაზარზე მისი ფასი სავარაუდოდ, 25 ათასი გირვანქა სტერლინგი იქნება. სხვა ქვეყნებისთვის ფასები ჯერჯერობით განსაზღვრული არ არის. ■





## ბარიკელოს მეორე ვაჟიშვილი შეეძინა

„ფერარის“ პილოტს, რუბენს ბარიკელოს მეორე შვილი შეეძინა. როგორც ცნობილია, მიმდინარე სეზონში იტალიურ სარბოლო გუნდს არცთუ ისე კარგად მიუდის საქმე. სკუდერიის პირველი პილოტი, მიხაელ შუმახერი მესამე ადგილზე იმყოფება. მას დიდ კონკურენციას უწევენ „მაკლარენის“ წარმომადგენელი ხუან პაბლო მონტოია და იარნო ტრული „ტოიოტიდან“. რუბენს ბარიკელო, რომელიც 2004 წლის სეზონში, „ფორმულა-1“-ის რბოლებში ვიცე-ჩემპიონი გახდა, მერვე პოზიციაზეა. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ მას კვლავაც შეუძლია თავისი პოზიციის გაუმჯობესება. ამასთან, უკვე ცნობილია, რომ ის მომავალი სეზონიდან, ბარის ღირსებას დაიცავს, სადაც მისი პარტნიორი, ტაკუმა სატო იქნება. ბარიკელოს ადგილს „ფერარიში“ ფელიპე მასა დაიკავებს. ბელგიის გრან-პრის შემდეგ, მრბოლელის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა — მას მეორე შვილი შეეძინა. ახალშობილს ფერნანდო დაარქვეს. ბარიკელოს პირველი ვაჟიშვილი, ედუარდო კი, 23 სექტემბერს, 4 წლის გახდება. ბელგიის გრან-პრის შემდეგ, რომელზეც ბრაზილიელი მეხუთე ადგილზე გავიდა, იგი „ფერარის“ ხელმძღვანელობამ „ინტერლოგოსის“ ტრასაზე (ბრაზილია) ჩასატარებელი ტესტ-რბოლიდან გაათავისუფლა. ბარიკელოსაც ისღა დარჩენოდა, მეორე ვაჟიშვილის მამობა ოჯახთან ერთად აღენიშნა. „ჩვენ ძალიან ბედნიერები და სიამაყით აღვსილები ვართ“ — ამბობს „ფერარის“ პილოტი. ■

## როდმანი არ ცხრება

კოლორადოს შტატის მოსამართლემ, კრის იუჰასმა, დენის როდმანის დაპატიმრების ორდერს მოაწერა ხელი. ასეთი უკიდურესი ნაბიჯი მოსამართლემ მას შემდეგ გადადგა, რაც NBA-ის ყველაზე აღვირახსნილმა სკანდალისტმა ორჯერ გაუკეთა იგნორირება სასამართლოს სხდომას, რომელიც კალათბურთელის მიერ ავტოსაგზაო წესების დარღვევის გამო იმართებოდა. როდმანის აგენტმა, დარენ პრინსმა კი, ხელისუფლების გადაწყვეტილებას „გაუგებრობა“ უწოდა. ჩვენი მკითხველისთვის ცნობილია, რომ დენის როდმანი მეტისმეტად ძნელად პროგნოზირებად და ოდიოზურ პიროვნებად ითვლება. მისი სახელი ხშირად ფიგურირებს სკანდალურ ქრონიკაში. მიუხედავად ამისა, იგი კინოგადაღებებში მონაწილეობასაც ახერხებს. მას შემდეგ, რაც როდმანმა მოთამაშის კარიერა დაასრულა, პოლიციამ მის სახლს 100-ზე მეტჯერ მიაკითხა, რადგან იქ მოწყობილი ხმაურიანი ორგიების გამო, სკანდალისტის მეზობლები სამართალდამცველებთან ჩიოდნენ. მეზობლებს განსაკუთრებულად ის საღამო დაამახსოვრდათ, როდესაც დენისი 40 წლის იუბილეს ზეიმობდა. იმ ღრეობის გამო კალათბურთელი სასამართლოში აღმოჩნდა. როდმანის კიდევ ერთი გატაცება, ტრანსპორტით სწრაფად მოძრაობაა. ის არა მარტო ავტომობილებს, არამედ მოტოციკლეტებსა და კატერებსაც დააქროლებს. მაგალითად, ცოტა ხნის წინ, ის კალიფორნიაში Newport Harbor-ის ყურის სანაპირო დაცვის წარმომადგენლებმა, მოტორიანი ნავით მოძრაობისას, სიჩქარის დასაშვებ ნორმაზე ოთხჯერ გადაჭარბების გამო, მთვრალი დააკავეს... ერთ-ერთი ბოლო ინციდენტი დენისს ივლისში შეემთხვა. ის პატარა ქალაქ



ფრისკოს მახლობლად ტრასაზე სიჩქარის გადაჭარბებისთვის გააჩერეს. „ჩიკაგო ბულზის“ ყოფილი მოთამაშე Lamborghini-ს 157 კმ/სთ სიჩქარით მიაქროლებდა. ■

## ტიტმუსი სიმსუქნემ შეაწუხა

მძიმე პერიოდი დაუდგა ცნობილ ბრიტანელ ტელეწამყვანს, ები ტიტმუსს. ცოტა ხნის წინ, ის „ლიდსის“ ყოფილ ნახევარმცველს, 34 წლის ლი შორპს



დაშორდა, რომელიც გასული საუკუნის 90-იან წლებში, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ღირსებასაც იცავდა. შორპთან მეგობრობის პერიოდში, ტიტმუსი დიეტას არად დაგიდევდათ, რის გამოც, საგრძნობლად გასუქდა. თუმცა, ეს ფაქტორი მაშინ მას დისკომფორტს სულაც არ უქმნიდა. სამაგიეროდ, ზედმეტი წონის პრობლემამ ტელეწამყვანი მას შემდეგ დააფიქრა, რაც ფეხბურთელს აღარ ხვდება, ეს არცაა გასაკვირი. ერთ-ერთმა ცნობილმა პიროვნებამ ების „დიდი ცხიმის გროვა“ უწოდა. სწორედ ამიტომ, ტელეწამყვანმა წონის დაკლება გადაწყვიტა, იოგასა და კრივში ვარჯიში დაიწყო. „ძალიან გამაღიზიანა იმ ხალხის აზრმა, რომელიც ჩემ გარშემო ტრიალებს. ლისთან განშორების შემდეგ, საკუთარი თავის რწმენა დავკარგე. თუმცა ამჯერად, სპეციალურ დიეტას დავიცავ, ბევრ ბოსტნეულს შევჭამ და სპორტითაც დავკავდები“, — აცხადებს ტიტმუსი. ■

# ახალი ნაომი!



როგორც ჩანს, ნაომი კემპბელს ღირსეული კონკურენტი გამოუჩნდა. ეს გახლავთ ებონი ივი, რომელიც ამერიკის ქალაქ მერილენდის ერთ-ერთ გამაჯანსაღებელ ცენტრში პერსონალურ მწვრთნელად მუშაობს. ასე რომ, ყოველ ადგილობრივ მცხოვრებს, რომელსაც სხეულის გაკაჟება სურს, შეუძლია, ეს აშშ-ის ერთ-ერთი ყველაზე მომთხოვნი ფიტნეს-მოდელის მეთვალყურეობის ქვეშ გააკეთოს. აღსანიშნავია, რომ ებონი ივის შემოსავლის ძირითად წყაროს სწორედ სამოდელო ბიზნესი წარმოადგენს. მას ხშირად იხილავთ ლუდის რეკლამაში. მისი სურათები იბეჭდება სპორტულ გამოცემებში. მამაკაცებს ხომ სწორედ ასეთი ჯანმრთელი და მკვრივკუნთებიანი ლამაზმანები ხიბლავთ. თავად ფოტომოდელი კი, Donatella Versace-სთან, Fendi-სთან და Dolce&Gabbana-სთან თანამშრომლობაზე ოცნებობს. ■

# ბეტარინი ყოფილ მეუღლეს ვერ შეურიგდება

„პარმის“ მცველმა, სტეფანო ბეტარინიმ (იგი 2004-2005 წლების საფეხბურთო სეზონის ბოლოს, სერია A-ს ყველაზე სექსუალურ ფეხბურთელად დაასახელეს) განაცხადა, რომ თავის ყოფილ ცოლს, ტელეწამყვან და ფოტომოდელ სიმონე ვენტურას ვერასოდეს შეურიგდება. ცოტა ხნის წინ, პაპარაცებმა წყვილი ლაჟვარდოვან სანაპიროზე შენიშნეს. უფრო მეტიც, ისინი ვნებიანი კოცნის მომსწრენიც გახდნენ ერთ-ერთ პრესტიჟულ რესტორანში რომანტიკულ საღამოზე. ბუნებრივია, ამის შემდეგ, ყველა იმაზე ალაპარაკდა, რომ ბეტარინი და ვენტურა კვლავ ერთად იქნებოდნენ, მაგრამ... „ჩვენი ერთად ყოფნა შეუძლებელია. სიმონამ მიღალატა, მაგრამ ამას არ აღიარებს. მისი არ მჯერა. არიან ადამიანები, რომლებმაც იგი სხვა მამაკაცებთან ერთად იხილეს. ღალატს ვერავის ვაპატიებ. მიუხედავად ამისა, ერთმანეთთან ურთიერთობა მაინც გვექნება. ჩვენ ხომ 2 შვილი გვყავს – ნიკოლო და ჯაკომო. ისინი მშობლებთან ერთად უნდა აღიზარდონ“, – ამბობს ბეტარინი, რომელიც კომენტარს მოდელ ალესია ფაბინის გამონათქვამსაც უკეთებს. ამ უკანასკნელის თქმით, მან სტეფანოსთან დაუვიწყარი ღამე გაატარა. „ხალხი არც ისეთი სულელია, რომ ჭეშმარიტება ვერ დაადგინოს. თავიდან, ფაბინიმ ერთ-ერთ ბულვარულ გაზეთს ჩემთან რომანის შესახებ უამბო, შემდეგ კი ეს ინფორმაცია სხვა გამოცემისთვის მიცემულ ინტერვიუში უარყო. ნებისმიერ ადამიანს შეუძლია იმის გარკვევა, თუ რა არის ამ ამბავში სიმართლე და რა – ტყუილი“, – დასძინა ფეხბურთელმა. ■



# მაიკლი ანას მკერდმა აღაგზნო

„მას ხელი ჩამოვართვი, თანაც ამ მომენტში, თვალს ვერ ვაშორებდი მის მკერდს“, – უთქვამს ცოტა ხნის წინ „ნიუკასლში“ გადაბარგებულ მაიკლ ოუენს თავის პარტნიორ, ალან შირერისთვის. საქმე ისაა, რომ ამას წინათ, ლონდონში მხატვრული ფილმის – „გოლის“ პრემიერა გაიმართა, რომელშიც მთავარ როლს 29 წლის მსახიობი, ანა ფრიპი ასრულებს. თავად ფილმი, როგორც სახელწოდებიდანაც ჩანს, ფეხბურთის თემაზეა გადაღებული. ჰოდა,



პრემიერაზე, სხვა ცნობილ ადამიანებთან ერთად, ოუენიცა და შირერიც იყვნენ მიწვეულნი. სწორედ მაშინ გაჰქცევია თვალი მაიკლს, ფრიპის მკერდისკენ. თუმცა, თუ ფორვარდს მსახიობთან სერიოზული ურთიერთობა სურს, ამისათვის მას მაინცდამაინც დიდი შანსი არ უნდა ჰქონდეს. ანა მსახიობ დევიდ ტულისზეა დაქორწინებული, რომელიც ზემოთ ხსენებული ფილმის პრეზენტაციას ერთი წლის ქალიშვილთან, გრეისთან ერთად შინიდან ადევნებდა თვალს. მის მეუღლეს მართლაც შთამბეჭდავი მკერდი აქვს, რასაც თავად ანა ფრიპიც არ უარყოფს. „ის მემკვიდრეობით გადმომეცა, დედაჩემსაც ასეთივე ზომის მკერდი ჰქონდა. რა თქმა უნდა, მკერდის ფორმის შესანარჩუნებლად, სპეციალურ ვარჯიშებსაც ვასრულებ“, – აღნიშნა ანამ გაზეთ The Sun-ისათვის მიცემულ ინტერვიუში. ოუენი კი სწორედ ამ მომენტში მის გვერდით იდგა და ალბათ, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, თუ რას განიცდიდა... ■

მოამზადა ალექსი რეხვიაშვილმა

# კვირის ასტროლოგიური პროგნოზი

## (22 - 28 სექტემბერი)

### ვერძი — 21/III-20/IV

გააქტიურდება თქვენი ინტელექტუალური შესაძლებლობები, რაც ხელს შეგიწყობთ საკუთარი აზრების სხვებისთვის გასაგები ენით გადმოცემაში. შესაძლებელია გაგიჩნდეთ ახალი ნაცნობები, რომლებიც თქვენს საქმიანობასთან იქნებიან დაკავშირებული. მოსალოდნელია ხანმოკლე მგზავრობა. ურთიერთობები პოზიტიურია მარჩბივსა და ღრიანკალთან, ნეგატიური — კუროსა და ქალწულთან. **პოზიტიური დღეები**: 23,25,27. **ნეგატიური დღეები**: 24, 26.

### კურო — 21/IV-21/V

შემოქმედებითი აღმაფრენა და გამახვილებული ინტუიცია დაგეხმარებათ საჭირო ნაბიჯების გადადგმასა და წინ წაწევაში. შესაძლებელია, განაახლოთ ძველი ურთიერთობები (ეს განსაკუთრებით საქმიან პარტნიორებს შეეხება). შეხვედრების დროს ეცადეთ, თქვენი შრომისმოყვარეობა და პროფესიონალური თვისებები წარმოაჩინოთ. ურთიერთობები პოზიტიურია კუროსა და ლომთან, ნეგატიური — ქალწულსა და თევზებთან. **პოზიტიური დღეები**: 22, 24, 25. **ნეგატიური დღეები**: 26, 28.

### მარჩბივი — 22/V-21/VI

მრავალი პრობლემის გადაჭრა მოგიწევთ. საჭიროა, გამოიჩინოთ გამჭრიახობა და პრაგმატიზმი, რომ მათთან გამკლავება არ გაგიჭირდეთ. ნუ იქნებით სხვის იმედზე, მხოლოდ საკუთარი ძალებით იმოქმედეთ. მალე ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლება. ურთიერთობები პოზიტიურია ვერძსა და მერწყულთან, ნეგატიური — კირჩხიბსა და თხის რქასთან. **პოზიტიური დღეები**: 24, 25, 26. **ნეგატიური დღეები**: 23, 27.

### კირჩხიბი — 22/VI-22/VII

ბრმად ნუ ენდობით ,,კეთილმოსურნეთა“ რჩევა-დარიგებებს, რომ გამოუვალ სიტუაციაში არ აღმოჩნდეთ. ამან შესაძლოა, სახელი შეგიბღალოთ და მატერიალური ზარალიც მოგაყენოთ. იმოქმედეთ ლოგიკურად, ამასთანავე, ყური დაუგდეთ საკუთარ ინტუიციას... ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდება. შეეცადეთ, არ გარისკოთ. ურთიერთობები პოზიტიურია კუროსა და თევზებთან, ნეგატიური — სასწორსა და მშვილდოსანთან. **პოზიტიური დღეები**: 22,23, 25. **ნეგატიური დღეები**: 24, 28.

### ლომი — 23/VII-23/VIII

ამპარტავნება, სხვისი რჩევების უგულებელყოფა და გრანდიოზულ გეგმებთან შეჭიდება ძლიერ დაგაზარალებთ და ამავე დროს, დიქტატორის სახელს შეგძენთ. ამიტომ გირჩევთ, ამბიციურობა არ გამოამჟღავნოთ. ურთიერთობები პოზიტიურია ლომსა და სასწორთან, ნეგატიური — კუროსა და ღრიანკალთან. **პოზიტიური დღეები**: 23, 25, 28. **ნეგატიური დღეები**: 22, 26.

### ქალწული — 24/VIII-23/IX

საგრძნობლად მოიმატებს თქვენი ფიზიკური ამტანობა, გაგიჩნდებათ სურვილი, შეიცვალოთ გარეგნული იმიჯიც, ეს ყოველივე კი სასიკეთოდ აისახება თქვენს საერთო მდგომარეობაზე. თუმცა, თუ აქტიურობას არ გამოიჩენთ და დეპრესიულ განწყობილებას აჰყვებით, წარმატებას ვერ მიაღწევთ. ურთიერთობები პოზიტიურია კუროსა და ღრიანკალთან, ნეგატიური — მარჩბივსა და მერწყულთან. **პოზიტიური დღეები**: 22, 24, 27. **ნეგატიური დღეები**: 23, 25.

### სასწორი — 24/IX-23/X

თქვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იქნება საქმიანობა. შესაძლებელია, სამუშაო ადგილი გამოიცვალოთ და თქვენი პროფესიისთვის სრულიად უცხო საქმეს მოჰკიდოთ ხელი. უნდა მოახერხოთ საკუთარი აზრის სხვებისთვის გასაგები ენით გადმოცემა, რომ პრობლემებთან გამკლავება არ გაგიჭირდეთ. ურთიერთობები პოზიტიურია ლომსა და სასწორთან, ნეგატიური — თხის რქასა და თევზებთან. **პოზიტიური დღეები**: 24, 25, 26. **ნეგატიური დღეები**: 27, 28.

### ღრიანკალი — 24/X-22/XI

საკუთარი იდეებისა და ინტერესების უკეთესად წარმოჩენას, მოწინააღმდეგეებთან საერთო ენის გამონახვასა და ახალი ურთიერთობების დამყარებას შეძლებთ, რაც სასიკეთოდ აისახება თქვენს საქმიანობაზე. თუმცა, მოსალოდნელია ნეგატიური ტენდენციებიც. ურთიერთობები პოზიტიურია ვერძსა და კირჩხიბთან, ნეგატიური — ლომსა და ღრიანკალთან. **პოზიტიური დღეები**: 23, 25, 27. **ნეგატიური დღეები**: 22, 24.

### მშვილდოსანი — 23/XI-21/XII

კრიტიკული პერიოდი გიდგათ. მნიშვნელოვნად გაიზრდება ცდუნების, გაქურდვის, გაძარცვისა და ტრავმების ალბათობა. შესაძლებელია, თქვენ მიერ ადრე ჩადენილმა დანაშაულმაც შეგახსენოთ თავი. ასე რომ, მაქსიმალური სიფრთხილე გამოიჩინეთ. ნუ მიიღებთ ალკოჰოლს. ურთიერთობები პოზიტიურია სასწორსა და მშვილდოსანთან, ნეგატიური — კუროსა და მერწყულთან. **პოზიტიური დღეები**: 24, 26, 28. **ნეგატიური დღეები**: 23, 27.

### თხის რქა — 22/XII-20/I

მოსალოდნელია ცვლილებები, რომლებიც სამწუხაროდ, უმეტესად ნეგატიური იქნება. მოერიდეთ იმპულსურ და ნაჩქარებ მოქმედებებს, ნებისმიერი გადაწყვეტილება ხანგრძლივი განსჯის შემდეგ მიიღეთ. თუ კეთილგონიერებას გამოიჩენთ, შესაძლოა, ყველა პრობლემას იოლად გაუმკლავდეთ. ურთიერთობები პოზიტიურია კუროსა და თევზებთან, ნეგატიური — ქალწულსა და თხის რქასთან. **პოზიტიური დღეები**: 22, 25, 27. **ნეგატიური დღეები**: 23, 24.

### მერწყული — 21/I-19/II

თუ ამ პერიოდში მფლანგველობას, უდარდელობასა და დაუდევრობას გამოიჩენთ, ეს სერიოზულ პრობლემებს შეგიქმნით. თუმცა შესაძლოა, გაჭირვების ჟამს, ახალი მფარველები გამოგიჩნდეთ. ურთიერთობები პოზიტიურია კუროსა და სასწორთან, ნეგატიური — ქალწულსა და მშვილდოსანთან, **პოზიტიური დღეები**: 23, 24, 28. **ნეგატიური დღეები**: 22, 25.

### თევზები — 20/II-20/III

მიმდინარე პერიოდში ლიდერის როლის შესრულება მოგიწევთ, რადგან სწორედ ახლა გაჩნდება საზოგადოებრივ საქმიანობაში თქვენი ჩაბმის საჭიროება და გარკვეული ჯგუფის თავკაცობა. ამას საიმოვნებით მოჰკიდებთ ხელს და გარკვეული პრობლემების გადაწყვეტის შანსიც მოგეცემათ. ურთიერთობები პოზიტიურია კუროსა და კირჩხიბთან, ნეგატიური — სასწორსა და თხის რქასთან. **პოზიტიური დღეები**: 23, 25, 26. **ნეგატიური დღეები**: 22, 24.



- საცირკო ტანვარჯიში
- გაუმჯობესებული მშვილდ-ისარი
- სახელმწიფო აფრიკაში
- ხელისგულზე მკითხაობა
- ხელოვნების დარგი
- კუჭუკანა ჯირკვლის ჰორმონი
- ძაღლის ჯიში
- ლუდხანა ინგლისში
- მახრჩობელა გველი
- ინგლისელი პოეტი
- ერთადგილიანი სპორტული ნავი
- ცხენბურთი
- ძვირფასი ლითონი
- ადმინისტრაციული ერთეული საბერძნეთში
- პატარა თოხი
- რაგბის საერთაშორისო ფედერაცია
- რესტორნის წიგნი
- შიში სახლის, ცვლილებების წინაშე
- კორეული ავტომობილი
- სასტუმრო-სასადილო ძვ.
- საეკლესიო ჭურჭელი
- ფასიანი ქაღალდი
- მოქსოვილი მოცეკვავე ქალი ინდოეთში
- შექსპირის ტრაგედია
- ატკინსონის პერსონაჟი მისტერ...
- დარდი, მწუხარება
- ... მონტანი
- ჩანჩქერი ჩრდ. ამერიკაში
- პარლამენტის თავმჯდომარე
- პომიდვრის პასტა
- ქალაქი საქართველოში
- სიკვდილისწინა მდგომარეობა
- ჩამოსაკიდებელი საწოლი
- თვალის ბადურა
- მტვრის ნაწილაკი
- ვიეტნამის დედაქალაქი
- სამაგიდო თამაში
- გრამატიკული კავშირი







# ანეკდოტები

***

მიხო და მარო პარკში სეირნობენ. მიხო ქალებს თვალს აყოლებს და ნერწყვს ყლაპავს:

— მოდი მადაზე, მიხო, მოდი... ჭამა მაინც სახლში მოგიწევს.

***

მადლიერი ცოლ-ქმარი:

— 5 წელი არ გვიჩნდებოდა ბავშვი, დიდი მადლობა პატრულს!..

(ტელეგადაცემა „ვიდეოპატრულის“ მასალებიდან: პატრული ამ კაცს სამშობიაროში ცოლის წაყვანაში დაეხმარა).

***

სვანები ტელევიზორით უყურებენ ჩემპიონატს მძლეოსნობაში. პატარა ბიჭი მამას ეკითხება:

— მამა, ეს ბიძიები რატომ გარბიან?

— რატომ და, ვინც პირველი მივა, ჯილდოს მიიღებს.

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

— მაშინ, სხვები რატომღა გარბიან?

— ვააა! გილოცავ, მაიზერ, რა პატარაა შენი ბიჭი და უკვე რა ჭკვიანია! — სიჩუმე დაარღვია შმაგიმ.



***

ციხიდან ახალგამოსულმა მძარცველმა საყვარელს ძვირად ღირებული ბეჭედი აჩუქა.

— ვაიმე, რა შესანიშნავი ბეჭედია! — აღმოხდა ქალს. — რა ღირს?

— 5 წელი და 3 თვე...

***

სვანი მოსწავლის მამა მშობელთა კრებაზეა.

კლასის დამრიგებელი:

— რა უნდა ვქნათ? თქვენს ვაჟს რასაც ვეტყვი, ერთ ყურში შეუშვებს და მეორიდან გამოუშვებს ხოლმე.

ფიზიკის მასწავლებელი:

— ცდებით, კოლეგა. ვაკუუმში ბგერა არ ვრცელდება...

***

ახალი წლის ღამეს, სვანი აივანზე გამოვიდა, თოფს ვერ მიაგნო და ხმლის ქნევას მიჰყო ხელი.



***

რეჟისორი ეუბნება ახალგაზრდა მსახიობს:

— ახალ პიესაში თქვენ უმანკო ქალწულის როლი უნდა ითამაშოთ... ამ მხრივ რამე გამოცდილება თუ გაქვთ?

***

ქუჩაში მამაკაცს ახალგაზრდა ქალი მიუახლოვდა.

— მგონი, თქვენ ჩემი ერთ-ერთი ბავშვის მამა ბრძანდებით.

— მე-ე?!

— უკაცრავად... ნუ გეშინიათ... მე მასწავლებელი ვარ...

***

— ასჯერ მთხოვეს, გავთხოვილიყავი, მაგრამ ყოველთვის უარს ვამბობდი.

— ვინ გთხოვდა?

— დედ-მამა.

***

რჩევა ცოლს — თუ სადილს ვერ ამზადებ, მაშინ ამისთვის წინასწარ მაინც მოამზადე ქმარი.

***

სვანმა სახლში პორნოკასეტა მიიტანა. უყურა ცოლთან ერთად, უყურა, მოჰბეზრდა და დასაძინებლად წავიდა. ერთი საათის შემდეგ:

— ქალო, შენ არა წვები?

— მოიცა, მაიზერ, კინო დამთავრდეს.

— რაში გაინტერესებს!

— უნდა ვნახო, ეს ბიჭი ამ ყველაფრის შემდეგ ქალზე დაქორწინდება თუ არა.

***

— ჭიჭიკია, არ ვიცი, ცოლს რა საჩუქარი გავუკეთო დაბადების დღისთვის, თან იაფადაც რომ გამივიდე და გოუხარდეს კიდოც.

— ბუჯო, ანონიმური სასიყვარულო წერილი გოუგზავნე.

***

მაღაზიაში მეგრელ გამყიდველს ეკითხებიან:

— ძაფები გაქვთ?

— დიახ, ქალბატონო.

— მტკიცე ძაფები თუ გაქვთ?

— როგორ არა! მასთან მიახლოებისაც კი გვეშინია, მაგალითად.

***

— დედიკო, დიდი რომ გავიზრდები, ქმარი მეც მეყოლება?

— კი, თუ კარგი გოგონა იქნები.

— ცუდი თუ ვიქნები?..

— მაშინ... ბევრი გეყოლება.

***

— სად მუშაობთ?

— ეს სახელმწიფო საიდუმლოებაა.

— რას აწარმოებს თქვენი ქარხანა?

— ეს სამხედრო საიდუმლოებაა.

— რამდენს გიხდიან?

— ცოტას. ერთ ყუმბარაში — 5 დოლარს.

***

კაცი მივიდა მღვდელთან და ეკითხება:

— მამაო, ცოლი ახალი მოყვანილი მყავს და მასთან დღეში 25-ჯერ ვამყარებ ინტიმურ კავშირს... ეს ცოდვაა?

— რა თქმა უნდა, შვილო ჩემო. ტყუილის თქმა დიდი ცოდვაა...

***

— ნამდვილი საოცრებაა! როგორ შეუძლია ასეთი პატარა ტანის კაცს ამხელა ლომების მოთვინიერება?!

— ეტყობა, მადას არ აღუძრავს...

***

ორი შეშლილი ფსიქიატრიულის ეზოში ზის და ბანანს ჭამს. ერთი მეორეს ეუბნება:

— შენ რა, ბანანს არ ფცქვნი?!

— რატომ უნდა გავფცქვნა? ისედაც ვიცი, შიგნით რაც არის.



# რამდენად ყურადღებიანი ადამიანი ბრძანდებით?



**არსებობენ ადამიანები, რომლებიც ყოველთვის ფხიზლად არიან და თითქმის არაფერს ძალუძს მათი გაკვირვება, გაოგნება და გამოუვალ მდგომარეობაში ჩაყენება. სრულიად საწინააღმდეგო კატეგორიას მიეკუთვნებიან დაბნეული, უყურადღებო ადამიანები, რომლებსაც სრულიად უბრალო სიტუაციაშიც კი თავგზა ებნევათ.**

**ქვემოთ შემოთავაზებული ტესტი დაგეხმარებათ დასკვნების გამოტანაში, რამაც შესაძლოა, რაღაც-რაღაცებზე დაგაფიქროთ კიდეც.**

**ქვემოთ დასმულ შეკითხვებს გაეცით პასუხები — „დიახ“ ან „არა“.**

1. საკუთარი უყურადღებობის გამო, ხშირად რჩებით თუ არა წაგებული?
2. ნაცნობ-მეგობრები ხშირად ხომ არ გიწყობენ ოინებს?
3. გაქვთ თუ არა იმის უნარი, რომ რაღაც საქმე აკეთოთ და თან ისიც მოისმინოთ, რაზეც თქვენ ირგვლივ ლაპარაკობენ?
4. ოდესმე ქუჩაში ფული თუ გიპოვიათ?
5. აქეთ-იქით ყურადღებით იხედებით თუ არა ქუჩაზე გადასვლის დროს?
6. შეგიძლიათ თუ არა დეტალურად აღიდგინოთ ორიოდე დღის წინ ნანახი ფილმის შინაარსი?
7. ხომ არ ღიზიანდებით, როცა ვინმე წიგნისა თუ გაზეთის კითხვას, საინტერესო გადაცემას ან საერთოდ, რაიმე საქმიანობას გწყვეტთ?
8. მაღაზიაში ყოფნისას ითვლით თუ არა მოლარის მიერ დაბრუნებულ ხურდას იქვე, ვიდრე სალაროს მოშორდებით?
9. სახლში ადვილად პოულობთ თუ არა თქვენთვის საჭირო ნივთს?
10. ვინმეს მოულოდნელ დაძახებაზე ხომ არ კრთებით ხოლმე?
11. ერთი ადამიანი მეორეში ხომ არ გეშლებათ ხოლმე?
12. გქონიათ თუ არა შემთხვევა, როცა ლაპარაკში გართულს, ტრანსპორტიდან საკუთარ გაჩერებაზე ჩამოსვლა დაგვიწყებიათ?
13. შეგიძლიათ თუ არა დაყოვნებისა და ჭოჭმანის გარეშე დაასახელოთ თქვენი ახლობლების დაბადების თარიღები?
14. იოლად ფხიზლდებით თუ არა ძილის შემდეგ?
15. შეგიძლიათ თუ არა დიდ ქალაქში ვინმეს დახმარების გარეშე მიაგნოთ იმ ადგილს (მუზეუმს, კინოთეატრს, მაღაზიასა თუ დაწესებულებას), სადაც შარშან და ისიც მხოლოდ ერთხელ იყავით?

**დააჯამეთ ქულები:**

შეკითხვებზე – 2, 3, 4, 5, 6, 8, 9, 13, 14 და 15 დადებითად გაცემული პასუხის შემთხვევაში დაიწერეთ 1 ქულა. ასევე 1 ქულა დაიწერეთ უარყოფითი პასუხების შემთხვევაში 1, 7, 10, 11 და 12 შეკითხვებზე.

## ტესტის შედეგები

**11 და მეტი ქულა:** საოცრად ყურადღებიანი და შორსმჭვრეტელი ადამიანი ბრძანდებით. ყველასა და ყველაფრის მიმართ თქვენ მიერ გამოვლენილი ყურადღება ნამდვილად აღნიშვნის ღირსია, რადგან ამ უნარით ყველა როდი გამოირჩევა.

**5-10 ქულა:** საკმაოდ ყურადღებიანი ადამიანი ბრძანდებით და მნიშვნელოვანი რამეები არასოდეს გავიწყდებათ. მაგრამ, როგორც იტყვიან, უცდომელი არავინ არის — ზოგჯერ შეიძლება, დაბნეულობის წყალობით, რაღაც-რაღაცები თქვენც დაგავიწყდეთ, ამან კი შესაძლოა გაუგებრობები გამოიწვიოს. თქვენდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ საპასუხისმგებლო მომენტებში თქვენ ყურადღების მობილიზების გასაოცარ უნარს ავლენთ და შეცდომას არ უშვებთ.

**4 და ნაკლები ქულა:** ძალზე დაბნეული ადამიანი ბრძანდებით და თქვენს ცხოვრებაში არსებული უამრავი უსიამოვნება, სწორედ ამ თვისებასთანაა დაკავშირებული. როცა ახლობლები და კოლეგები უყურადღებობაში გადანაშაულებენ, თქვენ ღიმილით ცდილობთ სიტუაციის განმუხტვას და პასუხობთ, რომ მეოცნებე ნატურა ხართ და მსგავს წვრილმანებს ყურადღებას არ აქცევთ. თუმცა, ისმის კითხვა: მართლაც წვრილმანებია თუ არა ის, რაც ყურადღების მიღმა გრჩებათ? თქვენი დაბნეულობისა და უყურადღებობის წყალობით ხომ ხშირად გარშემო მყოფებიც ზარალდებიან? არის შემთხვევები, როცა ადამიანები საკუთარი უყურადღებობითა და ამა თუ იმ საკითხისადმი ზერელე დამოკიდებულებით თავსაც კი იწონებენ ხოლმე, მაგრამ კარგად თუ გააცნობიერებთ, აღმოჩნდება, რომ ეს ძალზე უარყოფითი თვისებაა, რამაც არა მარტო თქვენ, არამედ თქვენს ახლობლებსაც უამრავი უსიამოვნება შეიძლება მიაყენოს. ეცადეთ, თავი დააღწიოთ ამ ნაკლს.

# კარის მიერ ადკვეთილი ქურდობა

შვეიცარიის პატარა ქალაქ ნენდაზში უიღბლო ქურდბაცაცამ ერთ ღამეს სუპერმარკეტის გაქურდვა გადაწყვიტა, მაგრამ მისი მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა — ქურდი შესასვლელმა კარმა მოიყოლა და თანაც ისე მტკივნეულად, რომ ის იძულებული გახდა მაშველისთვის ეხმო. თავდაპირველად, ყველაფერი ძალზე კარგად მიდიოდა: დამნაშავე სავაჭრო ცენტრში ავტომატურად მოძრავი კარის გავლით სრულიად შეუმჩნევლად შეიპარა. მან რამდენიმე ჩანთა



საათებით, DVD-ის დისკებით და პროდუქტებით გაავსო. ნადავლის ნაწილი მაღაზიიდან უპრობლემოდ გამოიტანა და მანქანაშიც ჩატვირთა, მაგრამ როცა დანარჩენი ჩანთების გამოსატანად მაღაზიაში შებრუნება დააპირა, კარი დაიკეტა და დაუპატიჟებელი სტუმარი სრულიად მოულოდნელად კისრითა და ფეხებით შუაში მოიყოლა. ქურდმა ხაფანგისთვის თავის დაღწევა დამოუკიდებლად ვერ მოახერხა და იძულებული გახდა, საშველად ყვირილით ეხმო ვინმესთვის. მის ყვირილზე მაღაზიის მახლობლად მცხოვრებმა რამდენიმე მოსახლემ მოიყარა თავი. მათ ერთობლივი ძალისხმევით დამნაშავის კარის ტყვეობიდან დახსნა შეძლეს, მაგრამ წინდახედულება გამოიჩინეს, გათავისუფლებულ ტყვეს ხელი უბიძგეს და მაღაზიაში შეაგდეს. „პატრონის ერთგული" კარი კვლავ საგულდაგულოდ ჩაიკეტა და ქურდი ისევ ხაფანგში აღმოჩნდა. უიღბლო ქურდბაცაცას სხვა გზა აღარ დარჩენოდა, ის საკუთარ ხვედრს შეურიგდა და პოლიციის გამოჩენას მშვიდად ელოდა.

■

# პინგვინები ყარაყუმის უდაბნოში



უკვე კარგა ხანია, რაც პრეზიდენტმა საფარმურატ ნიაზოვმა, რომელიც 1985 წლიდან ერთპიროვნულად განაგებს თურქმენეთს, საკუთარი ექსცენტრიკული ბრძანებებით ყველა სხვა დიქტატორს გადააჭარბა. ყველასათვის ცნობილია, რომ ქვეყანაში წელიწადის თვეებს თავად პრეზიდენტისა და მისი ნათესავების სახელებით მოიხსენიებენ. გაუქმებულია ოპერისა და ბალეტის თეატრი, როგორც თურქმენი ხალხისათვის სრულიად უსარგებლო რამ. მისივე ბრძანებით აკრძალულია სახალხო ღონისძიებებისა და სატელევიზიო პროგრამების მუსიკალურად გაფორმება — რაც, ვითომდა უცხოური მუსიკის მავნე ზეგავლენისგან ნაციონალური კულტურის დაცვის მიზნით ხდება. გარდა ამისა, თურქმენეთის დიქტატორმა ტელევიზიის დიქტორებს გრიმის გაკეთება აუკრძალა, რადგან მისი თქმით, ამის შედეგად ქალისა და მამაკაცის გარჩევა სრულიად შეუძლებელი ხდება.

ამას წინათ, საფარმურატ ნიაზოვს თავისი პატარა „სამეფოს" საკეთილდღეოდ კიდევ ერთი გრანდიოზული იდეა მოუვიდა თავში. ამჯერად, თურქმენბაშიმ ყარაყუმის უდაბნოში ზოოპარკის მოწყობა ბრძანა, სადაც ბინას დაიდებს 300 სახეობის ფრინველი და ცხოველი. ზოოლოგიური პარკი აშხაბადიდან ჩრდილოეთით, სწორედ ყარაყუმის უდაბნოს დასაწყისში მოეწყობა. თანაც, როგორც თურქმენეთის ბუნების დაცვის სამინისტროს წარმომადგენლები ირწმუნებიან, ზოოპარკის მომავალი ბინადრები მშობლიურ გარემოსთან ძალზე მიახლოებულ პირობებში იცხოვრებენ. აი, ის კი, თუ როგორ მოახერხებენ ამას ასეთი ცხელი კლიმატის მქონე ქვეყანაში, ჯერჯერობით საიდუმლოდ რჩება. ცნობილი გახდა ისიც, რომ სამინისტროს თანამშრომლებს მსოფლიოს ყველა კუთხეში დაევალათ ზოოპარკის მომავალი ბინადრების შერჩევა, მათ შორის იქნებიან ანტარქტიკული პინგვინებიც. ზოოპარკის მშენებლობა ერთ-ერთ თურქულ სამშენებლო კომპანიას მიანდვეს, რომელმაც ვალდებულება აიღო, რომ ერთი წლისთავზე შემკვეთს ობიექტს დამთავრებული სახით ჩააბარებს. ოაზისი-ნაკრძალი თურქმენეთს — სხვათა შორის, მსოფლიოს ერთ-ერთ უღარიბეს ქვეყანას — არაერთი მილიონი დოლარი დაუჯდება.

■

# სამეფო ზარაფხანამ უელსის უფლისწული 5 გირვანქად „შეაფასა"

BBC News-ის ცნობით, 15 სექტემბერს უელსის უფლისწულ ჰარის სრულწლოვანებასთან დაკავშირებით (უფლისწულს 21 წელი შეუსრულდა), სამეფო ზარაფხანამ უფლისწულისგამოსახულებიანი საიუბილეო მონეტა გამოუშვა. 5-გირვანქიან (9 დოლარზე ცოტა მეტი) ფულის ერთეულზე ჰარი სვიტერსა და გახსნილ პერანგში ჩაცმულია აღბეჭდილი; მონეტას ამშვენებს წარწერა — მისი სამეფო უდიდებულესობა უელსის უფლისწული ჰენრი. სამეფო ზარაფხანის წარმომადგენლის თქმით, უფლისწულის გამოსახულება დედოფალმა ელისაბედ მეორემ მოიწონა, რომელიც თავად მონეტის მეორე მხარესაა გამოსახული. ზარაფხანის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მოჭრილია უფლისწულისგამოსახულებიანი მონეტის მხოლოდ 10 ათასი ეგზემპლარი. აქედან გამომდინარე, ისინი ვარაუდობენ, რომ ახალი მონეტა კოლექციონერების ინტერესის საგნად იქცევა. ხოლო კუნძულ ოლდერნეზე (ნორმანდიის კუნძულები) მონეტა ოფიციალურად შევა მიმოქცევაში.




■

# ფოტოკურიოზები













მშობლების, მოსწავლეებისა და მასწავლებლების საყურადღებოდ!

# ყველაზე ეროვნული მედია-პროექტი



მიიღეთ მონაწილეობა!
ორშაბათობით
იკითხეთ
ჟურნალი
რეიტინგი
შეავსეთ „ცოდნის
კუპონი“
და მოიპოვეთ
სტიპენდია

თქვენ 1-წლიანი ყოველთვიური
სტიპენდია გეკუთვნით!

პროექტი სრულიად
საქართველოს კათოლიკოს-
პატრიარქის, უწმინდესისა
და უნეტარესის ილია II-ის
ლოცვა-კურთხევით
ხორციელდება

პროექტის პარტნიორია
თბილისის მერია
და საკრებულო;

შეხვედრამდე

„ეტალონი“
ყოველ
შაბათს
18 საათზე
„იმედის“
არხზე

